

# ძველი შუამდინარული პოეზია





ქველი ადმინისტრაციული მნიშვნელობა



# ძველი შუამდინარეული პოეზია

~ 33 ~

ქველი ადმინისტრაციული მნიშვნელობის  
შუამდინარეული პოეზია



ბაპრ სულაპურის  
ბაიბლიოთეკა

# რომაული პოეზია

მთარგმნელები: აკაკი ურუშაძე, ეკატერინე კობახიძე,  
თამარ კალატოზი, იამზე გაგუა, მარინა იმნაძე, მანანა ღარიბაშვილი

სერიის მთავარი რედაქტორი და შემდგენელი: ემზარ გოგუაძე

რედაქტორი: ნანა ტონია

გამომცემლობის რედაქტორი: დიანა ყასუმაშვილი

დიზაინერი: ია მახათაძე

ყდის დიზაინერი: ნათია კვარაცხელია

დამკაბადონებელი: თინათინ ბერბერაშვილი

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013  
თარგმანი © ვლადიმერ ურუშაძე, ეკატერინე კობახიძე,  
თამარ კალატოზი, იამზე გაგუა,  
თამთა ცინცაძე, მანანა ღარიბაშვილი  
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112  
ტელ: 291 09 54; 291 11 65  
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-827-8 (ყველა ტომი)

ISBN 978-9941-15-981-7 (რომაული პოეზია)

## Ancient Roman Poetry

*Translated by: Akaki Urushadze, Ekaterine Kobakhidze,  
Tamar Kalatozi, Iamze Gagua, Manana Imnadze, Manana Gharibashvili*

© Sulakauri Publishing, 2013

All rights reserved.

Sulakauri Publishing  
150 Agmashenebeli Ave  
0112, Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge

## ↔ საჩხევი ↔

შუმერული პოეზია.....	7
წინათქმა.....	9
ენხედუანას პოეზია .....	17
წინასიტყვაობა .....	17
ინანა და მთა ებისი1 .....	29
ინანა – სამყაროს ტული1 .....	36
ინანა მეცხრე ცაზე1 .....	47
შუმერული ეპოსები.....	53
წინასიტყვაობა .....	53
ენმეჩქარი და ენსუხგიჩანა .....	67
ენმეჩქარი და აჩათას ბაცონი.....	79
ლუგალბანდა უდაბურ მთებში.....	104
ლუგალბანდას დაბრუნება .....	122
გილგამეშიანი.....	139



# შუქეჩული პოეზია







## წინათქმა



მკითხველს, რომლისთვისაც უცნობია შუმერული პოეტური სიტყვა, ეს ნიგნი გაუწევს პირველ მეგზურობას ამ უძველესი ლიტერატურის სამყაროში და აზიარებს მის მასშტაბს, სირთულესა და დახვეწილობას. რამდენადაც ჯერაც არ არის ბოლომდე ახსნილი და სრულყოფილად გამოკვლეული შუმერული ეპოსის საიდუმლო, ქართველი მკითხველი თავად გახდება მისი პირველი აღმქმელიცა და შემფასებელიც. ჩვენი მიზანია, ფართო სპექტრით წარმოგიდგინოთ შუმერული ლიტერატურის ფასდაუდებელი ძეგლები იმ ისტორიულ კონტექსტში, რომელშიც იგი ჩაისახა და განვითარდა.

შუმერული და აქადური ტექსტები ითარგმნება ლურსმული ტექსტის ტრანსლიტერაციიდან. ტრანსლიტერაცია (ლათინური შრიფტით ლურსმული ნიშნების გადმოტანა) სიტყვებისა და მარცვლების დეფინით გაშორებულ წყებას წარმოადგენს, რაც ქმნის სიტყვას ან გრამატიკულ კომპლექსს. ჰომოფონური ნიშნები გამოირჩევა მახვილით ან რიცხვითი ნუმერაციით, ხოლო დეტერმინატივები იწერება სიტყვის დასაწყისში, ზემოთ, პატარა შრიფტით. ასევე, შესაბამისი სიმბოლოებით, შეძლებისდაგვარად, აღდგენილია პრონონსი (შ=წ; ხ=ჩ; ნგ=ჭ და ა. შ.). ევროპელი მკვლევრები შუმერული ენის პრონონსს აღნიშნავენ ტრანსლიტერაციის სულ რამდენიმე ნიშნით. შესაბამისად, ასეთი ტექსტის ყლერადობაც ერთგვარია.

პირველი ქართველი ასირიოლოგი მიხაკო წერეთელი შუმერული ლექსიკის გაშიფვრისას აღადგენს ყველა ბგერას, რომელიც ფიქსირდება ქართველურ ენებში. წერეთლისეული მიდგომა შუმერული ტექსტებისადმი უცხოელ შუმეროლოგთათვის გადაულახავ სირთულედ რჩება. მიხაკო



წერეთელი გახლავთ პირველი, რომელმაც წარმოგვიდგინა შუმერული და ქართველური ენების შედარებითი ანალიზი. იგი კვლავ რჩება ერთადერთ მკვლევრად, რომელიც ფლობდა ყველა ქართველურ ენასა და ყველა ძველადმოსავლურ ლურსმულ დამწერლობას. მასვე ეკუთვნის „გილგამეშის ეპოსის“ 1924 წელს შესრულებული პირველი ქართული თარგმანი. მიხაკო წერეთელი შუმერულ ლურსმულ ტექსტებში ბგერებს ალადგენს შემდეგნაირად: შ=ჭ; თ=q; ც=q\*; ხ=q\* (ხ=ჰ); ფ=p; ღ=ჭ; ყ=K\*; ჭ=ლ; ჩ=q+; ძ=d\*; ც=t\*; ნ=t\*. იგი შუმერული ტექსტების ტრანსლიტერაციას იხედავდა ბგერებს ალადგენს, როგორებიცაა: ნ, ყ, ჭ, ხ ქართველურ ენებში. შესაბამისად, წერეთელი გთავაზობს ბგერათა შესატყვისობის მისეულ კანონს შუმერულსა და ქართველურ ენებს შორის<sup>1</sup>.

ლიტერატურული კულტურა მსოფლიო ისტორიაში სათავეს იღებს შუმერში. იქ ლურსმულ დამწერლობას იგივე დანიშნულება ჰქონდა, რაც თანამედროვე დამწერლობებს დღევანდელ მსოფლიოში. ლურსმული დამწერლობით შექმნილი ტექსტების ნიმუშები შემონახულია ძვ. წ. 3100 წლით დათარიღებულ დოკუმენტებში, ხოლო ფირფიტებზე დანერილი პოეტური ტექსტები განეკუთვნება ძვ. წ. 2500 წლიდან ძვ. წ. 500 წლამდე პერიოდს. როგორც ვხედავთ, ეს ხანა ორ ათასწლეულს მოიცავს.

ბაბილონელები და ასურელები არიან მემკვიდრეები შუმერული ცივილიზაციისა, რომლის ფესვები, თუ უფრო ადრე არა, ძვ. წ. IV ათასწლეულში მაინც უნდა ვეძებოთ.

შუმერული ეპოსები გამოირჩევა უმდიდრესი მეტაფორული ენით. მისი შეცნობისა და თარგმნის გასაღები სწორედ ამ მეტაფორების ახსნაში უნდა ვეძებოთ. მეტაფორა კი, მოგეხსენებათ, ყველა ენისათვის ენდემურია.

მეტაფორული მეტყველების თვალსაზრისით, ჩვენს წიგნში უმდიდრესი მასალაა წარმოდგენილი ლუგალბანდას ორი პოემის სახით: „ლუგალბანდა უდაბურ მთებში“ და „ლუგალბანდა და ანზუდი“. ამ ეპოსების მთავარი გმირია ლუგალბანდა და გიგანტური ფრინველი ანზუდი, რომელიც მითიური ფრინველის წინაპრად არის მიჩნეული არაბული „ათას ერთი ღამის“ სინდბადის ამბავში.<sup>2</sup>

მცირედი გამოწაკლისის გარდა, შუმერული ლიტერატურა, ძირითადად, პოეტური ტექსტის ფორმით არის შექმნილი. ენაში დამკვიდრებული ეს ფორმა – სტრიქონებად დანერილი ტექსტი, მათი აზროვნებისა და

<sup>1</sup> Samsonia N. Sumerian and Georgian Lexical Parallels, Bulletin of the AGIBAS, American-Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies #2-3, Cornell University 2004-5, p.44-49.

<sup>2</sup> Black Jeremy, Reading Sumerian Poetry, The Athlone Press, London, 1998.



ცნობიერების გამოხატულებაა. სტრიქონები დანყობილია ზუსტად ისე, როგორც თანამედროვე პოეზიაში – ისინი მარცხენა მხრიდან ერთმანეთს უსწორდება. უფრო გრძელი სტრიქონის გაყოფისას მინიშნებულია, რომ მეორე ხაზზე გადატანილი ნაწილი არ არის ახალი სტრიქონის დასაწყისი და ის ბოლოში უსწორდება თავის სტრიქონს; ანუ ჩვენ წინაშეა პოეზიის უძველესი სტრუქტურირებული ფორმა. შუმერული პოემები, ძირითადად, არ აღემატებოდა 750 სტრიქონს. ბოლო 100 წლის განმავლობაში მეცნიერთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად, სხვადასხვა ფრაგმენტთა შეჯერების საფუძველზე, აღდგენილ იქნა ეს კომპოზიციები.

ძველ შუამდინარეთში დამწერლობა გამოიყენებოდა ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ლიტერატურული ტექსტების ჩასაწერად თიხის ფირფიტებზე. შესაბამისად, არსებობდა ამ ტექსტების მრავალი სხვადასხვა ვერსია.

შუმერული ლიტერატურის ისტორიის განვითარების სქემა 1951 წელს ჩამოაყალიბა დიდმა ასირიოლოგმა ა. ფალკენშტაინმა; სწორედ ამ დროიდან დაიწყო მისი დეტალური შესწავლა და ეს დღემდე გრძელდება. შუმერული ლიტერატურის „კლასიკური კორპუსი“ თარიღდება ძვ. წ. 2150-1650 წწ-ით, ანუ ურის III დინასტიის პერიოდიდან ძველბაბილონური პერიოდის ჩათვლით. ამ დროს იწერება შუმერული გრამატიკა, ხდება შუმერული ენის სისტემაში მოყვანა და, შესაბამისად, ხელახლა გადაწერა ძველშუმერული ტექსტებისა, რომელთა თარგმნაც, მიუხედავად არსებული სირთულეებისა, მაინც შესაძლებელია. შუმერული პოეზიის ძველშუმერული ვერსიების (ძვ. წ. 25-24 სს.) თარგმნა კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია მათი ფრაგმენტულობისა და ენის კანონების დაუცველობის გამო. ურის III დინასტიის პერიოდიდანვე იწყება შუმერული პოეტური ნიმუშების აქადურად თარგმნაც. შესაბამისად, შუმერული ლიტერატურის ნიმუშების შესწავლა შესაძლებელი გახდა აქადური ლიტერატურის პარალელურად, რაც შედარებით აიოლებს შუმერულ ენასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევას.

შუმერული პოეზიის ნიმუშების თარგმნა-შესწავლა უპირველესად ეფუძნება ტექნიკური ხასიათის მიდგომას, რაც პირველ ეტაპზე გულისხმობს ტექსტის მცირე ჩარჩოვებით დამუშავებას. ვაკვირდებით სიტყვის ფორმირებას ეპოსის ერთ ან ორ სტრიქონში. შესაძლოა, სტიქონები დანყოფილდეს ან ტექსტი დაიყოს სამი-ოთხი სტრიქონისგან შემდგარ ნაწილებად, შინაარსობრივად დასრულებული მონაკვეთების, „ჟღერადობის“, სტრუქტურის, ასევე ასონანსის, ალიტერაციის ან რითმის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ არც შუმერული და არც აქადური ეპოსი არ არის რითმაზე დაფუძნებული, მათში მაინც ვაწყდებით მსგავს ეფექტებს.



ეს განსაკუთრებით იკვეთება სიუჟეტის კულმინაციურ ეპიზოდებში ან მაშინ, როცა ავტორს რაიმე გამორჩეულად მნიშვნელოვანის თქმა სურს.

შუმერული ეპოსების შესწავლისადმი მეორე და უმთავრესი მიდგომა გულისხმობს მთლიანად პოემის სტრუქტურის ანალიზს. სიუჟეტის აგების კანონზომიერება და თხრობის მანერა ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს მკაცრად სტრუქტურირებულ ლიტერატურულ ჟანრთან. თუმცა, იმისათვის, რომ ღრმად ჩავწვდეთ შუმერულ პოეზიას, უმთავრესი მაინც იმ მეტაფორული ენის გაგება და ახსნაა, რომლითაც უმდიდრესია ლუგალებანდას პოემები. ამ ფაქტორზე პირველად ყურადღება გაამახვილა გამორჩენილმა ასირიოლოგმა ს. კრამერმა, რომელმაც სათავე დაუდო ამ ეპოსების ქვეტექსტების ამოხსნას.

შუმერული პოეზიის მდიდარი მეტაფორული ენა გამოძახილს პოულობს აქადურ ლიტერატურაში, როგორც მკვლევარნი უწოდებენ – მის „ტყუპისცალ ლიტერატურაში“. ურის III დინასტიის პერიოდიდან ყალიბდება შუმერულ-აქადური ბილინგვური კულტურა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუმერული ლიტერატურა საუკუნეებით უფრო ძველია აქადურზე. შესაბამისად, შუმერული პოეზიის ლიტერატურული „კოდის“ გაშიფვრა შესაძლებელია აქადურ ლიტერატურაში. ასევე საყურადღებოა, რომ ხშირად ძალიან ბუნდოვანია განსხვავება ორ მხატვრულ ხერხს – შედარებასა და მეტაფორას შორის. შუმერული ლიტერატურის „სიმბოლოთა კოდის“ გაშიფვრაში მთავარი გასაღები მაინც მეტაფორაა. პოემებში პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ლექსიკა თუ ფრაზეოლოგია ისე ერწყმის ერთმანეთს, როგორც თბილი და ცივი წყლის დინებები მდინარეში. მაგალითად, რა იგულისხმება ფრაზაში „ღმერთის ბოსელი“, ტაძრის კუთვნილი საქონელი თუ ვარსკვლავები ღამის ცაზე?<sup>1</sup>

შუმერულ ტექსტებზე მუშაობისას მთავარ სირთულეს სამწერლობო ტრადიციის არარსებობა წარმოადგენს. არ გვაქვს ინფორმაცია, თუ ვისგან და საიდან გადაინერა ავტორმა ტექსტი. შესაძლოა, ფირფიტის კოლოფონებში დაცული ყოფილიყო რაიმე ცნობა ტექსტის წარმომავლობის, ისტორიის, ასევე ხელნაწერის სხვასხვა ვარიანტების შესახებ, მაგრამ გადამწერისთვის, როგორც ჩანს, მხოლოდ ტექსტი იყო და არა მის შესახებ არსებული ინფორმაცია. გადამწერი თავად გვევლინება ავტორად, თუმცა ინტერპრეტაციისადმი ასეთი თვითნებური მიდგომის მიუხედავად, ის მაინც არასდროს წერს საკუთარ სახელს.

რაც შეეხება შუმერულ ლიტერატურულ ჟანრებსა და სათაურებს,

<sup>1</sup> Black Jeremy, Reading Sumerian Poetry, The Athlone Press, London, 1998, p.13.



მათი დადგენა შესაძლებელია პოემების პირველი სტრიქონების მიხედვით. მაგალითად, დიდმა ასირიოლოგმა პ. მიხალოვსკიმ მოახერხა „წყევლების“ ტექსტების იდენტიფიცირება საწყისი სიტყვების მიხედვით. მაგალითად, ტექსტზე თანდართული ეტიკეტი „ბალბალე“ მიგვანიშნებს, რომ იგი არ არის მშობლიური ლიტერატურული ძეგლი. ამგვარად, პირველივე სტრიქონი არის ერთგვარი განაცხადი, შუმერულია პოემა თუ აქადური.

შუმერული ეპიკური ჟანრი და, საერთოდ, ლიტერატურა დაფუძნებულია ქ. ურუქის ლიტერატურულ ტრადიციაზე. შუმერული ტრადიციით, ურუქი ლიტერატურის სამშობლოა. შუმერული მითოლოგიის თანახმად, სწორედ ამ ქალაქში შექმნილა დამწერლობა ურუქის მეფის, ენმერქარის მიერ. მასვე მიენერება უძველესი ეპოსები, რომელსაც ამ წიგნში წარმოგადგენთ. ეპოსში „ენმერქარი და არათას ბატონი“ დაფიქსირებულია ენმერქარის მიერ დამწერლობის შექმნის ფაქტი. ენმერქარის შვილი (მემკვიდრე) ყოფილა ლუგალბანდა, რომელიც ამავე დროს ლუგალბანდას პოემებისა და გილგამეშის ეპოსის ეპიკური გმირია, თან გილგამეშის ეპოსის მთავარი გმირის, თავად გილგამეშის მამაა. ასე რომ, ურუქის ოთხი თაობა – ენმერქარი, ლუგალბანდა, გილგამეში და მათი პირველი წინაპარი მესქიაგამერი, რომელიც ასევე დაკარგული ეპოსის გმირი ყოფილა, – გვინახავს ქ. ურუქის ლიტერატურულ ტრადიციას, რომელსაც მომდევნო საუკუნეების განმავლობაში სრულად დაეფუძნა შუმერული და აქადური ლიტერატურა.

ურუქის ლიტერატურული ძეგლები შეიძლება გაიყოს ორ ციკლად: არათას ციკლი, რომელშიც ურუქისა და შორეული არათას ქვეყნის დაპირისპირებაა წარმოდგენილი (ანუ ჩვენ მიერ წარმოდგენილი „შუმერ მეფეთა ეპოსები“) და აღწერილი გილგამეშის ციკლი: 5 შუმერული სიმღერა გილგამეშზე (რომელთაც მკითხველი გაეცნობა ზურაბ კიკნაძის თარგმანებში). ამ ორ ციკლს ეფუძნება გილგამეშის ეპოსი, რომელსაც ეპოსის სახე მიეცა მომდევნო, აქადურ პერიოდში და აქადურად ჩაიწერა დაახლოებით ძვ. წ. XXIII საუკუნეში.

1972 წლის 3 დეკემბერს მოხდა უმნიშვნელოვანესი ფაქტი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში – გამოჩნდა ათასწლეულების მანძილზე დაკარგული „გილგამეშის ეპოსი“. ამ დღეს ჯორჯ სმიტმა განაცხადი გააკეთა ლონდონში ბიბლიური არქეოლოგიის საზოგადოების შეხვედრაზე და წარადგინა ბრიტანეთის მუზეუმში აღმოჩენილი ეპოსის ნაწილი. სწორედ მაშინ დაედო სათავე გილგამეშის ეპოსის კვლევას, ეპოსისა, რომელიც კაცობრიობის პირველ ეპიკურ ნაწარმოებად არის მიჩნეული. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გილგამეშის ეპოსს“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს შუმერული ეპოსები, რომლებიც დღესდღეობით



მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე ძველ, პირველ ძეგლებად ითვლება.

აღმოჩენისთანავე მთელი მსოფლიოს ასირიოლოგები შეუდგნენ „გილგამეშის ეპოსის“ შესწავლას. 1902 წელს ეპოსი პირველად ითარგმნა გერმანულ ენაზე, შემდეგ, 1907 წელს – ფრანგულად, 1917 წელს – ინგლისურად, ხოლო 1924 წელს<sup>1</sup> კონსტანტინეპოლში გამოიცა „გილგამეშის ეპოსის“ მიხაკო წერეთლისეული ქართული თარგმანი.<sup>2</sup> ამგვარად, ამ წიგნში შეტანილი ქართული „გილგამეშის“ წარმოადგენს „გილგამეშის ეპოსის“ ერთ-ერთ უპირველეს თარგმანს მსოფლიოში. ქართული არის მეოთხე ენა, რომელზეც მ. წერეთელმა ჯერ კიდევ 1924 წელს თარგმნა ეს უძველესი ბაბილონური ეპოსი. ავტორი ამ თარგმანზე მუშაობდა ბრიტანეთის მუზეუმში (ლონდონში) და ეყრდნობოდა აშურბანიპალის ბიბლიოთეკის ასურულ ვერსიას. თარგმანი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ შესრულებულია ავტოგრაფებიდან (ანუ ლურსმული ფირფიტებიდან). საყურადღებოა ისიც, რომ მეცნიერი ამ ეპოსში ქართულ ფესვებს ეძებს, რაც ცხადად ჩანს როგორც თავად თარგმანში, ასევე მის დანართში. წერეთელი იმიტომაც არის ერთეულთა შორის, რომ იგი თავადაა ამ ეპოსის ერთ-ერთი პირველი გამშიფრელიც. აღსანიშნავია, რომ ერთი საუკუნის შემდეგ, 2010 წელს დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯში გამართულ გილგამეშის ეპოსისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონგრესზე მიხაკო წერეთელი „გილგამეშის ეპოსის“ პირველ მთარგმნელთა სამეულში დასახელდა.<sup>3</sup> ბრიტანეთში გაკეთებული ამ განცხადების<sup>4</sup> შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა საუკუნის მანძილზე აკრძალული, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი და სამშობლოსთვის დაკარგული „გილგამეშის“. ეს ტექსტი საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის, რომელიც გაცნობა მ. წერეთლის ამ ბრწყინვალე თარგმანს.

„გილგამეშის ეპოსი“ ასევე თარგმნა ზურაბ კიკნაძემ 1961 წელს, მაშინ როცა მიხაკო წერეთლის ხსენებაც კი აკრძალული იყო. ამ დროისათვის

<sup>1</sup> გილგამეშისიანი, ბაბილონური ეპოსი მესამე ათასეულისა ქრ.წ. ბაბილონურ ტექსტიდან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ მთარგმნელის შენიშვნებითურთ, გამოცემა კონსტანტინეპოლის ქ-კ სავანისა, კონსტანტინეპოლი, საბჭუძავი ქართველთა კათოლიკე სავანისა, 1924.

<sup>2</sup> თარგმანი რამდენიმე წლით ადრე იყო შესრულებული, კერძოდ, ავტორის ლონდონში ყოფნისას მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. მ. წერეთელს, სავარაუდოდ, „გილგამეშისიანი“ კონსტანტინეპოლში უნდა დაეტოვებინა 1921 წელს, როდესაც ის სამუდამოდ წავიდა სამშობლოდან.

<sup>3</sup> Decoding Gilgamesh: Interdisciplinary Perspectives on the Babylonian Epic, St. John's College, Cambridge, 12-14 April 2010.

<sup>4</sup> <http://www.britac.ac.uk/institutes/iraq/downloads/NL26.pdf>



„გილგამეშის ეპოსის“ კვლევას უკვე საკმაოდ დიდი ტრადიცია ჰქონდა და ზურაბ კიკნაძე ამ ეპოსს თარგმნის ყველა ახალი ვერსიის საფუძველზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ლურსმული დამწერლობების ცოდნასთან ერთად თარგმანის დროს გადამწყვეტი როლი მეტაფორულ და მითოლოგიურ ენას ენიჭება. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ზურაბ კიკნაძის, მითოლოგიისა და ბიბლიის ენის შესანიშნავი მცოდნის, მიერ შესრულებული „გილგამეშის ეპოსისა“ და შუამდინარული პოეზიის თარგმანები (იხ. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ტომი 34).

ძველ შუამდინარულ ეპოსებთან ერთად ჩვენ ასევე წარმოგიდგენთ შუმერული და, საერთოდ, კაცობრიობის პირველი პოეზიის, „ენხედუანას პოეზიის“ ერთ ნაწილს.

დაბოლოს, მკითხველის საყურადღებოდ ვიტყვით, რომ დღემდე მთავარ პრობლემად რჩება შუმერული ენის, მისი გამომსახველობითი საშუალებების არასრულყოფილი ცოდნა. ამიტომ იმედი გვაქვს მკითხველის ლიტერატურული გამოცდილებისა და ენობრივი ალლოსი, რაც მას უძველესი შუმერული ტექსტების ბუნდოვანი ადგილების აღქმასა და შეფასებაში დაეხმარება.





# ენხედუანას პოეზია



## წინასიტყვაობა



1922 წელს ბრიტანეთის მუზეუმისა და პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო გათხრები ქ. ურში ინგლისელი ლეონარდ ვულის ხელმძღვანელობით. ური წარმოადგენდა შუმერული ცივილიზაციის ცენტრს ძვ. წ. III ათასწლეულში, მდებარეობდა ბაღდადსა და სპარსეთის ყურეს შორის, ევფრატიდან 10 მილის დაშორებით. პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა 12 წლის მანძილზე. მესამე წელს, ურის ნანნას ტაძრის გათხრებისას, ამ ნაგებობასთან ახლოს აღმოჩნდა ალბასტრის დისკო. მასზე გამოსახულნი იყვნენ ქურუმები, რომლებიც ატარებდნენ ღვინით მსხვერპლშენივრვის რიტუალს. როდესაც დისკოს დამტვრეული ნაწილები შეაერთეს, მეორე მხარეს გამოჩნდა წარწერა: „ენხედუანა, ნანნას ჭეშმარიტი მასახური, ნანნას ცოლი/სარგონის ასული, სამყაროს მეფის, [საკურთხეველი ზეცის ტაბლა] ქალღმერთ ინანასი“.<sup>1</sup> ექსპედიციამ ასევე აღმოაჩინა ენხედუანას – მთვარის ტაძრის უზენაესი ქურუმისა და პირველი პოეტის პორტრეტი. ენხედუანას შემოქმედება წარმოადგენს ყველაზე ადრინდელ პოეზიას, რომელსაც ავტორი ჰყავს. კაცობრიობის პირველი პოეზიის ავტორი, ენხედუანა, ისტორიული ფიგურაა. იგი სარგონ დიდი აქადელის ასულია, რომელიც ქ. ურში მთვარის (ნანნას) ტაძრის უზენაესი ქურუმი იყო. ენხედუანა ახდენს თავისი სახელის იდენტიფიცირებას თავის პოემებში.

<sup>1</sup> Irene J. Winter, „Women in Public: the Disc of Enheduanna, the Beginning of the Office of En-Prieste, and the Weight of Visual Evidence“, Pares: Editions Recherche sur les Civilisations, 1987, p. 192.



ზემოთ ხსენებულ დისკოზე ენხედუანა მოიხსენიებს თავის მამას, სარგონ აქადელს, რომელიც ატარებდა ტიტულს „სამყაროს მეფე“. დისკოს აღმოჩენამდე მეცნიერებმა არ იცოდნენ, სარგონ აქადელი მითიური პერსონაჟი იყო თუ ისტორიული პირი, ასევე უცნობი იყო ენხედუანას სახელიც. ქ. ურის მომდევნო ხანგრძლივი გათხრებისას იპოვეს 5 ათასამდე თიხის ფირფიტა, რომელთა შორის აღმოჩნდა ენხედუანას მთელი შემოქმედება: სამი გრძელი პოემა მიძღვნილი ქალღმერთ ინანასადმი, სამი პოემა მთვარის ღმერთ ნანასადმი და 42 ტაძრის ჰიმნი.<sup>1</sup>

შუმერულ ხელოვნებაში მრგვალი ფორმა ძალიან იშვიათი მოვლენაა. ამ შემთხვევაში, ენხედუანას დისკო მთვარის ფორმას უნდა უკავშირდებოდეს. ინანა და ენხედუანა, ორივე მთვარის ღმერთს უკავშირდება: ენხედუანა – ნანას, რომელიც მთვარის მთავარი ღვთაების უზენაესი ქურუმი, ხოლო ინანა<sup>2</sup> – ნანასა და ნინგალის.<sup>3</sup> ის შუმერული მთვარის წყვილის პირველი ასულია. ამ დისკოზე ენხედუანას მარჯვენა ხელი აწეული აქვს სახის (ცხვირის) გასწვრივ. „ცხვირთან ხელის მიტანა“ გვხვდება წარმოდგენილ პოემებში („ქალბატონი-სამყაროს გული“). შუმერული ზმნა „მისაღმება“ ნიშნავს „ხელის ცხვირთან მიტანას“ (კირი4 სუ-გალ2). ეს შესტი შემდგომ პერიოდშიც ცნობილია, დაწყებული ურის III დინასტიის (ძვ. წ. XXI ს.) ცილინდრული საბეჭდავების წარდგენის სცენებიდან<sup>4</sup> ხამურაბის კანონების სტელის იკონოგრაფიამდე, ანუ ძველბაბილონურ პერიოდშიც (ძვ. წ. XX-XVI სს.). დისკოზე ენხედუანა იხსენიება „ნანას ქალბატონად, ნანას ცოლად“. ამ პოზიციაზე იგი დანიშნა სარგონ აქადელმა, მისმა

<sup>1</sup> Joan Goodnick Westenholz, *Enheduanna, En-Priestess, Hen of Nanna, Spouse of Nanna, Philadelphia, University Pennsylvania Museum, 1989, 540.*

<sup>2</sup> ინანა – ყველაზე ცნობილი შუმერული ქალღმერთი, რომელიც უამრავ მითოლოგიურ ტექსტში გვხვდება. იკვეთება მისი ორი ასპექტი – სიყვარულისა და ბრძოლის. სიყვარულის ქალღმერთის, ინანას ასტრალური გამოსახულებაა მწუხრის ვარსკვლავი, ხოლო ბრძოლის ასპექტს ცისკრის ვარსკვლავი გამოხატავს. ინანას ეპითეტებია: ბრწყინვალე, ერთადერთი ვარსკვლავი, დიდი დედოფალი, ბრწყინვალე ქალბატონი. ინანას საკულტო ქალაქი იყო ურუქი, სადაც ეანას სახელწოდებით ცნობილ ტაძარში მას საღვთო როსკიპები ემსახურებოდნენ. სრულდებოდა საკულტო ქორწინების წესი, რომლითაც განასახიერებდნენ მითოსურ წყვილს, ინანასა და დუმუზის.

<sup>3</sup> ნანა და ნინგალი – ნანა მთვარის ღმერთის, სინის შუმერული სახელია, ნინგალი მისი ცოლია. ნანა და ნინგალი განასახიერებდნენ მთვარის წყვილს შუმერულ მითოლოგიაში.

<sup>4</sup> სამსონია ნ. „შუამდინარული გლიპტიკა“, თსუ, 2008, 94-106.



ლვიძლმა მამამ. ენხედუანას უზენაეს ქურუმად დანიშვნა მრავალმხრივია ნიშან-დობლივი. მანამდე სარგონმა სამხრეთ შუამდინარეთი, იგივე შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები, გააერთიანა ჩრდილოეთით მის მიერ დაარსებული სემიტური ქალაქის – აქადის მმართველობის ქვეშ ძვ. წ. 24-ე საუკუნეში. ეს გახლდათ მსოფლიოს პირველი წარმატებული იმპერია. სემიტური ენა, რომელსაც აქადურს ვუწოდებთ, მესოპოტამიაში სარგონ აქადელის დროიდან ვრცელდება (ძვ. წ. XXIV ს.). მათ აქადური ენისთვის გადმოიღეს შუმერული ლურსმული დამწერლობა. ქ. ურში, რომელიც სამხრეთ შუამდინარეთისა და შუმერული კულტურის ცენტრს წარმოადგენდა, სარგონმა ქურუმად დანიშნა თავისი ქალიშვილი. ქ. აქადი (ჩრდ. შუამდინარეთი) საკმაოდ მოშორებით მდებარეობდა. ამიტომ სარგონი მიზნად ისახავდა კონტროლი გაეუმჯობესებინა იმპერიის სამხრეთ რეგიონზე და გაემყარებინა თავისი პირველი იმპერია.

ალეხასტრის დისკოზე ენხედუანა მოიხსენიება, როგორც „ნანას ქალბატონი, ნანას ცოლი“. ღვთაება ნანას ცოლი შუმერულ მითოლოგიაში ქალღმერთი ნინგალია. უზენაესი ქურუმი ენხედუანა ხიდია მოკვდავთა და ღმერთებს შორის. საკრალური ქორწინების რიტუალში ქურუმი გარდაიქმნება „ნინგალად“ და ემზადება ნანასთან შესახვედრად ტაძრის სარეცელზე, სადაც მას თავს მიუძღვნის. ამიტომაც იგი იწოდებოდა „ნინდინგორ“ – „ქალბატონი ღმერთი“. ენხედუანა „ნანას ცოლია“. ის მოკვდავია, „სარგონის, სამყაროს მეფის ასულია“ და კიდევ, როგორც დისკოს წარწერა გვამცნობს, ენხედუანა თავს უძღვნის ქალღმერთ ინანას.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სამი პოემა ეძღვნება ქალღმერთ ინანას. ენხედუანას, როგორც ქურუმის, მოვალეობაა ემსახუროს მთვარის წყვილს – ნანასა და ნინგალს, ხოლო მისი პირადი მსახურება ეძღვნება ინანას – მარადიული სიყვარულის საბედისწერო ქალღმერთს შუმერულ მითოლოგიაში.

ენხედუანა დაიბადა და გაიზარდა ამბიციური, ქარიზმატული მეფის, სარგონის სახლში. ის ერთადერთი ქალიშვილი იყო სარგონის ხუთ შვილს შორის. აქადური პერიოდის სამეფო და დინასტიური საბეჭდავებიდან ენხედუანას სახელით მრავალი საბეჭდავია ცნობილი.<sup>1</sup> სარგონის ცოლად მოიხსენიება სემიტი, აქადურენოვანი დედოფალი თაშლუთუმი. სავარაუდოდ, ის ენხედუანას მიერ დედა არ ყოფილა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ენხედუანას დედა შუმერი დედოფალი უნდა ყოფილიყო, რასაც ადას-

<sup>1</sup> სამსონია ნ., „შუამდინარული გლიპტიკა“, თსუ 2008, 152.



ტურებს ენხედუანას შუმერული ენის ბრწყინვალე ცოდნა.<sup>1</sup>

სანამ სარგონ აქადელი შუამდინარული იმპერიის სათავეში მოვიდოდა, შუმერები საუკუნეებით ადრე სამხრეთ შუამდინარეთის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდნენ, ხოლო 4 საუკუნით ადრე – ძვ. წ. XXVIII საუკუნიდან მათ შექმნეს ქალაქ-სახელმწიფოთა სისტემა, სადაც სახელმწიფო ენა შუმერული იყო. შუმერებმა შექმნეს პირველი დამწერლობა კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც ლურსმული, სილაბური დამწერლობით იყო წარმოდგენილი. სარგონამდე საუკუნეებით ადრე შუმერებმა ასევე შექმნეს ფუნდამენტური რელიგიური სისტემა და პანთეონი, ლურსმულ ფირფიტებზე ჩანერეს ლიტერატურული და რელიგიური ტექსტები. სარგონის დროს ძირითად ენად იქცა სემიტური ენა, ძველი აქადური, თუმცა შუმერული კვლავ ვრცელდებოდა სამხრეთ შუამდინარეთის ქალაქებში. სარგონ აქადელის ეპოქის შესახებ პროფ. ნიკოლას პოსტგეიტი აღნიშნავს: „ეს იყო დიდი სისტემა და ფორმალბა“.<sup>2</sup>

ენხედუანას ცხოვრება იწყება სამეფო ოჯახში – პრივილეგიებსა და სიმდიდრეში. მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის ენხედუანას ოჯახის წევრი მართავდა სრულიად შუამდინარეთს. ენხედუანას ძმა რომში გამეფდა სარგონ აქადელის შემდეგ, რომელიც მოკლა მისმა უფროსმა ძმამ მანიშთუშუმ. შემდეგ მანიშთუშუც შეთქმულების მსხვერპლი გახდა. შემდეგი მეფე, მანიშთუშუს ვაჟი ნარამსინი, წარმოადგენს სარგონ აქადელის ნამდვილ შთამომავალს – აძლიერებს იმპერიას და თავს „აქადის ღმერთად“ აცხადებს. რეალურად, ქ. აქადის „ღმერთი“ უზენაესი ღვთაება იშთარი იყო, იგივე შუმერული ინანა. შესაძლოა ამ ფაქტითაც იყოს გამოწვეული ენხედუანას, მთვარის ქურუმის, განსაკუთრებული დამოკიდებულება ინანასადმი. ენხედუანას პირველად შემოაქვს ინდივიდუალიზმი. ის წერს თავის პოემებში: „მე ვარ ენხედუანა“. მისი პოეზია ინდივიდუალობის, გრძნობათა ყველაზე ინტიმური ნიუანსებისა და პოეზიის სიღრმისეული განცდის უპირველესი ნიმუშია.

როგორც ვნახეთ, სარგონ აქადელმა ქ. ურში თავისი ქალიშვილი დანიშნა მთვარის ტაძრის უზენაეს ქურუმად. სარგონი მეფობდა 55 წელიწადი, შემდეგ მისი ორი შვილი და ძლევაშოსილი შვილიშვილი ნარამსინი, ხოლო ენხედუანა ქ. ურის უზენაესი ქურუმი იყო ნარამსინის მეფობის დროსაც.

<sup>1</sup> William W. Hallo and William Kelly Simpson, *The Ancient Near East*, New York, 1971, 55.

<sup>2</sup> J.N. Postgate, *Early Mesopotamia – Society and Economy at the Dawn of History*, London and New York, 1992, p.41



შუმერული რელიგიური ტრადიციით, მამრი ქურუმი ემსახურებოდა ქალღმერთს, ხოლო ქალი ქურუმი – ღმერთს. ამის მაგალითები გვაქვს ქურუქში ინანასა და ანის ტაძრის მსახურების ამსახველ ტექსტებში. შუმერული ტრადიციით, ნანა მთვარის ღმერთის სახელია, ხოლო სემიტი აქადურენოვანი მოსახლეობა მთვარის ღმერთს – სინ-ს (სუ-ენს) უწოდებს. მისი მესამე სახელია **ამიმზაბარი**. ეს გახლავთ მთვარის ღმერთის უფრო ძველი, შუმერული სახელი. თუმცა მკვლევართათვის არ არის ცნობილი ინანასა და სინის სახელთა წარმომავლობა, ხოლო **ამიმზაბარი** შუმერულად ნიშნავს „ვინც (წინ) გზას უნათებს“.

ადრეულ შუმერულ ტექსტებში ვხვდებით ტიტულებს, რომლებიც მთვარის ღმერთს ეკუთვნის. მათ შორისაა ფრაზა, რომელიც ძალიან ჰგავს ზემოთ ხსენებულ დისკოზე აღმოჩენილ ფრაზას „მუნუს-უნუზუზი-დნანა“, რაც ნიშნავს „ღვთაება ნანას ჭეშმარიტი ქალი“ ან, როგორც ზოგიერთი მკვლევარი თარგმნის, „ნანას ქათამი“ – რაც აღნიშნავს მის როლს, როგორც ნანას სექსუალური პარტნიორისა.<sup>1</sup> შუმერში მთვარისადმი მიძღვნილ რიტუალს ღამით ატარებდნენ და ასევე ღამით აკვირდებოდნენ მას დროის გამოსათვლელადაც. „ახალი მთვარის დღე“, ო<sub>4</sub>-Šakar, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ამ დღეს ყოველთვე აღნიშნავდნენ დღესასწაულით, რომელსაც ერქვა eŠ-eŠ. ამ დღესასწაულის რიტუალი გრძელდებოდა მომდევნო დღეებშიც, მთვარის ფაზების მიხედვით მეშვიდე და მეთხუთმეტე დღეს. მსახურების შესანიშნავი შედიოდა ხარები, ცხვრები, კრავები და ჩვილები, ფინიკითა და ლელვით სავსე კალათები. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ქ. ურის მთვარის დღესასწაულები იყო – მასში მთავარ როლს მეფე ასრულებდა, მონაწილეობდნენ ცალკეულ ქალაქთა მმართველები, რომელთაც ენსი ეწოდებოდათ.<sup>2</sup>

სავსე მთვარის შემდეგ მთვარის ფაზებს აღარ ზეიმობდნენ. ჩამქრალი და დაკლებული მთვარე ითვლებოდა მთვარის ღმერთის ქვესკნელში მოგზაურობად. ამ დროს ნანა ჩადიოდა ქვესკნელის ღმერთ ნერგალთან.

ერაყის ცაზე მთვარე ჩვეულებრივ ჰორიზონტალურ პოზიციაშია, რასაც შუმერები მთვარის გვირგვინს ან რქებს უწოდებდნენ. ამასვე უკავშირდებოდა ნავების ფორმა, რომელსაც შუმერულ ენაში ma-gur ეწოდება, რაც მათი უპირველესი ტრანსპორტი იყო დელტების ჭაობებში.

ინანა ქალღმერთია პლანეტა ვენერასი, ასევე მთვარის ღვთაებათა პირველი შვილი. ენხედუანას სიტყვით, ინანა არის მიქცევა და მოქცევა

<sup>1</sup> William W. Hallo and William Kelly Simpson, *The Ancient Near East*, New York, 1971, 55.

<sup>2</sup> Betty De Shong Meador, *Inana Lady of largest heart, Four spiritual paths*, 151-2.



კოსმოსის გულში და მსგავსად მთვარისა სამყაროს ცვლილების სიმბოლოა. ამიტომაც ინანას ხელთ უპყრია სამყაროს საპირისპირო ციკლები: ნათელი და ბნელი, სიკვდილი და სიცოცხლე, ნაყოფიერება და სიმწირე.<sup>1</sup>

ინანასგან განსხვავებით, ენხედუანა არ არის მთვარის შვილი, თუმცა ის მთვარის პატარძალია, რომელიც საკრალურ ქორწინებაში ნინგალის როლს ასრულებს. საკრალური ქორწინების რიტუალში ენხედუანა მდებარე მთვარედ იქცევა. ის მონაწილეობს ღმერთისა და ქალღმერთის, ქალისა და კაცის, ცისა და მიწის დაკავშირებაში, რასაც შუამდინარეთში აღნიშნავდნენ ახალი წლის დადგომასთან ერთად.<sup>2</sup>

ქ. ურში მთვარის ღმერთის რიტუალებში ქალღმერთი ნინგალი მთავარ როლს თამაშობდა. ური იყო ერთადერთი ქალაქი, რომელთანაც ნინგალი ასოცირდებოდა. ნინგალი იხსენიება ქ. ფარას არქაულ ტექსტებში (ძვ. წ. XXV ს.), ხოლო უფრო გვიანდელ (ძვ. წ. II ათასწ. I ნახ.) ლურსმულ ტექსტებში ქალღმერთი ნინგალი იწოდება „ურის დედად“. ნინგალს აპურებდნენ რეგულარული მსახურებით: „ლუდით, ფქვილით, პურიით და ხორციით“. შემოსილი იყო სამოსით და სამკაულებით, რომლებიც ტაძრის საამქროებში მზადდებოდა. ნინგალს ეთაყვანებოდა ყველა, რადგან მხოლოდ მას შეეძლო შერწყმოდა ინანას საკრალური ქორწინების რიტუალში.

ნინგალის დედათა წესი გამოთვლილი და აღრიცხული იყო, ისევე როგორც ინანასი. შუმერულში არსებობს ზმნა, რომელიც აღნიშნავს „ქალს დედათა წესით“. ზმნის ძირი აღმოჩნდა ქალღმერთ იშხარას სახელში<sup>3</sup> – r̄š, Šr „დედათა წესი (ზმ.)“. ქალღმერთი იშხარა ქალის პროტოტიპია, რომელიც სხეულით ატარებს მთვარის ციკლს.<sup>4</sup>

ქალღმერთ იშხარას ფაქტორს პირველად ყურადღება მიხაკო ნერეთელმა მიაქცია. იგი წერს: „ხეთელთა ქალღმერთი იშხარა=მიწის დედოფალი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ბაბილონ-ასურეთშიც და, აგრეთვე „ადგილთა დედოფალსაც“ უწოდებდნენ, ცნობილია საქართველოშიც. აფხაზეთში – აჟაჰარა ანუ აშახარა... აფხაზური ქალღმერთი აჟაჰარა იგივე ხეთური იშხარა არის, რომლის კულტი ძლიერ იყო გავრცელებული მცირე

<sup>1</sup> Hallo, William W. *Women of Sumer; In the Legacy of Sumer*, edited by Denise Schmandt-Besserat. Malibu: Undena Publications, 1976.

<sup>2</sup> ახალი წელი წარმოადგენდა 12 თვის პირველი თვის დასაწყისს, რომელსაც შუმერებში აღნიშნავდნენ გაზაფხულის დადგომასთან ერთად. Jeremy Black, Anthony Green, *Gods, Symbols and Demons (illustrated dictionary)*, British Museum, 1995.

<sup>3</sup> იშხარა – ინანა/იშთარი დედის ასპექტი. არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი ქალღმერთი შუმ. მითოლოგიაში.

<sup>4</sup> Claus Wilke, „Familiengrundung in alten Babilonian“, 1985, 298.



აზიასა და შუამდინარეთში“.<sup>1</sup> იშხარას შესახებ აკად. გრიგოლ გიორგაძე აღნიშნავს: „იშხარა ქალღვთაება იშთარის ერთ-ერთი გამოვლინება იყო და ითვლებოდა ხორციელი სიყვარულის ქალღმერთად, უკავშირებდნენ რა მას ნეფე-დედოფლის საქორწინო ღამეს, საერთოდ სასიყვარულო სარეცელს. აუხსნელია, რა გზით უნდა მოხვედრილიყო ეს შუამდინარელი ქალღმერთი აფხაზეთში? ხომ არ გულისხმობდა ბატონი მიხეილი, რომ აფხაზური წარმომავლობის ტომები უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ? ამის შესახებ ნაშრომში არაფერია აღნიშნული“.<sup>2</sup>

სავარაუდოდ, იშხარა მიეკუთვნება წინაშუმერულ ენობრივ სუბსტრატს, რომელიც შემდეგ გავრცელდა მთელ წინა აზიაში (ელამში – „იშხარა“, ბაბილონში „ეშხარა“, უგარიტში „უფხარა“, ხურიტებთან „იშხარა“, ისე როგორც ბაბილონში). „გილგამეშის ეპოსში“ ენაცვლება ქალღმერთ იშთარს. იშხარას იშთართან იდენტიფიცირება ხდება მოგვიანებით.<sup>3</sup>

ქალს, დედათა წესით, არ უნდა ენახა დღის შუქი, არ უნდა შეხებოდა წყალს, არ უნდა შეხებოდა მიწას. ეს აკრძალვები აუცილებელი იყო უწმინდური ძალის წინააღმდეგ, რომელიც სინქრონულად ჩნდებოდა მთვარის ფაზებთან ერთად.

მთვარის ტაძრის საკრალური ქორწინების რიტუალს წინგალი ასახიერებდა. რომელიც სავარაუდოდ მოსავლის აღების შემდეგ, ახალი წლის დადგომასთან ერთად სრულდებოდა. რიტუალის კულმინაცია იყო ქალღმერთის შეერთება მთვარის ღმერთთან, რომელსაც დიდი ქურუმი და მეფე განასახიერებდნენ სექსუალური აქტით, რომელიც ნაყოფიერებისა და დედამიწის კვლავ გაცოცხლების მთავარ იმპულსად მიიჩნეოდა.

საკრალური ქორწინების დღესასწაული ნანნასა და წინგალს შორის იყო წინგალის ტაძრის უმთავრესი ფუნქცია ქ. ურში. შუამდინარეთის სხვა ქალაქთა ტაძრებში მთვარის ღმერთი მოიხსენიება სხვადასხვა სახელებით, მხოლოდ ნანნა ქ. ურში ერწყმოდა წინგალს ეროტიკული ფორმით. რიტუალი სათავეს ქ. ურუქში უნდა იღებდეს, სადაც გაღმერთებული მეფე დუმუზი ქორწინდებოდა ქალღმერთ ინანაზე, რის შემდეგაც ადგილს იკავებდა შუმერულ პანთეონში, როგორც ბუნების კვლავგანახლების და ნაყოფიერების ღმერთი. ურის III დინასტიის დროიდან (ძვ. წ. XXI ს.) საკრალური ქორწინების წყვილს, ინანასა და დუმუზის, წარმოადგენდა მეფე და უზე-

<sup>1</sup> წერეთელი მ. ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინოპოლი, 1924, გვ. 70-77.

<sup>2</sup> გიორგაძე გრ. მ. წერეთლის – „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“ – შესახებ. იხ. ნ. სამსონია, მიხაკო წერეთელი და ასირიოლოგია, გვ. 88-89.

<sup>3</sup> სამსონია ნ. მიხეილ (მიხაკო) წერეთელი და ასირიოლოგია, თსუ 2005, გვ. 88.



ნაესი ქურუმი ქალი. მათი კავშირი ბუნებისა და ქვეყნის განახლებას უკავშირდებოდა. რიტუალი ტარდებოდა ახალი წლის დადგომასთან ერთად, რაც ახალი ნაყოფიერი წლის გარანტი იყო შუმერებისთვის.<sup>1</sup> არსებობს მოსაზრება, რომ ინანასა და მეფის ქორწინების მთავარი მიზანი იყო ურთიერთობების გამყარება ხალხსა და ღმერთებს შორის.<sup>2</sup>

ქ. ურის უზენაესი ქურუმის ვალდებულება იყო პრაქტიკულად განეხორციელებინა ქორწინების აქტი ღმერთთან, რომელსაც რეალურად მოკვდავი მეფე განსახიერებდა. ენხედუანას შემთხვევაში, როდესაც ის იყო ან მეფის შვილი, ან და, ან მამიდა, გიპარის<sup>3</sup> კართან მას ოჯახის წევრთან უხდებოდა შეხვედრა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ისინი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ და რაიმე სხვა ფორმას პოულობდნენ რიტუალის განსახორციელებლად, რადგან ინცესტი არც ერთ შუმერულ ტექსტში არ ფიქსირდება. რიტუალი იწყებოდა ქურუმის განბანვით, შემდეგ მორთვა-მოკაზმვით, რომელიც შემდეგ გიპარში შედიოდა, სადაც მეფეს ელოდებოდა სარეცელზე. მეფე წინ მიუძღვებოდა პროცესიას და შემდეგ შედიოდა საიდუმლო ოთახში, სადაც უკვე ქურუმი ელოდა. მათი შეხვედრის შემდეგ რიტუალი ნადიმით მთავრდებოდა.

უზენაესი ქურუმის მეორე უმთავრესი ფუნქცია იყო სიზმრების ახსნა, ღმერთის სიტყვის მიწვდენა ხალხისთვის. ენხედუანა ღამით, ძილში იღებდა „სიზმრად ნინგალის საჩუქარს“. შუმერში ორაკულის სიზმრები ღმერთების მთავარი გზავნილი იყო ამქვეყნად. ენხედუანა გვევლინება ვირტუალურ თეოლოგად, რაც ასევე ასახულია მის პოემებში. ის და სხვა ქალი-ქურუმებიც იკრძალებოდნენ სპეციალურ სამარხში გიპარის გვერდით. მათ მსხვერპლს სწირავდნენ სიკვდილის შემდეგაც. მიჰქონდათ ყველი, კარაქი, ფინიკი, ზეთი.

ენხედუანას პოეზია და ჰიმნები პირველ ადგილს იკავებს შუმერულ ლიტერატურაში, რომელიც გადაინერა ტაძრების დამწერლობის სკოლებში ნეო-შუმერულ პერიოდში (ძვ. წ. 2200-1900 წ.წ.). ნეო-შუმერი და ბაბილონელი გადამწერების, მათი მოსწავლეების წყალობით კაცობრიობას შემორჩა პირველი პოეზიის ნიმუშების მრავალი ასლი. თანამედროვე ასირიოლოგები ენხედუანას უწოდებენ შუმერ შექსპირს, რადგან

<sup>1</sup> Jakob Klein, "Shulgi of Ur: King of a Neo-Sumerian Empire," in *Civilizations of the Ancient Near East*, vol. 2, 1995, 847.

<sup>2</sup> Cooper, "Sacred Marriage and Popular Cult in Early Mesopotamia". In *Official Cult and Popular Religion in the Ancient Near East*. Heidelberg:Universitätsvelag. 1993, 90

<sup>3</sup> გიპარი – ოთახი ტაძარში, სადაც სრულდებოდა საკულტო ქორწინების რიტუალი (ჰიეროგამია) ქალაქის თუ ქალაქ-სახელმწიფოს ღვთაებასა და ქურუმს შორის.





მის შემოქმედებას იწერდნენ, სწავლობდნენ და ზეპირად იცოდნენ ნახევარი ათასწლეულის მანძილზე ენხედუანას სიკვდილის შემდეგაც. მისი შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ადგოლს იკავებს, როგორც კაცობრიობის უძველესი პოეზიის ნიმუში. ენხედუანა გაცდა თავისი მოვალეობის საზღვრებს. იგი არ შემოსაზღვრულა მხოლოდ თავისი ფუნქციით – ურის უზენაესი ქურუმობით. იგი გვაზიარებს შუმერული თეოლოგიის მთელ სიღრმეს, უკვდავყოფს მისი ეპოქის ცნობიერებას.

ჩვენ მიერ წარმოდენილი ენხედუანას სამი პოემა ქალღმერთ ინანას ეძღვნება, რაც შუმერული მითოლოგიის მთავარი თემა იყო საუკუნეთა მანძილზე. ენხედუანამ ის სხვა კუთხით, ყველა ღმერთზე ამალღებულად დაგვანახვა. ენხედუანას პოემები გვახედებს არაორდინალური ქალის ცხოვრების ძალიან ინტიმურ, ფაქიზ ნიუანსებში.

ინანა და ებიხი – ეს არის ამბავი ქალღმერთ ინანასა და დაუმორჩილებელი მთის, ებიხის კონფლიქტის შესახებ, რომელიც ინანას გამარჯვებით და ტრიუმფით მთავრდება. მთა-ებიხს პროფ. ნ. პოსტგეიტი განსაზღვრავს, როგორც ზაგროსის მთიანეთის „აღმართულ კლდის კედელს“, რომელიც რამდენიმე ასეულ კილომეტრზეა გაჭიმული.<sup>1</sup> ზაგროსის მთიანეთის ეს ნაწილი ებიხის სახელწოდებითაა ცნობილი. წერილობითი წყაროების მიხედვით, სარგონ აქადელი და ნარამსინი შეჭრილან ამ ტერიტორიაზე ტყეთა გასაჩეხად. როგორც ჩანს, ებიხის ტერიტორია ნარამსინს აჯანყებია, რაც ნარამსინის გამარჯვებით დასრულებულა და ღვთაება ინანა/იმთარის დამსახურებად მიიჩნეოდა. „ინანა და ებიხი“ არის ენხედუანას პირველი პოემა, რადგან მომდევნო ორ პოემაში კვლავ ნახსენებია ებიხის ამბები. ეს პოემა, ისევე როგორც შუმერული წარღვნის მითი, გადადის ბიბლიაში. ებიხის აღწერილობა და ბედიც ბიბლიური სამოთხის წინაპარია.

„ქალბატონი-სამყაროს გული“ წარმოდგენილ სამ პოემას შორის ენხედუანას თეოლოგიის ყველაზე სრულყოფილი გამოვლინებაა. სულიერ ასპექტში ენხედუანას ბევრად შორს მივყავართ ქრისტიანული ქალის იდეალებისგან, მაგალითად, როგორიცაა ევა ან ღვთისმშობელი. ენხედუანას პოეზია წარმოგვიდგენს ქალის ოთხ ასპექტს: მებრძოლი, ქურუმი, საყვარელი და, ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, ანდროგენიც, როდესაც რიტუალური გარდაქმნებია აღწერილი.<sup>2</sup>

შუმერულ პანთეონს ჰყავდა დედა-ქალღმერთი, რომელსაც ნინხურ-

<sup>1</sup> Postgate, *Early Mesopotamia., Society and Economy at the Dawn of History*, London and New York, 1992, 8.

<sup>2</sup> Betty De Shong Meador, *Inana Lady of largest heart, Four spiritual paths*, 151-2.



საგს<sup>1</sup> უწოდებდნენ. ასევე ცნობილი იყო ნინთურის სახელით ანუ „ქალბატონი-მშობელი ბოსელი“; არურუ – „თესლის მიმნიჭებელი“<sup>2</sup>, რომელმაც თიხისგან მოზილა პირველი კაცი; ნინ-სიგ-სიგ – „დუმილის ქალბატონი“, რომელიც იცავს მშობიარეს სამშობიარო ტკივილების დროს უხამსი სიტყვებისგან; მუდკემდა – „სისხლის იმედი“, ვინც აჩერებს სისხლდენას მშობიარობის შემდეგ. ჩამოთვლილ არც ერთ ქალურ საწყისს არ ჰგავს ინანა. ის არ არის ცოლი და დედა ბავშვით ხელში. ინანა სხვა ენერგიის ქალური საწყისია. ენხედუანას ინანასადმი მიძღვნილი პოემები შუამდინარეთის ყველა ქალაქში იყო გავრცელებული. ენხედუანა იყო ურის ქურუმი, რაც სრულიად შუმერის ქურუმს ნიშნავდა. მისი 42 ჰიმნი შესრულებულია სხვადასხვა ქალაქების: ერიდუს, ნაპურის, ურუქის, ლაგამის, სიფარის და აქადის ტაძრებში. ამ ჰიმნებში ის ადიდებს ღვთაებას, როგორც გარკვეული ქალაქის მფარველს, ხოლო ინანას სამი პოემით აცხადებს ამ უკანასკნელის უზანაე-სობას სრულიად გაერთიანებულ სამეფოზე.

პოემაში „ქალბატონი – სამყაროს გული“ აღწერილია ურის ნანნას ტაძრის საკმაოდ რთული რიტუალი. ენხედუანა წერს ახალგაზრდა ქალზე, რომელიც ამბობს სიტყვას: la-la, რაც შუმერულად მიშნავს მზეჭაბუკს. მითში „ინანას ჩასვლა ქვესკნელად“, სიბრძნის ღმერთი ენქი<sup>3</sup>, ქმნის ორ უსქესო არსებას ფრჩხილის ქვეშ დაგროვილი ჭუჭყისგან. მათი სახელებია: გალათურა და ქურლარა. ეს ორივე სახელი გვხვდება ტაძრის მსახურების ტექსტებში და ასევე ენხედუანას პოემაში „ქალბატონი-სამყაროს გული“. პოემაში მოხსენიებული პილი-პილი და ქურლარა განეკუთვნებიან ნანნას ტაძრის მომსახურე პერსონალს, რომლებიც კულტის დრამაში მონაწილეობენ. ამ სახელების ეტიმოლოგია უცნობია. მკვლევართა აზრით

<sup>1</sup> ნ ი ნ ხ უ რ ს ა გ - ი – დედა-ქალღმერთის შუმერული სახელწოდება, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ღვთაებათა დედა, მრავალ ქალღმერთთა და ღმერთთა მშობელი. Jeremy Black, Anthony Green. Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia, British Museum Press, 1992, 140.

<sup>2</sup> არურუ – (შუმ. თესლის მიმნიჭებელი რუ-რუ თესლი). ქალღმერთი, რომელმაც შექმნა პირველი კაცი. მოზილა თიხა, დანერწყვა და ამბოხებული ღმერთის, ქინგუს სისხლი ჩაუსხა. მოიხსენიება „გილგამეშის ეპოსში“, როგორც ენიქდუს შემქმნელი.

<sup>3</sup> ენქი – (შუმ. „ბატონი-მინა“). შუმ. ღმერთი, რომელმაც შემდეგ მესამე ადგილი დაიჭირა ბაბილონის პანთეონის ტრიადაში ეა-ს სახელით. მისი სამყოფელი მტკნარი წყლების ოკეანეა. მისი ძალით მოედინება ყველა მდინარე მინაზე. ენქი სიბრძნისა და ხელოვნების, ასევე მაგიის ღმერთია, რადგან ის დასაბამს წყლის სიღრმიდან იღებს. მონაწილეობს პირველკაცის გაჩენაში, ამიტომაც კაცობრიობის მფარველია. ენქიმ გადაარჩინა წარღვნას ერთადერთი ადამიანი ზიუსუდრა, იგივე უთვაფიშთი.



პილი-პილი დეგრადაციის, დაკნინების, დასახიჩრების გამომხატველი უნდა იყოს. პოემაში ქურღარა მომღერალია, რომელიც ასევე დოღზეც უკრავს. იგი ატარებს სხვადასხვა იარაღს: მეთაურის დანას, ხმალს, სატევარს. ზოგჯერ იარაღი სისხლში აქვს გავსრილი ინანას გულის გასახარებლად. როგორც უდიდესი შუმეროლოგი ო. ედცარტი აღნიშნავს, ეს ორი სახელი წარმოქმნილია ბავშვური ენისგან: ქურღარა – შუმ. ქურმთა ანუ ქურღარა ენის მოჩლეკით, მეტაფორულად ნიშნავს ფეკალურ გროვას, ნაყარს მთის ფორმით. პილი-პილი უკავშირდება მოშარდვის არალიტერატურულ სიტყვას, ამ შემთხვევაში, იმას, ვინც შარდავს. თუ ო. ედცარტს დავეყრდნობით, ტაძრის გარკვეული პერსონალისადმი ნეგატიური მიდგომაა,<sup>1</sup> ან თავად მონანილეობენ რიტუალის ნეგატიურ ეპიზოდში. ეს გახლავთ ამ პოემის ურთულესი ნაწილი, რომელიც თარგმანშიც ნაწილობრივ ბუნდოვანი რჩება.

ამავე რიტუალში ინანა სახელს უცვლის ორივეს – „ჭაობის ლერწამი-ქალი, ჭაობის ლერწამი-კაცი“. ლერწამს, რომელიც მდინარის დაჭაობებულ ნაპირებზე ხარობდა, შუმერები აღიქვამდნენ სივრცედ მიწასა და მდინარის წყალს შორის... რიტუალის ეს ნაწილი იდენტიფიცირდება ისეთ პერსონასთან, რომელიც შეძლებს ჩასწვდეს ცნობიერსაც და არაცნობიერსაც. ტექსტში რიტუალი აღწერილია პილი-პილისა და ქურღარას ერთობლივი ექსტაზით, რაც საბოლოოდ ტრანსში გადადის.

ინანა მეცხრე ცაზე – მიუხედავად სათაურისა, ეს პოემა ეხება კონკრეტულ ფაქტს, რომელიც ენხედუანას გადახდა. პოემაში „ინანა და ებიხი“ ენხედუანა არ ახსენებს თავის სახელს, ადიდებს ინანას, როგორც მომღერალი. ფინალში ენხედუანა თავს აიგივებს ნისაბასთან, როგორც მწერალი, რადგან ნისაბას<sup>2</sup> შუმერულ მითოლოგიაში დამწერლობის შექმნა და მფარველობა მიენერებოდა. პოემაში „ქალბატონი-სამყაროს გული“ ენხედუანა თავს წარადგენს სახელით. თუმცა ხსენებულ ორ პოემაში მთავარი გმირი ქალღმერთი ინანაა. ხოლო „ინანა მეცხრე ცაზე“, მიუხედავად სათაურისა, მოგვითხრობს ენხედუანას ცხოვრების კონკრეტულ ფაქტზე: თუ როგორ შეიჭრა ტაძარში ვინმე ლუგალანე, როგორ გააძევა ენხედუანა ტაძრიდან. აქ ასახული უნდა იყოს ისტორიული ფაქტი: აქადის მეფე ნარამსინის წინააღმდეგ ქ. ურუქის აჯანყება ლუგალანეს მეთაურობით. ეჭვგარეშეა, რომ ეს ისტორიული ფაქტი უნდა გავაიგივოთ პოემის

<sup>1</sup> Deitz Otto Edzard, Zur Ritualfel Der Son. Love Lyrics, Journal of the American Oriental Society (AOS) 67; 1987, 58.

<sup>2</sup> ნისაბა – მოსავლიანობისა და მარცვლეულის ქალღმერთი, ასევე დამწერლობის მფარველი ქალღმერთია.



ლუგალანეს ეპიზოდთან, როცა ენხედუანა მთვარის ტაძრიდან გააძევეს. პოემაში ენხედუანა შველას სთხოვს ინანას. სიტყვასიტყვით: „მე ვშვი შენი აღზევება, ჩემო დედოფალო“. ის ხმარობს მეტაფორას, რომელიც იხმარება სამყაროს შექმნის სხვა ტექსტებში. ენხედუანა ამბობს, რომ ის ესაუბრება თავის ქალღმერთს ღამით, იმ დროს, სამყარო რომ ჩაისახა. აქ გვხვდება შესაქმის მითის უნიკალური აღწერა, როცა პოეტი თვითონვე მონაწილეობს შესაქმის აქტში, რასაც პარალელი არ მოეპოვება შუამდინარულ ლიტერატურაში. პოემის ტექსტში ნათქვამია, რომ ლუგალანე ენხედუანას აძლევს სატევარს, რომელიც მსახურ ქურღარას ეჭირა, ანუ ამცირებს მის უზენაესობას და საბოლოოდ გააძევეს ტაძრიდან. ენხედუანას აღარ შეესვლება თავის გიპარში. ღლუგალანეს სურდა ქ. ურუქი გამოეხსნა სარგონის იმპერიიდან. ენხედუანა, რომელიც ქურუმი იყო ურში და, შესაბამისად, მსახურებას აღავლენდა ქ. ურუქის ტაძარშიც, ორივე ტაძრიდან გაძევებულ იქნა მემამბოხის დამარცხებამდე.

ენხედუანას ცხოვრების აზრი ინანას სიყვარული და თავყვანისცემა იყო. ის თავიდანვე ინანას ბავშვი იყო. ასურული პერიოდიდან (ძვ. წ. II ათასწ. II ნახევარი) სამეფო ოჯახში დაბადებული ბავშვების აღზრდა ხდებოდა ინანას ტაძარში.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ პოემებში ჩანს ინანას ორი ასპექტი – უზენაესი ქალღმერთისა და ენხედუანას სულიერი ცხოვრების მთავარი ნაწილის, რისთვისაც ენხედუანა მთელ ცხოვრებას უძღვნის და მადლიერია.

და კაცობრიობაც მადლობას უძღვნის ენხედუანას, ინანას სულის ნაწილს, რომ მან, ურის დიდმა ქურუმმა, დაგვიტოვა ასეთი საჩუქარი, რომელსაც ენხედუანას პოეზია ჰქვია.

თარგმანი შესრულებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, ჯერემი ბლექის ტრანსლიტერაციით, ასევე გამოყენებულია ტექსტების კომენტარებიანი ვარიანტი კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის, ნიკოლას პოსტგეიტის უშუალო დახმარებითა და მისივე ფასდაუდებელი რჩევებით.

ლექსიკონის შედგენაზე ასევე მუშაობდა თსუ ასირიოლოგიის მიმართულეების დოქტორანტი ნინო არსანისი, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.

- [ ] – აღნიშნავს ტექსტის აღდგენას
- italics* – ტექსტის პირობითი თარგმანი
- ( ) – დამატებითი განმარტება თარგმანში
- sagkal – როდესაც არ არსებობს თარგმანი
- ჭ – შ;
- ჭ – ნგ
- ჰ – ხ, (ha šur – ხაშური).

## ინანა და მთა ებინი<sup>1</sup>



- 1 ქალბატონია ცისა და მიწის წითელი ცეცხლით, შიში მოსავს მას;  
2 იგი, ვინც შემართავს a-ankara-ს,<sup>2</sup> ომს ცლის სისხლისგან;  
3 ბრძოლის ველზე მოთარეშეა, რომლის მახვილით მიწა იპობა;  
4 რომელსაც მოაქვს წარღვნა და ქარიშხალი.  
5 ბრძოლა, რომელიც ინანას<sup>3</sup> თამაშია,  
6 უცხო დიდ ქვეყნებს ისარს აწვიმებს;  
7 რომლის ხმა აღწევს ქვეყნის საზღვრამდე, დარად ლომისა;  
8 ოდეს მთის ბილიკს მიუყვება, ველურ კუროს ჰგავს, მტერს  
ქვეყნისას;  
9 ყოველს ამარცხებს, ვინც აღუდგება – ფაფარაშლილ ლომს  
ემსგავსება.  
10 ჩემი ქალბატონი – ზეცაში გაფურჩქნული ღვთიური ბავშვი;  
11 „ინანა, ზეცის ქალწულო! მიწასავით მიმზიდველო!  
12 „ინანა! შენს გამოჩენას მეფე ეგებება, როგორც მზისას;  
13 „ვარსკვლავო ქალბატონო! ოდეს სეირნობ ცის ბილიკზე,  
14 „შენი ფერით მიწა ნათდება;  
15 „ოდეს მთათა რიგს შეუდგები, იგი ბრწყინდება შენი თვალივით.  
16 „დედოფლის განბანვას მთის hirin-მცენარეში,  
17 „სიცოცხლის მინიჭებას მაღალი მთისთვის –



- 18 „ლილაქვასავით ბრწყინვალე მთისთვის,  
19 „მრისხანებას უძლეველი ბატონის კვერთხით,  
20 „მონყალებას ხის იარაღით,  
21 „შავთავიანები სიმღერით აღიდებენ, შუმერები გიმღერიან ხმა-  
შენყობილნი;  
22 „ყველა მინა ტკბილად გიმღერის:  
23 „ინანა, ნანნას ასული, ბრძოლის დედოფალი!  
24 „ქალწულ ინანას ვადიდებთ და ვემსახურებით“;  
25 **ინანას სიმღერა:** „მე ვარ ცისა და მიწის ქალბატონი,  
26 „გარს ვუვლი ცასა და მიწას,  
27 „ოდეს, ელამის და შუბურის მინებს<sup>4</sup> გარს ვუვლიდი,  
28 „ოდეს, ლულუბის მთას<sup>5</sup> გარს ვუვლიდი,  
29 „ოდეს მოვბრუნდი, თავს წავადექი, როგორც ვარსკვლავი,  
30 „მთა არ მეთაყვანა,  
31 „ოდეს მთის შუაგულს მივუახლოვდი, არ მეთაყვანა!  
32 „ოდეს ებიხის მთათა რიგს<sup>6</sup> მივუახლოვდი, არ მეთაყვანა!  
33 „მთა არ მეთაყვანა!  
34 „არ შემხვდა შეძახილებით!  
35 „არ მეთაყვანა – ცხვირი მინას არ შეახო, ბაგით მტკვერი არ  
გახეხა!  
36 „მთათა რიგს ხელთ ვიგდებ, შევაზანზარებ, ჩემს შიშს ვასწავ-  
ლი!  
37 „პიტალო მხრიდან დიდი ნაჯახით მივუდგები,  
38 „დაბალი მხრიდან პატარა ნაჯახით,  
39 „დავსეტყვავ! დავინყებ ჩემს ღვთიურ თამაშს! თოკით ვაცეკვებ!  
40 „ბრძოლას დავინყებ მთათა რიგში, ჩემი [თოკით ვახტუნებ],  
გავრეკავ!  
41 „ისრები მასრებშია!  
42 „თოკს მოვისვრი!  
43 „მახვილს გავაპრიალე!  
44 „ხის შუბს და ფარს ვცემ!  
45 „ებიხის უდაბურ ტყეს ცეცხლში გავახვევ!



- 46 „ცულს მის ბოროტ საქმეთ დავანყებინებ!  
47 „დავაშრობ ებიხის ნყაროებს, ცისკენ გავუშვებ, გიბილ-ის,<sup>7</sup>  
ცეცხლის ღმერთის, მსახურებას აღვასრულებ!  
48 „შიშს გავავრცელებ შორეულ არათამდე!<sup>8</sup>  
49 „ველარასოდეს აღდგება, მსგავსად ან-ის<sup>9</sup> დაწყევლილი ქალა-  
ქის;  
50 „ველარასოდეს ასწევს ქედს, მსგავსად ენლილის<sup>10</sup> შერისხული  
ქალაქის,  
51 „და თუ მთას შეძრავს ჩემი ბრძანება,  
52 „მაშინ მადიდებს, მეთაყვანება!“  
53 ინანა, ნანანას<sup>11</sup> პირველი ასული,  
54 სამეფო სამოსით შეიმოსა, გამხიარულდა;  
55 შუბლი მელამით<sup>12</sup> დაიმშვენა,  
56 ღვთებრივი თავ-ყელი სარდიონის ვარდებით შეიმკო,  
57 მარჯვენა ხელით შვიდკაპა Šita-იარაღს მოხდენილად იქნევს.  
58 ლილაქვის თასმები ტერფზე შემოიკრა,  
59 მწუხრისას მისი წასვლა გამოაცხადა!  
60 ვარსკვლავმა საოცრების ჭიშკარში გაიარა,  
61 ან-ს წარუდგა. დილის ხილი საიდუმლო ლოცვით მიაღწევა.  
62 ან-ი ინანას მიეგება გახარებული, ხილი მიიღო თავაზიანად  
63 და ისევ მისი ადგილი დაიკავა.  
64 ინანას ანიშნა, მარჯვენა მხართან მისჯდომოდა.  
65 ინანამ უთხრა: „გიძღვნი სალამს, ჩემო მშობელო,  
66 „ყური დაუგდე ჩემს სიტყვას:  
67 „ან-ი არის ცის კაბადონი,  
68 „რომლის წყალობით, ჩემი სიტყვა უბადლოა ცა და მიწაზე,  
69 „ცის კიდეზე silig-იარაღია საიდუმლო ნიშნით.  
70 „ვისაც კვარცხლბეკზე ადგილი მომანიჭე, კვერთხი გამიმყარე –  
71 „რომ მეპყრას Šita-ხის იარაღი, სადაც მიწა ეკლიანი მინდორია;  
72 „ცის ბილიკიდან მიწა მეჭიროს ექვსი ლაგამით,  
73 „ცის კიდიდან ოთხი ლაგამით ქვეყნის ოთხივე კუთხით ვიბრ-  
ძოლო;



- 74 „რომ დავლაშქრო და ბრძოლით დავიპყრო,  
75 „რომ მთვარესავით ვანათებდე მეფეთ წინაშე,  
76 „ჩემი ისარი მიწვევებს, ტყეებს და ბაღჩა-ბაღებს კალიის  
კბილივით რომ ეცემოდეს;  
77 „რომ მოვფარცხო აჯანყებული მიწები,  
78 „ქალაქის ჭიშკრებს ურდული მოვგლიჯო, ღია დავტოვო [კარი].  
79 „დიდო ან! მიბოძე ყოველი, მე შენს სახელს თან ვატარებ ქვეყ-  
ნის საზღვრამდე;  
80 „ჩემი თვალი ქვესკნელს აღწევს, ვიცი სიგრძე მისი, ვმოგზაუ-  
რობ ცის ბილიკით, ვიცი სიღრმე მისი;  
81 „ამ მარჯვენით თავებს სხარტად ვკვეთ, დავუშვებ (მთის)  
ბილიკზე, შევარდენს<sup>13</sup> ვამსგავსებ!  
82 „მთაზე ვმაღლდები,  
83 „თავებს სხარტად ვკვეთ, როგორც  
84 „sag-kal-გველი ძვრება კლდის ნაპრაღში;  
85 „ან, მეფეო! სელის თოკით თან ვატარებ მე შენს სახელს ქვეყნის  
საზღვრამდე;  
86 „ჩემი თვალი ქვესკნელს აღწევს, ვიცი სიგრძე მისი;  
87 „ვმოგზაურობ ცის ბილიკით, ვიცი სიღრმე მისი;  
88 „ანუნა<sup>14</sup> – დიდი ღმერთები შიშით ძრწიან ჩემ წინაშე,  
89 „მე, ვარსკვლავმა, მთას ჩავუარე, ებიხი არ შედრკა!  
90 „ინანამ ჩავუარე, მთამ კი თავი არ დახარა!  
91 „ამაყ ებიხს ჩავუარე, არ შედრკა;  
92 „მთამ არ ისურვა ჩემთან თანხმობა, არც შერხეულა;  
93 „ცხვირით მიწას არ შეეხო,  
94 „ბაგით მტვერი არ გახეხა;  
95 „მაღალ მთას ხელში ჩავიგდებ, ჩემს შიშს ვასწავლი;  
96 „პიტალო მხრიდან დიდი ნაჯახით მივეუდგები,  
97 „დაბალი მხრიდან პატარა ნაჯახით,  
98 „დავსეტყვავ და ჩემი [თოკით ვახტუნებ], გავერთობი.  
99 „ბრძოლას ავტებს მთათა რიგში, ჩემს ცეკვას ვაცეკვებ!  
100 „ისრები მასრებშია,





- 101 „თოკს მოვისვრი,  
102 „მახვილს გავაპრილებ,  
103 „ხის შუბს და ფარს ვცემ,  
104 „ეზიხის გაუვალ ტყეს ცეცხლში გავახვევ!  
105 „ცულს თავის ბოროტ საქმეს დავანყებინებ!  
106 „დავაშრობ ეზიხის წყაროებს, ცისკენ გავუშვებ, გიბილის მსა-  
ხურებას აღვასრულებ!  
107 „შიშს გავავრცელებ შორეულ არათამდე,  
108 „ველარასდროს აღდგება მსგავსად ქალაქის, ან-მა რომ დან-  
ყველა;  
109 „ველარასოდეს ასწევს შუბლს, მსგავსად ენლილის შერისხულ  
ქალაქისა.  
110 „და თუ მთას შეძრავს ჩემი ბრძანება,  
111 „მაშინ მადიდებს, მეთაყვანება!“  
112 ანმა მიუგო: „ჩემო ბავშვო, უთხარი ეზიხს,  
113 „რომ მისი გული გსურს,  
114 „ინანამ ბრძანა ეზიხის დაქცევა,  
115 „ბავშვი ქვეყნად სურვილს აისრულებს“.  
116 ღმერთები განითლდნენ, შიშმა მოიცვა:  
117 შიშმა მოიცვა ანუნა თავის სამყოფელში,  
118 ინანას რისხვამ მინას ჩააღწია,  
119 წითელი ცეცხლი ფარავს ქვეყანას;  
120 ეზიხის თავხედობამ ცის გულს ააღწია:  
121 დახუნძლულია მწიფე ხილით, აყვავებული ბაღნარი ცას უტოლ-  
დება,  
122 რომლის ხეები მიმზიდველია, ისინი ცის ჩრდილები არიან –  
123 ცას თვალწინ უდგანან, როგორც სასწაული.  
124 ...ბუჩქნარის ჩრდილში ლომები წვანან;  
125 ვერძი და ირემი მრავლადაა, ქურციკნი ძოვენ მწვანე მდელოზე,  
126 „ხაშურის ტყეში<sup>15</sup> ფურირმები დასეირნობენ.  
127 „ქალწულო ინანა! შემზარავია ეზიხის ნათება,  
128 „შიგ ვერ შეაღწევ,



- 129 „უძლეველია ებიხის მელამი, შემზარავია მისი ნათება!“ –  
130 ეს უთხრა ან-მა.  
131 მძინვარებს ბრწყინვალე ქალბატონი, შიგანი უდულს –  
132 განრისხებულმა შემართა ყოველი იარაღი;  
133 ლილაქვის კარი გამოგლიჯა  
134 უხმო ქალიშხალს, ბრძოლა დაიწყო;  
135 გრგვინვით მიიწევს,  
136 დაქრის ბრძოლაში, გრიგალს ემსგავსება,  
137 რომლის ელვარე ნაპერწკლები  
138 მიწაზე [ფეხს დგამს] (ეცემა)  
139 დამანგრეველი ქარიშხალივით.  
140 ორ მთას შორის გრგვინავს ინანა;  
141 ცისკრის ვარსკვლავი გამარჯვებას უახლოვდება,  
142 ორლესული სატევარი უპყრია,  
143 დრეკს მთის კისერს ალფა-ბალახივით<sup>16</sup>, ოდეს ლამობს თავის  
ანევას;  
144 შუაგულში არჭობს ორლესულ სატევარს,  
145 გრგვინავს იშქურივით.  
146 კლდოვანია ებიხის ტანი, ცვივა ნამსხვრევეები,  
147 მთის ფერდობზე სოროებს [დიდი] ქვენარმავლები  
148 ტოვებენ, შხამს ანთხევენ ებიხის მუხის ტყეც;  
149 წყევლის ინანა – ბედს განუსაზღვრავს.  
150 მთის მუხებს მეხს სცემს; ცეცხლი ედება ფერდობებს, სქელი  
კვამლი ზეცამდე აღწევს;  
151 ქალღმერთი ებიხს ეუფლება – ვარსკვლავი-ქალბატონი სურ-  
ვილს ისრულებს!  
152 ინანას ხმა ეღვრება მთათა რიგს:  
153 „მთაო, ებიხ!  
154 „და იმისთვის, რომ თავანეული მწვანედ ბიბინებ,  
155 „და იმისთვის, რომ ამაღლებულს მშვენება გმოსავს,  
156 „და იმისთვის, რომ ღვთაებრივს ჰგავს შენი სამოსი,  
157 „და იმისთვის, რომ ცას შესწვდომიხარ,



- 158 „და იმისთვის, რომ არ მეთაყვანე;  
159 „სულს დაღევ, გულს დაღებ!!  
160 „ხელთ მომქცევინხარ, ვით ეშვები ძლიერ სპილოსი,  
161 „მინას დაგანარცხე დიდი რქებით გარეულ ხარივით,  
162 „გძლიე და განგდევნე, როგორც უცხო, ცეცხლი ჩაგიქრე მკლავით.  
163 „თვალთაგან ცრემლს გადენ,  
164 „შენს გულში გლოვას დავასადგურებ;  
165 „შენს ფერდობებზე დარდის ჩიტები<sup>17</sup> დაიბუდებენ!  
166 გაბრწყინებულმა ინანამ თქვა ისევ:  
167 „ენლილმა, ჩემმა მშობელმა, გადაწყვიტა მთის რისხვა –  
168 „მარჯვენა მხარზე მახვილი შემაბა,  
169 „მარცხენა მხარზე თავად შევიბი ფარი,  
170 „ჩემი რისხვა ფარცხია დიდი კბილებით – მთას გლეჯს ნაკუნებად.  
171 „სასახლეს აღვმართავ, კიდევ მრავალს ვიქმ;  
172 „ჩემს სასახლეში ტახტს გავიმყარებ;  
173 „სატევარს და გალესილ მახვილს ჩემს მსახურს – ქურღარას მივცემ;  
174 „ვინც თაყვანს მცემს (ტირის), დოლს მივცემ – ავამღერებ;  
175 „შეეცვლი pilipili-ს მსახურებას<sup>18</sup>;  
176 „მე გამარჯვებული ვარ, მთაში დავქროდი მსგავსად ქარისა;  
177 „ებიხს შევები და გავიმარჯვე!  
178 „ნინ მივინვედი მოვარდნილ წარღვნასავით!  
179 „არხები დავტბორე, წვეთავდა, მდედრს დავამსგავსე დედათა წესით;  
180 „მთაზე ჩემი გამარჯვება გამოვაცხადე!  
181 „ებიხზე ჩემი გამარჯვება გამოვაცხადე!“  
182 რომელმან ებიხი დაამარცხა, ნანნას პირველი ასული,  
183 ქალწული ინანა, ვადიდოთ!  
ვადიდებ ნისაბას!<sup>19</sup>

## ინანა – სამყაროს გული<sup>1</sup>



- 1 ვარსკვლავი სამყაროს გულით ატარებს, [ვარსკვლავი] ბრწყინავს ანუნა-ღმერთებში;
- 2 ინანა! ნანნას პირმშო ასული, მათათა მწვერვალი, მაღალია ნუნ-გალანეზე<sup>2</sup>;
- 3 ყოველი ღმერთი შემოუკრიბავს, დედოფალი მინასავით მიმზიდველია, ან-ს ეჯიბრება;
- 4 ზის კვარცხლბეკზე (და) ალასრულებს ღმერთთა განაჩენს, ყოველ ღმერთზე უდრეკი ქალი;
- 5 ინანას სიტყვა იდუმალია – არც ან-მა უწყის, მის ფერხთ ცოცავენ ანუნა-ღმერთები.
- 6 ცა მის სიტყვას ვერ აღუდგება;
- 7 იდუმალია ინანას გული, არავინ უწყის მისი წადილი,
- 8 მე-თა<sup>3</sup> სრულმყოფი ქალბატონია, ყოველი მე ხელში უჭირავს, როგორც კომბალი;
- 9 ინანა ღმერთთა ბორკილია ქვეყნის საზღვრამდე,
- 10 რომლის ნათელი მთებს ეფინება, გზასთან ასწორებს,
- 11 ოდეს გაჰკვივის, ვით მშობიარე, დიდი ღმერთები ცახცახს იწყებენ.
- 12 მინა მძიმდება, თრთის ანუნა – ეულ ლერწამს დამსგავსებია,



- 13 მის dam-dam ხმაზე<sup>4</sup> იმალება, ვით ცის ქუხილში;  
14 ინანას გარეშე ან-ი და ენლილი ბედს ვერ გადანყვეტენ;  
15 ზეცის ზეცაა, ვერვინ ბედავს გაუტოლდეს ამაყ ქალბატონს,  
16 რომლის სიტყვით მიწა იქცევა, ქალაქი ინგრევა, ტაძარი უდაბ-  
ნოდ გადაიქცევა;  
17 ოდეს მრისხანებს, ძრწის ქვეყანა, კაცს ემსგავსება, ასუ-დემონს<sup>5</sup>  
რომ გაუკოჭავს;  
18 ურჩს სდევს ფეხდაფეხ, ქაოსში ახვევს;  
19 ხელჩართულ ბრძოლაში მელამი<sup>6</sup> შვენის, წითელი და თვალის-  
მომჭრელი;  
20 ცეკვავს ინანა, არ დაიღლება. ბრძოლა, რომელიც ინანას თამა-  
შია, თასმასავით ეკვრის მის სანდლებს;  
21 ქარს მხრით მიაპობს – ქარბორბალა შვენის ინანას;  
22 ვისაც ეწევა, განწირულია, სამხრეთის ქარს მიაქვს;  
23 შეკაზმულ ლომებზე მოჯირითე, ურჩებს აკუნავს.  
24 მთის დიდი შაქანი<sup>7</sup> გზად შემოხვდება,  
25 ქალბატონი კუნთმაგარია ველურ ხარივით, ვინ დაეხსნება...  
26 ძღვევამოსილი, პირისპირ შემხვედრს ორმოში აგდებს –  
27 [ინანა ] – ხაფანგი უბედურების,  
28 დღე ბნელდება, როდესაც იბრძვის;  
29 [მხოლოდ იგია] ქარიშხლის უკუმქცეველი,  
30 ვინც არხებს ტბორავს, ურჩებს აჩოქებს...  
31 არწივი, რომლის ფრთები მიწის ჩრდილია, ვინ დაეხსნება...  
32 შევარდენია, ღმერთებში მოღულუნე, ვინც ბოსელს მწყემსავს;  
33 ქალაქის მინდვრებს გადმოსცქერის შუბლშეჭმუხნილი;  
34 მინდვრის ხნულებში ცეკვავს ინანა, მის ნაკვალევზე ნაკადული  
მოედინება.  
35 ან-ს რომც უნდოდეს, ვერ დააოკებს;  
36 ველს ცეცხლის ნავლად აქცევს ინანა,  
37 ინანა...  
38 ...ჯარს თავის ცეკვას აცეკვებს<sup>8</sup> ინანა,  
39 ...სიმღერას დაამღერებს ინანა,



40 რომლის სიმღერა ტირილია, რძე და საზრდოა სიკვდილისა,  
41 უმრეტია ინანას საზრდო სიკვდილისა...  
42 მასვე დასცინებს, ვისაც აპურებს – ნაღველი პირს სწვავს მას.  
43 ინანა სიმღერას ალასრულებს, ბედნიერია...  
44 გულის სიმღერას ველზე დაამღერებს,  
45 ფარს სისხლში სერის ის, ჭრილობას აწყლულებს,  
46 ნაჯახით თავს ჰკვეთს, შუბით განგმირავს.  
47 ბასრი მახვილით გმირ მეომართა სისხლი იღვრება –  
48 სიკვდილს თვალბში ჩაახედებს.  
49 დღეს აბნელებს უკიდევანო, ჩემ უდაბნოში – შუადღეს ღამედ-  
ყოფს;  
50 ხალხს აბრმავებს და უკუნეთში ჰკიდებს ერთმანეთს;  
51 რომლის კივილიც უდაბნოს ძრავს, მდელო უდაბნოდ გადაიქ-  
ცევა;  
52 ძრწის კაცთა მოდგმა, როგორც იშქურის<sup>9</sup> ქუხილის ხმაზე;  
53 მინა იძვრება, ვინ აღუდგება?  
54 ბრძოლას თვალს ვერვინ ვერ მიადევნებს,  
55 [ოდეს] წყალი დაფარავს მინას, ყოველი იღვგება;  
56 მაშინ ინანა ხნულში ფეხს დგამს, გუთნით მინას ხნავს;  
57 მინა პირს ხსნის, [თავხედებს] თავი ჩაუქინდრავთ,  
58 ვარსკვლავი ისრულებს გულის წადილს, გული უღბება,  
59 ზის კვარცხლბეკზე, ღვთაებანი გვერდს უმშვენებენ;  
60 მაღალი მთები ქედს იხრიან, თორემ მტვრის [გროვად] აქცევეს  
ინანა –  
61 და ქარს მისცემს აღმოსავლეთით დასავლეთამდე;  
62 იგი, gul-gul ქვის კედელზე გამარჯვებული,<sup>10</sup>  
63 გობში ქვას ადნობს, ქვას ცხვრის ქონს ამსგავსებს,  
64 სატევარს აელვებს, რომლის ბრწყინვალეობა მინას ეფინება;  
65 ენგურის<sup>11</sup> თევზი ინანას ბადეშია, a-ha-an თევზიც<sup>12</sup> არ რჩება  
წყალში,  
66 ჩიტი ინანას კაკანათიდან ვერ გაფრინდება,  
67 ინანა – ნალკოტი ცისა და მიწის.



- 68 ვინც უსმენს, უწყის მისი განზრახვა...  
69 ან-ს არ მიჰყვება!  
70 დიდ ღმერთთა კრება ბჭობს და არ იცის,  
71 რა სურს ინანას.  
72 ზეცის ცხოვრება [ცალ] ხელში უპყრია...  
73 სიამაყით სავსეა ვარსკვლავი-ქალბატონი - [ავაზა] ღმერთებში,  
74 ინანა კაცს ბრძოლაში ინვევს ან სატრფოდ იხდის,  
75 ქალწულს მოსავს ქალის საკნამდე, გულით ეხვევა. ქალწულთა  
თანმხლები Ia-Ia – ჭაბუკია.<sup>13</sup>  
76 უცებ განაგდებს ქალს ვერაგულად, პირში შესციინებს;  
77 ...განაგდებს ყველგან, ყოველთვის...  
78 მარტო ახეტიალებს ქუჩებში და ქალაქის მოედანზე, გზას  
უტოვებს მხოლოდ ერთადერთს;  
79 [ბოლოს] სარკმელში შეახედებს – იქ დედას ჩვილით დაანახვებს.  
80 ათავისუფლებს, ტანჯვას განაგდებს მისი სხეული, ხელს  
ცხვირს შეახებს – ესალმება.<sup>14</sup> სახელით მიმართავს, ნათლავს  
როგორც pilipili,<sup>15</sup> შუბს გადაამტვრევს.  
81 ჭაბუკი რომ ყოფილიყო, შუბს მას უბოძებდა;  
82 ოდეს... სასჯელი [თავის ქალა] არ იყო;  
83 იგი კარია სიბრძნის სახლისა,  
84 იცის ბადე ცხოვრებისა, ვინც არ იფრთხილებს, ცხოვრების  
ბადეში გაებმება;  
85 ჭაბუკთან, ვინც უარყო, ქალს შეარიგებს – სახელით მიმარ-  
თავს, შუბს გადაამტვრევს, უბოძებს მას  
86 ქალის საკინძედ;  
87 ქალია კაცი-ჭაობის ლერწამი, ქალია ქალი-ჭაობის ლერწამი,  
ორნივე ქალები სახელმეცვლილნი – მსახურებას აღავლენენ  
[ექსტაზით ტრანსში]. pilipili სახეს შეიცვლის. ქურღარა იქნება  
მთავარი გმირი.<sup>16</sup>  
88 გარეთ მღერიან ilu-სიმღერას,<sup>17</sup> გულის სიმღერას...  
89 ცრემლად იღვრებიან, ცრემლი უშრებათ;  
90 გულს არ ძალუძს მთელი დღე ტირილი,



- 91 ტირილი გულს არ ათავისუფლებს.  
92 „ქალბატონო! რომელიც წმინდა ან-მა შეგიყვარა, ტირი!  
93 „ზეცაში მე-თა დედოფალი ხარ,  
94 „ცნობილი ხარ ცა და მიწაზე,  
95 „ზეცა შენი სამყოფელია, შენი სწორი არავინაა ქვეყნის საზღვრამდე.  
96 „ანსა და ენლილს ეპაექრები, მათ დიდებულ ადგილს იკავებ,  
97 „გაბრწყინებულა შენი ტაძარი, შენს გიპარში<sup>18</sup> ამაღლებულხარ.  
98 „ეზინა,<sup>19</sup> ხორბლის დედოფალი, [ბრწყინვალე] ტახტზე დაგისვამს;  
„როდესაც ცაზე იშქური ქუხს, შენთვის აწვიმებს სქელ ღრუბელს;  
99 „მაშინ ზეცას წვდება შენი ხელი, შენს დიდ მე-ს,  
100 „ინანა! გული ენთება შენი გამარჯვებით,  
101 „დიდი ანუნა დაიხრება, მიწას ემთხვევა, გეთაყვანება;  
102 „შვიდ ლომზე ხარ ამხედრებული, დაჯირითობ ცის კაბადონზე<sup>20</sup>;  
103 „შენს სამყოფელში დიდი ა-ნი ვერ დამშვიდდება;  
104 „როდესაც ან-ი გითმობს კვარცხლბეკს, მაშინ მშვიდდება;  
105 „ან-ი იტყვის: „მე გადმოგილოცე ტახტი  
106 მეფეთა და დიდ ღმერთთა;“  
107 „დიდი ღმერთები თაყვანს გცემენ შენ;  
108 „მაღალი მთები, სავსენი ლილაქით და სარდიონით, გეთაყვანება;  
109 „მხოლოდ ებიხი [ცხვირს არ სწევს მალლა], არ გესალმება! ხელს მიანვდენ მას,  
110 „ქარიშხლის მგავსად, იქუხებ და მიწას უსწორებ!  
111 „რანდო-ქალბატონო! ან-მა და ენლილმა ტახტი გიკურთხეს!  
112 „უშენოდ ბედი არ გადაწყდება! სიტყვა არ ითქმის!  
113 „თავის დაღწევა, გადარჩენა, შიშის დაძლევა, შენია ინანა!  
114 „აამაღლებ და დასცემ, ინანა!  
115 „გზას უმალ უხსნი, [ადგილს] მიაღწევინებ! ძლიერ თანამგ-





- ზავრს ჩამოიტოვებ, ნუგეშსაც ართმევ, ინანა!
- 116 „რქით ბილიკს კვალავ, მიწას ხეთქავ და ისევ ამყარებ, ინანა!
- 117 „ალგვი და კვლავ ქმნი; დევნი-დაასახლებ, ინანა!
- 118 „კაცთან ქალი ხარ და ქალთან კაცი, ინანა!<sup>21</sup>
- 119 „საქონელს ამრავლებ, სიკეთით მოსავ, ინანა!
- 120 „ხვავსა და ბარაქას, ქონებას აბრწყინებ, სიმდიდრის მოხვეჭა და ყოვლის დაკარგვა, შენია ინანა!
- 121 „რჩევა, არჩევანი, მფარველი სულები და ყოვლის დაკარგვა შენია ინანა!
- 122 „მხნეობა, ღირსება, კარიბჭის მცველები, მფარველი სულები, საიდუმლოებანი მსახურებისა, შენია ინანა!
- 123 „სიტყვა უარყოფის
- 124 „სიტყვა წასვლის
- 125 „შენია ინანა!
- 126 ...
- 127 „ინანა,
- 128
- 129 „... ბედი ... ინანა,
- 130 „მადლიერება, გულის ტკენა, ავადმყოფობა შენია ინანა!
- 131 „საყვარელი ქმარი გყავდეს, საყვარელი ცოლი გყავდეს, სიყვარულის ხრიკები, შენია ინანა!
- 132 „მხიარულება, მძიმე სენი, შენია ინანა!
- 133 „სატროფოზე ზრუნვა და მიტოვება, თავის დახრა და თავის აწევა, შენია ინანა!
- 134 „სახლის აშენება, ქალთა საკნების შემკობა, უმწეო ჩვილის ბაგის დაკოცნა, შენია ინანა!
- 135 „გაქუსვლა, ჯირითი, მიზნის მიღწევა, შენია ინანა!
- 136 „სუსტს აძლიერებ, თავდახრილს აღაზევებ, ინანა!
- 137 „მაღლობს ველად ქმნი, აამაღლებ და მიწას უსწორებ, ერთობი, ინანა!
- 138 „გვირგვინს
- 139 „სკიპტრას და ტახტს უბოძებ, ინანა!



140 ---

141 ---

142 ---

143 ---

144 ---

145 ---

146 ---

147 ---

148 ---

149 ---

150 ---

151 „მუხლის მოდრეკა, დანაყრება, ქედის მოხრა და განდიდება  
შენია, ინანა!

152 „მეფედ კურთხევა, ტაძრის მსახურება,

153 „ტყუილი და მართალი,

154 „ცილისნამება, გაფეტიშება, შენია ინანა!

155 „ბოროტი სიტყვა გჩვევია, ინანა!

156 „მზაკერობა, ტყუილი, აბურად აგდება,

157 „უიღბლობა და ბედნიერება, ავადმყოფობა, ძილის დაკარგვა;

158 „შიში, სიბნელე, საზარელი ნათება,

159 „უთანხმოება, თვალის დაბინდვა,

160 „აღზევება და იძულება,

161 „ქაოსში დაბრუნება, უნაყოფო მინა, მტრის შიში,

162 „ცოდნა ომის, მომავლის განჭვრეტა,

163 „ჩიტის ბუდის აშენება, ბურქის ჩურჩულის მფარველობა—

164 „მუდამ რომ იყოს, შენია ინანა!

165 „უდაბნოს მსგავსი შხამიანი გველის, მტრის დაჯაბნა,

166 „ბორკილის დადება, შენია ინანა!

167 „ხვედრი არგუნო, შენია ინანა!

168 „გაფანტული ხალხის შეკრება,

169 „თავიანთ საცხოვრისში კვლავ დაფუძნება, შენია ინანა!

170 „ოდეს ბაგეს ხსნი, ბრუნდება გაქცეული,



- 171 „შენი მრისხანე შემოხედვით ყური იხშობა, მინა ყრუვდება,  
172 „მზესაც აბნელებს შენი რისხვა, მაშინ შუადღე ღამედ იქცევა;  
173 „ოდეს დაპყრობა განგიზრახავს, მინა ირყევა;  
174 „გზა ხსნილი გაქვს, ყოვლისშემძლე ხარ, ცისა და მიწის ქალბა-  
ტონო!  
175 „სამართლის სახლი [სამართლის ყური], რომლის სიტყვა მინას  
აბრწყინებს!  
176 „მწვერვალთა სწორს, ან-ი ვერ გწვდება!  
177 „ღმერთნი თვალს ხრიან შენ წინაშე: ცა და ქვეყანა  
178 „ურიცხვ ფურს გიძღვნის და გესალმება!  
179 „ოდეს თვალს ალაპყრობ, ღმერთნი შენს სიტყვას ელიან, ინანა!  
180 „შენს სამყოფელში შეკრებილან დიდი ღმერთები – ტკბილად  
მღერიან, ლოცვას გეტყვიან;  
181 „თვალისმომჭრელი ბრწყინვალება!  
182 „უსასრულოა დუმილი... არასდროს დასრულდება, [.]  
183 ---  
184 ---  
185 ---  
186 ---  
187 ---  
188 ---  
189 ---  
190 ---  
191 ---  
192 „სევდიანია შენი სიმღერა, *ilu* – სიმღერა, გულის სიმღერა...  
193 „არ შეიცვლება, რისხვა გიცხრება,  
194 „რასაც ეხები, მუდამ იქნება,  
195 „[ან-იც] ვერ აღგვის,  
196 „ან-ი და ენლილი კაცთა მოდგმას ქალს მიუძღვნიან, ან-სა და  
ენლილს ერთხმად აღმოხდათ:  
197 „მინა და ხალხი შენი იქნება!  
198 „ან-ს შენი სიტყვის შეცვლა არ ძალუძს,



- 199 „ან-ი შენ გვერდით ვერ [დადებს გავას]  
200 „და შენ იტყვი: „დე, იყოს ასე!“  
201 „რაც ან-ს არ ძალუძს;  
202 „შენი სიტყვა: „დე, იყოს ასე!“ – დაქცევისაა,  
203 „ოდეს იტყვი, მინა დაიქცევა – შენი სიტყვა უცვლელია ცა და  
მინაზე;  
204 „ცაზე კიაფობ მსგავსად მზისა და მსგავსად მთვარისა,  
205 „ვარსკვლავო, რომელსაც დღე [აგყავს ზეცაში], ბნელი ნათ-  
დება;  
206 „სარეცელია შენი – მდინარე, ქალი და კაცი მიუყვებიან, შენ წინ  
კიდია მათი დღეც;  
207 „შენი ერი შენ თვალწინაა, როგორც მზისა მისი მფარველის,  
208 „მარადიული შენი მე-ები,  
209 „ცალ ხელში გიჭირავს ჩირალდანივით,  
210 „ცისა და მიწის დიასახლისო, ვინ შეგედრება!  
211 „ცაზე ბინადრობ მზესთან ერთად,  
212 „ღმერთთა შორის შენ გიპყრია ყოველი არსი<sup>22</sup>;  
213 „შენ დიად სახელს ადიდებენ ცა და მინაზე!  
214 „მე ვარ ენხედუანა,  
215 „ნანნას mah- ქურუმი<sup>23</sup>;  
216 „წმინდა, მარტოსული გულით  
217 ---  
218 ---  
219 ---  
220 ---  
221 ---  
222 ---  
223 ---  
224 ---  
225 ---  
226 ---  
227 ---



- 228 ---  
229 ---  
230 ---  
231 ---  
232 ---  
233 ---  
234 ---  
235 ---  
236 ---  
237 ---  
238 „გონება,  
239 „გულის ცემა, ტკივილი, დარდი, სიძულვილი,  
240 „ჩემო ქალბატონო, როდის გადმომხედავ, თანამიგრძნობ და  
მიპასუხებ,  
241 „შენი ვარ და შენი ვიქნები!  
242 „წრფელი გულით და გონებით შენ წინაშე  
243 „ცრემლს ვღვრი... შენი ვარ,  
244 „შენი სიტყვა ქვევით ეშვება,  
245 „ჩემმა ხორცმა აღასრულა შენთვის ნამება,  
246 „ჩემი თვალი არ დაიღლება, ვცახცახებ, ველეავ;  
247 „მიიღე ცრემლი...  
248 „მინაზე წარღვნის, ქარიშხლის მომვლენო!  
249 „მინის გამხეთქო, გამთენებელო!  
250 „ჩემო ქალბატონო! მაზიარე შენს ბრწყინვალებას!  
251 „შენს სადიდებელს განვაცხადებ ქვეყნის საზღვრამდე!  
252 „დიდი ღმერთები ვერ გწვდებიან!  
253 „ან-ი კვარცხლბეკზე, რომელიც გიყვარს, კმაყოფილია...  
254 „დაე, დაგიცხრონ ვნება ღმერთებმა,  
255 „ლილაქის ტახტზე დაგაბრძანონ, რომელიც გშვენის,  
256 გითხრან: „დაბრძანდი“,  
257 „მორთულ სარეცელზე გითხრან: „დაისვენე!“  
258 „შენი მეფობა გაცხადებულა ქვეყნის საზღვრამდე,



- 259 „დიდება გმოსავს ცისკრის ვარსკვლავო,  
260 „ან-მა და ენლილმა ბედი გადიდგინეს;  
261 „ მზესთან ერთად ქვეყნიერების ქალბატონად გამოგაცხადეს!  
262 „თქვი, ქალბატონო!  
263 „შენს ღვთაებრივ დებს აქვთ პატივი, ხოტბას გასხამდნენ,  
264 „შენი დიდება იქადაგონ ქვეყნის საზღვრამდე!  
265 „დიდო ქალმერთო! შენ ხარ მწვერვალი,  
266 „გადმომხედე, მახილვინე ციური სხივი,  
267 „შენ დიად ძალას არა აქვს ზღვარი,  
268 „დიდება, ვარსკვლავო, შენს სიმაღლეს!  
269 „ქალწულო ინანა! ტკბილია შენი ლოცვა!“



## ინანა მეცხრე ცაზე<sup>1</sup>



- 1 დედოფალი, [მფლობელი] ყოველ მე-თა, მეცხრე ცაზეა
- 2 ქალბატონი, რომელიც ან-მა და ურამ-მა<sup>2</sup> შეიყვარეს,
- 3 გვირგვინოსანი ცის დედოფალი,
- 4 გაბრწყინებული...
- 5 რომელსაც შვენის თავის გვირგვინი, შვიდი ძალით გარშემორ-  
ტყმულა<sup>3</sup>.
- 6 „ჩემო ქალბატონო, მე-თა მფარველო –
- 7 „ყოველი მე ხელთ გიპყრია და გულში იტევ!
- 8 „ვინც ჭეშმარიტი ცის მსაჯული ხარ!
- 9 „რომელმაც განდევნე უშუმგალ-ურჩხული<sup>4</sup>, შხამით ჩრდილი  
[მოახაზინე] უცხო მიწაზე;
- 10 „ოდეს ქუხხარ იშქურის დარად, მარცვალი აღარ ხარობს მიწა-  
ზე,
- 11 „ოდეს წარღვნა უმისამართოდ მთიდან მიწაზე მოექანება,
- 12 „შენ ხარ იმედი ცისა და მიწის!
- 13 „ქვეყნად ცეცხლს აწვიმებ!
- 14 „მხეცზე დაჯირითობ, ან-მა გიბოძა ციური ძალა;
- 15 „ვისი სიტყვაც ან-ის ბრძანებაა!
- 16 „ვინ უარყოფს შენს მსახურებას?



- 17 „უცხო მიწების დამანგრეველო! ქუხილის ძალავ!  
18 „ვარსკვლავო, რომელიც ენლილმა შეგიყვარა...  
19 „შემზარავ რისხვას მოანეც მიწას, ან-ის ბრძანების აღმსრულებლო!  
20 „დიდო ქალღმერთო, შენს კივილზე ქედს იდრეკენ უცხო მიწები,  
21 „შენ წინაშე ძრწის კაცთა მოდგმა,  
22 „შენ ფერხთ გარინდულა.  
23 „ცისკრის ვარსკვლავო! მწუხრის ვარსკვლავო!<sup>5</sup> ვინც მე-თ აბრწყინებ,  
24 „შენთვის ღიაა ცრემლის ზღურბლი, ხალხი გეგებება  
25 „სახლიდან ლოცვით მიმავალი, გზაჯვარედინზე გხვდება ინანა!  
26 „ბრძოლის ველზე (შენ) წინ [ეცემიან].  
27 „დიდო ქალბატონო! ოდეს ნაყრდები, შენი კბილი ნაპერწკლებს ყრის, კაჟს ემსგავსება;  
28 „უშრეტი ძალით წინ მიიწევ ძალით ქარიშხალივით,  
29 „ქუხხარ მეხივით,  
30 „იშქურის ხმით მიაპობ მიწას,  
31 „ქანცს აცლი ქალიშხალს<sup>6</sup>,  
32 „შენი ფეხი დაუღლეღია,  
33 „შენი სიმღერა სევდიანია – ილ-სიმღერას, გულის სიმღერას დაამღერებენ.  
34 „ინანა, დიდი ანუნა-ღმერთები  
35 „ნანგრევის ყრილზე მიფრინავენ ღამურებივით –  
36 „არ ძალუძთ შენი მზერის გაძლება,  
37 „ვისი სახეც უდრტვინვეღია, ვინ აღუდგება...  
38 „ვინ დაამშვიდებს შენს მძვინვარე გულს.  
39 „მას, ვისი ღვარძლიც უშრეტია, რა დაამშვიდებს?  
40 „დიდო ქალბატონო... დამშვიდდები და გაიხარებ?  
41 „ინანა, ნანნას პირველო ასულო, შენი ცეცხლი – მარადიული მუდამ ენთება!  
42 უცხო მიწების მბრძანებელი ხარ! ვის ძალუძს შენი მიწის ხელყოფა!





- 43 „თვალს თუ დაარჭობ, მთა აღარ ყვავის;
- 44 „ქალაქის ჭიშკარი აღში ეხვევა;
- 45 „მდინარის წყალი აღარ ისმება, კალაპოტი სისხლით ივსება;
- 46 „რჩეული ჯარი ტყვედ ჩაგვარდნია;
- 47 „შეგიმუსრავს რჩეულთა ჯარი;
- 48 „გმირი რაინდები შენთვის გაინვრთნება;
- 49 „ქალაქის საცეკვაო მოედნებს ქარი აავსებს;
- 50 „განვრთნილი მეომრები შენ წინაშე ტყვეებად მოჰყავთ,
- 51 „შენი ბატონობა ქალაქში ცხადდება!
- 52 „შენ გეკუთვნის უცხო ქვეყანა“ – გიცხადებენ და არ არიან შენი  
წინაპრები,
- 53 „ფერხთ მოგიქცევია;
- 54 „ბოსლიდან ცრემლი იღვრება გულით,
- 55 „ცოლი ქმარს ყურს აღარ უგდებას,
- 56 „ლამის წყვილიაღში აღარ ეჩურჩულება,
- 57 „გულისნადებს აღარ უზიარებს,
- 58 „ნანნას პირველო ასულო, ვნებიანო გარეულო ძროხავ, ინანა!
- 59 „ან-ის სწორო დიდო ქალბატონო, არავის ძალუძს შენი მინა  
შეავიწროვოს!
- 60 „მე-თა ქალღმერთო, სამართლიანო, რომელიც გშობა ციურმა  
საშომ!
- 61 „დიდებულო, დედასავით, რომელმან გშობა!
- 62 „ყოვლისმცოდნე ხარ! ბრძენი და ქველი!
- 63 „ქვეყნიერების დედოფალი ხარ, სიცოცხლის ძალის მომნიჭე-  
ბელი!
- 64 „სიმართლის ქალღმერთო, მე-ები გამკობს, ვუმღერ შენს ძალას!
- 65 „შენი ღრმა გული ბრწყინავს, ინანა!
- 66 „შენს წმინდა გიპარში შევდივარ, ინანა!
- 67 „დიდი ქურუმი ეხხედუანა,
- 68 „კალათით მომაქვს მწუხრის შესანირი,
- 69 „გიმღერ მხიარულ სიმღერას!
- 70 „მივუახლოვდი ნათელს, მაგრამ მწვავდა,



- 71 „მივეუახლოვდი ჩრდილს, მაგრამ დამფარა სამხრეთის ქარმა,  
72 „ჩემი ტკბილი ენა ქაფმა დაფარა,  
73 „ჩვეული სიმშვიდე დავკარგე,  
74 „ნანა! უამბე ან-ს ლუგალანეზე<sup>7</sup>, ჩემს განსაცდელზე!  
75 „ან-ს თხოვე, მიხსნას!  
76 „ან-ი მიხსნის...  
77 „ქალი<sup>8</sup> ლუგალანეს ბედს გამოსტაცებს,  
78 „წარღვნა და უცხო მინები მის ფერხთ გართხმულა!  
79 „დიდია ქალი, ის ქალაქს არხევს;  
80 „სცადე და გული დაუცხრე ჩემთვის.  
81 „მე, ენხედუანა, კვლავ ვილოცებ შენთვის, ინანა!  
82 „გიძღვნი ცრემლებს, როგორც ტკბილ ლუდს!  
83 „შენი ჩრდილი ვარ, ინანა!  
84 „ნუ განურისხდები აშიმბაბარს!<sup>9</sup>  
85 „[წმინდა ან-ის განბანვის წესით,  
86 „დიდი ან-ი ტოვებს ე-ანას,]<sup>10</sup>  
87 „კაცი მაღალ ღმერთს ვერ შესწვდება,  
88 „ტაძარი, ბრწყინვალე ტაძართა შორის, დაანგრია!  
89 „იდგა ჩემ წინაშე  
90 „შურით აღვსილი, ბოროტი ზრახვით;  
91 „ციურო ფურო, დაედევნე და დაიჭირე კაცი!  
92 „ვინ ვარ მე ცხოვრების მიმნიჭებლის ადგილას მარტო?  
93 „ან-ი დააბრუნებს ნანნას წინააღმდეგ აჯანყებულ მიწებს!  
94 „ან-ი მოსპობს ქალაქს!  
95 „ენლილი დასწყევლის მას!  
96 „დედისგან მიტოვებული ჩვილივით აქცევს!  
97 „ძველი მწუხარება...  
98 „მწუხარების ნავით მტერს დაუტოვე, ინანა!  
99 „მსურს აღვესრულო წმინდა სიმღერით, არ გამამართლა ნანნამ!  
100 „გამანადგურა უსამართლობის კერაზე!  
101 „აშიმბაბარმა არ განმსაჯა!  
102 „რა იყო სათქმელი...



- 103 „ოდეს გაბრწყინებული იდგა ტაძარში, მაშინ გამაძევეს –  
104 „სარკმლიდან გაფრენილ მერცხალს დამამსგავსეს, სიცოცხლის  
ძალა წამართვეს;  
105 „მთის აკაციებში მახეტიალეს,  
106 „გვირგვინი და ქურუმობა შემომაცალეს,  
107 „დანა და სატევარი მიბოძეს, დამცინეს: იყოსო შენი სამკაული!  
108 „ბრწყინვალე ქალბატონო, ან-მა შეგიყვარა!  
109 „კვლავ აინთე გულის ცეცხლი ჩემთვის, ინანა!  
110 „უშუმგალანას<sup>11</sup> საყვარელო ცოლო,  
111 „დიდო ვარსკვლავო, ცის კიდიდან ქვეყნის საზღვრამდე!  
112 „ვისაც გმორჩილებს დიდი ანუნა,  
113 „დედის საშოდან დედოფალი ხარ,  
114 „ანუნაში ამაღლებული,  
115 „ვის წინაშეც მინას კოცნის დიდი ანუნა.  
116 „დარდმა მომიცვა, რომელსაც მერგო მტრული განაჩენი;  
117 „არასდროს წამცდენია ხელი აყვავებული სანოლისკენ,  
118 „ნინგალის სიტყვა<sup>12</sup> არასდროს გამიმხელია გულის დასაცლელად;  
119 „ბრწყინვალე დედოფალო, რომელიც ან-მა შეგიყვარა,  
120 „ნანნას ქურუმზე გაციებული გული მოილბე;  
121 „გაცხადდეს! რაც ნანნას ჯერ არ განუცხადებია!  
122 „მან თქვა, რომ შენია!  
123 „გაცხადდეს! რომ უსაზღვრო ხარ, როგორც ცა, და ფართე,  
როგორც მინა!  
124 „გაცხადდეს, რომ აჯანყებული მიწების დამაქცევარი ხარ!  
125 „გაცხადდეს, რომ უცხო მიწებს ანადგურებ!  
126 „გაცხადდეს, რომ თავებს ჰკვეთ!  
127 „გაცხადდეს, რომ გვამებს ენაფები ძალღივით!  
128 „გაცხადდეს, რომ შენი გამოხედვა შემზარავია!  
129 „გაცხადდეს, რომ შენს შემზარავ თვალს შენვე ხსნი!  
130 „გაცხადდეს, რომ თვალებს აელვებ მრავალფრად!  
131 „გაცხადდეს, რომ ურყევი და შეუპოვარი ხარ!



- 132 „გაცხადდეს, რომ მუდამ გამარჯვებული ხარ!
- 133 „გაცხადდეს, რაც ნანნას ჯერ არ განუცხადებია,
- 134 „რომელიც ამბობს, რომ შენ გეკუთვნის.
- 135 „ჩემო ქალბატონო! ან-მა შეგიყვარა... მე განვაცხადებ შენს დიდებას ქვეყანის საზღვრამდე!
- 136 „ნაკვერჩხალი მოვაქუჩე, განწმენდის მსახურება მოვამზადე,
- 137 „საკურთხეველი გელის, იქნებ გული იბრუნო ჩემკენ!
- 138 „სანამ ჭურჭელი ივსებოდა, გული სიმღერით მევსებოდა, გიმღერ ინანა: მეცხრე ცაზე ხარ, ჩემო ქალბატონო!
- 139 „რაც მიმღერია უკუნ ღამეში,
- 140 „ამიერიდან მომღერალი დაგიმღერებს დღის სინათლეზე.
- 141 „შენი შვილები – დატყვევებულნი ვართ! შენი ქმრები – დატყვევებულნი ვართ!
- 142 „არ ცხრება შენი მძვინვარება!
- 143 „სრულყოფილო ქალბატონო, რომლის წინაშე ქედს იხრიან დიდი მეფენი!
- 144 „რომელსაც ლოცვა-მსახურებას აღვივლენენ უხუცესები!“
- 145 ინანას ანთებული გული დაუმშვიდდა!
- 146 ნათელმა მოიცვა! ნათელს დაჰბერა! მშვენებით იყო სავსე!
- 147 ასხივებდა ამომავალ მთვარის შუქივით!
- 148 ნანნამ აამაღლა და დაგვანახვა!
- 149 დედა ნინგალმა დალოცა!
- 150 კარიბჭის მცველებმა გზა მისცეს,
- 151 ყოველს დიდების სიტყვა აღმოხდა.
- 152 უცხო მიწების დამპყრობელი, ან-მა აკურთხა!
- 153 ჩემს ქალბატონს მშვენება მოსავს, ქება ინანას!



# შუმერული ეპოსები



## წინასიტყვაობა



ამ წიგნში წარმოდგენილი ოთხი შუმერული პოემა მოგვითხრობს ქ. ურუქის (ბიბლ. ერეხი, თან. ვარქა) ლეგენდარული მეფის, ენმერქარის გამარჯვების შესახებ მდიდარ მითიურ ქალაქ არათაზე. ურუქის მეფე ენმერქარი შუმერული დამწერლობის გამოგონებლად ითვლება. მის სახელს უკავშირდება ასევე ქ. ურუქის ლიტერატურული ტრადიციის გაჩენა და ჩამოყალიბება. ამ პოემებში წარმოდგენილი ურუქის მეფეები მეფე გილგამეშის – გილგამეშის ეპოსის მთავარი გმირის – წინაპრები არიან. ისინი წარმოადგენენ ორ ან სამ თაობას, შუმერულ მე-ფეთა სიებში მოიხსენიებიან და წარღვნის შემდგომ მეორე დინასტიად იწოდებიან.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ოთხი პოემა ერთმანეთთან მრავალმხრივად დაკავშირებული: გააჩნია საერთო თემა (ურუქის უზენაესობის აღიარება არათაზე); ერთსა და იმავე პერიოდს განეკუთვნება (შუმერული ცივილიზაციის მწვერვალი, რაც გამოიხატება ქ. ურუქის თაყვანისცემაში); ერთ სივრცეში მოქმედებს (ურუქი, არათა და მათ შორის არსებული უდაბური ადგილები) და მასში ერთი და იგივე გმირები მონაწილეობენ (ენმერქარი<sup>1</sup>,

---

<sup>1</sup> ენმერქარი – შუმერული ეპიკური თქმულებების გმირი. მეფეთა სიაში ნათქვამია: „ენმერქარ მეშქიაგაშერის ძე, ურუქის მეფე, იმეფა 420 წელი“. ამავე სიის მიხედვით, მამამისი მეშქიაგაშერი, უთუს, მზის ღმერთის ძე, როგორც ჩანს, რომელიღაც დაკარგული მითოსის პერსონაჟი იყო. მასზე ნათქვამია: „ზღვაში შევიდა და მთიდან გამოვიდა“, რაც ასახავს მზის დღელამურ გზას. წარმოდგენილ ეპოსში ენმერქარი მზის ძედ არის შერაცხული. მასვე მიეწერება ლურსმული დამწერლობის გამოგონება.



ლუგალბანდა<sup>1</sup>, არათას ბატონი და ქალღმერთი ინანა<sup>2</sup>);

დაბოლოს, აქვს მსგავსი სიუჟეტი – არათას დამორჩილება უბრძოლველად.

არსებობს მოსაზრება, რომ ეს ციკლი ურის III დინასტიის პერიოდში (ძვ. წ. 2112-2004 წ.წ.) შეიქმნა, თუმცა ტექსტების და, შესაბამისად, ფირფიტების ძირითადი ნაწილი ისინ-ლარსას პერიოდით (ძვ. წ. 2017-1763 წ.წ.) თარიღდება<sup>3</sup>, ფირფიტები შექმნილია ქ. ურისა და ქ. ნიფურის დამწერლობის სკოლებში. ისინი ძალიან კარგადაა შემონახული<sup>4</sup>, განსაკუთრებით კი, ზოგიერთი ტექსტი, მაგალითად, ქალაქის ელეგიები ან გაბაასებები.

## ეპოსებში მოთხრობილი ამბები

ყველა მონათხრობის თემას წარმოადგენს დაპირისპირება ქ. ურუქსა და არათას ქვეყანას შორის იმის შესახებ, თუ რომელია ინანას რჩეული. პირველ პოემაში – „ენმერქარი და ენსუხგირანა“ – მოიხსენიება ინანას რჩეული ენმერქარი ინტიმური სიტყვებითა და ფრაზებით, რაც საკრალური

<sup>1</sup> ლუგალბანდა – (შუმ. „მეფე-ყრმა“) ურუქის ლეგენდარული მეფე, რამდენიმე შუმერული ეპოსის პერსონაჟი. ის ურუქის დინასტიის მესამე მეფეა, მოსდევს ენმერქარს. აქ იწოდება „მწყემსად“: ლუგალბანდა, მწყემსი, მეფობდა 1200 წელი. ისევე, როგორც მის მემკვიდრეებს ურუქის ტახტზე, მის სახელს წინ უძღვის ღვთაების დეტერმინატივი. ურის III დინასტიის მეფეები მამად, წინაპრად თვლიდნენ, რაკი ურუქიდან გამოჰყავდათ თავიანთი მოდგმა...

<sup>2</sup> ინანა – განთქმული შუმერული ქალღმერთი, რომელიც ყველაზე მეტ მითოლოგიურ ტექსტში მონაწილეობს. ტექსტების ერთ ნაწილში გულუბრყვილო, შეყვარებული გოგონაა, რომელიც მთავარიან ღამეებს თავის სატრფოსთან, დუმუზისთან ერთად ატარებს. იკვეთება მისი ორი ასპექტი – სიყვარულისა და ბრძოლის. როგორც სიყვარულის ქალღმერთის, ინანას ასტრალური გამოსახულებაა მწუხრის ვარსკვლავი, ხოლო ბრძოლის ასპექტს ცისკრის ვარსკვლავი გამოხატავს. ინანას ეპითეტებია: „ბრწყინვალე“, „უძვირფასესი დედოფალი“, „ერთადერთი ვარსკვლავი“. მისი მთავარი საკულტო ქალაქი იყო ურუქი, სადაც ეანას სახელწოდებით ცნობილ ტაძარში მას საღვთო როსკიპები ემსახურებოდნენ. აქ სრულდებოდა საკულტო ქორწინების წესი ურუქის ქურუმსა და საღვთო როსკიპს შორის, რომლებიც განასახიერებდნენ მითოსურ წყვილს, ინანასა და დუმუზის.

<sup>3</sup> მნიშვნელოვანი გამონაკლისია „ლუგალბანდას დაბრუნება“. ძალიან გვიანდელი ბილინგვური ვერსიაა.

<sup>4</sup> გამონაკლისს წარმოადგენს „ლუგალბანდა უდაბურ მთებში“, განსაკუთრებით მისი ბოლო, მე-3 ნაწილი. ეს ნაწილი კვლავ ბუნდოვანი რჩება, რადგან ტექსტი, ძირითადად, ფრაგმენტულადაა შემონახული.



ქორწინების აქტი<sup>1</sup> მეფის ექსკლუზიურ უფლებაზე მიანიშნებს.

ინანას მთავარი სამყოფელი ხან ერთი ქალაქია, ხან – მეორე. ყველა შემთხვევაში დაპირისპირება გვარდება არა ძალადობით, არამედ სხვადასხვა გზებით, რომლებზეც ეს ოთხი ეპოსი მოგვითხრობს. მაშასადამე, თითოეული სიუჟეტის გადმოცემისას მნიშვნელოვანია ძირითადი სტრუქტურის იდენტიურობა.

სტრუქტურა საკმაოდ მარტივია: ერთი მმართველი იწვევს მეორეს და აცხოვინებს, რომ მას უნდა დამორჩილდეს. ის ხაზს უსვამს საკუთარ უპირატესობას, შემდეგ კი – მისი ქალაქის დიდებულებას. გამოწვევა ან სიტყვიერად ხდება („ენმერქარი და არათას ბატონი“, „ენმერქარი და ენსუხგირანა“), ან სამხედრო მოქმედების ფორმას იღებს („ლუგალბანდა უდაბურ მთებში“ და „ლუგალბანდას დაბრუნება“). მმართველი შედეგს სხვადასხვა გზით აღწევს. სწორედ ეს არის პოემის ძირითადი ნაწილი. ფინალში დაპირისპირება გვარდება ან არათას ქვეყნის დამორჩილებით („ენმერქარი და ენსუხგირანა“ და „ლუგალბანდა უდაბურ მთებში“, „ლუგალბანდას დაბრუნება“), ან დაზავებით („ენმერქარი და არათას ბატონი“). რამდენადაც ამ ამბებს ერთნაირი სტრუქტურა აქვთ, იმდენად განსხვავებულია მათი სიუჟეტები.

„ენმერქარი და ენსუხგირანა“. აქ მოთხრობილი ამბავი განსხვავებულია. ამ შემთხვევაში, არათას ბატონი თავის უპირატესობას აცხადებს იმ მოტივით, რომ ის ქალღმერთ ინანას რჩეულია (მისი სექსუალური პარტნიორი). ენმერქარი პასუხობს, რომ ის ცდება. დავა ვერ წყდება. მაშინ პოემაში შემოდის ახალი პერსონაჟი – გრძნეული, რომელიც მშობლიური ქალაქიდან გამოქცეული ლტოლვილია არათაში. ის თავისი ჯადოქრობით იწყებს ურუქის დამორჩილებას: შეულოცავს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს, რათა შუმერში პირუტყვი განყდეს. შუმერები საპირისპირო ზომებს იღებენ და ბრძენი ქალი პაექრობაში იწვევს გრძნეულს. ბრძენის თეთრი მაგია, რომელიც სიცოცხლის გადარჩენაზეა დამყარებული, იმარჯვებს, ხოლო გრძნეული თავის უნარს კარგავს. ამის შემდეგ შუმერში სიცოცხლე კვლავ აღდგება.

„ენმერქარი და არათას ბატონი“. ამ ძეგლში დაპირისპირება გამოწვევებისა და კონტრამოწვევების სერიულ ფორმას იღებს. არათას ბატონი სამჯერ ადასტურებს, რომ ურუქს მხოლოდ იმ შემთხვევაში

<sup>1</sup> „საკრალური ქორწინების უფლება“ მიანიშნებს იმაზე, რომ ქალაქის მმართველმა ყოველწლიურად ხელახლა უნდა დაადასტუროს კავშირი ზეცასა და თავის ქალაქს შორის ახალი წლის დღესასწაულზე ქალაქის ქალღმერთთან შეერთების (სექსუალური კავშირის) საშუალებით. ამ ლიტერატურული ძეგლის გარდა ეს პრაქტიკა არსად დასტურდება (იხ. Kramer, 1969).



დამორჩილდება, თუ მისი მმართველი ენმერქარი იმ შეუძლებელ ამოცანას გადაწყვეტს, რომელსაც თვითონ სთავაზობს.

შუმეროლოგების უმრავლესობა დაგვეთანხმება, რომ ეს, დაახლოებით 640 სტრიქონისაგან შემდგარი ტექსტი, სინამდვილეში ისტორიის პოეტურად გადმოცემის უმშვენიერესი ნიმუშია, რომელიც ძველბაბილონელმა ავტორებმა დაგვიტოვეს. როგორც აღვნიშნეთ, არათას ციკლის საერთო თემა მეტოქეობა ურუქსა და არათას შორის, რომელიც ამ პოემაში წარმოდგენილია, როგორც უბრალოდ გონების შეჯიბრი.

„ლუგალბანდა უდაბურ მთებში“ და „ლუგალბანდას დაბრუნება“. ეს ორი პოემა ერთად უნდა იქნეს განხილული. აქ ენმერქარი არათას დასამორჩილებლად სამხედრო მოქმედებას იწყებს. მას სურს, რომ ამ ქვეყნის სიმდიდრით შეამკოს თავისი მშობლიური ქალაქი – ურუქი და, რაც მთავარია, ქალღმერთ ინანას ტაძარი. უკაცრიელ მთებში მწყობრად მიაბიჯებს ურუქის დიდძალი ლაშქარი, რომელსაც წინ მიუძღვის ლუგალბანდა, რვა ძმას შორის ყველაზე უმცროსი. ის გზაში ძლიერ ავად ხდება. მომაკვდავს მაღალი მთის გამოქვაბულში ტოვებენ, თუმცა დიადი მნათობები მის სიცოცხლეს იხსნიან, რის შესახებაც ლუგალბანდას სიზმრის საშუალებით ამცნობენ. ღმერთები, რომელთათვისაც ლუგალბანდამ ჩინებული ნადიმი მოაწყო, მას ადამიანთა შორის გამორჩეულ ადგილს უმკვიდრებენ. სანამ ლუგალბანდა უკაცრიელ მთებში მარტო იყო, მას უზარმაზარი ფრინველი – ანზუდი იცავდა.<sup>1</sup> ის ფრინველს ყველაფერს შეჰპირდა, სანაცვლოდ კი ჯადოსნური სიჩქარე მოსთხოვა. ანზუდისგან მიღებული ჯილდოს მეშვეობით ლუგალბანდა მყისვე დაბრუნდა თანამებრძოლებთან, რომელთაც არათაზე ალყა ჰქონდათ შემორტყმული, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევდნენ. მეფე ენმერქარს შიკრიკი სჭირდებოდა, რათა უკან გაეგზავნა ურუქში და რაც შეიძლება სწრაფად მოეხმო ქალღმერთი ინანა დასახმარებლად. ლუგალბანდამ გზა ერთ დღეში განვლო. ინანამ მას მაგიური რიტუალი გაუმხილა, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებდნენ არათას ქვეყნის დამარცხებას. ურუქი ინანას დახმარებით იმარჯვებს.

შუმერული ტექსტების ყველა ვერსია ერთსა და იმავე პერიოდს განეკუთ-

<sup>1</sup> ანზუდი – (ძველი ნაკითხვით: იმდუგუდ), მითოსური ფრთოსანი, ლომისსახიანი არწივი, რომელიც თავისი გარეგნული სახით და ფუნქციით ქართული ზღაპრების ფასკუნჯს მოგვაგონებს. ანზუდი პერსონაჟია შუმერული და აქადური მითოლოგიური თქმულებებისა. შუმერულ მითოლოგიაში კეთილ არსებადაა წარმოდგენილი, მთავარი გმირის დამხმარე პერსონაჟია. აქადური მითოსის მიხედვით, ბოროტ, კოსმოსის მოწინააღმდეგე არსებადაა წარმოდგენილი. ის ბედისწერათა დაფებს გაიტაცებს, რის გარეშეც სამყარო სიბნელესა და ქაოსში ბრუნდება. სამყაროს იხსნის ღმერთი ნინურთა.





ვნება. ისიც ნათელია, რომ მთავარი პრობლემა მოქცეულია ერთ ჩარჩოში, გადანყვეტილია იდენტური გამოსავლით და სამი სხვადასხვა საშუალებით. შეიძლება ითქვას, რომ სქემა სამივე ამბისთვის საერთოა, თუმცა რალაც ნაწილი მაინც ბუნდოვანი რჩება. მეორე მხრივ, სამივე სიუჟეტი გარკვეულნილად აბსტრაქტულია. პოემა „ენმერქარი და არათას ბატონი“ გადაუჭრელ გამოცანებსა და რებუსებს გვთავაზობს. სქემა თითქოს ხალხური ზღაპრების იდენტურია. პოემა „ენმერქარი და ენსუხგირანას“ სიუჟეტი, ძირითადად, მაგიურ პაექრობებს შეიცავს. ლუგალბანდას ორივე პოემის სიუჟეტის განვითარებასთან ერთად უმნიშვნელო პერსონაჟი თანდათან ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება. თუ დავაკვირდებით ტექსტის სტრუქტურას, დავინახავთ, რომ სიუჟეტი დიდი ოსტატობითაა ხორცშესხმული. ტექსტისა და სიუჟეტის სტრუქტურის შერწყმა სამივე შემთხვევაში შეუმჩნეველი რჩება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ სიუჟეტები, მიუხედავად მათი ბუნდოვანი სტრუქტურისა, შერწყმულია თავიანთ დედააზრთან. „ენმერქარი და არათას ბატონის“ ამოცანები შემთხვევითია. მათი გადმოცემის ზეპირ, მაგრამ ძალიან ექსპრესიულ ფორმას ამკვიდრებს პოემა „ენმერქარი და ენსუხგირანა“. პოემის – „ლუგალბანდა უდაბურ მთებში“ – ტექსტის სტრუქტურა გაურკვეველია. მასში ნაჩვენებია, თუ როგორ გარდაიქმნება ყველაზე ახალგაზრდა და სუსტი ზეადამიანად, თავისი ხალხის გმირად. ეჭვს არ იწვევს, რომ ეს პოემები საქმის ცოდნითა და დიდი მონდომებითაა შექმნილი. ცხადია, რომ საქმე გვაქვს სიტყვის უნიჭიერეს ოსტატებთან.

## ღმრო და სიგნცე

მეფეთა ეპოსები სათავეს იღებს ქ. ურუქში ენმერქარის ბრწყინვალე მეფობის პერიოდიდან. შუმერ მეფეთა სიების მიხედვით,<sup>1</sup> დინასტია, რომელსაც ის განეკუთვნებოდა, წარღვის შემდეგ მეორე იყო. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ენმერქარი არის მეფე, რომელმაც ქ. ურუქი ააშენა.<sup>2</sup> ამის

<sup>1</sup> მეფეთა სიები არის ე. წ. ისტორიოგრაფიული დოკუმენტი ისინ-ლარსას პერიოდიდან (ძვ. წ. 2017-1760 წ.წ.), ან ურის III დინასტიის პერიოდიდან (ძვ. წ. 2112-2004 წ.წ.). ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია მმართველი დინასტიები და მათი ქალაქები, მოცემულია მმართველთა მეფობის წლებიც „ციდან მეფობის ჩამოსვლის შემდეგ“; დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარღვნას, როგორც გარდამტეხ ზღვარს.

<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ გილგამეშის ტრადიციით მას მიეწერება სამშენებლო საქმიანობა ურუქში. სხვა, მაგ., სხენებული ტრადიციით არსად არის ნათქვამი, რომ გილგამეშმა ააშენა ქ. ურუქი. გილგამეშმა ააშენა საოცარი გაღავანი, ხოლო ენმერქარმა – ქალაქი ურუქი.



შესახებ ნათქვამია პოემების შესავალშიც (მაგ., „ენმერქარი და არათას ბატონი“), ან რომელიმე პასაჟში (მაგ., „ლუგალბანდას დაბრუნება“, ენმერქარის ვედრება ინანასადმი). ასე რომ, აქ მოთხრობილი ამბები სწორედ იმ დროს ემთხვევა, როდესაც თავდაპირველად აშენდა ქ. ურუქი, ანუ როცა ისტორია დაიწყო.<sup>1</sup> მეორე მხრივ, ამ პოემებში საერთოდ არ არის დროის შეგრძნება. დრო, რომელშიც სამ პოემაში მოთხრობილი ამბები ვითარდება, რეალურისგან შორსაა. მაგალითად, დიდი სხვაობაა „ენმერქარი და არათას ბატონის“, ასევე „ენმერქარი და ენსუხგირანას“ სხვადასხვა ეპიზოდებში აღწერილსა და რეალურ დროს შორის. დროის ფენომენი ყველაზე საინტერესოდ ლუგალბანდას პოემებშია გამოყენებული. აქ საბრძოლო მოქმედების დაწყების დრო მკაცრად არის განსაზღვრული; ლუგალბანდას ავადმყოფობა მხოლოდ სამ დღეს გრძელდება. ლიტერატურის ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხდება დროის დაფიქსირება. ის, ვინც განწირულია სასიკვდილოდ, მესამე დღეს თავისი ხალხის მხსნელად გვევლინება. ამასთან, ლუგალბანდა ერთ დღეში გაივლის გზას არათადან ურუქამდე, მაშინ როდესაც ჯვარს ამავე მანძილის გასაველელად გაცილებით მეტი დრო სჭირდება. ეს თხრობის ხარვეზადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა შესაძლებელია სხვაგვარი ინტერპრეტაციაც, მაგალითად, როგორც განსხვავება „ნამდვილ“ და „ზებუნებრივ“ დროებს შორის, როცა დრო სივრცეს ენათესავება.

ამ პოემებში სივრცეს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. წარმოდგენილია ორი ადგილი, ანუ ორი პოლუსი. ერთია ურუქი – საქვეყნოდ ცნობილი შუმერული ქალაქი, მეორე კი – ლეგენდარული სიმდიდრის მქონე არათა, რომლის შესახებაც ცნობები არ გვაქვს. როგორც მონათხრობიდან ჩანს, ურუქი ერთი ათასწლეულის განმავლობაში დიდი და მდიდარი მეტროპოლისი უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, მანამდეც, სანამ პოემები შემოინახავდნენ ფაქტებს მის შესახებ. თანამედროვე მკვლევართა ნაშრომები არათას სავარაუდოდ ადგილზე მიგვანიშნებს. მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ არათა ცენტრალური ირანის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ლილაქვით ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. როგორც ცნობილი ასირიოლოგი მიხალოვსკი მიიჩნევს, შესაძლოა, არათა წარმოსახვითი გეოგრაფიის საკუთრება იყოს და „რეალურ“ რუკაზე არც არასოდეს არსებულიყო.<sup>2</sup> ასევე გაურკვეველი რჩება უდაბნოსთან გაიგივებული უკაცრიელი

<sup>1</sup> *ab urbe condita* – „მას შემდეგ, რაც ქალაქი დაარსდა“. რომაელი ისტორიკოსები ასე აღნიშნავენ დროს, საიდანაც მათი ისტორია იწყება.

<sup>2</sup> Michalowski, „Poetical and Mythical“, 1988.



მთების ადგილები, რომლებიც ლუგალბანდას ეპოსებში გვხვდება. მდიდარი და უცნობი არათას მსგავსად, აქ საშიში, იდუმალი ადგილები იგულისხმება.

პოემებიდან ამკარად ჩანს, რომ მოქმედების სივრცე ასევე ლიტერატურის საკუთრებაა. პოემებში „ენმერქარი და არათას ბატონი“, „ენმერქარი და ენსუხგირანა“ სამოქმედო სივრცე ურუქსა და არათას შორისაა მოქცეული, სადაც აღწერილია ბრძოლის სცენები. ლუგალბანდას ორ პოემაში მკაცრადაა განსაზღვრული მარშრუტი ურუქიდან არათასკენ და უკან. ამ თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია ლუგალბანდას თავგადასავალი უკაცრიელ მთებში. ეს ისევე და ისევე ზებუნებრივი განზომილებაა და არა წარმავალი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლუგალბანდამ სამ „არამქვეყნიურ“ დღეში უმნიშვნელოვანესი გზა განვლო და რეალურ სამყაროს გასცდა.

## მოქმედი გმირები

ეპოსების მთავარი მოქმედი გმირები ენმერქარი, ლუგალბანდა და არათას ბატონი არიან. პირველი ორი, როგორც ურუქის მმართველები, შუმერ მეფეთა სიებში გვხვდება. ლუგალბანდა, ამ ციკლის გარდა, მოიხსენიება რამდენიმე სამეფო ჰიმნსა და „გილგამეშის ეპოსში“.<sup>1</sup>

ენმერქარმა, როგორც ლიტერატურულმა გმირმა, ძალიან დიდხანს იცოცხლა. იგი გვხვდება აქადის მეფის ლეგენდაში,<sup>2</sup> „ადაპას მითში“<sup>3</sup> და ე. წ. „უძველეს დროთა ქრონიკებში“<sup>4</sup>. უფრო მეტიც, იგი ჩნდება ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ კომპოზიციაში, რომელიც ეხება ენმერქარის მიერ ინანას ტაძრის მშენებლობას.<sup>5</sup>

არათას ბატონის შესახებ ჩვენთვის არაფერია ცნობილი. მისი სახელი მხოლოდ „ენმერქარი და ენსუხგირანას“ პოემაშია შემონახული.

მოქმედი პირების მეორე ჯგუფს მეორეხარისხოვანი გმირები შეადგენენ. ისინი არიან შუამავლები, რომლებიც ყველა პოემაში გვხვდებიან და ეპოსების „ენმერქარი და ენსუხგირანა“ და „ენმერქარი და არათას ბატონი“ ტექსტების დასაწყისშივე ჩნდებიან. მათი როლი იზრდება ლუგალბანდას

<sup>1</sup> გილგამეშის ციკლის შუმერულ სიმღერებში ლუგალბანდა მოიხსენიება, როგორც გილგამეშის მამა. გილგამეშის აქადურ ეპოსში ლუგალბანდა გილგამეშის პირადი ღვთაებაა.

<sup>2</sup> Westenholz, 1997:294-5.

<sup>3</sup> Foster, 1993:435.

<sup>4</sup> Grayson, 1970:147.

<sup>5</sup> Kramer, 1990.



პოემებში, თუმცა ისინი მაინც მეორეხარისხოვან გმირებად რჩებიან, თავად ლუგალბანდას გარდა, რომელიც ასევე გვევლინება, როგორც შიკრიკი. პოემაში „ენმერქარი და ენსუხგირანა“ მრავალი მეორეხარისხოვანი მოქმედი გმირია. ესენია: გრძნეული და ბრძენი ქალი საგბურუ. ამ პოემაში ღმერთებიც მოკრძალებულად ჩანან. მათ გარკვეული ფუნქცია აკისრიათ, თუმცა მათზე არ მოგვითხრობენ. მაგალითად, პოემაში „ენმერქარი და არათას ბატონი“ ენქი<sup>1</sup> ენმერქარს დიდ მხარდაჭერას უცხადებს. მისი ძალისხმევით ენმერქარი შეძლებს მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას.

თუმცა არის გამონაკლისებიც. ლუგალბანდას პოემებში გმირი თითქმის ყოველ წამს მჭიდრო კავშირშია ღმერთებთან და ისეთ ზებუნებრივ არსებებსა, როგორიცაა ანზუდი.<sup>2</sup> ამ შემთხვევაში წინა პლანზეა ანზუდი.

ეპოსებში ასევე გვხვდება სინათლისა და სიბნელის სულები. თითოეულ პერსონაჟს განსაზღვრული როლი გააჩნია. დიდმა მნათობებმა ლუგალბანდას სიცოცხლე იხსნეს. მას ღმერთებმა სიზმარი მოუვლინეს. ღმერთები ლუგალბანდას გამართულ წვეულებაზე ნადიმობენ. ანზუდი ლუგალბანდასთან მჭიდრო კავშირშია და მას ზეციური სისწრაფით აჯილდოებს. პოემა ლუგალბანდას ეძღვნება, მაგრამ თხრობის ხაზი შეცვლილია, რადგან მთელი აქცენტი შუამავალზე გადადის, თუმცა პოემის ბოლოს ჩანს, რომ მთავარი გმირი ის არის და არა ენმერქარი.

ინანა ყველა პოემაში გვერდიდან უყურებს მოვლენებს. საკამათოა, არის თუ არა ინანა პოემის მთავარი გმირი? პოემების – „ენმერქარი და ენსუხგირანა“ და „ენმერქარი და არათას ბატონი“ – დასაწყისში იგი ნამქეზებლად გვევლინება. დასაწყისშივე დაუფარავად ჩანს მისი მხარდაჭერა ერთ-ერთი მოპაექრის მიმართ, რაც ჩანს როგორც ენმერქარის განაცხადში

---

<sup>1</sup> ენქი – (შუმ. „ბატონი-მინა“), შუმერული წარმოშობის ღმერთი, რომელმაც მოგვიანებით მესამე ადგილი დაიჭირა ბაბილონის პანთეონის ტრიადაში ეას სახელით. მისი სამყოფელი მტკნარი წყლების ოკეანეა. მისი ძალით მოედინება ყველა მდინარე მიწაზე. ენქი სიბრძნისა და ხელოვნების, ასევე მაგიის ღმერთია, რადგან ის დასაბამს წყლის სიღრმეებიდან იღებს. მონაწილეობს პირველკაცის გაჩენაში და ამიტომაც ითვლება კაცობრიობის მფარველად. მისი წყალობით გადაურჩა წარღვნას ერთადერთი ადამიანი – ზიუსუდრა, იგივე უთნაფიშთი, რომელსაც წარღვნის შედეგად დაღუპული ცივილიზაცია უნდა აღედგინა.

<sup>2</sup> ამ ზებუნებრივი ფრინველის სახელის წაკითხვა დღემდე საკამათოა სპეციალისტებს შორის. ამ პოემებში ის იწერება, როგორც IM.DUG.UD – „ავდრის მძიმე ღრუბელი“, ასე რომ, ჭექა-ქუხილის ჩიტი წარმოადგენს ადეკვატურ თარგმანს. მისი წაკითხვა, როგორც „ანზუდი“, უნდა შეიცავდეს სიბრძნისა და უპირატესობის არგუმენტებს, თუმცა ზუსტი ეტიმოლოგია არ არის ცნობილი.



(სტრ. 78-113), ისე მის პირად რჩევაში ენმერქარის მიმართ (სტრ. 69-104). თუმცა აქ ამოსავალი ის არის, რომ ინანა ყოველთვის მხარს უჭერს ურუქის გამარჯვებას ენმერქარის მეთაურობით. პოემაში „ლუგალბანდას დაბრუნება“ ინანა გვევლინება, როგორც კონფლიქტის წამომწყები. ენმერქარი ინანას ემხრობა (სტრ. 294-321, 360-387). ყველაფერი იმაზე მიაწინებს, რომ ინანა თავად არის ჯილდო გამარჯვებულისთვის. იგი ინანას სატრფო ხდება. აქედან გამომდინარე, ინანა ბრძოლის აქტიური მონაწილეა. პოემაში „ენმერქარი და არათას ბატონი“ ის აქე ზებს ენმერქარს, ხოლო „ლუგალბანდას დაბრუნებაში“ – შედეგს განსაზღვრავს. ლუგალბანდას პირველ პოემაში ის სამ მნათობთა შორისაა: მზე, მთვარე და ინანა. ეს მნათობები გმირის სიცოცხლის მხსნელია. როგორც ყოველთვის, ინანას სრულყოფილად ამოცნობა შეუძლებელია. ინანას არაერთგვაროვანი ქცევა მის გუნება-განწყობაზე დამოკიდებული, რასაც სხვა მრავალი წყაროც ადასტურებს.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ურუქის მთავარი ტაძარი ე-ანა<sup>2</sup> ინანას მთავარი ადგილსამყოფელია. ურუქის ბრწყინვალეობას გამოხატავს ენას ტაძარი. ამიტომაც ურუქის გამარჯვება არათაზე სამართლიანია, რასაც ინანას მხარდაჭერა განაპირობებს. არათა უნდა დამორჩილდეს ურუქს, როგორც ინანას სამფლობელოს, რაც ყველა ეპოსის საერთო მოტივია.

## ეპოსების ჩანაფიქრი და დედააზრი

პოემების ძირითადი მიზანი ურუქის დინასტიის და, ზოგადად, შუმერის ქება-დიდებაა. ამ მიზნის მისაღწევად თითოეული ნაწყვეტი ეფუძნება ფაქტს, რომლის შედეგიც ენმერქარისა და ურუქის მიმართ ინანას სიყვარულია. ამიტომაც, გადამწყვეტია ე-ანას, ინანას სამყოფელის შენება და შემკობა. ამასთან, პოემების ტექსტები „იხსენებს“ ურის III დინასტიის დიდებას, რაც ყველაზე მკაფიოდ ჩანს ტექსტში, რომელსაც „ნუდიმუდის ლოცვა“ ეწოდება. ურის III დინასტიის მმართველები თავიანთ წარმომავლობას ურუქში ეძებდნენ და საკუთარ თავს უკავშირებდნენ ურუქის მეფე უთუ-ხენგალს, რომლის ძმამ, ურნამუმ ძვ. წ. 2112 წელს ურის ქალაქ-სახელმწიფო და ურის დინასტია დააარსა. იდეოლოგიური დასაბუთება ასეთია: შორეულ წარსულში ურუქის ბრწყინვალე მმართველებმა ჩაუყარეს საფუძველი შუმერის დიდებას მთელ ქვეყანაზე და ამის გამოხატულება იყო სწორედ ურის III დინასტიის დროინდელი ქალაქ-სახელმწიფო.

<sup>1</sup> Bahrani 2001: 148-50, 155-60.

<sup>2</sup> ე-ანა – შუმ. „სახლი ციური“.



ეს გამორჩეულობა სამხედრო ძლიერებაში და სამეფო ხელისუფლებაში არ გამოიხატებოდა. ის დამყარებული იყო შუმერთა კულტურულ ღირებულებებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ურუქ-შუმერის უპირატესობა ეფუძნებოდა რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს, რაც ამ პოემების მთავარი სათქმელია. იგულისხმება ყოფით, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკის სფეროებში სხვადასხვა სიახლეების დანერგვა, მაგალითად, „ვაჭრობის“ გამოგონება, რის შესახებაც გვაუწყებს „ენმერქარი და არათას ბატონის“ ტექსტი. იგივე ტექსტი მოგვითხრობს შუმერთა უხვ ხორბალსა და მის დამუშავებაზე (პირველი შეუძლებელი ამოცანა), მაღალი ტექნოლოგიით ხელოვნური მასალის მიღებაზე (სკიპტრის შექმნა უჩვეულო მასალით – მეორე შეუძლებელი ამოცანა), ასევე ქსოვილების წარმოების მაღალ სტანდარტზე (ბოლო შეუძლებელი ამოცანა). ეს სამი ტექნოლოგიური მიღწევა, ასევე მისი უპირატესობა ვაჭრობაში, ურუქის პრიორიტეტს განაპირობებს. აქედან გამომდინარე, მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვადასხვა წიაღისეული (არათას ძვირფასი ქვები და ლითონები). უფრო მეტიც, ამ პოემებში საუბარია შუმერული ენის გლობალიზაციაზე (ნუდიმუდის ლოცვა) და დამწერლობის გამოგონებაზე, რაც შუმერების მთავარი პრიორიტეტია და, შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობის<sup>1</sup> კონტროლზე.

პოემაში „ენმერქარი და ენსუხგირანა“, ერთი შეხედვით, მარტივად აღიქმება ის, რომ ინანა უპირატესობას ანიჭებს ენმერქარს, რაც თითქოს მისი ახირებული არჩევანია, როგორც სექსუალური პარტნიორისა. ამის შემდეგ ტექსტი მოგვითხრობს ბნელ ძალებზე, რომლებიც ემოქერებიან შუმერთა საზრდოს.<sup>2</sup> სავარაუდოა, რომ ბრძენი ქალი საგბურუ, რომელიც შუმერის ქვეყანას სასიცოცხლო ძალებს უბრუნებს, არის ინანა.

ლუგალბანდას პოემებში ასევე ვხვდებით ეთიკურ ელემენტებს. ლუგალბანდას გადაქცევა თავისი ხალხის მხსნელად, რამაც ის მჭიდროდ დააკავშირა ღმერთებთან, ქ. ურუქის დამსახურებაა. უფრო მეტიც, დარდმა და ვარამმა ლუგალბანდა აამაღლა სამყაროს ურიცხვ ვარსკვლავებამდე. ყოველივე ამან ის მოამზადა შუამავლის მისიისთვის ურუქსა (მიწიერ სამყაროს) და ინანას (ზეციურ სამყაროს) შორის, რის შედეგადაც ურუქმა უცხო ძალის დამარცხება შეძლო. მოხდა ისე, რომ ყველაზე საშიშ და უცხო

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, დამწერლობა შეიქმნა კომერციული და ადმინისტრაციული მიზნით. ეს მოხდა ქ. ურუქში. იხ. „ენმერქარი და არათას ბატონი“, რომელშიც საუბარია დამწერლობის შექმნაზე

<sup>2</sup> გრძნეული შეწყვეტს რძის მიცემას, რაც შუმერთა ორი საკვებიდან ერთ-ერთია. გრძნეულის სიცოცხლე საჭირო ხდება შუმერთა სასიცოცხლო ძალების აღსადგენად.



ადგილებში მან საკუთარი თავი ხელახლა შეიცნო და ღმერთების მფარველობით მხსნელად მოეწვინა თავის ხალხს.<sup>1</sup> კიდევ ერთხელ აშკარა გახდა, რომ ქ. ურუქი დიდი უპირატესობით სარგებლობდა „არაცივილიზებულ“ ქვეყნებს შორის. მაშასადამე, ამ პოემათა ჩანაფიქრი და მთავარი სათქმელი უცხო ქვეყნებზე შუმერთა უზენაესობისა და ჰეგემონიის გაცხადებაა.

## ლიტერატურული კონტექსტი

თუ მეფეთა ეპოსებს შუმერულ-აქადურ „სამეფო“ და „რელიგიურ“ ოდებსა და ჰიმნებს შევადარებთ, ისინი გაცილებით უბრალოდ და მარტივად გამოიყურება.

გილგამეშის შუმერული პოემებიც ურუქის ციკლის ნაწილია, თუმცა არათას ციკლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ჩვენ მიერ წარმოდგენილ პოემებს ძალიან უმნიშვნელო კავშირი აქვს მითებთან, ანუ ღმერთების ამბებთან.

მეფეთა ეპოსები იკვეთება, როგორც ცალკე თემა, რომელიც მსოფლიოს მართვას უკავშირდება. გილგამეშის ციკლი სერიულია მაშინ, როცა არათას ამბები მხოლოდ ერთ თემას შეიცავს. აქ გმირები ერთი დინასტიით არიან დაკავშირებულნი, თუმცა სხვა მხრივ ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდებიან. ენმერქარი იდეალური მმართველია, რომელიც ურუქის დაარსებიდან მისი უზენაესობის გამოხატულებაა. ლუგალბანდა ხდება მხსნელი, რომელიც ენმერქარს თავისი როლის შესრულებას შეაძლებინებს.

მეორე მხრივ, თუ გილგამეშის სიმღერებს მთლიან კონტექსტში განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იგი ისწრაფვის გახდეს იდეალური მმართველი. სხვადასხვა ნაწყვეტი, მათ შორის, დღე, სასწაულისა და დაკრძალვის რიტუალები, მნიშვნელოვანი მოვლენების თანამიმდევრულ გადმოცემაზე მიანიშნებს. ყოველივე ეს გმირი მეფის მნიშვნელოვანებას უსვამს ხაზს, ასევე ემსახურება მის უზენაეს პოზიციას მიწისქვეშეთში.<sup>2</sup>

შუმერ მეფეთა ეპოსები გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება სამეფო ოდებს დავეუკავშიროთ, თუმცა ოდებისა და ჰიმნების მსგავსი პასაჟები, გარდა შესავალი ნაწილისა, ისეა შედუღაბებული სიუჟეტთან, რომ მათი ცალკე აღქმა შეუძლებელია.

<sup>1</sup> შეიძლება პარალელის გავლება გილგამეშთან, მის ზნეობრივ ევოლუციასთან.

<sup>2</sup> აშკარაა, რომ გილგამეშის სიკვდილი გახდა ენქიდუს სიკვდილის მოდელი. დაკრძალვის უფრო გვიანი ტრადიციით, სავარაუდოა კავშირი გილგამეშის სიკვდილსა და ურნამუს სიკვდილს შორის. იხ. Veldhuis 2001; Fluckiger-Hawker 1999, p.93-182.



მეფეთა ეპოსები შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: საკითხის დასმა და მონინალმდეგის გამოწვევა. დავა-კამათი სერიულადაა წარმოდგენილი და ორივე მოასპარეზის ზეპირ არგუმენტებს შეიცავს. პაექრობის შედეგი საბოლოოდ ღმერთების სიტყვასა და გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ შედეგი დამოკიდებულია ღმერთებზე, ურუქის გამარჯვება არათავშენიანია ქმედებებს ემყარება და არა ღმერთების სიტყვას.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულის გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, იბადება კითხვა: ვინ შექმნა ეს თხზულებები? რა მიზნით და ვისთვის შექმნა ისინი? ეჭვგარეშეა, რომ ეს პოემები, ისევე როგორც შუმერული ლიტერატურის დიდი ნაწილი, შუმერთა დამწერლობის სკოლების პროდუქტს წარმოადგენს. ზუსტად არ არის ცნობილი, მწერლებმა შექმნეს თუ არა ეს პოემები; მაგრამ ისინი ხალხმა შეითვისა და ტრადიციად აქცია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ ეპოსების შესწავლა სკოლების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა და ქ. ნიფურის სკოლის ლიტერატურის სწავლების ძირითადი ბაზა იყო. ჩვენი პოემები ცნობილია სხვადასხვა ფირფიტებიდან, რომელთა უმეტესობა ქ. ნიფურის ე-დუბადანაა.<sup>1</sup> მეორე ნაწილი ქ. ურშია ნაპოვნი. ჩვენ ხელთაა რამდენიმე სრული ვერსია. არის შეცდომებიც. სავარჯიშო ფირფიტები სწავლების საწყის ფაზას განეკუთვნება. არსებობს ფირფიტები, რომლებიც დამწერლობის შესწავლის უმაღლესი საფეხურისთვისაა განკუთვნილი. უფრო მეტიც, ოთხივე პოემა, როგორც ცალკე ჯგუფი<sup>2</sup>, სკოლის სასწავლო პროგრამათა კატალოგშია შეტანილი.

რასაკვირველია, ეს არ არის სრულყოფილი პასუხი დასმულ კითხვაზე. მეფეთა ეპოსების შექმნის საკითხი კვლავ მეცნიერული კვლევის საგანია.

პოემათა დედააზრი იდეოლოგიურად დამუხტულია, საკვება ნაციონალური და ისტორიული სიამაყის გრძნობით. ურუქის ლეგენდარული მმართველები სხვა ეთნოსებს შორის უპირველესნი არიან როგორც მატერიალური, ისე ეთიკური თვალსაზრისით და, შესაბამისად, თავიანთ უზე-

1 eduba – e – ახალი; dub – ფირფიტა, „ფირფიტის სახლი“. ყველაზე ცნობილი დამწერლობის შესწავლის ცენტრები იყო ბაბილონისა და ქ. ნიფურის ედუბა – „უნივერსიტეტი“. ძველბაბილონური პერიოდის შემდეგ (ძვ. წ. XVIII ს.) ედუბა გაქრა, როგორც ინსტიტუტი. კასიტურ პერიოდში (ძვ. წ. XIV ს.) განათლება გადავიდა რამდენიმე ფეოდალური სახლის ხელში. Joan Oates, Babylon, London 1991, p. 167.

<sup>2</sup> Philadelphia catalog, ix. Kramer, 1942.





ნავსობას ამტკიცებენ. ყოველივე ეს აშკარად აისახა ურის III დინასტიის პერიოდში, რომელიც შუმერის რენესანსის ხანად არის აღიარებული. ქ. ურის მეფეები და მათი შთამომავლები თავიანთ დიდებას ურუქიდან გადმოსულად მიიჩნევენ.

ერთი შეხედვით, ქ. ურის მეფე შულგის (ძვ. წ. 2094-2047 წ.წ.) დიდი ინტერესი დამწერლობის შესწავლის მიმართ და ამით გამოწვეული სიამაყე, შედარებით განვლული აქვთ გვიანდელ მმართველებს. ამ დროს ბაბილონი ჯერ კიდევ არ მოიცავდა იმხელა ტერიტორიას, როგორსაც ურის III დინასტიის სახელმწიფო, რომელიც ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე სხვა ქალაქ-სახელმწიფოებსაც აერთიანებდა. ნიშანდობლივია, რომ ისინი ურუქის ლეგენდარული გმირი-მეფეების (ძვ. წ. III ათასწ. I ნახ.) ბრწყინვალე მოდელს უბრუნდებიან.

როგორც ვნახეთ, შუმერებმა კაცობრიობას დაუტოვეს ყველაზე ძვირფასი შემეცნებითი იარაღი, რაც კი ოდესმე ადამიანს შეუქმნია. ესაა დამწერლობა, რომლის საშუალებითაც მათ მოგვცეს პირველი ოსტატურად შეკრული ლიტერატურული სისტემა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი პოემები დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათაა ჩანერილი და ისინი ჩვენს დროშიც ახდენენ ზემოქმედებას თავიანთი გამართული და ცოცხალი სტრუქტურით, კომპოზიციით, დახვეწილი სტილითა და პოეტური ენით, ასევე მდიდარი რიტორიკული ხერხებით. უფრო მეტიც, მათში დასმული პრობლემები შესაძლოა ოთხი ათასი წლის შემდეგ ჩვენთვისაც ისევე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც ამ ეპოხების თანამედროვეთათვის. სამყაროსა და საზოგადოების მოდელი, რომელიც ხორცშესხმულია ამ პოემებში, აშკარად იდეალურია.

შუმერულენოვანი ტექსტები თარგმნილია ქართულად პროფ. ჯეროლდ კუპერის მიერ გამოცემული ტრანსლიტერაციის მიხედვით.<sup>1</sup> აგრეთვე გამოყენებულია შუმერული ტექსტების ელექტრონული კატალოგი.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Society of Biblical Literature, Atlanta, edited by Jerrold S. Cooper.

<sup>2</sup> www. etcs1.orinst.ox.ac.uk



# ენმერქარი და ენსუხვიანა



## შესავალი

- 1 აგურთა წყობა წმინდა მთიდან ამობრწყინებული,
- 2 ქალაქი ქულაბა,<sup>1</sup> ცას სწვდება მიწიდან,
- 3 რომლის სახელიც თვალწარმტაცია ცისარტყელასავით –  
ურუქი,<sup>2</sup>
- 4 ცას სწვდება სინათლით თვალისმომჭრელით,
- 5 ცის წინაშე დგას, დარად ახალი მთვარისა.
- 6 ბრწყინვალედ ნაშენი, დაჯილდოებული ძალთა სიდიადით;
- 7 დაარსებული ბრწყინვალე დღეს, წმინდა მთის დარად,
- 8 მთვარის შუქივით მოჰფენია შუმერის მიწას,
- 9 მიწაზე ბრწყინავს, მზის სხივის დარად;
- 10 მაკე ფურივით უხვია ხბოსთან,
- 11 ქვეყნის საზღვრამდე აღწევს ურუქის დიდება,
- 12 მისი მელამი<sup>3</sup> პრიალა ვერცხლს ჰგავს,
- 13 სამოსივით ფარავდა არათას, ზენარივით გადაჰფარვოდა.
- 14 ოდეს დღე იყო ბატონი, ღამე უფლისწული და მზე მეფე,
- 15 არათას სუქალმახი<sup>4</sup> იყო ანსიგარია,
- 16 ენმერქარის, ქულაბას ბატონის, სუქალმახი იყო ნამენათუმა,



- 17 იგი იყო ბატონი და იყო უფლისწული,  
18 იმ ერთი ღამის ბატონი, იმ ერთი ღამის უფლისწული,  
19 მაგრამ მეორე, ანსიგარია იყო მრავალი ღამის ბატონი და მრავალი ღამის უფლისწული.  
20 ღმერთად შობილი კაცი იყო  
21 და ღმერთის მსგავსი...  
22 ეს დავა იყო ურუქ-ქულაბას ბატონსა და ენსუხგირანას შორის.  
23 ენსუხგირანა, არათას ბატონი  
24 იყო პირველი, რომელმაც შიკრიკს ურუქზე უთხრა:  
25 „იგი უნდა დამმორჩილდეს, უნდა დაიდგას ჩემი უღელი!  
26 „თუ კარგად მემსახურა, მაშინ მე და იგი,  
27 „მაშინ შეძლებს ინანასთან შესვლას ეგარაში,<sup>5</sup>  
28 „თუმც მე შევალ ინანასთან არათას ეზაგინაში,<sup>6</sup>  
29 „იგი დანვება აყვავებულ სანოლში ინანასთან,  
30 „მე კი ინანასთან ტკბილ ძილს მივეცემი ღვთაებათა მორთულ სარეცელზე;  
31 „იგი შეძლებს შეხვდეს ინანას ღამით სიზმრებში;  
32 „მე კი ინანას ფეხებს შორის ღვთიურ ნიაღს ვესაუბრები;  
33 „იგი დააპურებს ბატებს ქერით“;  
34 „მე, რა თქმა უნდა, ბატებს ქერით არ დავასუქებ.  
35 „მე შევავაროვებ კვერცხებსა და ჭუკებს კალათში,  
36 „მომცროებს – ჩემ ქოთანში, მოზრდილებს – ჩემ თასში,  
37 „ყოველი, რაც (ბატებს) დარჩება,  
38 „ჩემს მორჩილ ქვეყნის ბატონთ გაფუნანებ“.  
39 ეს დააბარა მან ენმერქართან.  
40 გარეული ტახივით გარბოდა შიკრიკი, მიფრინავდა შევარდენივით.  
42 დაჰფარფატებდა ირიბად ქალაქს ალიონზე ჩიტის გუნდივით;  
43 ქვეყნის გულს ღამით შეაღწია ჩიტის გუნდივით;  
44 ჩაუქროლა გატყორცნილი ისარივით,  
45 მთის შაქანივით,  
46 ნავარდობდა ძლიერ სახედარივით,



- 47 მიერეკებოდა სირბილს მონყურებული მოხდენილი სახედარი-  
ვით;
- 48 ღრიალებდა, როგორც ლომი მინდორში განთიადისას;
- 49 ჩქარობდა, ჰგავდა მგელს, კვიცი რომ დაუჭერია;
- 50 თაყვანს სცემდა [...] ადგილებს ჩავლისას,
- 51 სიტყვით ადიდებდა დიდებულ ადგილებს ჩავლისას.
- 51a ოდეს ენმერქარი წმინდა გიპარში<sup>6</sup> იყო, ის იქ შევიდა –
- 52 ყველაზე წმინდა ადგილას შევიდა, ოდეს იქ იყო ენმერქარი და  
თქვა:
- 53 „შენთან გამომგზავნა ჩემმა მეფემ;
- 54 „არათას ბატონმა, ენსუხგირანამ გამომგზავნა შენთან“.

ენმერქარი:

- 54a „რა არის შენი ბატონის სიტყვა, რა დაგაბარა ჩემთან?
- 54b „რა არის ენსუხგირანას სიტყვა, რა დაგაბარა ჩემთან?“

შოკოკი:

- 54c „ეს არის ჩემი ბატონის სიტყვა, ეს დამაბარა შენთან,
- 54d „ეს არის ენსუხგირანას სიტყვა, ეს დამაბარა შენთან,
- 55 „ეს ბრძანა ჩემმა მეფემ:
- 56 „უნდა დამმორჩილდეს, უნდა დაიდგას ჩემი უღელი!
- 57 „თუ კარგად მემსახურა, მაშინ მე და იგი,
- 58 „მაშინ შეძლებს ინანასთან შესვლას ეგარაში,
- 59 „თუმც მე შევალ ინანასთან არათას ეზაგინაში;
- 60 „იგი დანვება ინანასთან აყვავებულ სანოლში;
- 61 „მე კი ტკბილ ძილს მივეცემი ინანასთან ღვთებათა მორთულ  
სარეცელზე;
- 62 „იგი შეხვდება ინანას ღამით სიზმრებში,
- 63 „მე კი ინანას ფეხებს შორის ღვთიურ წიაღს ვესაუბრები;
- 64 „იგი დააპურებს ბატებს ქერით;
- 65 „მე, რა თქმა უნდა, ბატებს ქერით არ დავასუქებ.
- 66 „მე შევაგროვებ მათ კვერცხებს და ჭუკებს კალათში,
- 67 „მომცროვებს – ჩემს ქოთანში, მოზრდილებს – ჩემს თასში



- 68 „ყოველივე, რაც (ბატებს) დარჩება,  
69 „ჩემს მორჩილ ქვეყნის ბატონთ გაუფნანოვებ“.
- ენქექქანის პასუხი:  
70 ურუქის ბატონი... მწყემსი, რომელიც ხალხს მიმართავს,  
71 არის კისერი, რომელიც მართავს და ლაგამს სდებს მათ;  
72 იქ, სადაც სიმშვიდეს პოვებს,  
73 იგი ზეცის შურდულია – შევარდენია, იგი ასევე მათი ბუდეა.  
74 არათას დიდი ტაძრის აგურთა წყობა,  
75 ...არათაში... დიდი  
76 ...მოტანილი...  
77 იგი, ვინც თიხას აქცევს დაფად, იგი, ვინც შეიცნობს თიხის  
დაფას;<sup>7</sup>  
78 „იგი, ვინც იცხოვრებს ინანასთან არათას ეზაგინაში,  
79 „მაგრამ მე ვიცხოვრებ ინანასთან, ოდეს ვარსკვლავი ციდან  
მინაზე დაეშვება!  
80 „იგი შეძლებს ტკბილ ძილს მიეცეს ინანასთან, მორთულ  
სარეცელზე,  
81 „მე კი დავწვები ინანას აყვავებულ სანოლში.  
82 „მის უკან სვ-ლომია და მის წინ pirig-ლომი,  
83 „უკანა ლომი განდევნის წინა ლომს,  
84 „და წინა ლომი განდევნის უკანა ლომს,  
85 „უკანა ლომი ყოველთვის განდევნის წინა ლომს,  
86 „და წინა ლომი ყოველთვის განდევნის უკანა ლომს,  
87 „და ასე დღე არ დაღამდება და ღამე არ გათენდება,  
88 „მთელი გზა დავეხეტები ინანასთან ერთად, უსასრულოა  
სიყვარულის ღამე.  
89 „უთუ<sup>8</sup> არ [აჩერებს] მზერას ჩემს ღვთაებრივ გვირგვინზე.  
90 „ერთხელ ინანა შემოვიდა ჩემს წმინდა გიპარში;<sup>9</sup>  
91 „ენლილმა<sup>10</sup> ჭემმარიტი კვერთხი და გვირგვინი მიბოძა;  
92 „ნინურთამ,<sup>11</sup> ენლილის ვაჟმა,  
93 „კალთაში ჩამისვა, როგორც წყალი კალაპოტში.  
94 „არურუმ,<sup>12</sup> ენლილის დამ,



- 95 „მარჯვენა მკერდზე მიმინვინა, მარცხენა მკერდზე მიმინვინა,  
96 „ოდეს შევედი დიდ ტაძარში,  
97 „იგი კიოდა, მსგავსად ანზუდისა, ბარტყს რომ უკვივის;<sup>13</sup>  
98 „და როდესაც ახლოს მივედი,  
99 „ბარტყივით ღულუნებდა, მაგრამ ის ბარტყი არ არის.  
100 „არ განშორდება მშობლიურ ქალაქს, სადაც შობილა;  
101 „არასდროს ყოფილა სხვა ქალაქი, ნაშენი ურუქის მსგავსად;  
102 „ინანა ცხოვრობს ურუქში. რა არის არათა მისთვის?  
103 „აგურით ნაშენ ქულაბაში ბინადრობს, რომელიც მთაა ღვთაე-  
ბათა ძალით გაბრწყინებული, რა ძალუძს?  
104 „ხუთი, ათი წელი ის არ წავა არათაში;  
105 „ინანას წასვლაზე არათაში,  
106 „ე-ანას ქურუმი ქალი  
107 „მესაუბრა; გამანდო ვარსკვლავის გადანყვეტილება: ინანა არ  
წავა არათაში.  
108 „ვისაც არაფერი აბადია, ვერ დააპურებს ბატებს;  
109 „მე დავაპურებ ბატებს ქერით.  
110 „კვლავ შევაგროვებ ბატის ჭუკებს და კვერცხებს კალათაში,  
111 „მომცროვებს – ჩემს ქოთანში, მოზრდილებს – ჩემს სპილენძის  
თასში;  
112 „ყოველი, რაც დარჩება,  
113 „ჩემს მორჩილ შუმერის მმართველთ გაუუნანილებ!“  
114 ენმერქარის შიკრიკი ენსუხგირანას მიუახლოვდა;  
115 მის წმინდა გიპარში, მის ყველაზე წმინდა ადგილას,  
116 ყველაზე წმინდა ადგილას, სადაც მეფე კვარცხლბეკზე ზის,  
117 ენსუხგირანამ რჩევა ჰკითხა, პასუხს ელოდა;  
118 Išib, lumah, გუდუ და გირსიგა ცხოვრობენ გიპარში.<sup>14</sup>  
119 მან მოიხმო და რჩევა ჰკითხა:  
120 „რა ვუთხრა მას? რა მოვახსენო?  
121 „რა ვუთხრა ურუქისა და ქულაბას ბატონს?  
122 „რომლის ხარი ჩემსას შეერკინა,  
123 „ურუქის ხარმა გაიმარჯვა;



- 124 „მისი ფალავანი ჩემსას შეეჭიდა,  
125 „ურუქის ფალავანმა გაიმარჯვა;  
126 „რომლის ძალლი ჩემს ძალლს შეებრძოლა,  
127 „ურუქის ძალლმა გაიმარჯვა“.  
128 უხუცესებმა უპასუხეს გულახდილად:  
129 „პირველი იქნები, ურუქში გაგზავნილი,  
130 „ენმერქარისთვის შეთვლილი დიადი სიტყვა;  
131 „ვერასდროს აჯობებ ენმერქარს, თავს მოიტყუებ;  
132 „დანებდი! შენი სწრაფვა ფუჭია, დამანგრეველი, როდის ჩას-  
ნვდები?“

ენსუხციანა:

- 133 „ჩემი ქალაქი ნანგრევებად რომც იქცეს, რომც შიგ მოვექცე,  
134 „არასოდეს დავმორჩილდები ურუქისა და ქულაბას ბატონს“.

გრძნეული:

- 135 იყო გრძნეული ერთი, მისი გრძნეულება იყო ჰამაზუში,<sup>15</sup>  
136 სახელად ურგირუნა, გრძნეული ჰამაზისა,  
137 როდესაც ჰამაზუ ნანგრევებად იქცა, არათას მიაღწია,  
138 სადაც გრძნეულება გააგრძელა ე-გიპარის შიდა დარბაზებში.  
139 მან მიუგო ანსიგარიას:  
140 „ბატონო ჩემო, რატომ არის, რომ უხუცესები ქალაქისა,  
141 „წარღვნის დროიდან არსებული მამები,  
142 „ალარ სწყალობენ ქვეშევრდომთ, ალარ აძლევენ რჩევებს?  
143 „მე ურუქში არხებს გავიყვან  
144 „და მას არათას ბრწყინვალეობას დავუმორჩილებ.  
145 „ურუქის ბედი ოდითგანვე დადგენილია.  
146 „ყოველს ჩემს ურიცხვ ლაშქარს დავუმორჩილებ: სამხრეთიდან  
ჩრდილოეთამდე, თიამათიდან კედარის ტყემდე;<sup>16</sup>  
147 „ჩრდილოეთიდან სურნელოვან კედარის ტყემდე“.  
148 „ურუქი (თავის) დოვლათს ნავებით გადაზიდავს,  
149 „ნავები არათას ეზაგინაში თავს მოიყრინ“.  
150 ქვეშევრდომი ანსიგარია ქალაქის თავზე ავიდა, ის...





- 151 ...ანსიაგარია...  
152 ...ვერ... შეძლო  
153 „ბატონო ჩემო, რატომ არის, რომ უხუცესები ქალაქისა,  
154 „წარღვნის... დროიდან არსებული მამები,  
155 „ალარ სწყალობენ ქვეშევრდომთ, ალარ აძლევენ რჩევებს?  
156 „მე ურუქში არხებს გავიყვან!  
157 „და მას არათას ბრწყინვალებას დავუმორჩილებ.  
158 „ურუქის ბედი ოდითგანვე დადგენილია.  
159 „სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე, თიამათიდან კედარის ტყემდე  
ჩემი ლაშქრით დავიმორჩილებ,  
160 „ჩრდილოეთიდან სურნელოვან კედარის ტყემდე,  
161 „ურუქი დოვლათს ნავებით გადაზიდავს,  
162 „ნავები არათას ეზაგინაში თავს მოიყრიან“.  
163 ეამა ბატონს.  
164 ხუთი მინა ოქრო მისცა  
165 და ხუთი მინა ვერცხლი.  
166 უთხრა, ულუფად საუკეთესო კერძი ექნებოდა;  
167 საუკეთესო სასმელი ექნებოდა;  
168 „როდესაც (ჩემი) ხალხი ომის ნადავლს მოიხვეჭს,  
169 „ცხოვრებას ქონებით და სიხარულით ავივსებ, შენ ხელს შეახებ  
ნეტარებას!“ – ასე დაჰპირდა.  
170 გრძნეულმა ჩააგდო პირველი თესლი.  
171 (მისი) გზა ნისაბას<sup>17</sup> ქალაქ ერემუზე დააყენა.  
172 ბოსელში შევიდა, იქ ფურები ცხოვრობენ.  
173 ფური მის წინ ცახცახებდა, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა;  
174 ფური აალაპარაკა, თითქოს ადამიანი ყოფილიყოს:  
175 „ფურო, ვინ შეჭამს შენს ნალებს? შენს რძეს ვინ დალევს?“  
ფური:  
176 „ნისაბა შეჭამს ჩემს ნალებს;“  
177 „ნისაბა დალევს ჩემს რძეს;  
178 „ჩემს ყველს, ბრწყინვალე გვირგვინივით ამოყვანილს,  
179 „დიდ სანადიმო დარბაზში მიიტანენ, ნისაბას სანადიმო დარბაზში;



180 „თუ ჩემს ნალებს ამ ბრწყინვალე ბოსლიდან არ წაიღებენ,  
181 „თუ ჩემს რძეს ამ ბრწყინვალე ბოსლიდან არ წაიღებენ,  
182 „ნისაბას ერთგული ფური, ენლილის უფროსი ქალიშვილი, ვერ  
მიიღებს შესანიშნავს.“<sup>18</sup>

გ წ კ ნ ე უ ლ ი :

183 „ფურო, შენს ბრწყინვალე რქებს შენი ნალები, შენს ზურგს შენი  
რძე!  
184 „ფურის ნალები (მის) რქებში გროვდება, ზურგზე მიჟონავს“.  
185 იგი ჩავიდა ბრწყინვალე სადგომში, ნისაბას ბოსელში.  
186 ბოსელში თხა მის წინ ცახცახებდა, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა;  
187 მან თხა ისე აალაპარაკა, თითქოს ადამიანი ყოფილიყოს:  
188 „თხოო, ვინ შეჭამს შენს ნალებს? შენს რძეს ვინ დაღვევს?“

თ ხ ა :

189 „ნისაბა შეჭამს ჩემს ნალებს,  
190 „ნისაბა დაღვევს ჩემს რძეს,  
191 „და ჩემს ყველს, ბრწყინვალე გვირგვინივით ამოყვანილს,  
192 „დიდ სანადიმო დარბაზში მიიტანენ, ნისაბას სანადიმო დარ-  
ბაზში;  
193 „თუ ჩემს ნალებს ამ ბრწყინვალე ბოსლიდან არ წაიღებენ,  
194 „თუ ჩემს რძეს ამ ბრწყინვალე ბოსლიდან არ წაიღებენ,  
195 „ნისაბას ერთგული ფური, ენლილის უფროსი ქალიშვილი, ვერ  
მიიღებს შესანიშნავს“.

გ წ კ ნ ე უ ლ ი :

196 „თხოო, შენს ბრწყინვალე რქებს შენი ნალები, შენს ზურგს შენი  
რძე!  
197 „თხის ნალები მის ბრწყინვალე რქებში გროვდება, ზურგზე  
მიჟონავს“.  
198 შემდეგ ბოსელში ყოველი ჩაჩუმდა, ის დაინგრა;  
199 რძე აღარ იყო ფურის ჯიქანში, დღე დაუბნელდათ ხბოებს;  
200 პატარა ხბო მშვიერი იყო, ბლაოდა გულსაკლავად;  
201 რძე აღარ იყო თხის ჯიქანში, დღე დაუბნელდათ თიკნებს;



- 202 შიმშილისგან დაეცნენ თხაც და თიკანიც, მიიღია მათი დღე...  
203 ფურმა ხბოს სიმწრით შეჰბლავლა,  
204 თხამ თიკანი გულში ჩაიკრა,  
205 წმინდა სადღვებელი დაცარიელდა: დადგა შიმშილი, დაეცა  
შიმშილისგან;  
206 იმ დღეს ბოსელი მართლაც ჩაჩუმდა, ის დაინგრა;  
207 მენახირემ ჯოხი დადო, თვალებს ახამხამებდა;  
208 მეცხვარემ, მწარედ ტიროდა, კომბალი გვერდით დადო;  
209 მეცხვარე ბიჭმა ბოსელი აღარ მოინახულა, სხვაგან წავიდა;  
210 მერძევე აღარ გაჰყვიროდა, სხვაგან წავიდა;  
211 იქ მხოლოდ ნისაბას მწყემსი და მეჯოგე დარჩნენ,  
212 ერთი დედის შვილები,  
213 ბოსელში გაიზარდნენ და იქ დარჩნენ;  
214 ერთის სახელი იყო მაშგულა,  
215 მეორესი – ურედინა.  
216 დიდ ქიშკართან მზე ამოვიდა, ქვეყნიერების სასწაული.  
217 ავარდნილ მტვერში (ორივენი) გაუჩინარდნენ, ვედრება ისმოდა  
უთუსადმი:  
218 „გრძნეულმა არათადან ბოსელი დაანგრია,  
219 „ბოსელში რძემ იკლო, გრძნეულმა შეულოცა, რძე არ ჰქონო-  
დათ ხბოებს,  
220 „ბოსელში სილატაკემ დაისადგურა, რძე და ნალები მწირი გახა-  
და,  
221 „გრძნეულმა მათი ბედ-იღბალი შორს გადატყორცნა, დაწყევლა  
დასალუპად“.

ჰქქენი ქალი:

- 222 ...მიუახლოვდა...  
223 ...აკვირდებოდა, რა იდო მის წინ...  
224 ერეშისკენ გაემართა,  
225 რომელიც ბურანუნას<sup>19</sup> ნაპირებზე განოლილა, ღმერთთა მდი-  
ნარეზე;  
226 წავიდა ქალაქს, რომლის სიმდიდრე ანსა და ენლილს დაუდგენია;



- 227 საგბურუ, ბრძენი ქალი, რომლის ხელი გადაეფარა...
- 228 ორივემ ქვირითი გადააპნია მდინარეში.<sup>20</sup>
- 229 გრძნეულმა დიდი კობრა ამოიყვანა;
- 230 ბრძენმა ქალმა საგბურუმ არწივი ამოიყვანა;
- 231 არწივმა კობრა დაიჭირა და მთებში გაფრინდა.
- 232 კვლავ გადააპნიეს ქვირითი მდინარეში.
- 233 გრძნეულმა ცხვარი კრავით ამოიყვანა;
- 234 საგბურუმ მგელი ამოიყვანა;
- 235 მგელმა დაიჭირა ცხვარი კრავით და დაბლობზე გაიტაცა.
- 236 მესამედ გადააპნიეს ქვირითი მდინარეში.
- 237 გრძნეულმა ფური ხბოთი ამოიყვანა;
- 238 საგბურუმ ლომი ამოიყვანა;
- 239 ლომმა დაიჭირა ფური ხბოთი და ქაობის ლერწამში გაიტაცა.
- 240 მეოთხედ გადააპნიეს ქვირითი მდინარეში.
- 241 გრძნეულმა ავაზა და გარეული ცხვარი ამოიყვანა;
- 242 საგბურუმ მთის ლომი ამოიყვანა;
- 243 ლომმა შეიპყრო ავაზა და გარეული ცხვარი და მთებში გაიტაცა;
- 244 მეხუთედ გადააპნიეს ქვირითი მდინარეში.
- 245 გრძნეულმა ქურციკი ამოიყვანა;
- 246 საგბურუმ ვეფხვი და nim-ლომი ამოიყვანა;
- 247 ვეფხვმა და nim-ლომმა დაიჭირეს ქურციკი და ტყეში გაიტაცეს.
- 248 გრძნეულს სახე დაუბნელდა, გონება აემღვრა.
- 249 მაშინ ბრძენმა ქალმა, საგბურუმ მიუგო მას:
- 250 „გრძნეულო! შენ ჯადოქრობის არაფერი გესმის!
- 251 „როგორ შეძლებდი ერეშში წასვლას, ნისაბას ქალაქში,
- 252 „ქალაქში, რომლის სიმდიდრე ანსა<sup>21</sup> და ენლილს დაუმტკიცებია,
- 253 „პირველარსებულ ქალაქში, ნინლილის<sup>22</sup> საყვარელ ქალაქში,
- 254 „ბოროტი ჯადოქრობისთვის?“
- 255 გრძნეულმა უპასუხა:
- 256 „ნავედი ისე, რომ არ ვიცოდი, რას ვიქმოდი;



- 257 „ვირწმუნე შენი ძალა, ნუ განრისხდები!“  
258 გახდა მორჩილი, თავს იმართლებდა...  
259 „გამიშვი, დაო! ნება მომეცი, წავიდე!  
260 „ნება მიბოძე, უვნებელი დავუბრუნდე ჩემს ქალაქს,  
261 „მომეცი ნება, უვნებელი დავუბრუნდე არათას, ურყევი ძალის  
მთაზე.  
262 „მე ვიქადაგებ შენს ძლიერებას ქვეყნის საზღვრამდე,  
263 „მე აღვაფლენ შენდამი ლოცვებს არათაში, ურყევი ძალის  
მთაზე“.  
264 ბრძენმა ქალმა საგბურუმ მიუგო:  
265 „ბოსელში სილატაკე დაასადგურე, რძე და ნალები მწირი  
გახადე,  
266 „მოსპე საუზმე, სადილი, ვახშამი,  
267 „დიდი დარბაზის ვახშმისთვის მოსპე რძე და მოსპე ნალები...  
უბედურებანი...  
268 „არ მიგეტევება რძის და ნალების განადგურებისთვის!  
269 „მეფე ნანნას<sup>23</sup> მარადიული რძე ჰქონდა... ბოსელში...  
270 „მიუტევებელია შენი ცოდვა. არ ძალმიძს გიბოძო სიცოცხლე...“  
271 ბრძენმა ქალმა საგბურუმ გრძნეულს განაჩენი გამოუტანა:  
272 მსხვერპლი ეფფრატის ნაპირზე გადაჩეხა,  
273 სიცოცხლის ძალა წაართვა და მშობლიურ ქალაქ ერემს  
დაუბრუნა.

## ეპილოგი

- 274 როდესაც ენსუხგირანამ ისმინა ყოველი,  
274 ეახლა ენმერქარს.  
276 „შენ მართლაც ინანამ შეგიყვარა, მხოლოდ შენ ხარ დიდებული;  
277 „ინანამ ჭეშმარიტად თავის ღვთაებრივი წიაღის ღირსად აგირ-  
ჩია, სატრფოდ გაგიხადა;  
278 „ძღვევამოსილი მბრძანებელი ხარ აღმოსავლეთით დასავლეთ-  
თამდე! შენს კვალს გამოვყევები!



279 „ვერასოდეს გაგიტოლდები, შენ ხარ მბრძანებელი.

280 „ვერასოდეს გაგიტოლდები!“

ლოცვა ნისაბასადში:

281 ენსუხგირანას და ენმერქარის დავა-კამათში,

282 ენმერქარი, რომელიც ენსუხგირანაზე ამაღლებულიყო,

283 ადიდებდა ნისაბას.



## ენმეჩქაჩი და აჩათას ზაცონი



### შესავალი

- 1 ქალაქო! მძვინვარე ხარო, ძალას და შიშს აფრქვევ,
- 2 ქულაბავ! მინის საყრდენო,
- 3 მკერდით ქარიშხლის უკუმქცეველო, სადაც დასაბამიდან  
ბედისწერა დანერილა;
- 4 ურუქო! ცადაზიდულო მთაო ქვეყნიერების შუაგულში,
- 5 სადაც მწუხრის შესანიერი მუდამ არის ან-ის ტაძარში.
- 6 ოდეს ბედისწერათა დაფები იწერებოდა,
- 7 დიდ მეფეთ ჯილდო ურუქ-ქულაბას ეანა<sup>1</sup> იყო;
- 8 თავანუელი სიამაყე,
- 9 ბრწყინვალეა ქორჭილას წარღვნა,<sup>2</sup>
- 10 წვიმების შემდეგ დანიწკლული ხორბალი მოდის,
- 11 რომელიც უხვად აქვს ურუქ-ქულაბას.
- 12 ოდეს დილმუნის<sup>3</sup> მინა არ არსებობდა,
- 13 ურუქისა და ქულაბას ე-ანა ამ ადგილას აღმართულიყო.
- 14 ინანას გიპარი დიდებული
- 15 და ქულაბა აგურით ნაშენი ციმციმებდა, როგორც ვერცხლი  
საბადოში;
- 16 [...] ჯერ არაფერი შემოეტანათ, ვაჭრობა არ იყო;



- 17 [...] ჯერ არაფერი გაეტანათ, ვაჭრობა არ იყო.  
18 [ოქრო], ვერცხლი, სპილენძი, კალა, ლილაქვის ზოდები,  
19 [მთის მადანი], ჯერ არ მოჰქონდათ მთიანი მხარიდან.  
20 [...] არ იყო განბანვა დღესასწაულისთვის,  
21 [...] არ იყო ნადიმი,  
22 [...] დრო გადიოდა.  
23 [...]  
24 [...]  
25 [...] მრავალფრად ბრწყინავდა,  
26 [...] პრიალა ლილაქვით სავსე ღვთაებათა თავშესაყარი  
27 მშვენიერი იყო, მსგავსად ხილით დახუნძლული ვერცხლისფერი  
ხის.  
28 რომელიც არათას ბატონმა შექმნა ინანასთვის,  
29 ოქროს გვირგვინი და ჯილა დაიდგა,  
30 ინანას ქულაბას ბატონის მსგავსად ვერ ეთაყვანა.  
31 არაფერია ქვეყნად მსგავსი ე-ანას ტაძრის წმინდა გიპარის,<sup>4</sup>  
32 არათას ტაძრები ნაგები ინანასთვის, ვერ სწვდება ქულაბას,  
აგურით ნაშენს!

### ენმერქარის თხოვნა და ინანას პასუხი

- 33 ბატონმა, რომელიც გარდასულ დროში ინანამ შეიყვარა,  
34 ნათელი მთიდან ამოარჩია და შეიყვარა,  
35 ენმერქარმა, მზის ვაჟმა,  
36 თხოვნით მიმართა თავის დას, ქალბატონს, რომელიც სურვი-  
ლებს ასრულებს;  
37 ლოცვით მიმართა დიდებულ ინანას:  
38 „დაო, დამითმე არათა ურუქისთვის,  
39 „მსგავსად ოსტატთა მიერ დახვეწილი ოქრო-ვერცხლისა!  
40 „[დაე], [ჩემთვის] გამოკვეთონ [არათას] ლილაქვის ზოდებიდან;  
41 „[დაე, გამოკვეთონ ჩემთვის] გამჭვირვალე, გლუვი ლილაქვა;  
42 „[დაე], [ჩემთვის] ააგონ წმინდა მთა ურუქში!





- 43 „ტაძარი, რომელიც ციდან მინაზე [დაეშვა] – ადგილი შენი თაყ-  
ვანისცემის,  
44 „საკურთხეველი ე-ანასი – დაე, [ჩემთვის] ააგოს [არათამ]!  
45 „წმინდა გიპარი, შენი განსასვენებელი,  
46 „დაე, არათამ მომირთოს ხელოვანივით შიდა საკნები“.  
47 „და მე, მზეჭაბუკი, იქ გადაგეხვიო;  
48 „დაე, არათა ურუქს დამორჩილდეს!  
49 „დაე, არათას ხალხმა  
50 „მე ჩამომიტანოს თავის მთების ძვირფასი ქვები!  
51 „დაე, ჩემთვის აღმართონ ტაძარი, შენი დიდებული სამყოფელი!  
52 „დაე, ჩემთვის ააგონ [...] ღვთაებათა განსასვენებელი!  
53 „მაშინ ჩემი ძალაუფლება ქულაბაში ცხადი იქნება;<sup>5</sup>  
54 „დაე, აყვავდეს აბზუ<sup>6</sup> წმინდა მთის მსგავსად!  
55 „დაე, იბრწყინოს ერიდუმ<sup>7</sup>, მწვერვალთა მსგავსად!  
56 „დაე, ააგონ ჩემთვის აბზუს ტაძარი, თვალწარმტაცი ვერცხლის  
საბადოსავით!  
57 „მაშინ, მე ვიმღერებ აბზუს სადიდებელს.  
58 „ოდეს დავიბრუნებ ძალაუფლებას ერიდუდან?  
59 „მაშ, რისთვის მადგას მეფობის გვირგვინი, შეურყვნელი  
მსგავსად ტაძრისა?  
60 „როდესაც ვიდგამ ურუქისა და ქულაბას გვირგვინს,  
61 „დიდი ტაძრის კვერთხოსნები გიპარისკენ მიმაცილებენ,  
62 „მაშინ გიპარის კვერთხოსნები<sup>8</sup> დიად ტაძართან მიმაცილებენ.  
63 „თაყვანს მცემს ხალხი, მეგებება შეძახილებით,  
64 „მაშინ მე მზეს თვალს გავუსწორებ!“  
65 ბრწყინვალე ქალბატონმა, რომელიც მინას გადმოსცქერის,  
66 ქალღმერთმა, რომელიც ამა-უშუმგალა-ნასთვის ირთვება.<sup>9</sup>  
67 ინანამ, ქვეყნიერების ქალბატონმა,  
68 ეს უთხრა ენმერქარს, მზის ვაჟს:  
69 „ენმერქარ, ახლა რჩევას მოგცემ და შენ ისმინე!  
70 „მე ვიტყვი სიტყვას – შენ გაიგონე!  
71 „ემომრებს შორის, მჭევრმეტყველი და გულადი შიკრიკი ამო-  
არჩიე,



- 72 „იგი, ვინც ატარებს ბრძენ ინანას დაფარულ სიტყვას;  
73 „იგი, ვინც სიტყვას ზემოთ აიტანს, ზუბის მათაა რიგში;  
74 „ვინც სიტყვას ქვემოთ ჩაიტანს, ზუბის მათაა რიგიდან.  
75 „შუშინისა და ანშანის მინაზე,  
76 „მას<sup>10</sup> ცუდად შეხვდებიან, მსგავსად პატარა თაგვისა,  
77 „დიდ მათაა რიგში რომ ფუთფუთებს.  
78 „მის წინ მტვერში დაიჩოქებენ;  
79 „არათა დამორჩილდება ურუქს!  
80 „როდესაც არათას ხალხი  
81 „ჩამოიტანს ძვირფას ქვებს მისი მთებიდან,  
82 „შენთვის დიდებულ ტაძარს აღმართავენ, დიად სამყოფელს!  
83 „დაე, შენთვის ააგონ დიდი, თვალწარმტაცო ღვთაებათა  
სამყოფელი!  
84 „დაე, შენი ძალაუფლება ქულაბაში ცხადი გახდეს!  
85 „დაე, აყვავდეს აბზუ წმინდა მთის მსგავსად,  
86 „დაე, ერიდუმ შენთვის იბრწყინოს, მწვერვალთა მსგავსად!  
87 „დაე, აგიგონ აბზუს ტაძარი, ცნობილი, როგორც ვერცხლის  
საბადო;  
88 „მაშინ იმღერებ სადიდებელს [შენ] აბზუსათვის,  
89 „მაშინ დაიბრუნებ ერიდუდან ძალაუფლებას,  
90 „მაშინ დაიდგამ მეფობის გვირგვინს, მსგავსს შეურყვნელი  
ტაძრისა,  
91 „ოდეს დაიდგამ ურუქისა და ქულაბას გვირგვინს,  
92 „დიადი ტაძრის კვერთხოსნები გიპარისკენ გაგაცილებენ,  
93 „მაშინ გიპარის კვერთხოსნები დიად ტაძართან მიგაცილებენ.  
94 „ხალხი შეგხვდება შეძახილებით, გეთაყვანება,  
95 „მაშინ მზე შენს თვალს გაუხსნორდება!  
96 „არათას ხალხი  
97 „[თავის ტვირთს] მთელი დღე ზიდავს,  
98 „[...] როცა სალამოს სიგრილე დგება,  
99 „დუმუზის მინაზე, სადაც მრავლადაა ცხვარი და ბატკანი,  
100 „აქალაგის მდელოებში, დუმუზის რჩეულ ადგილებში,



- 101 „შენთან ჯოგებად მოვლენ, მთის ცხვრების მსგავსად!  
102 „ახლა, მზესავით ამობრწყინდი ჩემი ღვთაებრივი ნიალიდან,  
103 „ჩემს სკივრში განძია შენთვის!  
104 „დიდება შენ, ენმერქარ, მზის ვაჟო!“

### ენმეჩქაჩის პიჩველი გამონკვეკა

- 105 ბატონმა გულისყურით მოისმინა ინანას სიტყვა,  
106 [მეომართა შორის] გულადი და მჭევრმეტყველი შიკრიკი შეარჩია  
106a და [დააბარა] თავის შიკრიკს [...],  
107 სად მიეტანა, ვისთვის მიეტანა, ბრძენი ინანას დაფარული  
სიტყვა.  
108 „სიტყვა უნდა აიტანო ზემოთ, ზუბის მთათა რიგში;  
109 „სიტყვა უნდა ჩაიტანო ქვემოთ, ზუბის მთათა რიგიდან.  
110 „შუშინისა და ანშანის მინაზე  
111 „ცუდად შეხვდებიან, ვითარცა პატარა თავგს,  
112 „რომელიც მრავლადაა მთათა რიგში;  
113 „ინანას წინაშე მტვერში დაიჩოქებენ.  
114 „შიკრიკო, ამცნე არათას ბატონს, უთხარი მას:  
115 „გაფრთხილებ! გადავდევნი არათას ხალხს ქალაქის კედლიდან,  
როგორც მტრედებს ბუდეებიდან!  
116 „მათ შორს გავაფრენ, როგორც ჩიტს ბუდიდან!  
117 „დავადებ ფასს უბრალო საქონლისას,  
118 „არათას მტვერს შევკრებ, მსგავსად გაჩანაგებული ქალაქისა!  
119 „მსგავსად ენქისა, როცა დანყევლა არათას საცხოვრისი  
120 „და გაანადგურა, მეც გავანადგურებ.  
121 „ავაოხრებ, წარსულს გავახსენებ! ოდეს მალლა ინანა გააღვიძა  
122 [არათას] მოთქმის და გოდების ხმამ;  
123 „აღვგვი პირისგან მინისა!  
124 „მაშინ<sup>11</sup> ოქრო საბადოში დაბადებული, არათას რომ შეუ-  
ფუთავს ტყავის ტომრებში,  
125 „შეკრული ოქროს მტვერი,



- 126 „ძვირფას ლითონთა აბგა  
127 „და სახედრები ტომრებით დატვირთული,  
128 „ჩემთვის, შუმერის ახალგაზრდა ენლილისთვის,  
129 „ნუდიმუდის<sup>12</sup> გულის რჩეულისთვის,  
130 „ბრწყინვალე ძალის მთას ააგებენ!  
131 „დაე, ააგონ მსგავსად საუცხოო ხისა (ბზისა)!  
132 „დაე, ამომავალ მზესავით იბრწყინონ [მათმა] რქებმა  
საბრძანებლიდან;  
133 „დაე, კარიბჭის მცველთა ჩირაღდანი ანთონ და გაასხვიოსნონ!  
134 „არათას საკნებში შენ მისთვის უნდა იგალობო საგალობელი,  
ეს წმინდა ლოცვა:  
135 „ეს არის ნუდიმუდის ლოცვა:<sup>13</sup>  
136 „ერთ დღესაც აქ აღარ იქნება არც გველი, არც მორიელი;  
137 „აღარ იქნება არც აფთარი და აღარც ლომი;  
138 „აღარ იქნება გარეული ძაღლი და მგელი;  
139 „მაშინ ქვეყნად აღარ იქნება შიში და ძრწოლა;  
140 „მაშინ კაცს მტერი აღარ ეყოლება.  
141 „იმ ბედნიერ დღეს შუბურისა და ჰამაზუს მინები,  
142 „ორენოვანი ხმაშენყობილი შუმერის მსგავსად, ამ დიდებული  
ქვეყანის მსგავსად,  
143 „ერთად აქადის სამეფოსთან, რომელსაც ყველაფერი აქვს, რაც  
შეშვენის,  
144 „და მართუს მინაც, მწვანე ველებზე გადაშლილი;  
145 „და ყველა ხალხის გამგებელი, ქვეყნიერების ყველა მმართვე-  
ლი,<sup>14</sup>  
146 „შეძლებს, რომ ენლილს ერთ ენაზე ელაპარაკოს!  
147 „იმ დღეს, როდესაც ბატონები, უფლისწულები და მეფეები  
შეეცილებიან,  
148 „ენქი ბატონებს, უფლისწულებსა და მეფეებს მათი შუღლისთვის,  
149 „ბატონებს, უფლისწულებსა და მეფეებს, მათი შუღლისთვის,  
150 „ენქი, ბატონი სიბრძნისა, ჭეშმარიტი სამართლის ბატონი,  
151 „სიბრძნისა და ცოდნის ბატონი მიწაზე,



- 152 „არსთა გამრიგე,  
153 „სიბრძნით რჩეული, ერიდუს ბატონი,  
154 „შეუცვლის ენას [პირში] იმდენჯერ, რამდენჯერაც იქ მოთავს-  
დება;  
155 „კაცობრიობის ენა ჭეშმარიტად ერთი იქნება!“

### პიჩველი ტზა: უჩუქიდან აჩათაში

- 156 და კიდევ უთხრა ბატონმა შიკრიკს წასვლისას,  
157 ვინც უნდა წასულიყო მთიან მხარეს, არათასკენ:  
158 „ლამით იარე სწრაფად, მსგავსად სამხრეთის ქარისა,  
159 „განთიადზე ადრე წამოდექი, მსგავსად ცვარისა!“  
160 შიკრიკმა მეფის სიტყვა ყურად ილო.  
161 ღამით ვარსკვლავთა შუქზე მგზავრობდა,  
162 დღისით მზესთან ერთად მოგზაურობდა.  
163 სად და ვის უნდა მიუტანოს გრძნეული ინანას დაფარული სიტყ-  
ვა;  
164 ზემოთ ატარა, ზუბის მთათა რიგში;  
165 ქვემოთ ატარა, ზუბის მთათა რიგიდან.  
166 შუშინისა და ანშანის მიწა  
167 მას ისე შეხვდა, ვითარცა პატარა თავგს,  
168 რომელიც მრავლადაა დიდ მთათა რიგში,  
169 ინანას წინაშე მტვერში დაიჩოქეს.  
170 გადალახა ხუთი, ექვსი, შვიდი მთის რიგი,<sup>15</sup>  
171 როდესაც თვალი გაახილა, ზემოთ აღაპყრო, არათაში ჩასუ-  
ლიყო.  
172 სიხარულით აღვსილმა შეაბიჯა არათას გალავანში,  
173 თავისი მეფის ბრწყინვალეობა გამოაცხადა;  
174 გულში დამარხული სიტყვა გააცხადა.<sup>16</sup>  
175 შიკრიკმა უთხრა არათას ბატონს:  
176 „მამაშენმა, ჩემმა მეფემ, გამომგზავნა შენთან;  
177 „ურუქისა და ქულაბას ბატონმა გამომგზავნა შენთან!“



ახათას ზატონი:

178 „რა დაგაბარა შენმა მეფემ ჩემთან, რა თქვა მან?“

შიკრიკი:

179 „ეს არის, რაც ჩემმა მეფემ თქვა:

180 „ოდეს ჩემი მეფე დაიბადა, ღმერთებმა ბედი დაუდგინეს, რომ ყველას ბატონი ყოფილიყო;

181 „იგი ურუქის ბატონია, შუმერის ქვეყნის sag-kal-გველი, რომელიც მიწას ხრავს ფქვილივით“;

182 „ვინც ქვეყნიერების მწვერვალთა ირემია ძლიერი რქებით;

183 „ვინც კამეჩია, მონავარდე ირემია ღვთაებრივი ჩლიქებით;

184 „ვინც ჭეშმარიტი ფურია, ვინც ქვეყანას გულში ატარებს;

185 „იგი არის ენმერქარი, მზის ვაჟი! მან გამომგზავნა შენთან.

186 „აი, რა თქვა ჩემმა მეფემ:

187 „ვაფრთხილებ! გადავდევნი, არათას ხალხს ქალაქის გალავნიდან, როგორც მტრედებს ბუდეებიდან!

188 „გავაფრენ შორს, როგორც ჩიტს ბუდიდან!

189 „დავადებ ფასს უბრალო საქონლისას!

190 „არათას მტვერს შევკრებ, მსგავსად გაჩანაგებული ქალაქისა!

191 „მსგავსად ენქისა, როცა დაწყევლა არათას საცხოვრისი

192 „და გაანადგურა, მეც ასე გავანადგურებ [არათას]!

193 „ავაოხრებ უწინდელივით, ოდეს მალლა ინანა გაალვიძა

194 „მისი მოთქმის და გოდების ხმამ,

195 „აღვგვი პირისგან მიწისა!

196 „რომ<sup>17</sup> ოქრო ჭეშმარიტი, რომელიც არათას შეუფუთავს ტყავის ტომრებში,

197 „შეკრული ოქროს მტვერი,

198 „ძვირფას ლითონთა აბგა,

199 „სახედრები ტომრებით დატვირთული,

200 „ააგებენ ჩემთვის, შუმერის ახალგაზრდა ენლილისთვის,

201 „ნუდიმუდის გულის რჩეულისთვის,

202 „ბრწყინვალე ძალის მთას ააგებენ!

203 „დაე, ააგონ საუცხოო ხესავით, მსგავსად ბზისა!



- 204 „დაე, იბრწყინონ მაშინ რქებით საბრძანებლიდან ამომავალ  
მზესავით!
- 205 „დაე, ანთონ და გაასხვიოსნონ კარიბჭის მცველთა ჩირაღდანი!
- 206 „არათას საკნებში შენ მისთვის იგალობებ საგალობელს, ამ  
ნმინდა ლოცვას:
- 207 „ეს არის ნუდიმუდის ლოცვა!
- 208 „ახლა მიპასუხე, რაც გსურს;
- 209 „ლერწმის მოკიაფე თავთავის ყლორტთან,
- 210 „მისთვის, ვისაც დიდი ფური ბრწყინვალე ძალაუფლების მთაზე  
ატარებდა,
- 211 „მისთვის, ვინც არათას მინაზე გაიზარდა,<sup>18</sup>
- 212 „მისთვის, ვინც ქეშმარიტი ფურის ძუძუს წოვდა,
- 213 „მისთვის, ვინც ქულაბას, დიადი ძალების მწვერვალის, მსა-  
ხურების ღირსია;
- 214 „ენმერქარისთვის, მზის ვაჟისთვის,
- 215 „წარმოვთქვამ ამ სიტყვებს ეანას ტაძარში, როგორც კარგ  
ამბავს;
- 216 „და მის გიპარში, ნორჩი MEŠ-ხის ხილით,
- 217 „გავუმეორებ ყოველივეს ჩემს მეფეს – ქულაბას ბატონს“.

### აჩათას პასუხი, პირველი ტაძარში

- 218 როდესაც შიკრიკმა ასეთი ხმით ილაპარაკა, [არათას ბატონმა  
უპასუხა]:
- 219 „შენს მეფეს უთხარი ქულაბას ბატონს, უთხარი მას:
- 220 „ეს მე ვარ, ბატონი, ვინც უნდა იხსნას,
- 221 „ვისაც ცა ქედით მიჭირავს, ცისა და მიწის ქალბატონი,
- 222 „მრავალ ძალათა მპყრობელი ქალღმერთი, დიდებული ინანა,
- 223 „არათაშია გადმოყვანილი, უძლეველ მთაში;
- 224 „ვინც გამილო ქვეყნიერების კარიბჭე, მსგავსად კარისა!
- 225 „რად უნდა დამორჩილდეს არათა ურუქს?
- 226 „არათა ურუქს არ დამორჩილდება! უთხარი მას ეს!“



- 227 როდესაც ეს ასეთი [ხმით] თქვა,  
228 შიკრიკმა გაუმეორა არათას ბატონს:  
229 „იგია ზეცის დიდი დედოფალი, ვინც შიშის ზარს ჰგვრის;  
230 „ვინც გაბრწყინებულ მწვერვალზე ბინადრობს,  
231 „ვისი სიტყვაც მთის კვარცხლბეკს აბრწყინებს,<sup>19</sup>  
232 „ჩემმა ბატონმა, მეფემ ჩემმა, მისმა მსახურმა,  
233 „ის ეანაში დააბინავა!  
234 „ბატონო, არათა იხსენიება, როგორც მორჩილი!  
235 „იგი დაჰპირდა ქულაბაში, აგურით ნაშენში!“  
236 შემდეგ ბატონი მოიღუშა, გუნება გაუფუჭდა;  
237 არ უპასუხა, პასუხს ეძებდა;  
238 ნაღვლიანი თვალებით [თავის] ფეხებს დაშტერებოდა, პასუხს  
ეძებდა;  
239 ბოლოს პასუხი იპოვა და წამოიყვირა,  
240 პასუხი დანაბარებზე...  
241 შეჰბღავლა შიკრიკს ისე ხმამაღლა, როგორც ხარმა:  
242 „შიკრიკო! შენს მეფეს, ქულაბას ბატონს უთხარი:  
243 „ეს დიდებული მთის რიგი MEŠ-ხეა, ზეცას შეზრდილი;  
244 „მისი ფესვები ბადეა, მისი ტოტები ხაფანგი;  
245 „ჩიტია, რომლის ბრჭყალებიც ანზუდის მსგავსია!  
246 „ინანას უძლეველი ზღუდეა;  
247 „რომლის ბრჭყალები, არნივის დარი, ბრწყინვალე მთებს მტრის  
სისხლით რწყავენ;  
248 „არათაში თუნდ ტირიან და [შიმშილობენ...],  
249 „წყალი იღვრება, ფქვილი იფრქვევა;<sup>20</sup>  
250 „მთიან მხარეში ლოცვა სრულდება, მსხვერპლის შეწირვა საპა-  
ტიო მსახურებაა,  
251 „მხოლოდ ხუთი ან ათი კაცი<sup>21</sup>  
252 „როგორ შეძლებს ურუქის ჯარი ახალწვეულთა, ზუბის მთების-  
კენ გამოლაშქრებას?  
253 „თუ შენს მეფეს სურს, რომ პირისპირ [ფართთა და ხმლით] შემე-  
ბას,





- 254 „თუმც მე მისკენ მივისწრაფვი სხვა პაექრობით;  
255 „ვისაც არ ესმის ეს შეჯიბრი, ვერ გაიმარჯვებს,<sup>22</sup>  
256 „მსგავსად ხარისა, რომ არ იცის სხვა ხარის ძალა;  
257 „მაგრამ ვინც შეძლებს ამ პაექრობას, ის გაიმარჯვებს;  
258 „მსგავსად ხარისა, რომელმაც იცის სხვა ხარის ძალა;  
259 „და გაბედავს ის ამ პაექრობას?  
260 „ვინც არ არის ტოლი და სწორი,  
261 „დათანხმდება [...] ამგვარ შეჯიბრზე?  
262 „[და ერთსაც] გეტყვი, შიკრიკო,  
263 „ფრთხილად, წარმოვთქვამ ქარაგმებით... ისე, რომ შეძლო  
არსის გაგება,  
264 „ე-ანაში, თათებზე შემართულ ლომთან,  
265 „იქ მოღრიალე ხართან,  
266 „მის გიპარში, მსგავსად ახალგაზრდა MES-ხის დახუნძლული  
ნაყოფისა,  
267 „შენს მეფეს, ქულაბას ბატონს, გაუმეორეთ:  
268 „ეს მათა რიგი მებრძოლია, მაღალი, მრისხანე,  
269 „მსგავსად უთუსი, სალამოს შინ რომ მიემართება“;  
270 „ეს მათა რიგი მის სახეს მოსწყდა სისხლის წვეთივით,  
271 „როგორც დიდი ნანა ზეცაში,  
272 „მისი მწვერვალის მეღამია, შემზარავი სინათლის მქონე!  
273 „მსგავსია მთების გაუვალი ტყის.  
274 „მას შემდეგ, რაც არათას გვირგვინმა,<sup>23</sup>  
275 „ქალღმერთმა ლამამ,<sup>24</sup> მათა ძალების გულუხვმა მცველმა,  
276 „არათა ზეცის წმინდა გვირგვინად დაადგინა,  
277 „ჩემს სათქმელს ვიტყვი, განვაცხადებ, რომ ვარ რჩეული!  
278 „თუ შენი მეფე ახლა არ ყრის ხორბალს ტომრებში, არც საზი-  
დავში,  
279 „თუ არ აქვს მთებზე მარცვლეული გადაზიდული;  
280 „მას [შრომით] ვერ შეაგროვებდა.  
281 „იგი თუ შეძლებს ბადეებში ხორბალის ჩაყრას,  
282 „რომ დატვირთოს ამ ბადეებით სახედრები<sup>25</sup>,



- 283 „მათი მარჯაფა ცხენები,  
 284 „იგი თუ შეძლებს მოგროვებას არათას შიგნით, მის გალავანში;  
 285 „ჭეშმარიტად, თუ მათ ამგვარ ხერხით შეკრებდა, მაშინ გამ-  
 ხიარულდებოდა მარცვლის გროვა;  
 286 „მთათა ჩირაღდანი, სიმბოლო დაფუძნებისა;  
 287 „ამ შვიდი კედლის მორთულობა;  
 288 „გმირი ქალბატონი ბრძოლას შეშვენის;  
 289 „ინანა, ბრძოლის ველის გმირი, ჯარს თავის ცეკვას აცეკვებს;<sup>25</sup>  
 290 „მაშინ არათა ამოარწყევს ლეშმჭამელი ძაღლივით!  
 291 „მხოლოდ მაშინ დავიჩოქებ მის წინაშე;  
 292 „მხოლოდ მას შემდეგ დაამტკიცებს თავის მეფობას;  
 293 „ქალაქის მსგავსად, მხოლოდ მაშინ დავყაბულდები მის ჩრდილ-  
 ში დგომას, უთხარით ეს მას!“

### მეორე გზა: აწათადან უჩუქში

- 294 ოდეს სათქმელი ამ ხმით თქვა,  
 295 არათას ბატონმა შიკრიკს  
 296 დანაბარები მეორედ ათქმევინა,  
 297 შიკრიკი უკანა ფეხზე შემოტრიალდა გარეულ ძროხასავით;  
 298 გაფრინდა დილის სიგრილეში წინ კოლოსავით.  
 299 კმაყოფილმა შეაბიჯა ქულაბაში, აგურით ნაშენში;  
 300 დიდებულ შიდა ეზოსკენ გაეშურა, მეფის დარბაზის შიდა ეზოს-  
 კენ.  
 301 თავის მეფესთან, ქულაბას ბატონთან,  
 302 სიტყვასიტყვით გაიმეორა დანაბარები.  
 303 ხარივით დაიბღავლა;  
 304 ენმერქარი უსმენდა ხარზე მოჯირითესავით,  
 305 მეფემ უბრძანა, მარჯვენა მხარეს დასჯდომოდა,  
 306 მისკენ მარცხენა მხარი მიაბრუნა:  
 307 „ესმის არათას, რა მოჰყვება მის ასეთ სიტყვას?“ – უთხრა.  
 308 როდესაც დღე ამომავალმა მზემ გატეხა,  
 309 ქვეყნიერების მზემ თავი ასწია;<sup>26</sup>



- 310 მეფემ შეუერთა ტიგროსი ევფრატს,  
311 ევფრატს ტიგროსი.<sup>27</sup>  
312 დიდი თასები ამოლაგებული და თავახდლია,  
313 საპირისპიროდ მომცრო ჭურჭელი დალაგდა, ბალახში განო-  
ლილი ბატკნებივით;  
314 თავახდლი მოლაპლაპე თასები მათ გვერდით იდგა;  
315 მეფემ თავად მოათავსა ოქროს თასი 63-და – წმინდა ჭურჭელი;  
316 ენმერქარმა ჭურჭელი შორიშორ განალაგა, თვალ უწვდენე-  
ლად;  
317 შემდეგ თიხის დაფა, უხუცესთა კრების წვეტიანი ლერწამი,<sup>28</sup>  
318 ოქროს ქანდაკება, ბედნიერ დღეს გამოკვეთილი,  
319 სამართლიანი ნანიბგალი, სიუხვით გაბრწყინებული,  
320 ნისაბამ, ყველას მოწყალე ქალბატონმა,<sup>29</sup>  
321 ენმერქარისთვის გააღო სიბრძნის წმინდა სახლი.  
322 ზეციურ სასახლეში შესვლისას გულისყურით იყო;  
323 ბატონმა გახსნა დიადი საუნჯე,  
324 რომლის საზომი ლიდგა – მიწაზე დაამაგრა;  
325 ძველი ხორბალი სხვა ხორბლისგან გამოარჩია;  
326 ალაო დანამა, გაიჟღინთა ყოველი;  
327 რომლის ღივი ... დიდხანს იზრდებოდა ოჰირინის ტოტივით;  
328 ასე ივსებოდა ბადეთა თვლები;  
329 მარცვალი შეაგროვა, ბადენი ამოავსო, ცოტაც კალიის  
კბილებისთვის გადააყოლა;  
330 ტომრებით დატვირთა სახედრები;  
331 მარქაფა ცხენები მიაყენა,  
332 ყველას მოწყალე მეფემ,  
333 ურუქის ბატონმა, ქულაბას ბატონმა,  
334 არათასკენ მიმავალ გზას გაუყენა.  
335 ხალხი წყებად ხვრელიდან დაძრულ ჭიანჭველებს დაამსგავსა,  
336 მეფემ არათას გზას გაუყენა.  
337 მთიან მხარეში, არათასკენ მიმავალ შიკრიკს,  
338 მეფემ სათქმელი დაუმატა:



- 339 „შიკრიკო, უთხარი არათას ბატონს:  
340 „ჩემი სკიპტრა ქვეყნიერების ბატონობაზე დაფუძნებული,  
341 „რომლის ჩრდილქვეშ ქულაბა დაცულია,  
342 „რომლის (სკიპტრის) ვარსკვლავთა დარი ტოტების ჩრდილში,  
ე-ანას ტაძარში,  
343 „დიდებული ინანა ხელახლა ცოცხლდება;  
344 „და თუ ძალუძს მისგან სკიპტრა შექმნას, დაე, ხელთ ეპყრას ის;<sup>30</sup>  
345 „დაე, ხელთ ეპყრას ის, როგორც სიმი ლილაქვის და სარდიონის  
მძივისა;  
346 „დაე, არათას ბატონმა მიბოძოს ის! უთხარით ეს მას!“

### მესამე გზა: უჩუქიდან აჩათაში

- 347 ენმერქარმა თქვა ასე და  
348 შიკრიკი დაადგა არათას გზას.  
349 ფეხები მტვერში ეფლობოდა;  
350 კენჭებს დაბლა მოახრიალებდა მთიდან;  
351 მსგავსად ušumgal-ურჩხულისა, უდაბურ ადგილებში რომ  
დახეტილობს.  
352 ოდეს შიკრიკმა არათას მიაღწია,  
353 არათას ხალხი  
354 სახედრებზე დატვირთულ ტომრებთან სირბილით მიდიოდა,  
როგორც სასწაულთან.  
355 არათას გალავანში, შიდა ეზოში,  
356 შიკრიკმა ბადეები ამოავსო, მარცვლის გორები აღიმართა,  
ცოტაც კალიის კბილებისთვის გადააყოლა;  
357 რომლის მიზეზი თითქოს მზე და წვიმა ყოფილიყოს ციდან,  
358 ახლა არათა სიმდიდრით აივსო.  
359 როგორც ღვთაებათა დაბრუნება სამყოფელში,  
360 ისე დაოკდა არათას შიმშილი.  
361 არათას ხალხი...  
362 მინდვრები ახალმა, [წყლით გაჟღენთილი მწვანე] ქერის ალაომ  
დაფარა.



363 შემდეგ ვაჭრები და მალემსრბოლელნი [...]

364 [...] ... [...]

365 ... [...]

366 არათას მკვიდრნი [ყურს უგდებდნენ] შიკრიკს,

367 რომელმაც არათას ამბავი გაუმჟღავნა.

368 ამგვარად, არათაში მისი ხელით [...]

369 ...

370 ურუქის ბატონს ის [...] მისი ხელით.

აწათას მკვიდრნი:

371 „ხოლო ჩვენ სასტიკ შიმშილობაში,

372 „ჩვენ საშინელ შიმშილობაში, ნება გვიბოძეთ დავმორჩილდეთ  
ქულაბას ბატონს!

373 ბრძენი უხუცესები

374 მათ ხელებს უჭერდნენ, კედელს ეყრდნობოდნენ;

375 ბატონს შესთავაზეს თავის [საგანძური].<sup>31</sup>

376 [...] ... მისი სკიპტრა ... სასახლის შუაგულში

377 შიკრიკი [ხმამაღლა] წარმოთქვამდა [სიტყვებს, რომელიც  
ზეპირად ესწავლა]:

378 „[თქვენმა მამამ, ჩემმა მეფემ] გამომგზავნა თქვენთან;

379 „ენმერქარმა, მზის ვაჟმა, გამომგზავნა თქვენთან!

აწათას ბატონი:

380 „რა არის, რაც შენმა მეფემ თქვა, რა თქვა მან?“

შიკრიკი:

381 „ეს არის, რაც ჩემმა მეფემ თქვა. აი, რა თქვა მან:

382 „ჩემი სკიპტრა, რომელიც ქვეყნიერების ბატონობაზე  
დაფუძნებულია;

383 „რომლის ჩრდილქვეშ ქულაბა დაცულია,

384 „რომლის სკიპტრის ვარსკვლავთა დარი ტოტებქვეშ, ეანას  
ტაძარში,

385 „დიდებული ინანა ხელახლა ცოცხლდება.

386 „და თუ შეძლებს გამოთალოს ასეთი სკიპტრა, დაე, ხელთ ეპყრას!



- 387 „დაე, ხელთ ეპყრას ის, როგორც სიმი ლილაქვის და სარდიონის  
მდივისა.
- 388 „დაე, არათას ბატონმა მიბოძოს ის! უთხარით ეს მას!“
- აწათას პასუხი:
- 389 ოდეს სიტყვა ისმინა,  
390 არათას ბატონი ცელაში შევიდა, სადაც დამშვიდდა, შიმშილით  
და მარხვით განმტკიცდა.
- 391 დღე რომ მიილია, იგი ბოდავდა,  
392 არავის ესმოდა მისი ნათქვამი, ვერვინ იგებდა;  
393 ხორბლით მაძლარი სახედარივით ენა ებმოდა.<sup>32</sup>
- 394 აღარა ჰქონდა სათქმელი.  
395 რალა ჰქონდა სათქმელი,  
396 რაც ჰქონდა სათქმელი, ეს იყო:
- 397 „შიკრიკო, უთხარი შენს მეფეს, ქულაბას ბატონს, უთხარი მას:  
398 „სკიპტრა, რომელიც არც ხის არის, არც ხის სახელით,<sup>33</sup>  
399 „როდესაც ... ხელში აიღებენ და გასინჯავენ,  
400 „არ იქნება არც ალვის ხე,<sup>34</sup> არც šimgig-ხე,  
401 „არც კედარი, არც კვიპაროსი,  
402 „არც ხაშურის ხე, არც პალმის ხე,  
403 „არც ხე მაგარმერქნიანი, არც ზაბალუმ-ი,  
404 „და არც ალვის ხე, ეტლივით აყვავებული,  
405 „არც თლილი ლერწამი, მსგავსი მეეტლის სადავისა,  
406 „არც ოქრო, არც სპილენძი,  
407 „არც პრიალა ვერცხლი, არც მხოლოდ ვერცხლი,  
408 „არც სარდიონი და არც ლილაქვა,  
409 „და თუ ის შეძლებს შექმნას სკიპტრა ასეთი (მასალით), დაე,  
გვაჩვენოს;  
410 „დაე, ხელთ ეპყრას, როგორც სიმი ლილაქვის და სარდიონის  
მდივისა;  
411 „დაე ქულაბას ბატონმა მიბოძოს ის! ასე უთხარით მას!“



### მეოთხე გზა: აჩათადან უჩუქუში

- 412 როდესაც [ბატონმა] ასეთი ხმით თქვა,
- 413 შიკრიკი გაქროლდა, კვიცს დაემსგავსა მოჭიხვინეს, ეტლის  
ღვედისგან რომ გათავისუფლდა;
- 414 მიქროდა, როგორც სახედარი ფხვიერ მინაზე;
- 415 ქარი პირს უვსებდა;
- 416 სნორ კვალს ტოვებდა ნვერცანცარა ვერძივით, (სხვა) ცხვარს  
რომ რქენს ბრაზით.
- 417 კმაყოფილმა შეაბიჯა ქულაბაში, აგურით ნაშენში;
- 418 თავის მეფესთან, ქულაბას ბატონთან,
- 419 გაიმეორა სიტყვასიტყვით დანაბარები...
- 420 ენქიმ ენმერქარს შეაძლებინა, არსს ჩასწვდომოდა.<sup>35</sup>
- 421 ენმერქარმა ბრძანება გასცა, [პირველ] ქვეშევრდომს უბრძანა;
- 422 მეფემ სასახლეში [...]
- 423 მეფემ აიღო თმით დაფარული [...],
- 424 თითქოს მასში რალაც გაეხვია, გადაახვია და ზედ დახედა.
- 425 ფილთაქვით დანაყა ბალახივით,
- 426 შემდეგ ჩაასხა ბრწყინვალე ლერწამში.
- 427 მზის სინათლიდან მზის ჩრდილში გაიტანა;
- 428 მზის ჩრდილიდან მზის სინათლეში გაიტანა;
- 429 ხუთი, ალბათ ათი წელი გავიდა;<sup>36</sup>
- 430 შემდეგ ნაჯახით გააპო ბრწყინვალე ლერწამი;
- 431 სიამოვნებით დაჰყურებდა;
- 432 ჭავლით დაასხა ძვირფასი ზეთი, ბრწყინვალე მთის ზეთი;
- 433 შიკრიკს, რომელიც ნამყოფი იყო მთებში,
- 434 ბატონმა სკიპტრა ჩაუდო ხელში.

### მეხუთე გზა: უჩუქუშიდან აჩათაში

- 435 შიკრიკის გაქროლება არათასკენ
- 436 ჰგავდა ო-ჩიტის მთებზე გადაფრენას, ბუზივით გაბზუილდა  
მტკვერში.



- 437 მაღალ მთაზე გადაეშვა, როგორც კობრა ეშვება წყალში, არათასაც მიაღწია.
- 438 კმაყოფილმა შეაბიჯა არათას გალავანში;
- 439 დადო სკიპტრა [... ]
- 440 სკიპტრა გარეცხა, გააპრიალა.
- 441 არათას ბატონი სკიპტრამ დააბრმავა;
- 442 თავის ცელაში, წმინდა ოთახში, შიშით შეალო კარი.
- 443 ბატონმა šatam – მსახურს დაუყვირა:
- 444 „ჭეშმარიტად, არათა გაფანტულ ცხვარს დამსგავსებია, რომლის გზა მხოლოდ აჯანყებული მინებია!“<sup>37</sup>
- 445 „ქალღმერთმა ინანამ
- 446 „ძლიერი არათა ქულაბას ბატონს გადასცა;
- 447 „რომელმაც შიკრიკი გამოგზავნა, კაცმა,
- 448 „რომელმაც განგვიცხადა სიბრძნე დაფარული, მზესავით ნათელი,
- 449 „დიდებული ინანა მონყალედ უყურებს!
- 450 „საით მივყავართ არათას გასაჭირს?
- 451 „როდემდე იყოს ჩვენი ხვედრი უღელ-ბორკილი,
- 452 „ამ საშინელი შიმშილის გამო?
- 453 „დამშეულები ვიხობებთ ქულაბას ბატონთან?“
- 454 მაშინ არათას ბატონმა შიკრიკს მიანდო
- 455 სათქმელი დაფასავით<sup>38</sup> ღრმადნაფიქრი.
- 456 „შიკრიკო, უთხარი შენს მეფეს, ქულაბას ბატონს, უთხარი მას:
- 457 „ძალდი, რომელიც არ არის შავი, ძალდი, რომელიც არ არის თეთრი,
- 458 „ძალდი, რომელიც არ არის ყავისფერი, ძალდი, რომელიც არ არის წითელი,
- 459 „ძალდი, რომელიც არ არის ყვითელი, ძალდი, რომელიც არ არის ხალიანი. ასეთი ძალდი რომ უნდა მოგცეს!
- 460 „ჩემი ძალდი მის ძალლს შეეჯიბრება;
- 461 „და გაცხადდება უფრო ძლიერი, უთხარი ეს მას“.<sup>39</sup>





## მეექვსე გზა: აჩათადან უჩუქში

- 462 [ბატონმა] უთხრა ასეთი ხმით.  
 463 შიკრიკი გაემართა შურდულივით.  
 464 აგურით ნაშენმა ქულაბამ [მსგავსად უპასუხა...]  
 465 მთის ფერდობზე თხასავით აღაპყრო თვალები,  
 466 მინდვრიდან გამოსრიალებული უზარმაზარი MIR-გველივით,  
 467 თავს მაღლა სწევდა...  
 468 არათას [ბატონი]<sup>40</sup>... ;  
 469 სამეფო ტახტიდან სიტყვებს ღვრიდა [მძინვარე ნიაღვარივით]:  
 470 „შიკრიკო, უთხარი არათას ბატონს, უთხარი მას ეს:  
 471 „ქსოვილი, რომელიც არ არის შავი, ქსოვილი, რომელიც არ  
 არის თეთრი,  
 472 „ქსოვილი, რომელიც არ არის ყავისფერი, ქსოვილი, რომელიც  
 არ არის წითელი,  
 473 „ქსოვილი, რომელიც არ არის ყვითელი, ქსოვილი, რომელიც  
 არ არის ხალებიანი, ასეთია ქსოვილი, რომელსაც მივცემ მას!  
 474 „ჩემი ძალღი ენლილს უჭირავს, ამ ძალღს გაუფუგზავნი;  
 475 „ჩემი ძალღი მის ძალღს შეეჯიბრება;  
 476 „ასე გაცხადდება უფრო ძლიერი, უთხარი ეს მას!  
 477 „და კიდევ (მეორე), რაც უნდა უთხრა, ესეც უთხარი:  
 478 „რომ შეწყვიტოს ქარაგმებით ლაპარაკი და გადანწყვიტოს,  
 479 „რომ ქალაქი მის წინაშე  
 480 „ცხვარს დაემსგავსოს, მწყემსის წინაშე,  
 481 „მის კარიბჭესთან ლილაქვის წმინდა ბორცვი;  
 482 „მის წინ თავს დახრის გადატეხილ ლერწამივით;  
 483 „ისინი ბრჭყვიალა ოქრო-ვერცხლს შეკრებენ  
 484 „ინანასთვის, ე-ანას ქალბატონისთვის,  
 485 „არათას გალავანში, დიდ გროვებად.  
 486 „მესამე, რაც უნდა უთხრა მას, უთხარი:  
 487 „გაფრთხილებ: განვდეგნი [არათას ხალხს] მისი ქალაქიდან, ვით  
 მტრედებს ხიდან,



- 488 „შორს გავაფრენ მათ, ვით ჩიტებს ბუდიდან,  
489 დავადებ ფასს იაფი საქონლისას,  
490 „[ქარს დავადევნებ] შორს რომ წაილოს!  
491 „რომლის ხელთაა ძვირფასი ქვეები – მთებიდან მოტანილი, მის  
შესასვლელთან,  
492 „ჩემთვის ააგებს ერიდუს, აბზუს, ენუნას ტაძრებს!  
493 „ამ ტაძრებს ჩემთვის ეთაყვანება;  
494 „რომლის ჩრდილი მინას ჩემთვის დაეფინება!  
495 „როცა ის საუბრობს ...  
496 „ამცნეთ მას ეს, როგორც ნიშანი!“  
497 შემდგომ ბატონი ...  
498 ... ტახტის კვარცხლბეკზე, ტახტზე, კეთილშობილ უფლის-  
წულთა თესლი,  
499 სრულ მარტოობაში გამოზრდილი ...  
500 მისი სიტყვა ძალიან ვრცელი იყო, აზრი ძალიან ღრმა;  
501 შიკრიკს სიტყვებით ავესო პირი და დაუმძიმდა, ველარ გაიმეო-  
რა დანაბარები;  
502 შიკრიკს პირი სიტყვებით დაუმძიმდა, ველარ გაიმეორა დანა-  
ბარები;  
503 მაშინ ქულაბას ბატონმა თიხა მოზილა, დაფა შექმნა და სიტყვე-  
ბი ზედ გადაიტანა.  
504 იმ დღემდე არც ერთი სიტყვა არ იყო დაფაზე დანერილი,  
505 მაგრამ იმ დღეს, როცა მზე ამოვიდა, ეს ასე იყო:  
506 ქულაბას ბატონმა სიტყვები თიხაზე გადაიტანა.  
იმ დღეს ეს ასე იყო!

### მეშვიდე ტზა: უჩუქიდან აჩათაში

- 507 შიკრიკი ჰგავდა ჩიტს, რომელიც ფრთებს იქნევს,  
508 კრავს დადევნებული მგელივით მძვინვარებდა;  
509 გადალახა ხუთი, ექვსი, შვიდი მთათა რიგი.  
510 როდესაც თავი ასწია, არათამდე მიეღწია.



- 511 კმაყოფილმა შეაბიჯა არათას გალავანში,  
512 თავისი მეფის უზენაესობა გამოაცხადა.  
513 თქვა, რაც გულში ჰქონდა  
514 და ყოველი არათას ბატონს გადასცა:  
515 „მამაშენმა, ჩემმა მეფემ, გამომგზავნა მე;  
516 „ურუქისა და ქულაბას ბატონმა გამომგზავნა მე“.

ახათას ბატონი:

- 517 „რა თქვა შენმა მეფემ, რა დაგაბარა?“

შოკნოიკი:

- 518 „ეს არის, რაც ჩემმა მეფემ თქვა, რაც დამაბარა:  
519 „ჩემი მეფე მაღალი MEŠ-ხეა, ენლილის ვაჟი.  
520 „ხე ისეთი მაღალი გაიზარდა, რომ ცა და მიწა დააკავშირა;  
521 „რომლის გვირგვინი ცას სწვდება;  
522 „რომლის ფესვები მიწაში ღრმადაა გადგმული;  
523 „იგი იყო, ვინც ქვეყნად მეფობა დაადგინა;  
524 „ენმერქარმა, მზის ვაჟმა, მომცა ეს დაფა დაწერილი;  
525 „არათას ბატონო! როდესაც დახედავ თიხის დაფას, გაიგებ  
სიტყვის დაფარულ არსს.  
526 „სანამ მიპასუხებ იმას, რაც გსურს,  
527 „ბრწყინვალე მწვერვალის შთამომავალს,  
528 „ვისაც ზეციური ფური ღვთაებრივი ძალის მთაზე ატარებდა;  
529 „ვინც არათას მიწაზე გაზრდილა;  
530 „ვინც ჭეშმარიტი ფურის ძუძუს წოვდა;  
531 „ვინც ქულაბას, დიადი ძალების მწვერვალის, მსახურების ღირ-  
სია;  
532 „ენმერქარს, მზის ვაჟს,  
533 „ეანას ტაძარში ვეტყვი ამ სიტყვებს, როგორც კარგ ამბავს,  
კარგ ახალ ამბავს;  
534 „რომლის გიჰარის ნაყოფი ახალგაზრდა MEŠ-ხის ნაყოფის  
მსგავსია,  
535 „ჩემს მეფეს სიტყვას ვეტყვი, ქულაბას ბატონს“.



- 536 ეს თქვა და  
537 შიკრიკმა არათას ბატონს მიაწოდა  
538 თიხის დაფა [და ეჭირა ის], როგორც თოქმანს;<sup>41</sup>  
539 არათას ბატონი დაფას დიდხანს დასცქეროდა;  
540 სიტყვები იყო წვეტიანი, სოლისებური,<sup>42</sup> შუბლი შეკრა არათას  
ბატონმა;  
541 დიდხანს დასცქეროდა დაფას თოქმანჩივით.  
542 იმ დროს ბატონი ღვთივგვირგვინოსანი, ენლილის ვაჟი  
543 იშქური<sup>43</sup> ქუხდა ცასა და მინაზე.  
544 უხმო ქარიშხალს, ხახადაღებული ლომივით ბრდღვინავდა.  
545 მიწას არყევდა;  
546 ფერდობებს არყევდა მთისას,  
547 საზარელი ნათება... მისი მკერდის...  
548 შექმნა დიდი მთა;  
549 ხრიოკი ფერდობები ახმაურდნენ მათათა შორის;  
550 ხორბალმა ზრდა იწყო, გამოჩნდა ცერცვი;  
551 ხორბალი ბელელში მრავლად იყო...  
552 წაიღეს არათას ბატონისთვის;  
553 არათას გალავნის შიგნით წინ დაუყარეს;  
554 არათას ბატონი ხორბალს დაჰყურებდა;  
555 შიკრიკი გაოცდა...  
556 არათას ბატონი შიკრიკს უყვიროდა:  
557 „ინანა, ყველა ქვეყნის ქალბატონი არათას იფარავს!  
558 „არ მიუტოვებია ქალაქი, რომ ურუქისთვის გადაელოცა!  
559 „არ დაუტოვებია ეზაგინა, რომ ეანასთვის გადაელოცა!  
560 „არ დაუტოვებია მთა ღვთაებრივი ძალის, ქულაბას რომ  
გადაულოცოს, აგურით ნაშენს!  
561 „არც ტკბილი სარეცელი დაუტოვებია, რომ ყვავილებით მორ-  
თულ სარეცლისთვის გადაელოცა!  
562 „არც მისი ბატონის სისპეტაკე დაუტოვებია, რომ ურუქისა და  
ქულაბას ბატონს გადულოცოს!  
563 „პირიქით! არათას მარჯვენა და მარცხენა მხარეს



- 564 „ინანა, ქვეყნიერების ქალბატონი,  
565 „იცავს, როდესაც წარღვნა მოდის, ყველაფრის წამლეკავი!  
566 „რჩეულია მისი ხალხი...  
567 „დუმუზის მოდგმისაა, რჩეულია ხალხთა შორის,  
568 „ვინც ინანას ციური სიტყვა განამტკიცა ქვეყნის საზღვრამდე!  
569 „ახლა შეერთენ გრძნეული ძალლი და სატრფო დუმუზი...  
570 „[ჩემო] ჭაბუკო, მომიახლოვდი!...  
571 „ისინი წარღვნას გადაურჩნენ;  
572 „წარღვნის შემდეგ  
573 „ინანამ, ქვეყნიერების ქალბატონმა,  
574 „თავისი სატრფოს, დუმუზის დიდი სიყვარულით,  
575 „მათ სიცოცხლის წყალი აპკურა;  
576 „და მათ მიწა დაუმორჩილა!“  
577 როცა გრძნეული ძალლი მასთან მივიდა,  
578 ხალებიანი ქსოვილით თავი დაიფარა,  
579 ტანზე ლომის ტყავი მოიხვია;  
580 ...  
581 ...  
582 ...  
583 ...  
584 ინანა ...  
585 მისი სიმღერა ატკბობდა ამა-უშუმგალანას, მის ქმარს;  
586 იმ დღიდან წმინდა ყურისთვის, დუმუზის ყურისთვის,  
587 სრულყოფდა მას, სიმღერას მღეროდა და სიტყვებს ეუბნე-  
ბოდა.<sup>44</sup>  
588 ბრძენი ქალი, როდესაც ღვთაებრივი ძალის მთასთან მივიდა,<sup>45</sup>  
589 მთაზე ავიდა, როგორც ქალწული,  
590 თვალეხი საღებავით დაიხატა,  
591 მშვენიერი თეთრი კაბა ჩაიცვა,  
592 რომლის ჭეშმარიტმა გვირგვინმა მთვარის შუქივით გაანათა;  
593 თავზე თმის ხვეულები დაიყენა;  
594 მისი [ქმარი] ენმერქარი ტახტზე მოისვა და თქვა:



- 595 „როდესაც თქვენ ამაღლდით ...  
596 „[ჭემმარიტად,] ცხვრები და კრავები გამრავლდებიან არათასთ-  
ვის;  
597 „[ჭემმარიტად,] თხები და ციენები გამრავლდებიან არათასთვის;  
598 „[ჭემმარიტად,] ძროხები და ხბოები გამრავლდებიან არათასთ-  
ვის;  
599 „[ჭემმარიტად,] სახედრები და ჩოჩრები გამრავლდებიან  
არათასთვის!  
600 „მას შემდეგ, ახლა ისინი კვერს დამიკრავენ,  
601 „ისინი დააგროვებენ ... ზვინებად,  
602 „ბარაქა, რომელიც თქვენ გეკუთვნით;  
603 „როდესაც არათას ბატონთან [ვაჭრობა] დაანესეთ;  
604 „მას სურდა [...]  
605 „მან შექმნა [...]  
606. „ის წინ [...] მიდიოდა  
607. „მან დაადგინა სიმართლე [...]“

3 სცენიქონი გაშქწალია

- 611 „[...] რა სჭირდებოდა  
612 „[...] ილუ-სიმღერა, გულის სიმღერა [...]  
613 „[...] თქვენი ბარაქა [...] არის კალა [...]  
614 „[...] ენლილმა გიბოძათ, ჩემი [ფუფუნება] ცნობილი იყო!  
615 „[...] მამამისი უნაყოფო იყო, თესლს არ გამოყოფდა,  
616 „ენლილმა, ქვეყნიერების მბრძანებელმა,  
617 „ასე დაადგინა შესრულება:  
618 „არათას ხალხს  
619 „დაეკისროს ოქროთი და ლილაქვით ვაჭრობა;  
620 „ოქროს ხილის და ხილის ბუჩქის მშვენიერებით,  
621 „დახუნძლული ლეღვითა და ყურძნით... ხილი აღმართონ  
ზვინებად;  
622 „წუნდაუდებელი ლილაქვა ზოდებად ამოიღონ;  
623 „მოიხსნან ტკბილი ლერწმის გვირგვინები;



- 624 „და ინანასთვის, ე-ანას ქალბატონისთვის,  
625 „შეკრიბონ ზვინებად ე-ანას გალავანში“.  
626 „ახლა, მეფეო, მე დაგარიგებ: ენდე ჩემს რჩევას;  
627 „მე ვიტყვი სიტყვას, შენ შეისმინე!  
628 „უცხო ქვეყნიდან კაცს ამოვირჩევ,  
629 „არათას ხალხი  
630 „იტყვის: [...]  
631 „როდესაც მე მოვალ იქიდან [აქ?],  
632 „ჩემი მეფობა ვარსკვლავმა ქალბატონმა მიბოძა;  
633 „გეშთინანა<sup>46</sup> [...]  
634 „იმ ქალაქში [...]“  
635 „სადაც არ იყო დღესასწაულები [...]  
636 ყოველდღე [...]

დაახლოებით ექვსი სტრიქონია გამქრალი.



## ლუეტალბანდა უდაბურ მთებში



### შესავალი

- 1 [ოდეს ცა და მინა გაიმიჯნა];
- 2 ოდეს ყოველი თესლი ჩაიყარა;
- 3 ოდეს პირველი მოსავალი მოიწია და ქერი შეიჭამა;
- 4 [ოდეს საზღვრები] დაიდო, ოდეს განისაზღვრა ყოველი;
- 5 [ოდეს დაიდო საზღვრის ქვები] და ზედ სახელები დაიწერა;
- 6 [ოდეს] გაიწმინდა არხები და შესასვლელები;
- 7 [ოდეს] ჭები გაითხარა, როგორც [...]
- 8 [ოდეს] ევფრატმა, ურუქის წყალუხვმა მდინარემ დედამინა გადასერა;
- 9 [ოდეს ...] აშენდა;
- 10 [ოდეს ...] ადგილი მიეჩინა;
- 11 [ოდეს ...] წმინდა ან-მა წაიღო [...];
- 12 [ოდეს ...] ურუქის მეფე-ბატონის სასახლე ბრწყინვალედ იქნა აგებული;
- 13 ურუქის კვერთხი და სკიპტრა ბრძოლაში მალლა აღიმართა;
- 14 ბრძოლაში, რომელიც ინანას თამაშია,
- 15 ოდეს შავთავიანები<sup>1</sup> მარტო იყვნენ





- 16 თავიანთ გზასა და ფიქრებში,  
17 მთის თხები ჩლიქებით,  
18 მთის ირმები თვალწარმტაცი რქებით,  
19 ებოძა ენმერქარს, მზის ვაჟს.  
20 ოდეს, მეფემ კვერთხი აღუმართა ქალაქს;<sup>2</sup>  
21 ენმერქარმა, მზის ვაჟმა,  
22 არათაზე, რომლის ძალა უდრეკია, ლაშქრობა განიზრახა.  
23 იგი აჯანყებულ მიწას მიწას გაუსწორებდა.  
24 ბატონმა მოიხმო ურუქის მკვიდრნი;  
25 სცეს ბუკ-ნალარას, მათი ხმა მისწვდა ქვეყნის საზღვარს;  
26 მიაბიჯებდა ურუქის ლაშქარი ყოვლადბრძენი მეფის სარდლო-  
ბით;  
27 ქულაბას ჯარი ენმერქარს გაჰყვა.  
28 ურუქის ჯარი წარღვნა იყო;  
29 ქულაბას ჯარი – ავდრის ღრუბელი,  
30 ქვეყნიერებას შემოჰკვროდა სქელი ნისლივით,  
31 რომლის მტვერი ზეცას სწვდებოდა;  
32 როგორც ჭილყვაეებს, ყანიდან აფრენილებს,  
33 უხმო თავის ხალხს.  
34 ნიშანი ჭაბუკიდან ჭაბუკს გადაეცემოდა;  
35 წინ მეფენი მიუძლოდნენ;  
36 ლაშქარს [ამხნეებდნენ];  
37 ენმერქარი მთავარსარდალი იყო.  
38 ლაშქრის [გამამხნეებელი],  
39 [...]  
40 [...]  
41 ხორბალი. მოსავალი უხვი რომ იყოს;  
42 ენლილის გულის ჭეშმარიტმა მამამებელმა,  
43 [მთელი] ქულაბა მოიხმო.  
44 ცხვარევით გაუდგნენ გზას მთის ფერდობზე;  
45 ფეხქვეშ თელავდნენ მიწას ხარივით...  
46 გახედა [...] საზღვარს, მათ გზა იცოდნენ;



- 47 მან გადახედა [...], ხუთმა დღემ ჩაიარა;  
48 მეექვსე დღეს განიბანნენ;  
49 [...] მეშვიდე დღეს მთის გზას შეუდგნენ;<sup>3</sup>  
50 გზას საცალფეხო ბილიკით ჭრიდნენ;  
51 როგორც წარღვნისას [ტბა დინების წინააღმდეგ მალღდება  
მთაზე],  
52 ბატონი ქარიშხალს მიჰყვებოდა.  
53 მზის ვაჟი, ჭეშმარიტად ბრწყინვალე ვერცხლი,  
54 რომელიც ციდან მიწაზე დაეშვა;  
55 თავი უბრწყინავდა,  
56 მისი გატყორცნილი ეკლიანი ისრები ელვასავით ანათებენ;  
57 ბრინჯაოს საომარი ნაჯახი [ღერბი...] მის მხარეს ბრწყინავდა.  
58 ნაჯახზე ოსტატურად ნაკვეთი ძალლი გვამს ჭამს;<sup>4</sup>  
59 ისინი შვიდნი იყვნენ, შვიდნი იყვნენ;  
60 ქულაბაში შობილი შვიდი ჭაბუკი;  
61 შვიდივე ღვთაება ურამმა<sup>5</sup> შობა, გარეულმა ძროხამ ძუძუ აწო-  
ვა;  
62 მადლიანი გმირები იყვნენ, შუმერის უფლისწულები;  
63 ან-ის მალალ ტაბლასთან გაზრდილები;  
64 ყოველი ლაშქარს მეთაურობდა;  
65 ისინი მხედართმთავრები იყვნენ;  
66 ჯარის ნაწილებს განაგებდნენ;  
67 სამასი კაცის უფროსები;  
68 ექვსასი კაცის წინამძღოლები;  
69 ყოველს შვიდი-šar,<sup>6</sup>  
70 ბატონს ერთგულებდნენ რჩეული ჯარის ნაწილები [ერთად  
შეკრულიყო];  
71 ლუგალბანდა მერვე იყო.  
72 [...] წყალში განბანილი,  
73 ის წინ მიდიოდა, ჩუმად, თავდახრილი...  
74 მეფეს ჩამორჩა [...], ჯართან ერთად მიაბიჯებდა.



## ლუგალბანდას ავადმყოფობა

- 75 მწყობრად იარეს, როცა განვლეს გზა [ნახევრამდე],  
 76 მაშინ ლუგალბანდა ავად გახდა, თავი ასტკივდა;  
 77 სიქაგამძვრალი მისი სხეული ცახცახებდა, ლერწმით დასერილ  
 გველს დაემსგავსა;  
 78 მტვერში ბორგავდა, როგორც ქურციკი მიმწყვდეული;  
 79 დაბეჟილ ხელებს მუშტად ვერ კრავდა;  
 80 ფეხს დამბლა დაეცა, აღარ ძალუძდა მყარად ჯდომა;  
 81 მეფეს და მეომრებს აღარ ძალუძდათ მისი შველა;  
 82 მალალ მთებში დედამინას მტვრის ღრუბელივით ეფინებოდნენ<sup>7</sup>  
 თანამებრძოლები და ამბობდნენ:  
 83 „იგი უნდა ნაიყვანონ უკან, ურუქში!“ – მაგრამ როგორ [ეტარე-  
 ბინათ] არ იცოდნენ;  
 85 მას ცივი ადგილას, მთებში კბილი [უკანკანებდა];  
 86 ასე... თბილ ადგილას [...] მიიყვანეს;  
 87 მათ [...] მოასვენეს;  
 88 გაუკეთეს თავშესაფარი, მსგავსი ჩიტის ბუდისა;  
 89 ფინიკი, ლელვი და საუკეთესო ყველი [...];  
 90 ახალი ხორცი, რომლის ჭამაც ავადმყოფს შეუძლია;  
 91 პალმის კალათაში ჩაალაგეს, სახლი მოუნყვეს.  
 92 ყველანაირი ერბო ბოსლიდან, ახალი ყველი ცხვრის ფარეხიდან;  
 93 ცივი კვერცხები ზეთში, მაგრად მოხარშული ცივი კვერცხები;  
 94 ნმინდა და ლამაზი ადგილისთვის ყოველი გაუმზადეს.<sup>8</sup>  
 95 მაგარი ლუდი ფინიკის ნაყენში გაურიეს;  
 96 პურის ნაჭრები კარაქით [...]  
 97 ტაბლაზე გაუმზადეს.  
 98 ტყავის ხურჯინები სავსე სანოვავით;  
 99 ტყავის გუდები სავსე მარაგით;  
 100 ძმებმა და თანამებრძოლებმა,  
 101 აღებული მოსავლის გადმოტვირთვისას, მსგავსად მტვირთა-  
 ვისა



- 102 ყოველი თავთან დაუნყვეს, მთის გამოქვაბულში;<sup>9</sup>  
103 წყალი [...] წყლის ზედაპირიდან [...];  
104 მუქი ლუდი, მათრობელი სასმელი, ხორბლის ლუდი;  
105 მათრობელი ღვინო, საამო [გემოთი];  
106 ყოველი თავთან დაუნყვეს, გამოქვაბულში, წყლის ზედაპირის  
დონეზე.  
107 საკმევლის ზეთი, [...], სურნელოვანი ზეთი, ნარჩევი ზეთები და  
რძინა,<sup>10</sup>  
108 ჭურჭელში ერთად გადაურიეს და [ლრმად გამოქვაბულში]  
109 თავთან დაუკიდეს გამოქვაბულში.  
110 მისი ძვირფასი, თუთიის ნაჯახი,  
111 ზუბის მთებიდან შემოტანილი,<sup>11</sup>  
112 თავთან ჩაურჭეს  
113 მახვილი [რკინის] მხრიდან.  
114 შავი მთებიდან შემოტანილი,  
115 გულმკერდზე მიაბეს.  
116 ლუგალბანდას თვალი ცრემლით ევსებოდა;  
117 ნეტარი ლუგალბანდა თვალს არ ხუჭავდა, მათ შესცქეროდა;  
118 ბაგეს არ ხსნიდა, ბრწყინვალე მზის დარს;  
119 ბაგე არც თავის ძმებისთვის გახსნა;  
120 მათ კისერი წამოუწიეს: ის არ სუნთქავდა.  
121 მისმა ძმებმა და თანამებრძოლებმა  
122 მაშინ ერთად მოითათბირეს:  
123 „ჩვენი ძმა მზესავით აღდგება სანოლიდან;<sup>12</sup>  
124 „ეს ნიშანია, განმგმირავმა ღმერთმა დატოვა;  
125 „მაშინ იგი შეჭამს და დაღვეს;  
126 „მისი ფეხები კვლავ დადგება მიწაზე მყარად  
127 „და ატარებს მთებით უკან, აგურით ნაშენ ქულაბასაკენ;  
128 „მაგრამ თუ ჩვენს ძმას მზე მოუხმობს  
129 „წმინდა და ლამაზ ადგილას;  
130 „აქ დარჩება მისი კიდურების ძალა;  
131 „და როდესაც არათადან დავბრუნდებით,



- 132 „უკან ნავილებთ გვამს ქულაბაში, აგურით ნაშენში“.  
133 როგორც დიდი ნანნას [გადენილი] ფურები,<sup>13</sup>  
134 ბებერ, დასუსტებულ ხარს რომ ბოსლის ფუნაში ტოვებენ,  
135 ისე ძმებმა და თანამებრძოლებმა  
136 ნეტარი ლუგალბანდა მთის გამოქვაბულში დატოვეს.  
137 ცრემლით და ოხვრით,  
138 ცრემლით და სლუკუნით,  
139 მნუხარებითა და ქვითინით,  
140 ლუგალბანდას უფროსი ძმები კვლავ მთებს შეუყვინენ.  
141 ორი დღე იწვა სნეული ლუგალბანდა;  
142 ნახევარი დღე ორ დღეს დაემატა;  
143 და როდესაც მის სამყოფელში მზემ შეანათა,  
144 როცა ბოსლებიდან თავები წამოყვეს ცხოველებმა,  
145 დღის ბოლოს, გრილ საღამოს,  
146 იგი განათდა, როგორც მარადიული;  
147 მაგრამ ჯერ ჯანი არ ჰქონდა მრთელი;  
148 ზეცაში მზეს მიაპყრო თვალები,  
149 როგორც ღვიძლ მამას, შესტიროდა;  
150 გამოქვაბულში მან ხელები მაღლა ადაპყრო და ლოცულობდა:  
151 „მზეო, სალამი, გთხოვ, მომარჩინე!  
152 „გმირო, ნინგალის<sup>14</sup> ვაჟო, გიძღვნი სალამს, გთხოვ, მომარჩინე!  
153 „მზეო, ჩემი ძმები ახლა მაღლა, მთებში აღიან;  
154 „მშობელო, გთხოვ, არ დამტოვო ავადმყოფი გამოქვაბულში,  
ამ უკაცრიელ ადგილას ქვეყნად!  
155 „სადაც არც დედაა, არც მამა;  
156 „არც ნაცნობი, არც საყვარელი!  
157 „დედა აქ არ არის, რომ მითხრას: შვილო!  
158 „ძმა აქ არ არის, რომ მითხრას: ძმაო!  
159 „დედაჩემის მეზობელი, რომელიც ხშირად გვსტუმრობს, აქ არც  
ისაა, რომ დამიტყოს,  
160 „თუ დედა ღმერთი და მამა ღმერთი აქ დგანან;  
161 „მეზობლის ღმერთი იტყოდა: ეს კაცი არ უნდა დაიღუპოს!



- 162 „მანანწალა ძალი საბრალოა, უთვისტომო კაცი – საზარელი;  
163 „აქ მთის კიდესთან, უცნობ გზაზე,  
164 „მზეო, აქ არის კაცი მოკვეთილი: გაუსაძლისია!  
165 „გვეედრები, რომ ამ უსახური ადგილიდან წყალივით არ გად-  
მოვიღვარო,  
166 „გთხოვ, არ მაჭამო მწარე მტვერი, ნაცვლად ქერისა,<sup>15</sup>  
167 „გვეედრები, რომ არ დამტოვო ტრამაღზე დაგდებული ჯოხი-  
ვით;  
168 „გთხოვ, ჩემი სახელი ჩემს ძმებს არ სძულდეთ;  
169 „გთხოვ, არ გამხადო მეგობართა დასაცინი, საჩვენებელი;  
170 „გთხოვ, რომ ამ მთებში სულელივით არ აღმასრულო“;  
171 მზემ მიიღო მისი ცრემლები;  
172 წყალობა დაუშვა გამოქვაბულში.  
173 ვისი თამაში ტკბილია ლატაკებისთვისაც;<sup>16</sup>  
174 მეძავი, რომელიც დუქნიდან გამოდის, ტკბილია მისი სარეცელიც;  
175 ვინც საარსებო საზრდოა;  
176 ინანა, სინის<sup>17</sup> ასული!  
177 თავი წამონია, ახლოს მიუტანა მინის ხარივით;  
178 რომლის მეღამი წმინდა შარაა.<sup>18</sup>  
179 რომლის სახემ გაანათა გამოქვაბული;  
180 ლუგალბანდამ ინანას ალაპყრო თვალი ზეცაში;  
181 შესტირა, როგორც ღვიძლ მშობელს.  
182 გამოქვაბულში მან ხელები მალლა ალაპყრო და ლოცულობდა:  
183 „ეს რომ იყოს ჩემი სამშობლო, ჩემი ქალაქი,  
184 „ეს რომ იყოს ქულაბა, ქალაქი, სადაც მშობა დედაჩემმა [...]  
185 „ცარიელი მინა რომც იყოს, რაც გველსაც კი აქვს!  
186 „მინის ხვრელი მაინც რომ იყოს, რაც აქვს მორიელს!<sup>19</sup>  
187 „ჩემი ძლიერი ხალხი [...] ჩემი მე [...],  
188 „ჩემი დიდებული ქალბატონები [...] ჩემი მე [...],  
189 „[...] ე-ანას ...  
190 [...]  
191 ...



- 192 „მისი პატარა ქვები მშვენებით ელვარებდნენ;
- 193 „ზემოთ საგკალ - ქვები, ქვემოთ [...];
- 194 „მისი ხმაური ზაბუს მხარეში;
- 195 „მისი ხმით [...] იღება!
- 196 „გთხოვ, ჩემი სხეული არ გაანადგურო ხაშურის მთებში.“
- 197 ინანამ ისმინა მისი გოდება;
- 198 როგორც ჩასვენებულ მზეს, თანაგრძნობით ძილი მიუღვარა;
- 199 სიმშვიდე შალის ქსოვილივით გადააფარა
- 200 და ... ის დაბრუნდა ქულაბაში, აგურით ნაშენში.
- 201 ხარივით, რომელიც არღვევს უკუნ ბნელს,
- 202 ვარსკვლავმა, „წმინდა ხბომ“<sup>20</sup> მოსტაცა მზერა.
- 203 ბრწყინავს ცაზე გათენების მაუნყებელი, ცისკრის ვარსკვლავი-  
ვით;
- 204 ის წინ გზას ანათებს ღამით.
- 205 სინ! – მიმართავდა ახალ მთვარეს;
- 206 მამაო ნანნა, ვინც ამომავალ მზეს გზას უჩვენებ;
- 207 **დიდებული ბატონი**, რომელსაც შვენის თავის გვირგვინი;<sup>21</sup>
- 208 სინი, ენლილის საყვარელი ვაჟი;
- 209 ღმერთი, რომელმაც მწვერვალს მიაღწია, ნიშანს ბრწყინვა-  
ლების;
- 210 რომლის მეღამი წმინდა შარას მსგავსია,
- 211 რომლის სახეს [შეაქვს] ნათელი მთის გამოქვაბულში;
- 212 ლუგალბანდამ ზეცაში სინს ალაპყრო მაღლა თვალები;
- 213 შესტირა, როგორც ღვიძლ მამას;
- 214 გამოქვაბულში მან ალაპყრო მაღლა ხელები და ლოცულობდა:
- 215 „მეფევ, რომელსაც მაღლა ზეცაში ვერვინ შეგწვდება:
- 216 „სინ, რომელსაც მაღლა ცაში ვერვინ შეგწვდება;
- 217 „მეფევ, სამართლის მოყვარულო, მტერო ბოროტების;
- 218 „სინ, სამართლის მოყვარულო, მტერო ბოროტების;
- 219 „შენს კეთილ გულს გაახარებს სამართალი;
- 220 „ალვის ხე, დიადი კვერთხი, შენი სკიპტრაა!
- 221 „შენ დაგიკარგავს სიმართლის ბოროკილები;



- 222 „მაგრამ არ დაგიკარგავს ბოროტების ხელბორკილი!  
223 „დეენი ბოროტს და დათარეშობ გამარჯვებული;<sup>22</sup>  
224 „ბრაზი რომ გენთება,  
225 „შხამს და ღვარძლს ანთხევ გესლიან გველივით!“  
226 სინმა ისმინა მისი ცრემლები, სიცოცხლე უბოძა,  
227 ფეხზე დააყენა.  
228 და ჰორიზონტზე კვლავ გამოჩნდა ბრწყინვალე ხარი.  
229 ხარი, რომელიც კვიპაროსთა შორის ცხოვრობდა;  
230 [მყარად] შემართული ფარი უხუცესთა კრებამ აღიარა;  
231 ფარი საგანძურის, რომელსაც ჯარი ეთაყვანება;  
232 ამონვერილმა მზემ სხივები  
233 გამოქვაბულში ნეტარ ლუგალბანდას მიაფინა.  
234 ლუგალბანდას მფარველი სული-დემონი მის წინ ფარფატებდა;  
235 ლამა – მფარველი ქალღმერთი უკან ამოუდგა;  
236 ღმერთი, რომელმაც განგმირა, გაბრუნდა.  
237 თვალები მზისკენ აღაპყრო ცაში ლუგალბანდამ;  
238 შესტირა, როგორც ღვიძლ მამას.  
239 გამოქვაბულში მან აღაპყრო ხელები მაღლა და ლოცულობდა:  
240 „მზეო, მწყემსო დედამინისა, შავთავიანთა მამავ!  
241 „ოდეს იძინებ, შენთან ერთად იძინებს კაცთა მოდგმა;  
242 „ოდეს იღვიძებ, ყოველი იღვიძებს შენთან ერთად;  
243 „მზეო, უშენოდ  
244 „ვერც ჩიტი გაებმება მახეში, ვერც მსახურს დაიჭერენ;  
245 „ვინც მარტო დადის, მისი მეგობარი ხარ;  
246 „მზეო, წყვილად მოარულთათვის მესამე ხარ;  
247 „ვინც სადავეს მართავს, მისი მუზარადი ხარ;  
248 „მიუსაფართ, ლატაკებს და მატყუარებს,  
249 „შენი სხივი შალის სამოსივით ეფინება;  
250 „მონებსაც ეფინება სელის თეთრი სამოსივით;  
251 „მოხუცი მდიდარი კაცები  
252 „და საბრალო მოხუცი ქალები მზის ბრწყინვალეობას ერთნაირად  
ადიდებენ





- 253 „სიცოცხლის ბოლო დღემდე სიყვარულით!  
254 „შენი ნათება ყველა მალამოზე ძლიერია!  
255 „ის დიდ, გარეულ ხარებს ამშვიდებს  
256 [...]  
257 „გმირო ნინგალის ვაჟო, სინათლესა და ბრწყინვალეებას  
ასხივებ!  
258 „ყველგან, სადაც ცხოვრობს ხალხი და საქონელი;  
259 ...  
260 „ძმები [...] მისი ძმები;  
261 „ის გუთანს უჩენს ადგილს;  
262 „ლოცვა ზეცას აღწევს!  
263 „გმირო, ნინგალის ვაჟო! გადიდებენ, როგორც ღირსეულს!“  
264 ნეტარი ლუგალბანდა გამოქვაბულიდან გამოვიდა.  
265 ვინც ენლილის გულის გამგონი აღმოჩნდება, სიცოცხლის  
ბალახი ერგება.  
266 მოჩუხჩუხე მდინარემ, მთების მშობელმა, სიცოცხლის წყალი  
ჩამოუტანა;  
267 ლუგალბანდამ სიცოცხლის ბალახი გაკვნიტა;  
268 სიცოცხლის წყალი ყლუპ-ყლუპად შესვა;  
269 როდესაც კვნეტდა სიცოცხლის ბალახს  
270 და სიცოცხლის წყალს ყლუპ-ყლუპად სვამდა,  
271 მან ერთი ჩლიქი მინაზე ჩამოდგა;<sup>23</sup>  
272 იმ ადგილიდან ჩქარობდა კანჯარივით;  
273 მთებზე გადავიდა შაქანივით;  
274 დატვირთული, დიდი, ძლიერი სახედარივით,  
275 სირბილი წყუროდა, გარშემო ხტოდა მოხდენილი სახედარივით;  
276 რიჟრაჟიდან სალამოს სიგრილემდე მირბოდა  
277 მთებში, მთვარის შუქზე მალლა მარტო ადიოდა,  
278 სულ მარტო, ირგვლივ იყურებოდა, არავინ ჩანდა.  
279 ყოველივე, რასაც ხურჯინში ინახავდა,  
280 რაც კი რამ ჰქონდა ტყავის გუდეებში,  
281 რაც ძმებმა და თანამებრძოლებმა,



- 282 ახალი წყალი, რითაც პური ცხვება [...],  
283 ნეტარმა ლუგალბანდამ გამოქვაბულიდან ყოველი გამოიტანა.  
284 ქვემოთ, ნაკვერჩხლებს შორის დაალაგა;  
285 ჭურჭელი წყლით აავსო;  
286 რაც წინ ელაგა, შიგ ჩაყარა;  
287 ხელში ორი კაჟი დაიჭირა;  
288 ერთმანეთს გაჰკრა;  
289 მიწაზე, ღია ცის ქვეშ ნახშირი დადო;  
290 კარგმა კაჟმა ნაპერწკალი გაყარა.  
291 უეცრად უკაცრიელ ადგილას პირველი ალი ავარდა მზის შუქივით;  
292 არასდროს უსწავლია პურის გამოცხოვა, არ იცოდა, რა იყო  
ლუმელი;  
293 ამ შვიდ ნაკვერჩხალზე gizi-ešta-პური გამოაცხო.  
294 სანამ პური ცხვებოდა,  
295. იქვე მთის ლერწამი ამოთხარა, ფესვები და ფოთლები შემოა-  
ცალა;  
296 ყოველი დღისთვის თითო ულუფა პური გაახვია.  
297 არ იცოდა, როგორ ცხვებოდა პური, არ იცოდა, რა არის ლუმელი;  
298 შვიდი ნაკვერჩხლით gizi-ešta-პური გამოაცხო (სახელდა-  
ხელოდ);  
299 შემდეგ ფინიკი და ტკბილი წვენი დააყოლა.  
300 ყავისფერი, ნაპატიები კამეჩი იქვე კუდს იქნევდა;  
301 მშიერი კამეჩი ინვა...,  
302 ნათელ მთებს ეძახდა და შეჰღმუოდა, ყავისფერი კამეჩების  
ადგილსამყოფელს.  
303 ცოხნის ეს ცხოველი მურტს<sup>24</sup> ხორბალივით;  
304 კვიპაროსის ქერქს ღრღნის ბალახივით;  
305 řenu-ხის ფოთლებს ცნოსავს;  
306 მოჩუხჩუხე ნაკადულიდან წყალს სვამს;  
307 საპონა<sup>25</sup> ბალახში განოლილი იცოხნება და აბუფუფებს;  
308 და მაშინ, როცა მთის ყავისფერი კამეჩი ძოვდა სიმწვანეში,  
309 ლუგალბანდამ მახეში გააბა.



- 310 იქვე [ახლოს] მთის ღვია ამოთხარა, ტოტები შემოაცალა,  
311 რომლის ფესვები მაღალი ლელის მსგავსია მდელოში;  
312 დანით გადაჭრა ლუგალბანდამ.  
313 მთის კამეჩი ყავისფერთან ერთად გაკოჭა, ყულფი ჩამოაცვა;  
314 მსუქან და ყავისფერ თხას მკბენარები ესეოდნენ;  
315 ისინიც მათი მსგავსნი არიან, მურტს ცოხნიან ხორბალივით;  
316 კვიპაროსის ქერქს ღრღნიან ბალახივით;  
317 ზენუ-ხის ფოთლებს ყნოსავენ;  
318 მოჩუხჩუხე ნაკადულიდან წყალს სვამენ  
319 და საპონაში, მთის ბალახში განოლილნი იცოხნიან, აბუყუყუებენ.  
320 და როდესაც მთის ყავისფერი თხა სიმწვანეში ძოვდა,  
321 ლუგალბანდამ მახეში გააბა.  
322 იქვე ახლოს მთის ღვია ამოთხარა, ტოტები შემოაცალა,  
323 რომლის ფესვები მაღალი ლელის მსგავსი მდელოში,  
324 დანით გადაჭრა ლუგალბანდამ.  
325 მსუქანი თხა ყავისფერთან ერთად გაკოჭა.

## სიზმარი

- 326 ისევ ჩუმად იყო, ირგვლივ ბევრჯერ მიმოიხედა, არავინ იყო.  
327 ძილი მოერია, ძილი მეფეა;  
328 ძილი სიბნელის სამეფოა;  
329 წარღვნაა, რომელიც ანგრევს ცხადის [აგურის] კედელს კაცის  
ხელივით;  
330 რომლის ხელი ფარავს ყოველივეს, რომლის ფეხი ფარავს ყოვე-  
ლივეს;  
331 სანამ განინმინდება, ყველაფერს ფარავს (ძილი), რასაც პოუ-  
ლობს.  
332 ის იღვრება და ყველგან აღწევს დაღვრილ თაფლივით;  
333 რომელმან არ იცის მთავარსარდალი, არც მეთაური;  
334 ჯარისკაცს მუდამ ძალას მატებს.  
335 ნინ-ქაშის ხის კასრის მეოხებით<sup>26</sup>



- 336 ლუგალბანდას ძილი მიეღვარა.  
337 მას საპონა, მთის წმინდა ბალახი, სანოლივით ელამუნება;  
338 შალის ქვეშაგებოვით გაშლილია;  
339 სადაც არ იყო განსაზღვრული ადგილი – თვითონ გაამზადა;  
340 თუმც მუფე დასაძინებლად არ დანოლილა: სიზმრის სახილველად დანვა!  
341 სიზმარს ვერც კარი უშვებს უკან, ვერც კარის ბოძი;  
342 ცრუსთან ცრუობს და მართალთან სიმართლეს ამბობს;  
343 აბედნიერებს კაცს ან ამწუხრებს,  
344 მარად ღმერთთა ნაუკითხავ დაფად დარჩება.  
345 იგი ბრწყინვალე ნინლილის საქორწინო კოშკია;  
346 მაგრამ ინანას მრჩეველიცაა.<sup>27</sup>  
347 კაცობრიობის გამამრავლებელი, [ერთის ხმა არ არის ცოცხლის];<sup>28</sup>  
348 ზანგარამ, სიზმრის ღმერთმა,  
349 ხარივით შეჰბლავლა ლუგალბანდას;  
350 შებლავლა, როგორც დეკეულმა ფურს:  
351 „ყავისფერო კამეჩი, ვინ დაკლავს მას ჩემთვის?  
352 „ვინ გაადნობს მის ქონს ჩემთვის?  
353 „მან უნდა წაილოს ჩემი თუთიის ნაჯახი;  
354 „მან ჩემი რკინის სატევარი უნდა იხმაროს;  
355 „კამეჩთან მეზრძოლივით, მთის ყავისფერი კამეჩი აიყვანოს!  
შეეჭიდოს, დაიმორჩილოს...  
356 „მზის ამოსვლამდე მსხვერპლად შესწირავს, მისი სული შიგანს დატოვებს!  
357 „და ორივეს: ყავისფერ და მარჩენალ თხებს, ქერის მარცვალ-  
ვით თავები დაუჩეჩქვოს!  
358 „როდესაც ის მათ სისხლს ჭაში ჩაღვრის;  
359 „დაბლობზე სისხლის სუნი დადგება;  
360 „მთის ფხიზელი გველები სუნს იყნოსავენ“.  
361 ლუგალბანდამ თვალი გაახილა, სიზმარი ეხილა. ის შეკრთა, მას ეზმანა.



- 362 გაჩუმდა, საზარელი იყო სიზმარი.  
363 მაშინ ცული დაიჭირა, თუთიის იყო;  
364 შემართა [რკინის] სატევარი;  
365 როგორც კამერთან მებრძოლმა, მთის ყავისფერ კამერს შეე-  
ჭიდა, დაიმორჩილა.  
366 კამერი სულმა დატოვა. მზის ამოსვლამდე მსხვერპლად შეს-  
წირა.  
367 [მან] ყავისფერ და მარჩენალ თხებს თავები დაუჩერქვა ქერის  
მარცვალევით.  
368 დაღვრილი სისხლით ჭა გაავსო,  
369 დაბლობზე სუნი დადგა;  
370 მთის ფხიზელმა გველებმა იყნოსეს.  
371 მზის ამოსვლისას  
372 ლუგალბანდა ენლილს უხმობდა;  
373 ან-ი, ენლილ-ი, ენქ-ი და ნინხურსაგ-ი<sup>29</sup>  
374 ნადიმს უსხდნენ ცხოველთა სასაკლავოს ჭასთან;  
375 რომელსაც ადგილი მზად ჰქონდა მაღლობზე.  
376 ნადიმი გაიმართა, შესანიერი ღვინო იღვრებოდა;  
377 ხორბლის ლუდი, მაგარი სასმელები, ქერის ლუდი;  
378 ღვინო საამოდ ისმებოდა;  
379 ღვინო დაიღვარა დაბლობზე შესანირად;  
380 მან ყავისფერი თხების ხორცი დაჭრა,  
381 შეწვა [მუქი] ღვიძლები;  
382 ცეცხლზე დადო საკმეველივით, ზეცას აუშვა კვამლი,  
383 როგორც დუმუზის ფარეხიდან მოტანილი გემრიელი ლუკმა,  
384 ლუგალბანდამ ასეთი ძღვენი გაამზადა;  
385 ანმა, ენლილმა, ენქიმ და ნინხურსაგმა მიირთვეს გემრიელად.  
386 მან მოამზადა ნათელი ადგილი, ვით წმინდა ძალა,  
387 სინის წმინდა საკურთხეველი.  
387 უთუს და სინის საკურთხეველი მწვერვალზე ააგო,  
389 ლილაქვით შეამკო, ინანას საკურთხეველს დაამსგავსა.  
390 სინმა განწმინდა (წყალში ამოავლო) თავისი [მხრის] იარაღი,



- 391 ა-ანკარა იარალი.<sup>30</sup>  
392 ბრწყინავს ეს ციური ქალაქი;  
393 ყველა პური **გამოანყო**, როგორც იყო...  
394 ენქისტვის ქმნეს, ღმერთთა მამისტვის;  
395 ზეცა გაიხსნა, და მაშინ გამოვიდნენ [...];  
396 ისინი არიან [...];  
397 როგორც ლეღვის ასხმულა სიმნიფისგან წვეთავს,  
398 მათი მკლავები დამძიმებულია;  
399 ისინი სინის ქურციკნი არიან, გარბიან და თავს აღწევენ;  
400 ისინი ნინლილის უმშვენიერესი ქმნილებანი არიან;  
401 ისინი იშქურის მსახურნი არიან;  
402 მოსავალს თესავენ, ხორბალს აგროვებენ;  
403 ყალყზე შემდგარი მხეცები არიან ხის კვერთხით;  
404 ქარიშხლივით უსწორდებიან სინის სიძულვილით აჯანყებულ  
მიწებს;  
405 მართლა ქარიშხალივით იბრძვიან, მართლა ასეთები არიან!  
406 მთელი დღე, (მუდამ) ფხიზლები წვანან;  
407 მოკლე ღამეში სახლებში შედიან;  
408 გრძელი დღის და მოკლე ღამის დროს სანოლში წვანან!<sup>31</sup>  
409 დღისით [...] ფუფუნებას ჰპირდებიან;  
410 ღამით განათებულ მინდორზე გალობენ;  
411 ისინი ნიავს ეხებიან, მზის მერცხლებს;  
412 სახლიდან სახლში მიმოდინან;  
413 ქუჩიდან ქუჩაზე დაქრიან;  
414 სულ მუდამ ყბედობენ, ისევ ახსენებენ: „გვესაუბრე ჩვენ!“  
415 დედებთან სიტყვას ეძებენ, დიდ ქალბატონებს პასუხობენ;  
416 მათი ბუდე სანოლთანაა;  
417 რომელნიც გმირავენ [ძლიერს] და სუსტს;  
418 იპარავენ სიბნელე[ში]...  
419 მიაქვთ [...] კარები და ტაბლები ქვეყნიდან;  
420 რომელნიც ცვლიან [...] ...  
421 კარიბჭის სვეტებს ერთად სკრავენ;



- 422 გმირი, რომლის გრძელ ასოს მასთან ერთად ძინავს,<sup>32</sup>  
423 მზე მთელ სიგრძეზე ანათებს.  
424 ჭაბუკი მართალი სიტყვის, გმირი უთუ,  
425 რომელმაც იცის ყოველი აზრი;  
426 რომლის შელოცვა მიემართება ცის და მიწისკენ...  
427 უთუს ... შელოცვა...  
428 ვინ არის ანუნას<sup>33</sup> ტოლი და სწორი, დიდი ღმერთების, არავინ  
იცის;  
429 ამ დროიდან უთუ, ... ენლილის...  
430 განგებამ ლუგალბანდა დიდი მისიით დააჯილდოვა;  
431 და დასძინა ... [სამართალი] მთელ ქვეყანაზე;  
432 და ... ღმერთების...  
433 ქალაქის ბრძენი უხუცესები...  
434 რომელთ შელოცვა ცის და მიწისკენ იყო მიმართული;  
435 მზემ შეულოცა...  
436 ვინ არის ანუნას ტოლი და სწორი, დიდი ღმერთების, არავინ  
იცის.  
437  
ოთხი სტრიქონი აკლია  
441 ...  
442 როდესაც მზე ანათებს, ენლილი, საიქიოს ღმერთი...  
443 ნინგალის წვეროსანი შვილი, შესვლის ნება აქვთ.  
444 რომელთ სინს მისცეს... და ისევ ბრძოლა;  
445 ძალადობით უცხო ქვეყნებს ანადგურებენ;  
446 რომელნიც შუალამით შავ ველურ ტახს ცნობენ;  
447 რომლის შელოცვა დადგენილია მზის ამოსვლამდე;  
448 ზეცის (შენი) სიმღერა დადგენილია უფრო ადრე;  
449 დიდი ღმერთები მეტოქეობას ვერ გაუწევენ;  
450 რომელნიც ... მათ წინ არიან;  
451 შედიან ანის, ენლილის, [...] ინანას წინაშე;  
452 რომელთ იციან...  
453 იჭვრიტებიან...



- 454 ... ბნელი კუთხიდან ...  
455 ბრწყინვალე მთის კარი, ბრწყინვალე მთის ურდული,  
456 კვერთხი ზეცის... KAL.KAI-ის...  
457 სული ... ინანა ... ქარს დაჰყვება;  
458 ხის სკივრი ... ამოტანილია ნათელი მთიდან;  
459 ... ოქროსფერი და სასტიკი ხის სკივრი...  
460 ... რომელნიც დგანან...  
461 როგორც ...  
462 ინანას კვალს მიჰყვებიან...მისი ბრწყინვალე ტაძრიდან;  
463 რომელნიც ინანამ შეიყვარა, სიმტკიცეს მატებს ბრძოლაში;  
464 ბრძოლის თოთხმეტი ჩირაღდანი არიან, ...  
465 შუალამეს რომელნიც ...  
466 რიჟრაჟზე, როდესაც ღამე კვდება, ცეცხლს ისვრიან;  
467 ბრბოში ერთად ანათებენ, როგორც ელვა;  
468 ყველაზე სასტიკ ... ბრძოლაში...  
469 ხმამაღლა გრგვინავენ მოვარდნილ წარღვნასავით...  
470 რომელნიც ინანამ შეიყვარა, სიმტკიცეს მატებს ბრძოლაში;  
471 ბრძოლის შვიდი ჩირაღდანი არიან,  
472 მალღებებიან ბედნიერნი, თითქოს ღია ცის ქვეშ გვირგვინს  
ადგამენ;  
473 რომელთა შუბლი და თვალნი გაბრწყინებულია...  
474 ყურები ... ნავი.  
475 რომელთა პირნი გარეული ტახებია, ლერწმიანში რომ ისვენე-  
ბენ;  
476 დგანან ბრძოლაში;  
477 რომლის სასიცოცხლო ძალაა ...  
478 ...  
479 რომელნიც ინანამ შეიყვარა, სიმტკიცეს მატებს ბრძოლაში;  
480 ნინთუდმა<sup>34</sup> ზეციდან დათვალა;  
481 მარადიული ცხოვრება აქვთ.  
482 ბრწყინვალე საომარი კვერთხი უპყრიათ, ვარსკვლავებით  
მოოჭვილი, რომლითაც ცა და მიწა გაუმიჯნავთ.





- 488 ზეციურ nin.TABKULIBIR-ს უპყრია!  
484 ვარსკვლავი, რომელიც დღეს დღედ აქცევს,  
485 რომლის ცელადან მზე ჩნდება;  
486 ცის წმინდა საბრძოლო კვერთხს ამზადებს;  
487 ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც კაცთან წევს;<sup>35</sup>  
488 რომელნიც არიან ბოროტი ღმერთები მრისხანე გულებით;  
489 ღმერთები არიან...  
490 მსგავსად ნანასი, მზისა და ინანასი, რომელნიც ორმოცდაათ  
ძალას ფლობენ;  
491 ცისა და მიწის კარიბჭე არიან;  
492 რომელნიც [...იგებენ...] ბოროტ სიტყვას;  
493 რომელნიც მოძალადენი არიან.<sup>36</sup>  
494 ... ვარდი ... ვარდი<sup>37</sup>...  
495 ... ვარდი, რომელიც bur-šum-მა აამაღლა,<sup>38</sup>  
496 მონმენდილ ცაზე უთვალავი ვარსკვლავი ბრწყინავს...  
497 საცერი<sup>39</sup> მახესავით გადმობრუნებულა, ეტლის ვარდი<sup>40</sup>...  
498 ჭეშმარიტი კედარის ხეები [ხაშურის] მთებში...  
499 ბრძოლის ბადეა ჰორიზონტიდან ცის კიდემდე...

უცნობია, ჩამდენი სტრიქონი აკლია.

# ლუგალბანდას დაბრუნება



## ლუგალბანდა და ანზუდი

- 1 იტანჯებოდა ლუგალბანდა შორეულ მთებში;
- 2 ღვთის ანაბარა დარჩენილიყო ზაბუს მხარეში;
- 3 დედა არ ჰყავდა გვერდით, რჩევა რომ ეთქვა მისთვის;
- 4 მამა არ ჰყავდა გვერდით, ხმა რომ გაეცა მისთვის;
- 5 არავინ იყო მასთან ძვირფასი;
- 6 არავინ იყო სანდო, რჩევა ეკითხა მისთვის.
- 7 მხოლოდ საკუთარ გულს ესაუბრებოდა:
- 8 „მე ვუმასპინძლებ ანზუდს, როგორც შეშვენის;
- 9 „მე ვუმასპინძლებ ანზუდს, როგორც შეშვენის;
- 10 „და მე მის ცოლს შევეგებები;
- 11 „ანზუდის ცოლ-შვილს გადავებხვევი;
- 12 „ერთად დავსხდებით ნადიმზე;
- 13 „ან-ი ჩემთვის ნინგუენაქას მოიყვანს
- 14 „თავისი ქვეყნის მთებიდან.
- 15 „და ყველასთვის ცნობილი ქალბატონი, დედის სიამაყე
- 16 „ნინ-ქაში, ცნობილი ქალბატონი, რომლითაც დედა ამაყოფს,
- 17 „რომლის ლუდის კასრი მოციმციმე ლილაქვისაა,
- 18 „რომლის კასრი არის წმინდა ოქროსი და ვერცხლის.



- 19 „დღესასწაულია, როდესაც ლუდთან დგას;  
20 „როდესაც ჯდება, ლუდის მირთმევის შემდეგ, გახარებულია;  
21 „დაუღალავი ნინ-ქაში, მერიქიფე, აზავებს და არიგებს სასმელს  
22 „თვითონვე კასრიდან, მისი თეძოდან.  
23 „ნინ-ქაში დამეხმარება სასურველი სასმელის დარიგებაში;  
24 „როდესაც ლუდს შესვამს, გამხიარულდება;  
25 „როდესაც ანზუდი ლუდს შესვამს, გამხიარულდება;  
26 „იგი მაპოვნიებს გზას ურუქისკენ;  
27 „ანზუდი დამაყენებს ძმათა ნაკვალევზე“.  
28 იქ ერთი ბრწყინვალე ხე იყო, ენქის ხე;  
29 მწვერვალზე ინანას ბორცვი ნაირფრად ყვავდა;  
30 აღმართულიყო სამყაროში, მსგავსად კოშკისა;  
31 ხმელი იყო, როგორც ARU.<sup>1</sup>  
32 რომლის ჩრდილი მათა მწვერვალთ ეფინებოდა  
33 სამოსივით, მათ ზენარივით გადაჰფარვოდა.  
34 რომლის ფესვები, sagkal-გველის მსგავსად,  
35 მზის მდინარეზე განოლილიყო, შვიდტოტიანზე.  
36 აქ, მთებში სხვა ხეები არ ხარობდნენ, გველები არ იკბინებოდ-  
ნენ, მორიელები არ შხამავდნენ;  
37 მხოლოდ buru-az-ჩიტი ტოტებს შორის  
38 ბუდეს იშენებდა და კვერცხებს დებდა.  
39 ბრწყინვალე ანზუდმა  
40 ბუდე გაიკეთა და ბარტყები **დაასხა**.  
41 ბუდე ბზისა და ღვიის იყო,  
42 რომლის ბრწყინვალე შტოები დანნა შეუმჩნევლად;  
43 როდესაც დღე ილევა, როდესაც ჩიტი ფრთას შლის,  
44 მზის ამოსვლისას, როდესაც ქვეყნის კიდე აღწევს  
45 ანზუდის ხმა,  
46 ლულუბის მთებში მინას არყევს მისი კვილი.  
47 რომლის კბილები ბასრია, რომლის ბრჭყალები ზღვის ლომის  
მსგავსი;  
48 რომლის შიშით ქიუხებში კამეჩები იფანტებიან;



- 49 ირმები მთისკენ გარბიან;  
50 ლუგალბანდამ, რომელიც იყო ჭკვიანი და მოხერხებული,  
51 ღმერთებს გემრიელი ხორცი გაუმზადა;  
52 რჩეული სანელებლებით შეაზავა;  
53 Gizi-ešta ცომი თაფლით მოზილა, სიმტკიცე შემატა;  
54 კვერი ანზუდის ბარტყს დაუდო;  
55 მარილიანი ხორცი ბარტყს მისცა, ცხვრის ქონზე დამზადე-  
ბული;  
56 ყველა კვერი ნისკარტთან დაულაგა  
57 და ბუდის უკან გადასვა ბარტყი.  
58 თვალები ნახშირით დაუხატა;  
59 თავს კედარის სურნელება სცხო;  
60 მარილიანი ხორცი თავთან დაუდო;  
61 მაშინ ანზუდის ბუდეს გაეცალა ლუგალბანდა,  
62 შორეულ მთებში, სადაც კვიპაროსები არ ხარობენ, ანზუდს  
ელოდა.  
63 იმ დროს ანზუდი მთის კამეჩებს ერეკებოდა;  
64 ანზუდი მთის კამეჩებს ერეკებოდა;  
65 ცოცხალი კამეჩი კლანჭებით ეჭირა;  
66 მოკლული კამეჩი მხრებით მოჰქონდა;  
67 ბრაზს ანთხევდა წყლის ჭავლივით;  
68 ფრინველმა ირგვლივ შემოუფრინა;  
69 ანზუდმა გარს შემოუფრინა;  
70 და როდესაც თავის ბუდეს ხმა მიაწვდინა,  
70a როცა ანზუდმა თავის ბუდეს ხმა მიაწვდინა,  
71 ბუდიდან დაფრთიანებული ბარტყი აღარ შეეხმინა.  
72 როდესაც ანზუდმა ბუდეს კვლავ გასძახა,  
73 ბუდიდან ბარტყი არ შეეხმინა.  
74 მანამდე ანზუდის ძახილს ბარტყი  
75 ბუდიდან ყოველთვის ეხმინებოდა,  
76 მაგრამ ახლა, როდესაც ანზუდი თავის ბარტყს ეძახდა,  
77 ბარტყი აღარ შეეხმინა.



- 78 ანზუდმა გაჰკვივლა, მისი კვივილი ზეცას მისწვდა;  
79 მისი ცოლი გაჰკიოდა: „ვაი!“ ცოლის ხმამ აბზუს ჩააღწია;  
80 ანზუდის კვივილმა,  
81 მისი ცოლის ტირილმა და გოდებამ,  
82 ანუნა, მათა ღმერთები შეაწუხეს  
83 და ისინი ჭიანჭველებივით ნაპრალებისკენ მიცოცავდნენ.  
84 ფრინველმა ცოლს უთხრა;  
85 ანზუდმა ცოლს უთხრა:  
86 „ჩემი ბუდე, ფართო, როგორც ნანნას ბოსელი,<sup>2</sup> უბედურებას  
გვაუწყებს;  
87 „ჩვენ უპირველესნი მთის ლომებივით შიშს ვთესავთ;  
88 „ვინ მოიტაცა ჩემი ბარტყი ბუდიდან?  
89 „ვინ მოიტაცა პატარა ანზუდი ბუდიდან?“  
90 მაგრამ, როდესაც ახლოს მიფრინდა ბუდესთან,  
91 როცა ანზუდი ახლოს მიფრინდა,  
92 ბუდე ერგენა ბრწყინვალედ მორთული ღვთაებრივ სადგომივით;  
93 ბარტყი ბუდეში იწვა;  
94 მისი თვალები შავად ეღვარებდა;  
95 თავზე კედარის სურნელება ჰქონდა ნაჰკურები;  
96 თავთან მარილიანი ხორცის ნაჭერი ედო;  
97 ბარტყი ტკბებოდა ბედნიერებით;  
98 ანზუდი ტკბებოდა ბედნიერებით.  
99 „მე უფლისწული ვარ, ვინც მდინარეთა დინების ბედი გადაწყვი-  
ტა;  
100 „მე ნაყოფიერების მუზარადი ვარ, ვინც ენლილის გულს ამშ-  
ვიდებს;  
101 „მამაჩემმა, ენლილმა, მომიყვანა აქ;  
102 „შემქმნა ქვეყნიერების კარიბჭის ურდულად;  
103 „რომლის შეცვლა არავის ძალუძს – მე ვარ ბედისწერა;  
104 „ბედს მე ვადგენ – ვის ძალუძს შეცვლა?  
105 „ვინ ხარ მანდ, ვინც ეს ჩემს ბუდეში მოიმოქმედა?  
106 „თუ ღმერთი ხარ, საუბარი მსურს!



- 107 „გრთავ ნებას ჩემთან მეგობრობის!  
108 „და თუ კაცი ხარ, ბედს გადაგინყვეტ!  
109 „არ დაგსჯი მთაში მეტოქეობისთვის!  
110 „დაგარქმევ – „გმირს, ანზუდის შექმნილს“.<sup>3</sup>  
111 შიშმა შეიპყრო ლუგალბანდა, თან გაუხარდა,  
112 ერთხელ შეეშინდა, ერთხელ გაუხარდა;  
113 ფრთოსანს თავს ევლებოდა,  
114 ანზუდს თავს ევლებოდა:  
115 „თვალგაბრწყინებულო ანზუდ, აყვავებულ მხარეში შობილო,  
116 „თვალგაბრწყინებულო ანზუდ, აყვავებულ მხარეში შობილო,  
117 „ტბაში მობანავესავით მხიარულო,  
118 „მამაშენი ქვეყნიერების უფლისნულია,  
119 „ცა შენს ხელთ მოქცეულა, მინა – შენს ფერხთით;  
120 „რომლის გაშლილი ფრთა ბადესავით გადაჭიმულა ცის კაბა-  
ლონზე;  
121 „რომლის კლანჭები მახეა, ფურ-კამეჩისთვის მთაში დაგებული;  
122 „რომლის ზურგი დუფსარის დაფაა;  
123 „რომლის მკერდი ღვთაება ნირაა, წყლების გამყოფი,  
124 „ისევე როგორც შენი ზურგი. აყვავებული ხილის ბალი ხარ,  
საოცარი სანახავად“.  
125 „ჩემი სიცოცხლე გიძღვენი გუშინ, მოგანდე ჩემი არსებობა;  
126 „შენი ცოლი გახდებოდეს დედაჩემი;  
127 „შენ გახდებოდე მამაჩემი;  
128 „შენს ბარტყებს ძმებად მივიღებდე;  
129 „ნუხანდელიდან გელოდები ამ მთიანეთში, სადაც კვიპაროსები  
არ ხარობენ;  
130 „შენმა ცოლმა სალამი მიძღვნა;  
131 „მეც გიძღვნი სალამს! მსურს, რომ ბედისწერა შენ დამიდგინო!  
132 „კმაყოფილმა ფრინველმა მიუგო,  
133 „კმაყოფილმა ანზუდმა მიუგო,  
134 „ანზუდმა ლუგალბანდას უთხრა:  
135 „კარგი, ლუგალბანდა,



- 136 „როგორც ნავი, სავსე ძვირფასი ლითონით, ნავი სავსე მარცვ-  
ლეულით;
- 137 „ნავი, დატვირთული ვაშლის მოსავლით,
- 138 „ნავი, სავსე კიტრით, მაღალია თავის ჩრდილივით,
- 139 „როგორც მკის დროს უხვად დატვირთული ნავი,
- 140 „ამაყად დაბრუნდები აგურით ნაშენ ქულაბაში“.
- 141 მაგრამ ლუგალბანდას, რომელსაც უყვარდა შთამომავლები,  
არ ძალუძდა დათანხმება.
- 142 „როგორც შარა, ინანას საყვარელი ვაჟი,
- 143 „შენი ეკლიანი შუბის გატყორცნა მზის სხივივით,
- 144 „შენი ლერწმის ისრის გატყორცნა მთვარის ნათელივით,
- 145 „შენი ეკლიანი შუბი რქოსანი გველი იყოს მტრისთვის,
- 146 „ისე დაჭრან მაგიურ ძალით, როგორც თევზს ჭრიან დიდი  
დანით.
- 147 „ცულით დაჩეხილ მორებივით ერთად შეიკრან“,
- 148 მაგრამ ლუგალბანდას, რომელსაც უყვარდა შთამომავლები,  
არ ძალუძდა დათანხმება.
- 149 „რომ ნინურთამ, ენლილის ვაჟმა,
- 150 „ბრძოლის ლომისთავიანი მუზარადი დაგახუროს,
- 151 „ყურად იღოს გულისტკივილი, რომ შორეულ მთებში არ არის  
დანდობა“;
- 152 „რომ გიძღვნას [...] ბრძოლაში გამარჯვება, [...მთებში];
- 153 „როცა ქალაქში დაბრუნდები, იქნებ [...]“;
- 154 მაგრამ ლუგალბანდას, რომელსაც უყვარდა  
შთამომავლები, არ ძალუძდა დათანხმება.
- 155 „სიუხვე დუმუზის კარაქის სადღვებლის,
- 156 „რომლის ბარაქა სამყაროს ბარაქაა, იქნებ ასევე...[...];
- 157 „რომლის რძე სამყაროს რძეა, იქნებ ასევე...[...];“
- 158 მაგრამ ლუგალბანდას, რომელსაც უყვარდა შთამომავლები,  
არ ძალუძდა დათანხმება.
- 159 Kib-ჩიტივით, ნკრიალა წყლების Kib-ჩიტივით, ჭაობს რომ გარს  
უფრენს, პასუხობდა:<sup>4</sup>



- 160 ანზუდი უსმენდა;  
161 ანზუდმა უთხრა ლუგალბანდას:  
162 „კარგი, ლუგალბანდა,  
163 „დე, იყოს რაც ბედისწერაა, რასაც გული გეუბნება,  
164 „ჯიუტი გუთნის ხარი კვალს უნდა გაჰყვეს;  
165 „გზააბნეული [ყროყინა] სახედარი სწორ გზაზე უნდა დააყენო,  
სურვილს აგისრულებ;  
166 „ბედს გადაგინყვეტ, ისე როგორც გასურს“.  
167 ნეტარმა ლუგალბანდამ უპასუხა:  
168 „არასდროს დავიღალო, მოზღვავებული სირბილის ძალა ჰქონ-  
დეთ ჩემს ბარძაყებს;  
169 „ჩემი მკლავის ძალა ვნახოთ;  
170 „ჩემი მკლავი დაიჭიმოს, უშრეტი ძალა ჰქონდეს;  
171 „მაშინ მზისა და ინანას მსგავსად ვიმოგზაურებ;  
172 „მსგავსად იშქურის შვიდი ქარისა,  
173 „მეხივით ვეცემოდე, ალივით ვვრცელდებოდე,  
174 „ნასვლა შეეძლო, სადაც ვისურვებ;  
175 „ფეხი იქ დავდგა, საცა თვალს დავადგამ;  
176 „ყველგან ჩავიდე, სადაც გული ამიძგერდება;  
177 „სანდლები იქ გავიხსნა, სადაც გული მეტყვის;  
178 „მზე თუ ინებებს, ქულაბას, ჩემს ქალაქს მივალნიო;  
179 „მათ, ვინც აბუჩად მიგდებდა, არ ეამებათ;  
180 „ვინც გულში მმტრობდა, მშვიდობით დაბრუნებას არ მისურვე-  
ბენ;  
181 „მაშინ [ხის] ოსტატს შენს ქანდაკებას გამოვაკვეთინებ. ასეთია  
ჩემი სურვილი;  
182 „შენს სახელს მთელი შუმერი ეთაყვანება.  
183 „შენს ქანდაკებას ყველა ტაძრის სიმბოლოდ ვაქცევ“.<sup>5</sup>  
184 ანზუდმა ნეტარ ლუგალბანდას უპასუხა:  
185 „შენს ფეხს ექნება მოზღვავებული სირბილის ძალა, არასოდეს  
დაიღლები;  
186 „ძალა ექნება შენს მკლავს;





- 187 „შენი მკლავები დაიჭიმება უშრეტი ძალით;  
188 „ივლი მზისა და ინანას მსგავსად;  
189 „იქურის შვიდი ქარის მსგავსად;  
190 „გავრცელდები ალის მსგავსად, მეხივით დაეცემი;  
191 „სადაც ისურვებ, იქ შეძლებ წასვლას;  
192 „ფეხს იქ დადგამ, საცა თვალს დადგამ;  
193 „იქ მიხვალ, სადაც გული გაგინვეს;  
194 „სანდლებს იქ გაიხსნი, სადაც გული გეტყვის;  
195 „შენს ქალაქამდე მზე იქნება შენი მეგზური;  
196 „მათ, ვინც აბურად გიგდებდა, არ ეამებათ;  
197 „ვინც გულში გამტრობდა, არ გეტყვიან: „მშვიდობით მობრძანდი!“  
198 „ჩემს ქანდაკებას ოსტატს [ხისგან] გამოაკვეთინებ, ქვეყნად რომ წახონ!  
199 „მთელი შუმერი მეთაყვანება!  
200 „ჩემს ქანდაკებას ყველა ტაძრის სიმბოლოდ გახდი!  
201 „მწირი მინები შენს სავალ გზებს დაემსგავსება;  
202 „ევფრატის სიფართის სარწყავი არხები შენი იქნება!“

### ლუგალბანდას დაბრუნება

- 203 გზაში პური არ გაუტეხავს;  
204 ყოველი იარაღი ხელით ატარა;  
205 ცაში ანზუდი მიფრინავდა;  
206 მინაზე ლუგალბანდა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა;  
207 მალლიდან დასცქეროდა, ლაშქარს უთვალთვალებდა;  
208 ლუგალბანდა ლაშქრის ფეხთა ავარდნილ მტვერს ზემოთ ხედავდა.  
209 ანზუდმა უთხრა ლუგალბანდას:  
210 „ლუგალბანდა,  
211 „ახლა (რამდენიმე) რჩევას მოგცემ, ენდე მათ!  
212 „გაგიმხელ საიდუმლოდ და შეისმინე!  
213 „როგორც დაგპირდი, ბედი გექნება, გადაგინყვიტე!



- 214 „ნუ ეტყვი ამას შენს თანმხლებთ!  
215 „ნუ ეცოდინებათ შენს ძმებს!  
216 „კარგი ილბალი შურს იწვევს, ასე იყო და ასე იქნება!  
217 „ახლა ჩემს ბუდეს მივაშურებ, შენ გზა განაგრძე ლაშქრისაკენ“.  
218 ანზუდი ბუდეში დაბრუნდა.  
219 თავის ძმების გზას ლუგალბადა ისევ დაადგა;  
220 როგორც ო-ჩიტი ფრინდება წმინდა ლერწმის ბარდიდან,  
221 როგორც ლახამას სული ამოდის აბზუდან,<sup>6</sup>  
222 როგორც ციდან მინაზე დაშვება,  
223 ლუგალბანდამ მყის შეარღვია ლაშქრის შუაგული, ძმებს შორის  
გაჩნდა.  
224 ძმებმა ჟრიამული იწყეს, ლაშქარი აგუგუნდა.  
225 ძმებმა და თანამებრძოლებმა  
226 დაქანცეს შეკითხვებით:ჟ  
227 „ლუგალბანდა, შენ ისევ აქ ხარ!  
228 „ლაშქარმა დაგტოვა, როგორც ომში დაცემული;  
229 „მეტს ველარ შეჭამდი ნახირის მსუყე საჭმელს;  
230 „მეტს ველარ შეჭამდი ფარეხის საუკეთესო ყველს;  
231 „მაღალი მთიდან, საიდანაც არვის ძალუძს მარტო დაბრუნება“;  
232 „საიდანაც არვის ძალუძს ქვეყნად დაბრუნება, როგორ დაბ-  
რუნდი?“  
233 და კვლავ ძმებმა და თანმხლებებმა  
234 დაქანცეს შეკითხვებით:  
235 „მთის მდინარეებს, ნაყოფიერების დედეებს,  
236 „[სველი] შლამი აქვთ;  
237 „წყალს როგორ სვამდი, როგორ ზიდავდი?“  
238 ნეტარმა ლუგალბანდამ უპასუხა:  
239 „დედასავით ბარაქიან მთის მდინარეებს  
240 „სველი შლამი აქვთ;  
241 „ მხარზე ვინეჯი, წყალს ვსვამდი ზედაპირიდან;  
242 „მგელივით ვბრდღვინავდი, ვძოვდი მდელოზე;  
243 „მინას ვკორტინიდი გარეულ მტრედივით, რკოს ვჭამდი“;



- 244 ლუგალბანდას ძმებმა და მეგრძოლებმა,  
245 მისი სიტყვა ირწმუნეს.  
246 მთელი დღე ერთად გროვდებოდნენ პატარა ჩიტებივით;  
247 კოცნიდნენ და ეხვეოდნენ მას,  
248 თითქოს gamgam-ბარტყი ყოფილიყოს ბუდეში,  
249 აპურებდნენ და აძლევდნენ სასმელს,  
250 უკუაგდებდნენ ლუგალბანდას სნეულებას  
251 და როგორც ერთი, კვლავ ურუქის [სულს] მიჰყვებოდნენ;<sup>7</sup>  
252 მთებზე ისე გადადიოდნენ, როგორც გველი გარს ერტყმის ძნას.  
253 როდესაც არათამდე ერთი ლიეს მანძილი იყო;  
254 არათას სათვალთვალო კოშკთან,<sup>8</sup>  
255 ურუქ-ქულაბამ ბანაკი დასცა.  
256 ქალაქიდან ხელშუბების წვიმა მოდიოდა;  
257 უთვალავი [ღვედის ხმა], როგორც მთელი წლის წვიმის წვეთები;  
258 არათას კედლიდან ზუზუნით ეცემოდნენ.  
259 დღეები გადიოდა... თვეები გადიოდა... დრო გადიოდა... მთელმა  
წელმა გაიარა.  
260 ცისქვეშეთში მოსავალი მიიღია;  
261 ნუხდნენ, როცა მოუსავლიან მინდვრებს ხედავდნენ;  
262 ისრები, წვიმის წვეთებივით, მთელი წელი  
263 გზაზე ცვიოდა.  
264 აკაციები მთის კალთებზე ხარობდნენ,  
265 რომელთაც Pšumgal-ს ჭრილობა შეუხორცეს;<sup>9</sup>  
266 არავინ იცოდა, როგორ დაბრუნებულიყო ქალაქში;  
267. არავის ძალუძდა ქულაბაში დაბრუნება.  
268 მათ შორის მყოფი ენმერქარი, მზის ვაჟი,  
269 უსასრულო ყიჟინამ განარისხა და ააღეღვა.  
270 ეძებდა ვინმეს, ვინც ქალაქში დაბრუნდებოდა;  
271 ეძებდა ვინმეს, ვინც ქულაბაში დაბრუნდებოდა;  
272 მაგრამ არავინ თქვა: „ქალაქში დავბრუნდები!“  
273 მაგრამ არავინ თქვა: „დავბრუნდები ქულაბაში!“  
274 იგი მივიდა [უცხო] რაზმთან;



- 275 მაგრამ არავინ თქვა: „ქალაქში დავბრუნდები!“  
276 მაგრამ არავინ თქვა: „დავბრუნდები ქულაბაში!“  
277 რჩეულ მეომრებთან მივიდა;  
278 მაგრამ არავის უთქვამს: „ქალაქში დავბრუნდები!“  
279 მაგრამ არავის უთქვამს: „დავბრუნდები ქულაბაში!“  
280 (იგი) კვლავ [უცხო] რაზმთან მივიდა;  
281 კვლავ არავინ თქვა: „ქალაქში დავბრუნდები!“  
282 კვლავ არავინ თქვა: „დავბრუნდები ქულაბაში!“  
283 როცა კვლავ მივიდა რჩეულ მებრძოლებთან,  
284 ლუგალბანდა, მარტოსული, გამოეყო ჯარს [ხალხი], თქვა:  
285 „ჩემო მეფეო, მარტო ნავალ ქალაქში, ვერვინ შეძლებს ჩემ  
გვერდით სვლას!  
286 „მარტო ნავალ ქულაბაში, რადგან არვის ძალუძს ჩემთან  
ერთად სვლა!“  
287 ე ნ მ ე კ ქ ა ნ ი : „როდესაც ნახვალ ქალაქში, ვერვინ ივლის შენ-  
თან ერთად!  
288 „როდესაც ნახვალ ქულაბაში, ვერვინ ივლის შენთან ერთად!“  
289 ლუგალბანდამ ცა და მინა დაიფიცა: „ქულაბას ძლევა მოსილება  
შენ ხელთ იქნება!“  
290 უხუცესთა კრების პირისპირ იდგა  
291 სასახლეში, რომელიც მალალ მთასავით აღმართულიყო მინაზე.  
292 ენმერქარი, მზის ვაჟი,  
293 ინანას წყენით ეუბნებოდა:  
294 „ოდეს მეფობა ციდან ჩამოვიდა, ჩემმა კეთილმა დამ, დიდე-  
ბულმა ინანამ  
295 „თავისი ბრწყინვალე მთიდან გამომარჩია და შემეცვარა,  
296 „შემეცვანა ქულაბაში, აგურით ნაშენში,  
297 „ურუქი მაშინ ჭაობი იყო, ლაფით სავსე,  
298 „სადაც ევფრატის მშრალ ნიადაგზე ალვის ხე ხარობდა;  
299 „სადაც ბებერი ლერწმის ხშირ ტყეში ნორჩი ლერწმები  
ხარობდნენ;  
300 „ენქიმ, ერიდუს მეფემ,



- 301 „მომცა ძალა ძველი ლერწმები გამეკაფა, ჭაობი დამეშრო;
- 302 „ორმოცდაათი წელი ვაშენებდი, ორმოცდაათი წელი ვიქმოდი ამას;
- 303 „და ახლა, ნუთუ შემთხვევით, სრულიად შუმერსა და აქადში,
- 304 „მართუ,<sup>10</sup> რომელმაც არ იცის ხორბალი, აღზევდება?“<sup>11</sup>
- 305 „ურუქის კედელი დგას ჩიტის მახესავით, უკაცრიელ ადგილას გადაჭიმული;
- 306 „აქ, ამ ადგილას, ჩემი ძლიერება დასასრულს უახლოვდება;
- 307 „ჯარი გარს მეხვევა, როგორც ხბო დედას;
- 308 „როგორც ბავშვი, რომელიც დედას სძულს, დატოვებს ქალაქს;
- 309 „ჩემი ბრწყინვალე და, კეთილი ინანა,
- 310 „ქულაბაში მიიჩქარის, აგურით ნაშენში!
- 311 „ნუთუ მას უყვარს ქალაქი, თუკი მე ვძულვარ?
- 312 „მისთვის ერთნი ვართ მე და ქალაქი.
- 313 „შეიძულებდა ქალაქს, თუკი ვუყვარვარ?
- 314 „მისთვის ერთნი ვართ მე და ქალაქი.
- 315 „შეეძლო ni-gig-ანზუდის ბარტყივით,
- 316 „ჩემი მოშორება
- 317 „და მიტოვება თავის სამყოფელში.
- 318 „ვთხოვ დამაბრუნოს ქულაბაში, აგურით ნაშენში,
- 319 „მაშინ გვერდზე გადავდებ ჩემს შუბს;
- 320 „იმ დღეს ხელს გავუშვებ, ჩემს ფარს დავამსხვრევ;
- 321 „ამას ვეუბნები ჩემს კეთილ დას, ინანას, ქვეყნიერების ქალბატონს“.
- 322 თქვა მეფემ და ნეტარმა ლუგალბანდამ სასახლე დატოვა.
- 323 ძმები და თანამებრძოლები
- 324 უღრენდნენ მას, როგორც უცხო ძალს, რომელიც ლამობს ხროვაში შეჭრას;
- 325 ლუგალბანდა ნავარდობდა როგორც ჩოჩორი, ჯოგში შეჭრას რომ ლამობს;
- 326 თ ა ნ ა მ ე ჯ მ კ ო ლ ე ბ ი : „ვინმე სხვა გაგზავნე ურუქში ბატონისთვის,



- 327 ენმერქარისთვის, მზის ვაჟისთვის!”
- 328 ლუგალბანდა: „მარტო ნავალ ქულაბაში, არვის ძალუძს ჩემ-  
თან ერთად სვლა“.
- 329 თანამებძოლები: „ასეთ გზაზე დაჟინებით რად ითხოვ  
მარტო წასვლას?
- 330 „თუ შენი მფარველი სული შენთან არ იქნა,  
331 „თუ შენი მფარველი სული შენთან არ იქნა,  
332 „ველარასოდეს დადგები ჩვენ გვერდით,  
333 „ველარასოდეს დაჯდები ჩვენ გვერდით,  
334 „ველარასოდეს დაადგამ ფეხს მინაზე ჩვენთან ერთად,  
335 „მიუწვდომელ მთებში, სადაც არვის ძალუძს მარტო სიარული;  
336 „საიდანაც ცოცხალი არვინ დაბრუნებულა, ვერც შენ დაბ-  
რუნდები“.
- 337 ლუგალბანდა: „ვიცი, დრო მიფრინავს, თქვენში ისეთი მამა-  
ცი არვინაა, ვინც ჩემთან ივლის ამ უკიდევანო დედამინაზე“.
- 338 ლუგალბანდამ ძმების უიმედობის ჯინაზე,  
339 თანამებძოლების სასონარკვეთის ჯინაზე,  
340 გზაზე საგზალი არ წაიღო.
- 341 მხოლოდ აღიჭურვა, სათითაოდ ატარა ყოველი იარაღი.  
342 მთის ბილიკით ვაკისკენ მიდიოდა,  
343 ანშანის შორეული მხარიდან ანშანის მთიან მხარემდე.  
344 გადალახა მთათა ხუთი, ექვსი, შვიდი სიშორე.  
345 შუალამეს, სანამ ინანას, ქვეყნიერების ქალბატონს, შესანიღვს  
მიართმევდნენ,  
346 გახარებულმა შეაბიჯა ქულაბაში, აგურით ნაშენში.  
347 მისი ქალბატონი, დიდებული ინანა  
348 სასთუმალზე იჯდა;  
349 მის წინაშე ქედი მოიხარა,  
350 როგორც ინანას სჩვევია შეხედოს ამა-უშუმგალანას, მწყემსს,  
351 ისე შეხედა ნეტარ ლუგალბანდას.  
352 როგორც ინანას სჩვევია, ებაასოს შარას, თავის ვაჟს,  
353 ისე დაელაპარაკა ბრწყინვალე ლუგალბანდას:



- 354 „ჩემო ლუგალბანდა,  
355 „ახალი ამბავი რა მოიტანე ქალაქიდან?  
356 „არათადან მარტოდმარტო როგორ დაბრუნდი?“  
357 ნეტარმა ლუგალბანდამ უპასუხა:  
358 „აი, რა თქვა შენმა ძმამ, რაც თქვა,  
359 „ეს არის, რაც ენმერქარმა, მზის შვილმა თქვა:  
360 „ოდეს ციდან მეფობა ჩამოვიდა, ჩემმა კეთილმა დამ, დიდე-  
ბულმა ინანამ  
361 „თავისი ბრწყინვალე მთიდან ამომარჩია და შემიყვარა;  
362 „მან შემიყვანა ქულაბაში, აგურით ნაშენში;  
363 „ურუქი მაშინ ჭაობი იყო, ლაფით სავსე;  
364 „სადაც ვეფრატის მშრალ ნიადაგზე ალვის ხე ხარობდა;  
365 „სადაც ბებერი ლერწმის ხშირ ტყეში ნორჩი ლერწმები  
ხარობდნენ;  
366 „ენქიმ, ერიდუს მეფემ,  
367 „მომცა ძალა, გამეკაფა ძველი ლერწმები, ჭაობი დამეშრო;  
368 „ორმოცდაათი წელი ვაშენებდი, ორმოცდაათი წელი ვიქმოდი  
ამას  
369 „და ახლა, ნუთუ შემთხვევით, სრულიად შუმერსა და აქადში,  
370 „მართუ, რომელმაც არ იცის ხორბალი, აღზევდება?  
371 „ჩიტის მახესავით დგას ურუქის კედელი, უკაცრიელ ადგილას  
გადაჭიმული;  
372 „აქ, ამ ადგილას ჩემი ძლიერება დასასრულს უახლოვდება!  
373 „ჯარი გარს მეხვევა, როგორც ხბო დედას;  
374 „როგორც ბავშვი, რომელიც დედას სძულს, დატოვებს ქალაქს;  
375 „ჩემი ბრწყინვალე და, კეთილი ინანა,  
376 „მიიჩქარის ქულაბაში, აგურით ნაშენში!  
377 „ნუთუ მას უყვარს ქალაქი, თუკი მე ვძულვარ?  
378 „მისთვის ერთნი ვართ მე და ქალაქი.  
379 „შეიძლებდა ინანა ქალაქს, თუკი ვუყვარვარ?  
380 „მისთვის ერთნი ვართ მე და ქალაქი;  
381 „შეეძლო nu-gig-ანზუდის ბარტყივით



- 382 „ჩემი უარყოფა  
383 „და მიტოვება?  
384 „ვეთხოვ, დამაბრუნოს ქულაბაში, აგურით ნაშენში;  
385 „მაშინ ჩემს შუბს გვერდით გადავდებ;  
386 „იმ დღეს ხელს გავუშვებ, ჩემს ფარს დავამსხვრევ“.  
387 ინანამ, ბრწყინვალე ქალბატონმა, უპასუხა:  
388 „ღვთიური მდინარის დასასრულს, რომელსაც კამკამა კალა-  
პოტი აქვს,  
389 „მდინარისა, რომლის ზედაპირიც ინანას ანარეკლია;  
390 „სადაც ნაპირთან, დატბორილ მდელოზე,  
391 „suḥur-maš თევზი სიცოცხლის ბალახს მიირთმევს;  
392 „ველურ რკოს მიირთმევს კობრა;  
393 „სადაც GIŠ-ŠEŠ თევზი მეფე suḥur-maš თევზებისა,<sup>12</sup>  
394 „თამამობს და ბედნიერად ხტის,  
395 „ქერცლიანი კუდით წმინდა ადგილის ძველ ლერწმებს ეხება,  
396 „იალღუნები...<sup>13</sup>  
397 „მორევში იძირება  
398 „დგას ეულად ერთი იალღუნი,  
399 „მდინარის მორევთან დგას ეულად ერთი იალღუნი,  
400 „და როდესაც ენმერქარი, მზის ვაჟი,  
401 „მოჭრის იალღუნს და მისგან სახაპავს გააკეთებს,  
402 „წმინდა ადგილის ძველი ლერწმები ამოიძირკვება, ნყალი  
ნაიღებს მათ;  
403 „როცა GIŠ-ŠEŠ თევზს გამოდევნის, მეფეს ყოველი suḥur-maš  
თევზისა, მდინარის მორევიდან,  
404 „დაიჭერს, მოამზადებს და მიირთმევს  
405 „და დააპურებს ა-ანკარას – ინანას ძლიერ ლაშქარს,  
406 „მაშინ გაიმარჯვებენ მისი მეომრები.  
407 „არათას ძლიერებას ენგურიდან მოუღებს ბოლოს“;  
408 „და თუ ნაიღებს ქალაქიდან ძვირფას ლითონს და მათ მჭედელს  
თან გაიყოლებს;  
409 „და თუ ნაიღებს [ქალაქიდან] ძვირფას თვლებს და ოქრომჭე-  
დელს თან გაიყოლებს,





- 410 „დადებს ქვას და ხელახლა გამოკვეთს ქალაქს,  
411 „არათას ყველა მინა სამუდამოდ მისი იქნება“.

### ეპილოგი

- 412 „არათას გარს უვლის ლილაქვის ლიცლიცი!  
413 „არათას ზღუდენი, შიშისმომგვრელნი, წითლად ელავენ!  
414 „ნათება მისი ზეცამდე აღწევს!  
415 „არათას კედელი მოკალული ქვაა [თიხა],  
416 „იქ მთიდან მოტანილი კვიპაროსები ხარობენ!  
417 „დიდება ბრწყინვალე ლუგალბანდას!“

დასასრული





# გილგამეშაიანი



## შესავალი



„გილგამეშაიანი“, ეპოსი გილგამეშისა ერთი უძველეს ნიმუშთაგანია მსოფლიო სიტყვა-კაზმულ მწერლობისა. მან სემიურ-ბაბილონურ ენაზედ მოაღწია ჩვენამდე. ტექსტი ზოგიერთ კართა არ არის სრული – ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი. ჩვენამდე მოღწეული ბაბილონური ტექსტი ასსურეთის მეფის ასსურ-ბანი-პალის (668-666 წ. ქრ. წ.) დროს არის გადაწერილი და მის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი, დღეს დაცული ბრიტანიის მუზეუმში, ხოლო თვით შექმნა გილგამეშის ეპოსისა გაცილებით უფრო ძველ დროს ეკუთვნის, ალბათ მესამე ათასეულს ქრისტეს წინ, და, როგორც უკანასკნელნი აღმოჩენანი ამტკიცებენ, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი ნაწილი მისი პირველად ბაბილონურ-სემიურ ენაზედ კი არა, არამედ სუმერულ ენაზედ უმღერიათ.

„გილგამეშაიანი“ მრავალ ნაწილთაგან შედგება და უეჭველი თვითოეული ნაწილი თავდაპირველად დამოუკიდებელი თქმულება უნდა ყოფილიყო და შემდეგ შეუერთებია ეს დამოუკიდებელი თქმულებანი მელექსეთა შემოქმედებას ერთ ეპოსად და მის უმთავრეს მოქმედ პირად გაუხდია გმირი გილგამეშ. ამგვარადვე შეიქმნა მთლიანი ეპოსი ოდისევსის ამბავთაგან – ოდისსეა, ილიადა და სხვ., მაგრამ მაშინ როდესაც გარდმოცემა ამ უკვდავ ბერძნულ ეპოსთა შემომქმედად ჰომეროსს ასხელებს, იგი გილგამეშის ეპოსის ან მის რომელიმე ნაწილის შემომქმედს არ იხსენებს: „გილგამეშაიანის“ შემომქმედზედ სრულიად არა ვიცით რა და საზოგადოდ ძველ აღმოსავლეთში ძლიერ ძვირად აღნიშნავდნენ ხოლმე სახელს დიდ მწერალთა და ხელოვანთა. მათი პიროვნება არ აინტერესებდა აღმოსავლელს, რათგანაც



პიროვნების ღირებულება არა ჰქონდა მას შეგნებული, ხოლო ბერძენს ჰქონდა პიროვნების კულტი და დიდ შემომქმედ მწერალთა და ხელოვანთა პიროვნების ღირებულება მას სავსებით ესმოდა. ეს არის ერთი უდიდეს განსხვავებათაგანი საბერძნეთის და აღმოსავლეთის კულტურათა შორის.

გილგამეშის ეპოსის ნაწილი არიან: გილგამეშის მეგობრობა მხეც-კაცა ენკიდუსთან; გილგამეშისა და მხეც-კაცა ენკიდუს ბრძოლა ჰუმბაბას წინააღმდეგ და ამ უკანასკნელის დათრგუნვა; გილგამეშის მტრობა სიყვარულის ღმერთის იშტარის წინააღმდეგ; წარღვნის ამბავი; გილგამეშის მიერ ძებნა უკვდავებისა. – ჩვენამდე მოღწეული მთლიანი ეპოსი ბაბილონურ ენაზედ განიყოფება თორმეტ კარად და შტუკენის სკოლის მეცნიერებმა, მათ შორის ბევრმა ასსირიოლოგმაც, რასაკვირველია, მაშინვე შექმნეს თეორია, გილგამეშ არის მზე და თქმულება გილგამეშზედ – მზის დიდება თორმეტი თვის განმავლობაში, როდესაც მზე თვისი სრბოლის წრეს დაასრულებსო. მაგრამ ამ გატაცებამ თანდათან იკლო. თეზისის დამტკიცება არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ეს პირველად ეგონათ: გილგამეშის თქმულებაში ბევრია ბუნების მითოსი და ამ მითოსთა შორის, მართალია, ბევრია ისეთი, რომელიც ცის მნათობებს შეეხება, მაგრამ ბევრს დედამინაზედ აქვს ძირი და არავითარი დამოკიდებულება ცის მნათობებთან, როგორც მაგალითად წარღვნის ამბავს, უკვდავების ძებნასა და სხვ.

ბაბილონურიდან ქართულად თარგმნის დროს ტექსტს სიტყვა-სიტყვით მივსდევდით (ტექსტი: P. HAUPT: *Nimrod-Epos, Assyriologische Bibliothek III*), ხოლო საუკეთესო მრჩეველად გვქონდა გერმანული თარგმანი პ. იენსენის მიერ (P. JENSEN: *Keilschriftliche Bibliothek VI, 1: Mythen und Epen*) და გერმანულივე კლასიკური თარგმანი „გილგამეშისა“ ა. უნგნადის მიერ (A. UNGNAD: *Religion der Babilonier und GRESSMANN: GILGAMESCH-EPOS, 1911*); იხ. აგრეთვე L. W. KING: *EGYPTIAN and Babylonian Legends etc., 1915*; ვარიანტებისათვის იხ. ტექსტები და ინგლისური თარგმანები S. LANGDON: *The Epic of Gilgaush (Piladelphia, University Museum X, 3, 1917)*; M. JASTROW and A. GLAY: *An Old Babylonian Version of the Gilgamesh Epic (Yale Oriental Series, Researches, IV, 3, New Haven 1920)*; ტექსტები: *Keilschriftkunden aus Boghez-koei IV, Keil-schrifttexte aus Boghaz-koei VI*; გერმანული თარგმანი: A. UNGNAD: *GILGAMESCH-EPOS und Odyssee (Kulturfrageb, Heft 4/5, Breslau 1923)*. – გაუგებარი და შერყვნილი ადგილები და ზოგიერთი ვარიანტი ტექსტისა ქართულ თარგმანში გამოვტოვეთ.



## კაწი პიწველი



იგი იყო, რომელმან ყოველი იხილა ქვეყნის  
საზღვრამდე,  
განიცადა ყოველი, ისწავა ყოველი,  
ერთბამად განსჭვრიტა ყოველი საიდუმლო, –  
სარქველი სიბრძნისა, რომელი ყოველსა დაჰფარავს.  
დამარხული იხილა, დაფარული ცხად-ყო მან,  
წარღვნის წინა ამბავი მოიტანა.  
წავიდა შორს, შრომითა და ზრუნვითა  
და დასწერა დაფაზედ ერთობ განსაცდელი.

\* \* \*

მან აღაშენა კედელნი გალავნიან ურუკისა<sup>1</sup>  
წმინდა ეანნასი<sup>2</sup>, წმინდა ტაძრისა,  
დასდვა საფუძველი – მტკიცე, ვითარცა რვალი,  
აღაშენა ზღუდენი, რომელთ მებრძოლნი არა  
სტოვებენ.  
ორი მესამედი ღმერთი იყო იგი, ერთი მესამედი კაცი.  
სხეულით არავინ იყო დარი მისი.



\* \* \*

გილგამეშ შვილს არ აკარებს მამას,  
დღე და ღამ კედელთ რომ აშენებს.  
იგი მწყემსია გალავნიან ურუკისა,  
იგი მწყემსია და მცველი ერისა,  
ძლიერი და მორჭმული, მეცნიერი სიბრძნისა!  
გილგამეშ ქალ-წულს საყვარელს არ აკარებს –  
ქალ-წულს გმირისას, რჩეულს დიდებულისგან<sup>3</sup>.

\* \* \*

ჩივილი მათი ესმა მაღალ ღმერთთ<sup>4</sup>.  
ცის ღმერთთა უთხრეს ურუკის ბატონს<sup>5</sup>:  
„შენ შეჰქმენ ხარი ძლიერი, გმირი გილგამეშ;  
მას ტოლი არ ჰყავს მთელს ქვეყანაზედ.  
გილგამეშ შვილს არ აკარებს მამას,  
იგი მწყემსია გალავნიან ურუკისა,  
იგი მწყემსია და მცველი ერისა,  
ძლიერი და მორჭმული, მეცნიერი სიბრძნისა!  
გილგამეშ ქალ-წულს საყვარელს არ აკარებს –  
ქალწულს გმირისას, რჩეულს დიდებულისგან“.

\* \* \*

ჩივილი მათი შეისმინა მაღალმა ანუმ<sup>6</sup>.  
იხმეს არურუ<sup>7</sup>, დიდი ქალ-ღმერთი:  
„მრავალ ღმერთსა ჰქმნი შენ, არურუ!  
შეჰქმენ ახლა გმირი, ტოლი რომ იყოს მისი<sup>8</sup>!“  
იყვნენ მეტოქენი ურთი-ერთისა, რათა დამშვიდდეს  
ურუკი!“



\* \* \*

რა ესმა ესე არურუს,  
შეჰქმნა მან თვის გულში სახე ანუსი,  
არურუმ დაიბანა ხელები,  
მოზილა თიხა და დანერწყვა იგი.  
შეჰქმნა ენკიდუ, შეჰქმნა გმირი,  
დიდებული ქმნილება, მებრძოლი ნიმურტასი<sup>9</sup>.  
ერთობ სხეული მისი ბალნით იყო შემოსილი,  
თმა მისი ქალის თმას ემსგავსებოდა,  
თმა მისი ნისაბასავით<sup>10</sup> ამოდიოდა.  
უმეცარ იყო იგი ქვეყნისა და კაცთა.  
ტანს ემოსა მას ვითარცა ნახირის ღმერთსა.  
მხეცებთან ერთად მიდის წყალზედა,  
შვლებთან ერთად სძოვს იგი ბალახსა,  
წყლის ცხოველებთან ერთად იხარებს გული მისი.

\* \* \*

ერთს მონადირეს, ნადირის დამჭერს  
შეხვდა იგი წყალზედ.  
მონადირემ დაინახა იგი, შეშინდა,  
უნანადირევოდ დაბრუნდა შინ.  
შედრწუნებული, შეშინებული ყვიროდა იგი.  
გული მისი აღსავსე იყო შიშითა, სახე შეშლილი,  
ტკივილი შეუვიდა გულში,  
შორი-გ ზითგან მომავალ მგზავრს დაემსგავსა.

\* \* \*

მონადირემ აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა მამას:  
„მამა, ერთი კაცი, მთითგან რომ ჩამოსულა,  
გაძლიერებულა ამ ქვეყანაზედ.



ანუს მებრძოლს ემსგავსება იგი ძალით!  
 მუდამ მთებში დაიარება,  
 მუდამ მხეცებთან არის,  
 მუდამ წყალზედ დაეხეტება!  
 შიშით ვერ შევსძელ, ახლო მივდგომოდე.  
 ჩემნი ორმონი<sup>11</sup>, მე რომ გავთხარე, მან ამოავსო,  
 ჩემნი მახენი, მე რომ დავაგე, მან ამოჰგლიჯა!  
 ნადირი დამიფროთხო, მხეცი მინდვრისა,  
 აღარ მანებებს ნადირობასა!“  
 მამამ აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა მონადირეს:  
 „ნადი ურუკის მეფესთან, გილგამეშთან.  
 მეძავ ქალს მოგცემს, ნამოიყვანე იგი!  
 ნადირი რომ წყალზედ მივა,  
 გამოჩნდეს მეძავი ქალი, რათა მხეც-კაცა მოხიბლოს.  
 მხეც-კაცა რომ მეძავ ქალს დაინახავს, ახლო მიუვა.  
 მაშინ ველარ იცნობს მას ნადირი მისი,  
 მისს ველზედ რომ აღიზარდა“.

\* \* \*

რჩევა მამისა ისმინა მონადირემ,  
 მონადირე წავიდა, გაემგზავრა,  
 დაადგა გზას და მივიდა ურუკს.  
 მიდის გილგამეშთან და ეუბნება:  
 „ერთი კაცი, მთითგან რომ ჩამოსულა,  
 გაძლიერებულა ამ ქვეყანაზედ.  
 ანუს მებრძოლს ემსგავსება იგი ძალით!  
 მუდამ მთებში დაიარება,  
 მუდამ მხეცებთან არის,  
 მუდამ წყალზედ დაეხეტება!  
 შიშით ვერ შევსძელ ახლო მივდგომოდე.  
 ჩემნი ორმონი, მე რომ გავთხარე, მან ამოავსო,





ჩემნი მახენი, მე რომ დავაგე, მან ამოჰგლიჯა!  
ნადირი დამიფრთხო, მხეცი მინდვრისა,  
აღარ მანებებს ნადირობასა!“

\* \* \*

გილგამეშ ეუბნება მას, მონადირეს:  
„ნადი, მონადირეო ჩემო, და წაიყვანე მეძავი ქალი,  
ნადირი რომ წყალზედ მივა,  
გამოჩნდეს მეძავი ქალი, რათა მხეც-კაცა მოხიბლოს.  
მხეც-კაცა რომ მეძავ ქალს დაინახავს, ახლო მიუვა.  
მაშინ ველარ იცნობს მას ნადირი მისი,  
მისს ველზედ რომ აღიზარდა.

\* \* \*

მონადირემ წამოიყვანა მეძავი ქალი,  
წამოვიდნენ, სწორი გზით გამოემართნენ.  
მესამე დღეს მიაღწიეს ველს, მიზანსა მათსა.  
მონადირე და მეძავი ქალი ძირსა სხდებიან...  
ერთი დღე, ორი დღე იჯდნენ იგინი წყალთან.  
მოდის ნადირი, წყალსა სვამს;  
მოდის ცხოველი წყლისა, გულ-მხიარული;  
ენკიდუც მოდის:  
შვლებთან ერთად სძოვს იგი ბალახსა,  
მხეცებთან ერთად მიდის წყალზედა,  
წყლის ცხოველებთან ერთად იხარებს გული მისი.

\* \* \*

მეძავმა ქალმა იხილა იგი, ძლიერი ვაჟ-კაცი,  
ძლიერი მხეც-კაცა ველისა.  
„აი, ის არის! – ჰრქვა მონადირემ<sup>11</sup> – გაიხსენ ღილეები,



გაშიშვლდი, რათა გაიხაროს შენი სხეულის ხილვითა!...  
რომ დაგინახავს, ახლო მოგივა;  
განიძვრე სამოსი, რათა განისვენოს შენზედ;  
გაუღვიძე სურვილი – საქმე დედა-კაცისა!  
მაშინ ველარ იცნობს მას ნადირი მისი, მისს ველზედ  
რომ აღიზარდა!

სიყვარულით მოგეკვრება იგი“.

\* \* \*

მეძაჳმა ქალმა გაიხსნა ღილები...  
გაუღვიძა სურვილი – საქმე დედა-კაცისა!  
გულში ჩაიკრა იგი (ენკიდუმ).  
ექვს დღესა და შვიდ ღამეს ჰყვარობდა ენკიდუ მეძაჳ  
ქალს.\*  
რა გაძღა მისის შვენებით, მიაპყრო თვალი ნადირსა  
თვისსა.  
რომ დაინახეს ენკიდუ, გაიქცნენ შვლები,  
მხეცი მინდვრისა განერინა მისგან.

\* \* \*

შეძრწუნდა ენკიდუ, შეპყრობილ იყო სხეული მისი,  
უძღურნი იყვნენ მუხლნი მისნი, ნადირი რომ გაექცა.  
ენკიდუმ იგრძნო უძღურება, აღარა ჰქონდა ძველი  
ცეცხლი.

იგი ყურს უგდებს<sup>12</sup>, ისმენს,  
უკმოიქცევა, დაჯდება მეძაჳი ქალის ფერხთით,  
შესცქერის მეძაჳ ქალს თვალებში,  
და, უბნობს რა მეძაჳი ქალი,  
ყურნი მისნი სმენად არიან ქცეულნი.  
მეძაჳი ქალი ეუბნება მას, ენკიდუს:  
„შვენიერი ხარ, ენკიდუ, მსგავსი ღმერთისა!



რად გინდა იყო ველად მხეცებთან?  
 წამო, წაგიყვან გალავნიან ურუკს,  
 წმიდა სახლში, სავანეში ანუსა და იშტარისა<sup>13</sup>,  
 სადა სცხოვრობს გილგამეშ და, უდარდო ძალით,  
 ვითარცა ხარი ველური, განაგებს ერსა“.  
 მეძავი ქალი მანამ ეუბნება, სანამ მხეც-კაცას მისი  
 სიტყვები მოეწონება.

იგი ეძებს მეგობარს, ვინ გულის-პასუხს მიუხვდება.  
 ენკიდუ ეუბნება მას, მეძავ ქალს:  
 „კარგი, წამიყვანე წმიდა, საღმრთო სახლში,  
 სავანეში ანუსა და იშტარისა,  
 სადა სცხოვრობს გილგამეშ და უდარო ძალით,  
 ვითარცა ხარი ველური, განაგებს ერსა.  
 მე თვით მოვუნოდე მას, გამოვიწვევ ძლიერსა,  
 განვაცხადებ ურუკში; ჭეშმარიტად მე ვარ ძლიერი!  
 მხოლოდ მე ვარ ბედის შემცვლელი, შობილი ველად,  
 გილგამეშ, ვიხილომცა პირი შენი! ძლიერი ძალითა!  
 რაიცა იქმნება, ჭეშმარიტად ვუნცი მე იგი!“

\* \* \*

მივიდნენ ენკიდუ და მეძავი ქალი გალავნიან ურუკს.  
 ნებეს ერი კაზმული სამკაულითა:  
 ლხინი იყო დღე და ღამ.\*

\* \* \*

„ენკიდუ<sup>14</sup>, შენ მეცნიერო ცხოვრებისაო,  
 გაჩვენებ გილგამეშს, მეგობარს მწუხარებისას<sup>15</sup>.  
 შეხედე, განიცადე სახე მისი.  
 შვენიერი ვაჟ-კაცია, ძლიერი:  
 ერთობ სხეული მისი აღსავსეა ძალით.  
 დიდია ძალი მისი – მეტი, ვიდრე შენი;



მშვიდობა არა აქვს მას არც დღე, არც ღამე.  
გილგამეშ უყვარს შამაშს<sup>16</sup>,  
ანუ, ენლილ<sup>17</sup> და ეა<sup>18</sup> დიდ გონებას ანიჭებენ მას.  
სანამ შენ მათთან ჩამოხვიდოდი,  
გილგამეშმა შენზედ სიზმრები იხილა ურუკში.  
აღსდგა გილგამეშ და ამბობს სიზმარს, ეუბნება დედას:  
„დედა, ნუხელ სიზმარი ვიხილე:  
ცის ვარსკვლავები იყო, ვითარცა კრებული ანუხი დამეცა;  
ვცდილობდი ამენია – ძლიერ მძიმე იყო,  
ვცდილობდი გადმომეგდო – ვერ შევსძარ.  
ურუკის ქვეყანა შემოეხვია მას,  
ვაჟ-კაცნი შესცქეროდნენ მას...,  
ჰკოცნიდნენ რა ფერხთა მისთა.  
ვითარცა ქალსა ვეკვროდი მასა,  
ბოლოს შენ ფერხთა წინაშე დავაგდე,  
ხოლო შენ ჩემ თანასწორად გაჰხადე იგი“.  
ნინ-სუნ დედოფალი, რომელმან ყოველი უწყის,  
ეუბნება თვისსა ბატონს,  
ნინ-სუნ დედოფალი, რომელმან ყოველი უწყის,  
ეუბნება გილგამეშს:  
„თუ ცის ვარსკვლავები იყო და ვითარცა კრებული ანუხი დაგეცა,  
ცდილობდი აგენია და ძლიერ მძიმე იყო,  
ცდილობდი გადმოგეგდო და ვერ შესძარ,  
ბოლოს ჩემ ფერხთა წინაშე დააგდე,  
ხოლო მე შენ თანასწორად გავხადე იგი, –  
ეს ნიშნავს ძლიერს, ამხანაგს, რომელი მოყვარეს იხსნის.  
ქვეყანაზედ დიდია ძალი მისი,  
ანუხს მეზობლის მსგავსნი იქნებიან ძალით ღონენი მისნი!“\*



\* \* \*

იგი ეუბნება დედას:  
„დედა, მეორე სიზმარი ვიხილე:  
ოდეს მიმოვიდოდი, ცული იდვა, შემოხვეოდენ.  
ურუკის ქვეყანა იქით უდგება მას... აქეთ...  
შენს ფერხთით დავაგდე იგი.  
ვითარცა ქალსა ვეკვროდი მასა.  
იგი შენ ჩემ ტოლად გაჰხადე“.  
ნინ-სუნ დედოფალი, რომელმან ყოველი უწყის,  
ეუბნება თავისს შვილს,  
ნინ-სუნ დედოფალი, რომელმან ყოველი უწყის,  
ეუბნება გილგამეშს:  
„გილგამეშ, კაცი (= ცული) რომ ნახე,  
ვითარცა ქალსა რომ ეკვროდი,  
ხოლო მე იგი შენ ტოლად გავხადე, –  
ეს ნიშნავს ძლიერს, ამხანავს, რომელი მოყვარეს იხსნის,  
ქვეყანაზედ დიდი იქნება ძალი მისი,  
ცულივით ძლიერნი იქმნებიან ღონენი მისნი!“\*  
„ენკიდუ, ეს იყო გილგამეშის სიზმრები“-ო...

ეუბნება მეძავი ქალი ენკიდუს და მეჩუე შიდიან გილგამეშის სანახავად.



## კახი მეორე



აქ აღწერილი ყოფილა გილგამეშის მონაწილეობა ქალღმერთის იშპანას დღესასწაულში. როდესაც გილგამეშ დღესასწაულითგან ზრუნდება, სახლის კახთან გადაედობება მას ენკიდუ:

სასახლის კართან შეუკრა მას გზა ენკიდუმ.  
 შინ შებრძანებას არ ანებებდა!  
 ეცნენ ურთი-ერთს სასახლის კართან,  
 ბრძოდენ შუკაზედ...  
 იძვროდენ კარნი, ირყეოდა კედელი.

## ძველი აკადუმი ვეწსია

გილგამეშ განისვენებდა...  
 ღამე შეკრთა იგი; განვიდა და შეხვდა ენკიდუს  
 ქუჩაზედ.  
 იგი წინ გადაელობა გილგამეშს...  
 მის წინააღმდეგ გაემართა ენკიდუ, უხვ-თმიანი...



\* \* \*

იგი აღსდგა და მიჰმართა მისკენ  
 ფოლოცზედ შეხვდნენ ურთი-ერთს,  
 ენკიდუმ დახშო კარი თვისის ფერხითა,  
 გილგამეშს შესვლას არ ანებებდა.  
 მაშინ ეცნენ ურთი-ერთს, ვითარცა ხარნი ზეცისა,  
 ცეცხლის მფრქვეველნი, დალენეს კარნი, ჩამოინგრა კედელი...

\* \* \*

გილგამეშმა დადრიკა მიწაზედ ფერხი მისი,  
 განელდა რისხვა მისი, მკერდსა მისსა შეჰკრავდა იგი.  
 ოდეს შეჰკრა მკერდი მისი, ჰრქვა მაშინ ენკიდუმ მას,  
 გილგამეშს:

„უდარო უშობიხარ დედასა შენსა,  
 გარეულ ფურსა ჯოგისასა ქალ-ღმერთს ნინ-სუნს.  
 თავი შენი აღმალლებულია კაცთა ზედა.  
 ენლილმა მოგანიჭა მეფობა ერზედა!“

ბრძოლაში გილგამეშს ამახსენებს ენკიდუს, მაგრამ ჰხედავს, თუ რა გძირო ყოფილა ენკიდუ და რა დანაშაულის განსევა შეუძლია ამ გძიროს, თუ მეგობარი გახდება მისი. გილგამეშს უმეგობრდება ენკიდუს. იგი შეადგენს გეგმას, რომ ენკიდუსთან ერთად გაემართოს ჰუმბაბას ანუ ჰუვაავას წინააღმდეგ, რომელი იცაუდა წმიდა ნაძვის ცეცხსა, და მისი დათრგუნვით სამაჩადისო სახელი მოიპოვოს.



## კარი შესაძე



### ძველი აკადუკრი ვეწსია

ენკიდუს წასვლა ეწაწეა ჰუმბახას წინააღმდეგ.

დგას ენკიდუ დაღონებული.

იგი სწუხს, სჩივის,

თვალნი მისნი ცრემლით არიან აღვსილნი,

მკლავნი მისნი დამაშვრალნი, ძალნი მისნი დასუსტებულნი.

\* \* \*

თვალნი მისნი ცრემლით აღივსენ,

გულმა ძგერა დაუნყო, მწარედ კვნესოდა.

ენკიდუს თვალეზი ცრემლით აღივსენ,

გულმა ძგერა დაუნყო, მწარედ კვნესოდა.

გიღგამეშმა დახარა თავი თვისი და ეუბნება

ენკიდუს:

„მეგობარო, რაისათვის აღგევსო თვალნი ცრემლითა,

დაგინყო გულმა ძგერა, მწარედ კვნესოდი?“





ენკიდუმ ალალო ბაგენი თვისნი და ეუბნება

გილგამეშს:

„მეგობარო, ქალებმა დააუძღურეს ძარღვნი ჩემნი;  
მკლავნი ჩემნი დაშვრენ, ძალნი დასუსტდენ“.

\* \* \*

ენკიდუმ ალალო ბაგენი თვისნი და ეუბნება გილგამეშს:

„ვსცან, მეგობარო, მთაში, ოდეს ვვიდოდი მხეცებთან ერთად:  
ათი-ათას მანძილობით არის ტყე გადაჭიმული!

ვინ ჩავა იქ!?

ჰუვავას ღრიალი ქარიშხალია,

პირი მისი ცეცხლი, სულ-თქმა მისი სიკვდილი!

რად განიზრახე ასეთი საქმე,

ბრძოლა უდარო, დათრგუნვა ჰუვავასი?!“

გილგამეშმა ალალო ბაგენი თვისნი და ეუბნება

ენკიდუს:

„მე უნდა ჩავიდე ტყეში!“

ენკიდუმ ალალო ბაგენი თვისნი და ეუბნება გილგამეშს:

„ვით ძალ-გვიძს წასვლა ჰუვავას წინააღმდეგ ნაძვის ტყისაკენ?

მცველი მისი, გილგამეშ, გმირია, ძლიერი, მოუსვენარი...  
ნაძვისა მცველად შვიდი საშინელება განაჩინა

ენლილმან“.\*

გილგამეშმა ალალო ბაგენი თვისნი და ეუბნება ენკიდუს:

„ვინ არის, მეგობარო, ისე მაღალი...  
რომ აღვიდეს შამაშთან და მასთან იცხოვროს

სამარადისოდ?

დათვლილია დღენი კაცთა: საქმე მათი მხოლოდ ქარია!

გეშინის ახლა სიკვდილისა, განქრა გმირობა შენი!

მე წავალ შენს წინ!...

თუცა მოვკვდები – სახელს მოვიხვეჭ!

იტყვიან: გილგამეშ ძლიერ ჰუმბაბასთან მოკვდა“-ო!



ძირს დავსცემ ნაძვებს ხელითა ჩემითა.  
 სამარადისო სახელს მოვიხვეჭ!  
 უნდა ნავიდე, მეგობარო!  
 მესაჭურვლეთ შვეუკვეთ, ჩვენის თვალის წინ  
 ცულნი განსჭედონ“.

\* \* \*

შეუკვეთეს მესაჭურვლეთ,  
 სხედან ხელოსნები, დროზედ ასწრებენ(?).  
 დიდნი ცულნი განსჭედეს, თვითო სამ-ტალატიანი<sup>21</sup>;  
 დიდნი მახვილნი განსჭედეს – პირი ჰქონდა თვითოს  
 ორ-ტალანტიანი;  
 ოცდაათი მანა იყო ტარი გვერდებისა(?).  
 ოცდაათი მანა ოქრო იყო ქარქაში მახვილთა.  
 გილგამეშმა და ენკიდუმ ათ-ათი ტალანტი დასდევს.

\* \* \*

გილგამეშ ქალაქის უხუცესებთან ჰჭობს:

„მინდა ვნახო ჰუვავა, სახელგანთქმული,  
 რომლის დიდებით აღივსენ ქვეყანანი.  
 მინდა ვსძლიო მას ნაძვის ტყეში.  
 თუ რა ძლიერია ძე ურუკისა, ვამცნობ ქვეყანას!  
 დავსცემ ნაძვებს ხელითა ჩემითა, სამარადისო  
 სახელს მოვიხვეჭ!“  
 უხუცესთა ფოლოციან ურუკისა მიუგეს გილგამეშს:  
 „ყმანვილი ხარ, გილგამეშ, გული წარგიტაცებს.  
 რაის ქმნა გინდა, არა უწყი.  
 გვსმენია, საზარელია პირი ჰუვავასი!  
 ვინ აღუდგა წინ მისსა საჭურველს?  
 ათი-ათას მანძილობით არის ტყე გადაჭიმული!



ვინ ჩავა იქ?  
 ჰუევაას ღრიალი ქარიშხალია,  
 პირი მისი ცეცხლი, სულ-თქმა მისი სიკვდილი!  
 რად განიზრახე ასეთი საქმე,  
 ბრძოლა უდარო, დათრგუნვა ჰუევაასი?!“  
 ისმინა გილგამეშმა სიტყვანი თვისთა მრჩეველთა.  
 მიჰხედა, შესძახა მოყვარეს თვისსა:  
 „აჰა, მეგობარო, ესრე უნდა ვქმნა!“

ვიღაცას წჩვეით გილგამეშ შეელას გამოსთხოვს შამაშს:

შამაშის წინაშე მუხლ-მოდრეკილი ამბობს გილგამეშ  
 სიტყვათა:  
 მოვილტვი შენდა, შამაშ, და ვემთხვევი ხელთა შენთა!  
 უვნებელ დაშთეს სიცოცხლე ჩემი ამიერიოტან!  
 დამაბრუნე ფოლოციან ურუკის ნაპირს!  
 მეყავ მფარველად!“...

\* \* \*

გილგამეშ წასვლად ემზადება. უსუცესნი ქალაქისანი კიდევ აძლევენ  
 წჩვეას:

„ნუ გაქვს იმედი, გილგამეშ, შენთა ძალთა!...  
 წარვიდეს ენკიდუ შენს წინ, ვითარცა მგზავრი, გზის  
 საძებნელად;

მან იცის შესავალი ტყისა  
 და ფრიად კარგად ხრიკები **ჰუევაასი**.  
 ვინც წინ მიდის, ამხანაგს იცავს...\*  
 ადგისრულოს შამაშმან სურვილი შენი!  
 რაიცა სთქვა პირმან შენმან, თვალთ განახვოს იგი!  
 გაგისხნას გზა დახშული,  
 მინიჭოს გზა ნაბიჯთა შენთა, მთა-ფერხთა შენთა!



სულ ღვინი მოგიტანოს ღამემან!  
 აღგისრულოს ლუგალმარადა<sup>22</sup> სურვილი შენი!...  
 მგავსად ყრმისა აღისრულე სურვილი შენი!  
**ჭუჭყაფას** წყალში, სადაც მიისწრაფი, დაიბანე ფერხნი!  
 აღმოთხარე ძალითა შენითა ჭა,  
 მუდამ ცივი წყალი იყოს შენს ტიკეპში!  
 ცივი წყალი შესწირე შამაშს!  
 გახსოვდეს ლუგალმარადა მსხვერპლის შეწირვის  
 დროსა!“  
 ენკიდუმ ალალ ბაგენი თვისნი და ეუბნება  
 გილგამეშს:  
 „დაადეგ გზასა!  
 ნუ ეშინის გულსა შენსა, შემომხედე!  
 აღმოიჭერ გულს დათრგუნვა მისი!“

\* \* \*

სანამ **ჭუმანას** წინააღმდეგ წავიდოდნენ, მეტოპრებსა სურთ შეიცვონ. მოწყალე თვალით გადმოხედავს თუ არა დამკრთი შამაშ მათ საქმეს და სთხოვეს ნინ-სუნს, გილგამეშის დედას, შეავედროს შამაშს იფინი და საქმე მათი.

### ასსურული ვერსია

გილგამეშმა აღილო ბაგენი თვისნი და ჰრქვა ენკიდუს:  
 „კარგი, მეგობარო, ნავიდეთ მაღალ სასახლეში  
 ნინ-სუნთან, დიდ ხელმწიფესთან.  
 დედოფალი ნინ-სუნ, რომელმან ყოველი უწყის,  
 წარმართებს ნაბიჯს ფერხთა ჩვენთასა“.

\* \* \*

ჩაჰკიდეს ხელი ურთი-ერთს.  
 გილგამეშ და ენკიდუ გაემართენ მაღალ სასახლისაკენ  
 წინაშე ნინ-სუნისა, დიდის ხელმწიფისა.



აღსდგა დედოფალი ნინ-სუნ, აღვიდა ბანზედ,  
აღვიდა წინაშე შამაშისა, უკმია საკმეველი,  
შესწირა შესანირაავი, ალაპყრო ხელნი შამაშისადმი:  
„რად მიუსაჯე მოუსვენრობა ჩემს შვილს გილგამეშს?  
რად მიეცა გული, რომ არ იცის, რა არს სიმშვიდე?  
ახლაც შენ წააქეზე იგი, წასვლა რომ უნდა  
შორს, **ჰუმბაბას** საბრძანებელში.  
ბრძოლა სნადია, ჯერ რომ არ იცის,  
წასვლა სნადია იმ გზით, ჯერ რომ არ იცის!  
იმ დღემდის, ოდეს წავიდეს და დაბრუნდეს,  
ოდეს მიაღწევს ნაძვის ტყეს,  
ოდეს დასთრგუნავს ჰუმბაბას, ძლიერს,  
და ყოველს ბოროტს შენს წინააღმდეგ  
ქვეყანაზედ აღმოფხვრის – (დაიცევ იგი?)! “



## კაწი ქეოთხე



სანამ ჰუმბახას ცყეს ძიადმეუდნენ გილგამემ და ენკიდუ. გილგამემ სამ სინძანს იხილაეს, პიჩველი სინძანი დაკანტულია:

„მეგობარო, მეორე სიზმარი ვიხილე!  
და სიზმარი, მე რომ ვიხილე, უსაზარლესი იყო:  
მთის მწვერვალზედ ვიდექით ორივენი,  
მთა ჩამოინგრა... ლერწმის ბუზივით გაგვსრისა...“

ენკიდუ ეუბნება მეგობანს:

„სიზმარი კეთილია,  
მეგობარო, კეთილია სიზმარი შენი, შვენიერი,  
სიზმარი უღირსესია...  
მეგობარო, მთა, შენ იხილე, არის ნაძვის მთა:  
ჩვენ შევიპყრობთ ჰუმბახას, მოვკლავთ,  
ველად გარდვაგდებთ სხეულსა მისსა“.



\* \* \*

ოცი მანძილი<sup>23</sup> განვლეს, სჭამეს პური;  
 ოცდაათი მანძილი განვლეს დაილამეს...  
 ძილი, კაცს რომ გადაესხმის, დაეცა მას<sup>24</sup>.  
 შუა ღამისას დაასრულა მან ძილი.  
 აღსდგა და ჰრქვა მეგობარს:  
 „მეგობარო, ხომ არ დაგიძახნია? რად გამეღვიძა?  
 ხომ არ შემხებებიხარ? რად განვკრთი?  
 ღმერთს ხომ არ გაუვლია? რად დამიუძღურდა  
 სხეული?“

მეგობარო, მესამე სიზმარი ვიხილე,  
 და სიზმარი, მე რომ ვიხილე, უსაზარლესი იყო:  
 ცა გრგვინავდა და დედა-მინა გრიალებდა,  
 ამოვარდა ქარიშხალი, დაბნელდა ქვეყანა,  
 იელვა, გაჩნდა ცეცხლი,  
 შეიკრა ღრუბლები, სიკვდილის ნვიმა მოდიოდა!  
 მერმე განქრა ნათელი, ჩაქრა ცეცხლი,  
 ნაკვერცხალი, ძირს რომ ჩამოვარდა, ნაცრად იქცა!  
 ჩავიდეთ ამ მთითგან, რათა ველზედ გავმართოთ ბჭობა“.

მეგობრებმა განაგრძეს გზა. ჰუმბაბას ცყის კაწრედ რომ მივიდნენ, მცვე-  
 ლი გადაედობა წინ. აზრ უშვესდა ცყეში. მცველი მოჰკლეს. – ენკიდუ შეახეპს  
 ხელს ხელოვნურად გაკეთებულ კაწს, მაგრამ კაწი მოჯადოვებული ყოფილა  
 და იგი მოჯადოვდება. გილგამეშ შეულოცავს და დიდი შრომის შემდეგ განა-  
 თავისუფლებს ენკიდუს ფადოსაგან. ენკიდუს ძალა უბრუნდება და მეგობრები  
 შედიან ცყეში.



## კარი მესუთე



იგინი დადგნენ და შეჰყურებდენ ტყეს,  
 თვალით ზომავდნენ ნაძვთა სიმაღლეს,  
 სინჯავდნენ ტყის შესავალს, სადა მიმოდის, სეირნობს  
 ჰუმბაბა.

სწორია ბილიკები, მშვენიერი გაჭრილი გზა.  
 ჰხედავენ ნაძვის მთას, სავანეს ღმერთთა,  
 წმიდა ადგილს ირნინისა<sup>25</sup>.  
 მთის წინა დგას შემკული ნაძვის ხე, შვენიერი.  
 ამოა ჩრდილი მისი, ღმერთთა ალესილი.

შემდეგი დიდი ნაწილი მესუთე კარისა დაკარგულია, მხოლოდ ეპოსის  
 სხვა ვერსიები მოგვითხრობენ, რომ გილგამეშსა და ენკიდუს დაუმაწყვებიათ  
 ჰუმბაბა და მოუკლათ იგი.

### ზოდან-კოის ინდოტერმანულ-ხეთური ვერსია

გილგამეშ შამშის წინაშე ლოცულობს და შამშს შეისმენს მისს ვედრებას:

მზის ღმერთმან ზეცისამან შეისმინა ვედრება  
 გილგამეშისა.





მაშინ აღიძრენ ქარნი ძლიერნი **ჭუფავას** წინააღმდეგ:  
ქარი საშინელი, ქარი ჩრდილოეთისა,  
ქარი სამხრეთისა... გრიგალი, ცივი ქარი,  
ქარიშხალი, ქარი ბოროტი.

რვა ქარი ამოვარდა და დაჰბერა **ჭუფავას** წინ და უკან:  
ველარც წინ წარსდგა ნაბიჯი, ველარც უკან.  
დაეხსნა **ჭუფავა** (გილგამეშ).

**ჭუფავა** ეუბნება გილგამეშს:  
„დამეხსენ, გილგამეშ, შენ ბატონი და მე ყმა.  
ქადილნი ჩემნი შენს წინააღმდეგ დაივიწყე!“...

ენკიდუმ უთხრა გილგამეშს:  
„არ ისმინო **ჭუფავას** სიტყვანი!...“

**ჭუფავა** ცოცხალი არ უნდა გადარჩეს!“...

**ჭუმანას** მოჰკლავენ და მისს მძოწის ფრინველთ და მსუცთ გადაუგდებენ.



## კახი ბექვსე



საჭურველი განრეცხა მან<sup>26</sup>, განსწმიდა იგი,  
უკან გარდიგდო თმანი,  
განიძრო დასვრილი სამოსელი, ჩაიცვა ნმიდა,  
მოირთო სადღესასწაულოდ, შეირცყა  
გულის-სარტყელი.

გილგამეშმან თავსა დაიდგა გვირგვინი, შეირცყა  
გულის-სარტყელი.

\* \* \*

მაშინ მაღალმა იშტარმა თვალი მიაპყრო გილგამეშის

შვენებას:

„აჰ, გილგამეშ, ჩემი ქმარი უნდა იყო!

მიძღვენ ნაყოფი შენი, მიძღვენ!

შენ ქმარი და მე ცოლი!

შეგიბამ ეტლს, ძვირფას თვლებითა და ოქროთი

მოჭედილს;

მისი გოგრები ოქროსი იქნება და პატოსანის თვალისა

რქები მისი;



მას ყოველ დღე ძლიერი ჯორები გასწევენ.  
ჩვენს სახლში შემოდი, ფიჭვის სუნი რომ დგას!  
ოდეს შემოხვალ ჩვენს სახლში,  
ფერხთ გემთხვევიან იგინი, ვინც ტახტზედ სხედან;  
თაყვანის-გცემენ მეფენი, ბატონნი და დიდებულნი;  
ნაყოფს მთისასა და ველისასა ხარკად მოგართმევენ!  
თხანი შენნი სამ-ტყუპსა შობენ, ცხოვარნი შენნი  
ორ-ტყუპსა!

სახედარი შენი ჯორის სიმსხო იქმნება!  
ჰუნენი შენის ეტლისა ძლიერად გასწევენ!  
ულელ-ქვეშ შენს ჯორს ტოლი არ ეყოლება!“

\* \* \*

გილგამეშმა ალალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა მაღალ  
იშტარს:

„დედოფალო, შენთვის შეინახე შენი სიმდიდრე!  
მე კი ჩემი სამოსელი, ჩემი პერანგი მეყოფა,  
მე კი ჩემი საზრდო, ჩემი საკვები მეყოფა!  
არა ვსჭამ განა საღმრთო საჭმელსა,  
არა ვსვამ განა სამეფო ღვინოს?!...  
შენ მსგავსი ხარ კარისა(?), ვერცა ქარი, ვერცა  
გრიგალი რომ ვერ აჩერებს;  
მსგავსი სასახლისა, გმირთ რომ აღსპოლავს;  
მსგავსი სპილოსი, ჩულს რომ გარდიგდებს;  
მსგავსი კუპრისა, მზიდველს რომ ჰლუნავს;  
მსგავსი ტიკისა, მზიდველს რომ ამძიმებს;  
მსგავსი პატიოსანი თვალისა, ქვეყნითგან რომ არის  
ნარტაცებული;  
მსგავსი ხამლისა, კაცს რომ ფერხზედ უჭერს!  
რომელი საქმრო გიყვარდა მარადის?  
რომელმან შენმან მწყემსმან შესძლო შენი მოთოკვა?“



მოდის ჩამოგითვალს შენი კურობები,  
აღგირიცხო ყოველი:  
ტამუზს<sup>27</sup>, საყვარელს შენის სიყრმისა,  
წლითი-წლობამდე გოდება მიუსაჯე!  
ჭრელი მეცხვარე<sup>28</sup> შეიყვარე –  
დაჰკარი, მოსტეხე ფრთა!  
ტყეშია იგი და იძახის: „კაპპი<sup>29</sup>!“  
გიყვარდა ლომი, ძლიერის ღონისა –  
შვიდჯერ და კიდევ შვიდჯერ გაუთხარე ორმო!  
გიყვარდა ჰუნე – დეზი და შოლტი მიუსაჯე,  
შვიდი მანძილის სრბოლა მიუსაჯე,  
მღვრიე წყლის სმა მიუსაჯე,  
დედა-მისს სილილის გოდება მიუსაჯე!  
გიყვარდა მწყემსი, მცველი,  
მუდამ რომ საკმეველს გიფრქვევდა,  
ყოველ-დღე თიკანს გიკლავდა, –  
დაჰკარი, აქციე მგელად!  
მისსივე ყმანი სდევნიან მას,  
მისსივე ძაღლები ჰკბენენ ბარკალში!  
გიყვარდა იშულლანუ, მებაღე მამა-შენისა,  
შენთვის რომ ყოველ-დღე ყვავილის კონა მოჰქონდა,  
ამკობდა ყოველ-დღე შენს სუფრას, –  
მიაპყარ თვალნი, იგდე ბრჭყალებში:  
„იშულლანუ, ძალი შენი უნდა ვიგემოთ“-ო!  
იშულლანუმ გითხრა: „რა გსურს ჩემგან?  
არ გამოაცხო დედამან ჩემმან, არა ვსჭამე, რაც უნდა  
მეჭამა,  
რასაც მოაქვს ბოროტი და წყეული?“...  
გესმა რა ესე სიტყვანი მისნი,  
დაჰკარ და აქციე ღამურად!...  
ახლა მე გიყვარვარ, გინდა ის მომაგო,  
რაც მათ მიაგე?!“



\* \* \*

ესმა რა ესე იშტარს, განრისხდა იშტარ, აღმალლდა  
ზეცად.

ანუსთან, მამასთან მივიდა იშტარ,  
დედასთან, ანტუსთან<sup>30</sup>, მივიდა იგი და სთქვა:  
„მამა, გილგამეშმა შეურაცხ-მყო მე! გილგამეშმა  
აღრიცხა

ბოროტებანი ჩემნი, ბოროტებანი ჩემნი და წყევანი!“  
ანტუმ აღალო ბაგენი თვისნი და რქვა მაღალ იშტარს:  
„თვით აღაგზნებდი რისხვასა მისსა,  
ამისათვის აღრიცხავდა გილგამეშ ბოროტებათა  
შენთა,

ბოროტებათა შენთა და წყევათა!“  
იშტარმა აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა ანუს,  
მამასა თვისსა:  
„მამა, შეჰქმენ ხარი ზეცისა, რომელმან დასთრგუნოს  
გილგამეშ!

მთელი სხეული მისი აღავსე ცეცხლით! \*  
თუ უარი მითხარ, არ შეისმინე ვედრება ჩემი,  
დავლენ კარსა ქვესკნელისასა, განვსტებ მისს ურდულს,  
აღმოვიყვან მკვდართ, რათა მათ ცოცხალნი შესჭამონ,  
რათა უმრავლეს ცოცხალთა მკვდარნი იყვნენ!“  
ანუმ აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა მაღალ იშტარს:  
„ასულო ჩემო, რაი გსურს ჩემგან?  
ხარი ზეცისა შვიდ წელს ცალიერ ჩალას<sup>31</sup> მოიტანს!  
მოაგროვე საზრდო კაცთათვის, აღმოაცენე ბალახი  
მხეცთათვის?“

იშტარმა აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა ანუს,  
მამასა თვისსა:

„მამა, პური დავამზადე, დიდი მოსავალი მოვიყვანე.  
თუ დადგება შვიდი წელი ცალიერი ჩალისა,



მზადა მაქვს საზრდო კაცთათვის,  
 აღმოაცენე ბალახი მხეცთათვის...“  
 ანუ მისინა ესე სიტყვანი მისნი...

\* \* \*

ზეცის ხანი ქალაქში მძვინვარებს. მწავალი ადამიანი იღუპება მისის  
 ცეცხლის სულ-თქმისაგან, ზოლოს და ზოლოს ენკიდუ კუღში სცავენებს ხელს  
 ხაწს და გააჩეკებს, გილგამეშ კი მახვილით განგმიწავს მას;

მოჰკლეს რა ზეცის ზარი, დამშვიდდა გული მათი,  
 გარდასწყვიტეს ნასვლა წინაშე შამაშისა,  
 განემორენ და გმირი შამაშის წინაშე დასხდენ ორნი  
 ძმანი.

მაშინ შემოჯდა იშტარ ზღუდეზედ გალავნიან ურუკისა,  
 შეხტა კედლის კბილზედ და მორთო კივილი:  
 „ვაი, გილგამეშს, რომელმან შეურაცხ-მყო მე,  
 რომელმან მოჰკლა ხარი ზეცისა!“  
 ესმა ენკიდუს ეს სიტყვები იშტარისა,  
 მოჰგლიჯა ბარკალი ზეცის ხარს,  
 ესროლა იშტარს თავში და უთხრა:  
 „შენი თავიმც ჩამაგდებია ხელში,  
 შენც ამის ბედს გარგუნებდი!  
 მისს წელეებს მკლავზედ შემოგახვევდი!“  
 მაშინ შეჰკრიბა იშტარმან ტაძრის მხევალნი,  
 მეძავნი ქალნი და შეწირულნი  
 და გამართა ტირილი<sup>32</sup>.

\* \* \*

გილგამეშმა შეჰკრიბა ხელოსნები, ხუროები.  
 მის<sup>33</sup> რქათა სიმსხოს აქებდნენ ხელოსნები,  
 ოც-ოც-და-ათ მანა<sup>34</sup> პატიოსან თვალს იწონიდენ იგინი,



ორ-ორი თითის სისქე იყო ქერქი მათი.

ექვსი ჭურჭელი ზეთი, რაოდენი ჩავიდა ორივე რქაში,  
შესწირა მან<sup>35</sup> თვის ღმერთს ლუგალმარადას.

მოილო ტაძრად რქები და დაჰკიდა თვის სამეფო  
სანოლზედ.

ეფრატის მდინარეში დაიბანეს მათ<sup>36</sup> ხელები.

შეკრიბა ერი ურუკისა ხილვად მათის პირისა.

გილგამემ ეუბნება თვისის სასახლის მხევალთ სიტყვას:

„ვინ არის უმშვენიერესი გმირთა შორის,

ვინ არის უძლიერესი ვაჟ-კაცთა შორის?“

„გილგამემ არის უმშვენიერესი გმირთა შორის,

არის უძლიერესი ვაჟ-კაცთა შორის!“

\* \* \*

ლხინი გადიხადა გილგამეშმა თვის სასახლეში,

განისვენებენ ვაჟ-კაცნი, ნვანან ღამის სანოლებში,

განისვენებს ენკიდუ, ხედავს სიზმრებს.

აღსდგა ენკიდუ, უამბო სიზმარი მეგობარს თვისსა

და უთხრა:

„მეგობარო, რად გადასწყვიტეს დიდმა ღმერთებმა...?“

აქ მოახლოებული სიკვდილი ეუწყება სიზმარში ენკიდუს.



## კარი შემვიდე



სიკვდილის წვეთი მამინ მოხვდა ენკიდუს, როდესაც მან ხელი შეახო შეენიერს, სელოფნურად ნაკეთებ კარს ჰუმბაბას ცეცისა, სიკვდილი დაესინძრა იმ სინმაწში, შემვიდე კარში რომ ყოფილა აღსწერილი.

### პოდ-კ. ინდოტეკმ.-ხეთ. ვეჩ.

გათენდა... ენკიდუ მიუგებს გილგამეშს:

„გილგამეშ, ისმინე სიზმარი, ნუხელ რომ ვიხილე:  
ბჭობად ისხდენ ენლილ, ეა და მზის ღმერთი ზეცისა.  
ენლილ ამბობდა: „მათ მოჰკლეს ზეცის ხარი,

მოჰკლეს **ჰუმბაბა!**“

ციურმა მზემ უშველა ნაძვთან!...“

რომელიღაც ღმერთი ამბობს:

„ენკიდუ უნდა მოკვდეს, გილგამეშ არა!“

გმირი ენლილ მიუგებს:

„ღმერთო მზისაო,

შენის ბრძანებით მოჰკლეს მათ ზეცის ხარი და **ჰუეაფა:**

ენკიდუ უნდა მოკვდეს...“





\* \* \*

ენკიდუ უჩივის თავის ბედს და სწყევლის უბედურების მომ-  
ტან კარს; სწყევლის აგრეთვე მეძავ ქალს, რომელმა იგი ურუკ-  
ში გამოიღცყუა, მოაშორა მხეცთა ველისათა და მათთან ბედნიერ  
ცხოვრებას, და გააუბედურა.

### ასსუჩ. ვეჩ.

„შენი ბედიმც გარდმიკვეთია, მეძავო ქალო ისე,  
რომ იგი არ შეცვლილიყოს უკუნითი-უკუნისამდე!  
მაშ, ძლიერი წყევით დაგწყევლი:  
ამიერთგან უკუნისამდე იყოს ქუჩა სავანე შენი,  
ჩრდილი კედელთა იყოს სადგომი შენი,  
დაღლილ-დანყვეტილ იყვნენ ფერხნი შენნი,  
მთვრალი და მწყურვალი ლოყასა გცემდეს!...  
შენ მომაყენე უბედურება, ჩემი ველითგან რომ  
გამომიღცყუე!“

\* \* \*

შამაშს მოესმა სიტყვა პირისაგან მისისა.  
ციტგან მყისვე ჩამოსძახა:  
„ენკიდუ, რაისათვის სწყევლი მეძავ ქალს,  
სალმრთო საზრდო ჭამად რომ მოგიპოვა,  
სამეფო ღვინო სმად რომ მოგიპოვა,  
შვენიერი სამოსლით რომ შეგმოსა  
და დიდებული გილგამეშ მეგობრად გაგიჩინა?  
ახლა გილგამეშ ხომ ძმაა შენი და მეგობარი:  
შვენიერ სანოლზედ მოგასვენებს იგი,  
განგასვენებს მშვიდ ადგილს,  
თავადნი ქვეყნისანი ფერხთ გემთხვევიან!  
გილგამეშ შენთვის ატირებს და აგოდებს ურუკის ერსა,  
შენდა ამსახურებს უამრავს ერსა..“.



\* \* \*

ენკიდუმ ისმინა სიტყვა გამირის შამაშისა.  
რისხვა მისი განელდა,  
გახელებული გული მისი დამშვიდდა.

ენკიდუმ ღვთაების პძძანებით ალბათ უკან წაიღო მეძავი ქალის წყევა.  
– მაგწამ შეძღვე ღამეს ენკიდუს კვლავ ესინძრება სიკვდილის მაუწყებელი  
სინძანი, წომელს იგი დილას თავის მეგობარს უამბობს:

„გიღგამემუ, მეგობარო ჩემო, სიზმრები ვიხილე ნუხელ:  
ცამ იგრიალა, მინამაც მიუგო.  
მარტო ვიყავ ბნელ ღამეში.  
ერთი კაცი დავინახე შავის სახისა...  
საშინელი იყო პირი მისი;  
მისი ფრჩხილები არწივის ბრჭყალები იყო...  
ფრინველის ფრთები მომაბა მხრებზედ:  
**„გამომყევ, წამომყევ** სიბნელის სახლში, ირკალას<sup>37</sup> სავანეში,  
იმ სახლში, რომელს აღარ სტოვებენ, ვინც შიგ შედიან,  
იმ გზით, რომლის სასარბოლი არ შებრუნდების,  
იმ სახლში, რომლის მცხოვრებთ არ აქვთ ნათელი,  
სადა მტვერია საჭმელი მათი, მინა – საკვები მათი.  
სამოსი მათი ფრთოსანის სამოსს ემსგავსება, –  
თრთის სამოსია,  
და ნათელს ვერა ჰხედავენ, ბნელში რომ ცხოვრობენ“.  
მტვერის სასახლეში, სად მე შეველ, ჰყრიან ძირს  
სკიპტრანი,  
დახრილ არიან დაბლა გვირგვინნი: იქა ცხოვრობენ  
ხელმწიფენი,  
უძველესსა დროს რომ მეფობდნენ ამ ქვეყანაზედ...  
მტვერის სასახლეში, სადა მე შეველ,  
ცხოვრობენ მღვდელთ-მთავარნი და მღვდელნი-  
მგოდებელნი<sup>38</sup>,



ცხოვრობენ შემლოცველნი და ჯადოსანნი,  
 ცხოვრობენ მღვდელ-მთავარნი დიდთა ღმერთთა,  
 ცხოვრობს ეტანა<sup>39</sup>, ცხოვრობს საკანი<sup>40</sup>,  
 ცხოვრობს დედოფალი ქვესკნელისა ერემკიგალ,  
 ბელიტ-სერი<sup>41</sup>, მწერალი ქვესკნელისა,  
 თავ-დახრითა დგას მის წინაშე,  
 ჩაჰყურებს წიგნში და უკითხავს მას,  
 მან აღიღო თავი და შემომხედა.  
 აღსდგა და მიიყვანა თავისთან ეს კაცი<sup>42</sup>.”

\* \* \*

ენკიდუს მანთლაც კიძიკე სენი შეიპყრობს, ღრმად მწუხანკე გილგამეშ  
 ჰვოდებს:

„მეგობარო ჩემო, მუდამ რომ იყავ ჭირში ჩემთანა...  
 მეგობარო ჩემო, ხდება სიზმარი, ბოროტს რომ მოასწავებდა!“  
 იმ დღეს, ოდეს სიზმარი იხილა მან,  
 დასრულდა ჟამი მისის ცხოვრებისა!  
 წევს ენკიდუ ერთი დღე, ორი დღე:  
 სანოლზედ მწარე ტკივილთ განიცდის ენკიდუ.  
 მესამე, მეოთხე დღეს მწოლიარეა იგი –  
 მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე,  
 მერვე, მეცხრე და მათე დღეს:  
 ტკივილები უმძიმდება ენკიდუს.  
 მეთერთმეტე, მეთორმეტე დღეს მწოლიარეა იგი:  
 სანოლზედა წევს ენკიდუ, მსგავსი მკვდარისა.  
 მოუწონდა გილგამეშს და უთხრა:  
 „ბოროტმა სულმა დამწყევლა, მეგობარო ჩემო!  
 ბრძოლაში დაჭრილი არა ვკვდები.  
 ერიდე ბრძოლასა და უნდა მოვკვდე უსახელოდ.  
 მეგობარო ჩემო, ვინც ბრძოლაში კვდება, ბედნიერია!  
 მე კი სანოლზედ უნდა დავასრულო სიცოცხლე ჩემი...“



## კაწი შეწვე



ენკიდუ უკვე მოკვდაწა. გილგამეშ მის ცხედართან დგას და სციწის:

„ენკიდუ, საყვარელო მეგობარო ჩემო, ვეფხო  
მინდვრისაო!

მის შემდეგ, რაც ამდენი საქმე ჩავიდინეთ,  
მთასა აღვედით,  
ზეცის ხარი დავიჭირეთ და მოვკალით,  
ჰუმბაბა დავსთრგუნეთ, ნაძვის ტყეში რომ  
ცხოვრობდა, –

რა ძილმა შეგიპყრო?

შავად ჰმზერ, ხმა ჩემი აღარ გესმის!“

ხოლო იგი თვალს აღარ ახელს.

მან<sup>43</sup> ხელი შეახო გულსა მისსა: გული აღარ სცემდა!

მაშინ დაჰბურა მან მოყვარე თვისი, ვითარცა სასძლო.

ვითარცა ლომი ღრიალებს იგი დიდი ხმით,

ვითარცა ძუ-ლომი, ლეკვი რომ წარსტაცეს.

მიუბრუნდება მიცვალებულს, იგლეჯს თმას...

მკვდარი მეგობრის ხილვით გილგამეშს თვით შეიპყრობს შიში



სიკვდილისა, რომ გაიგოს, თუ რაგვარ არის შესაძლებელი სიკვდილისაგან თავის დახსნა, იგი გარდასწყვეტს, ნახოს თვისი წინაპარი უტ-ნაფიშტი, რომელს უკვდავება აქვს მოპოვებული.



## კაზი ქეცხრე



ენკიდუს, მოყვარეს თვისსა, სტირის მწარედ  
 გილგამეშ, ველად გაჭრილი:  
 „მეც მოვკვდები! მეც ის დღე არ მომელის, ენკიდუს  
 რომ დაადგა?  
 ვაება შევიდა ჩემს გულში, შემბუყრო შიშმან  
 სიკვდილისამან,  
 ამისათვისცა გავიჭერ ველად.  
 უტ-ნაფიშტისთან, უბარა-ტუტუს ძესთან  
 წარსვლად ვადგევარ გზასა და იქით მივეშურები!  
 ოდეს შევსულვარ მთის ჯურღმულეებში, ოდეს  
 მიხილავს ლომები  
 და შიშს შევეუპყრევარ, აღმიღია თავი ჩემი  
 და სინისადმი<sup>41</sup>, იშტარისადმი, ძლიერ ქალ-ღმერთისადმი.  
 აღმივლენიან ლოცვანი ჩემნი!  
 და კვლავ დამიცვეთ მე, ღმერთნო!“

\* \* \*

მერმე დანვა და იხილა სიზმარი საზარელი:  
 ლხინით აღვსილი იყო იგი და უხაროდა სიცოცხლე;



ადილო ხელში ცული, აღმოინვადა ხმალი სარტყლისა;  
 ვითარცა ისარი შთავარდა,  
 სპოლვიდა, სთრგუნავდა, ჰკლავდა, ჰგლეჯდა...

\* \* \*

გილგამეშ განაგჩობს გზას ამ სიზმრის შემდეგ და მიადგება მამუს მთას,  
 ქვეყნის კიდებედ, სადაც აჩის საზღვარი ცისა და ქვეყნებისა.

ოდეს მიაღწია მამუს მთას, იხილა იგინი,  
 ვინცა იცავენ მზის აღმოსავალსა და დასავალსა.  
 მათზედ ეყრდნობა ცის საძირკველი;  
 ძირს ქვეყნელს უნევს მკერდი მათი.  
 ღრიანკალ-კაცნი კარსა იცავენ:  
 საშინელია პირი მათი.  
 ღრიანკალ-კაცნი კარსა იცავენ:  
 საშინელია პირი მათი, თვალი მათი – სიკვდილი,  
 ძრძნოლის მომგვრელი ბრწყენა მათი მათთ

დამფარველი!

მზეს იცავენ იგინი აღმოსვლისას და შთასვლისას.

\* \* \*

იხილა რა იგინი გილგამეშმან,  
 შავად იცვალა შიშით სახე მისი.  
 მოიცა გული და დადრიკა თავი მათ წინაშე.  
 ღრიანკალ-კაცი უხმობს თვისს ცოლსა:  
 „ეგერ რომ ჩვენთან მოვიდა, სხეული მისი ღმერთის  
 სხეულია!“

ღრიანკალ-კაცს მიუგებს ცოლი:  
 „ორი მესამედი ღმერთია იგი, ერთი მესამედი კაცი!“  
 ღრიანკალ-კაცმა შესძახა, ღმრთის სახეს ეუბნება  
 სიტყვას:



„როგორ მოხვედი აქ შორის გზითა, ქვეყნის  
 კიდეზედ, ჩემამდე,  
 მაღალ მთებამდე, ძნელად რომ არის გარდასავალი?  
 მაცნობე, მინდა ვიცოდე გზა შენი!“  
 გილგამეშ ეუბნება მას, ღრიანკალ-კაცს:  
 „მივდივარ უტ-ნაფიშტისთან, ჩემს წინაპართან,  
 რომელი შევიდა ღმერთთა კრებულში და იხილა  
 ცხოვრება.  
 სიკვდილისა და სიცოცხლისა უნდა ვკითხო მას!“  
 ღრიანკალ-კაცმა აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა  
 გილგამეშს:  
 „გილგამეშ, არასოდეს ყოფილა გზა იქით მიმავალი!  
 მთაში ჯერ არვის უნახავს ბილიკი!  
 ოცი მანძილის იქით არის შუა-გული მთისა.  
 ძლიერია ბნელი, არ არის ნათელი“.

\* \* \*

მიუხედავად ღრიანკალ-კაცის გაფრთხილებიანა, გილგამეშ მაინც  
 მტკიცედ ადგია თავის გადაწყვეტილებას და განაგრძობს გზას.

ღრიანკალ-კაცმა აღალო ბაგენი თვისნი და ჰრქვა  
 გილგამეშს:  
 „გილგამეშ, მამ, დაადეგ შენს გზას,  
 კარგი, გილგამეშ, წარმემართე უტ-ნაფიშტისაკენ.  
 მშვიდობითამც გარდაგევლოს მთა მაშუსი!“

\* \* \*

ესმა რა ესე გილგამეშს,  
 დაადგა გზას ღრიანკალ-კაცის ბრძანებით.  
 მზის გზას დაადგა იგი.  
 გაიარა ერთი მანძილი:





ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.  
ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან.  
გაიარა ორი მანძილი:  
ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.  
ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან.  
გაიარა სამი მანძილი:  
ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.  
ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან.  
გაიარა ოთხი მანძილი:  
ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.  
ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან.  
გაიარა ხუთი მანძილი:  
ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.  
ძალი ბნელისა უშლიდა მას ხილვას, რაც იყო უკან.  
გაიარა ექვსი მანძილი:  
ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.  
ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან.  
გაიარა შვიდი მანძილი:  
ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.  
ძალი ბნელისა უშლის მას ხილვას, რაც იყო უკან.  
რვა მანძილი გაიარა მან: და მძლავრად ხმა  
აღმოუტევა.  
ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.  
ძალი ბნელისა უშლიდა მას ხილვას, რაც იყო უკან.  
ცხრა მანძილი გაიარა მან: და მიაღწია ჩრდილოეთს.  
ძლიერი იყო ბნელი, არ იყო ნათელი.  
ძალი ბნელისა უშლიდა მას ხილვას, რაც იყო უკან.  
ათი მანძილი გაიარა მან: მიაღწია მთის  
გამოსავალსა.  
თერთმეტი მანძილი გაიარა მან: და გამოვიდა წინაშე  
მზისა.  
თორმეტი მანძილი გაიარა მან: და გათენდა!



\* \* \*

წალკოტი ღმერთთა იხილა მან  
და, რა იხილა, მიაშურა მას,  
პატიოსანი თვლები იყო ნაყოფი წალკოტისა,  
**მაზებით** შემკული იყო იგი შვენიერი სანახავი:  
ფირუზის იყო ტოტები,  
სასურველი სანახავი იყო ნაყოფი მისი.

აღწერილია ეს უცნაური ზღაპრი, რომელშიაც ყოველ მკვლევარს პატიოსანი  
თვალი ახსნია.

დადგა გილგამეშ,  
მიაპყრო თვალი ღმერთთა წალკოტსა.



## კარგი შეათე



ღვთაებრივი მეღვინე-ქალი სიღური ზის ზღვის  
საჯდომზედ,  
ზის და შორს აქვს თვალი მიპყრობილი.  
დოქი უდგია მას, სასმისი უდგია მას,  
საბურავი ჰბურავს...  
გიღგამეშმა მიირბინა, მიუახლოვდა მას.  
ტყავი აცვია, საზარელი სახე აქვს.  
ღმერთის ნაწილნი აქვს სხეულში.  
გული მისი ვაებას შეუპყრია,  
მსგავსია შორი-გზით მომავალი მგზავრისა.

\* \* \*

შორს იმზირება თვალი მეღვინე-ქალისა,  
თავისს თავს ეუბნება იგი, ამბობს სიტყვასა,  
თვით მსჯელობს, თავის თავთანა:  
„სად (?) უნდა იყოს იგი, ვინ ბოროტს განიზრახავს?  
სად მიდის იგი გულის რისხვითა?“



\* \* \*

ოდეს იხილა იგი<sup>45</sup> მეღვინე ქალმა, დახშო კარი,  
 დახშო კარი, ჩაჰკეტა სადგომი.  
 ხოლო გილგამეშმა გარდასწყვიტა ეკითხა მისთვის...  
 გილგამეშ ეუბნება მას, მეღვინე ქალს:  
 „მეღვინე-ქალო, რა დაგემართა, რომ დახშე კარი,  
 დახშე კარი და ჩაჰკეტე სადგომი?  
 დავლენ კარს, განვსტეხ ურდულს!“

\* \* \*

გილგამეშ იგებს მეღვინე-ქალის გულს და აამეცხველებს მას:

მეღვინე-ქალი ეუბნება მას, გილგამეშს:  
 „რად ჩაგცვივინია ლოყები, დაგიდრეკია თავი,  
 რად არის დაღონებული გული შენი, უძლური სხეული შენი?  
 რად არის ვაება შენს გულში,  
 რად ემსგავსები მგზავრსა, შორი-გზით მომავალსა?  
 რად შეგშლია სახე ტანჯვითა, ზრუნვითა და მწუხარებითა,  
 ჭმუნვით აღსავსე გაჭრილხარ ველად?“  
 გილგამეშ მიუგებს მას, მეღვინე-ქალს:  
 „ვით არ იყოს ჩაცვივნილი ლოყები ჩემი,  
 დადრეკილი თავი ჩემი,  
 ვით არ იყოს დაღონებული გული ჩემი,  
 უძლური სხეული ჩემი,  
 ვით არ იყოს ვაება ჩემი გულში,  
 ვით არ ვიყო მსგავსი შორი-გზით მომავალ მგზავრისა,  
 ვით არ იყოს შეშლილი სახე ჩემს ტანჯვითა,  
 ზრუნვითა და მწუხარებითა,  
 ვით არ ვიყო ჭმუნვით აღსავსე გაჭრილი ველად!  
 საყვარელს მეგობარს ჩემსას, ვეფხსა მინდვრისას,  
 ენკიდუსს, საყვარელს მეგობარს ჩემსას,



მთას რომ ალვედით,  
 დავიჭირეთ ზეცის ხარი და მერმე მოვკალით,  
 დავსთრგუნეთ ჰუმბაბა, ნაძვის ტყეში რომ ცხოვრობდა,  
 დავხოცეთ ლომები მთის ჯურღმულეებში, –  
 მოყვარეს ჩემსას, ჩემთან რომ იყო ყოველ  
 განსაცდელში, –

ენკიდუს, მოყვარეს ჩემსას,  
 ჩემთან ერთად რომ ლომებს ხოცავდა,  
 ჩემთან ერთად რომ იყო ყოველ განსაცდელში, –  
 ენია ბედი კაცისა!

ექვს დღესა და ექვს ღამეს ვსტიროდი მის გვამზედ,  
 მეშვიდე დღემდე არ დამიმარხავს.  
 შევძრწუნდი, რა განვიცადე ბედი მისი.  
 სიკვდილის შიშმა შემიპყრო, ამისათვის ვარ  
 გაჭრილი ველად.

ბედი ენკიდუსი, ჩემის მოყვრისა, მიმიძიმს ფრიად,  
 ამისათვისცა, ველად გაჭრილი, შორს გზას ვადგივარ,  
 როგორ დავჩუმდე – როგორ აღმოვსთქვა ესე?!  
 მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქცა, –  
 ენკიდუ, მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქცა!  
 ხომ მეც დავწვები მსგავსად იმისა, რომ აღარ  
 აღვსდგე აღარაოდეს?!“

გილგამეშ კიდეც ეუბნება მას, მეღვინე-ქალს:  
 „აბა, მეღვინე-ქალო, რომელია გზა უტ-  
 ნაფიშტისაკენ?“

რა არის ნიშანი მისი, მომეც!  
 მომეც მიშანი მისი, მომეც!  
 თუ შესაძლებელია, განვივლი ზღვასა,  
 თუ შეუძლებელია, ველად გავიჭრები!“\*  
 მეღვინე-ქალი ეუბნება მას, გილგამეშს:  
 არ ყოფილა, გილგამეშ, გარდასავალი  
 და არ ვის შესძლებია ზღვის განვლა –



მასაც კი, ვინც უძველეს დროითგან მოსულა!  
 მხოლოდ შამაშმა, გმირმა, განვლო ზღვა!  
 და თვინიერ შამაშისა, ვინ განვლის მას?  
 ძნელი მისადგომია გარდასავალი,  
 ძნელია გზა იქით მიმავალი  
 და უფსკრულია წყალი სიკვდილისა,  
 მითა ურდული დამხშობი მისი.  
 სად გინდა, გილგამემ, ზღვა განვლო?  
 თუ მიაღწიე სიკვდილის წყალსა, რა უნდა ჰქმნა მაშინ?  
 გილგამემ, იქ არის ურ-შანაბი, მენავე უტ-ნაფიშტისა,  
 რომელსა ანვს ქვის კიდობანი,  
 ტყეში ბალახს ჰგლეჯს, იხილე იგი!  
 თუ შესაძლებელია, იგი გადაგიყვანს,  
 თუ შეუძლებელია, დაბრუნდი უკან!“\*

\* \* \*

გილგამემ მიდის და იპოვის უტ-ნაფიშტის მენავეს – ურ-შანაბის.

ურ-შანაბი ეუბნება მას, გილგამემს:  
 „რად ჩაცვივინა ლოყები, დაგიდრეკია თავი,  
 რად არის დაღონებული გული შენი, უძლური  
 სხეული შენი?  
 რად არის ვაება შენს გულში,  
 რად ემსგავსები მგზავრსა, შორი-გზით მომავალსა?  
 რად შეგშლია სახე ტანჯვითა, ზრუნვითა და  
 მწუხარებითა,  
 ჭმუნვით აღსავსე გაჭრილხარ ველად?“\*  
 გილგამემ ეუბნება მას, ურ-შანაბის, მენავეს:  
 „მით არ იყოს ჩაცვივნილი ლოყები ჩემი,  
 დაღრეკილი თავი ჩემი,  
 მით არ იყოს დაღონებული გული ჩემი,  
 უძლური სხეული ჩემი,



მით არ იყოს ვაება ჩემს გულში,  
მით არ ვიყო მსგავსი შორი-გზით მომავალ მგზავრისა,  
მით არ იყოს შეშლილი სახე ჩემი ტანჯვითა,  
ზრუნვითა და მწუხარებითა,  
ვით არ ვიყო ჭმუნვით აღსავსე გაჭრილი ველად!  
საყვარელს მეგობარს ჩემსას, ვეფხსა მინდვრისას, –  
ენკიდუს, საყვარელს მეგობარს ჩემსას, –  
მთას რომ აღვედით,  
დავიჭირეთ ზევის ხარი და მერმე მოვკალით,  
დავსთრგუნეთ ჰუმბაბა, ნაძვის ტყეში რომ ცხოვრობდა,  
დავხოცეთ ლომები მთის ჯურღმულეებში, –  
მოყვარეს ჩემსას, ჩემთან რომ იყო ყოველ  
განსაცდელში,

ენკიდუს, მოყვარეს ჩემსას,  
ჩემთან ერთად რომ ლომებს ხოცავდა,  
ჩემთან რომ იყო ყოველ განსაცდელში, –  
ენია ბედი კაცისა!  
ექვს დღესა და ექვს ღამეს ვსტიროდი მის გვამზედ,  
მეშვიდე დღემდე არ დამიმარხავს.  
შევძრწუნდი, რა განვიცადე ბედი მისი.  
სიკვდილის შიშმა შემიპყრო, ამისათვის ვარ  
გაჭრილი ველად.

ბედი ჩემის მოყვარისა მიმძიმს ფრიად,  
ამისათვისცა შორის გზით ვარ გაჭრილი ველად;  
ბედი ენკიდუსი, ჩემის მიყვრისა, მიმძიმს ფრიად,  
ამისათვისცა შორის მანძილით გავჭრილვარ ველად,  
როგორ დავჩუმდე – როგორ აღმოვსთქვა ესე?!  
მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქცა, –  
ენკიდუ, მოყვარე ჩემი საყვარელი, მიწად გარდიქცა!  
ხომ მეც დავწვები მსგავსად იმისა, რომ აღარ  
აღვსდგე აღარასოდეს?  
გილგამეშ ეუბნება კიდევ მას, ურ-შანაბის, მენავესა:



„აჰა, ურ-შანაბი, რომელია გზა უტ-ნაფიშტისაკენ?  
რა არის ნიშანი მისი, მომეც!

მომეც ნიშანი მისი, მომეც!

თუ შესაძლებელია, განვივლი ზღვასა,

თუ შეუძლებელია, ველად გავიჭრები!“

ურ-შანაბი ეუბნება მას, გილგამეშ:

„შენმა ხელებმა დააბრკოლეს, გილგამეშ, ზღვის

გარდასვლა:

შენ გასტეხე ქვის კიდობანი...

ქვის კიდობანი გატეხილია...<sup>46</sup>

აღიღე, გილგამეშ, ცული ხელში,

ჩადი ტყეში და დასჭერი ძელები,

თვითო სამოცი წყრთა სიგრძისა...

მოიტანე, ვეცადოთ გარდასვლა ზღვისა“.

\* \* \*

ესმა რა ესე გილგამეშს, აღიღო ხელში ცული,

აღმოიწვადა ხმალი სარტყლისა,

ჩავიდა ტყეში, დასჭრა ძელები,

თვითო სამოცი წყრთა სიგრძისა,

მოუტანა ურ-შანაბის, მენავესა.

\* \* \*

გილგამეშ და ურ-შანაბი ჩასხდნენ ხომალდში.

ხომალდი მისცეს მღელვარე ტალღებს,

გასწიეს ერთის თვისა და ხუთმეტი დღის გზითა.

ოდეს გილგამეშმან თვალი განალო მესამესა დღესა<sup>47</sup>,

ურ-შანაბის უკვე სიკვდილის წყლამდე მიეღწია.

ურ-შანაბი ეუბნება მას, გილგამეშ:

„მყისვე აღიღე, გილგამეშ, ძელი:

სიკვდილის წყალი არ მოხვდეს შენს ხელს!...





მეორე, მესამე და მეოთხე ძელი აღიღე, გილგამეშ!  
 მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ძელი აღიღე, გილგამეშ!  
 მერვე, მეცხრე და მეთათე ძელი აღიღე, გილგამეშ!  
 მეთერთმეტე და მეთორმეტე ძელი აღიღე, გილგამეშ!  
 სამოცი ძელი აღიღო გილგამეშმან და აჰა!

განთავისუფლდა...

გილგამეშმან განიძრო სამოსი, თვისი ხელებით  
 აღმართა ანძა.

\* \* \*

უტ-ნაფიშტის შორს აქვს თვალი მიპყრობილი,  
 იგი თვისს თავს ეუბნება, ამბობს სიტყვას,  
 თვის თავთან მსჯელობს:  
 „რად დამტვრეულა ქვის კიდობნები ხომალდისა,  
 მოდის ვილაცა ხომალდითა, აქაურობას რომ არ ეკუთვნის!  
 აქეთ რომ მოდის არ არის კაცი!  
 მარჯვენა მისი არ არის მარჯვენა კაცისა!  
 ვუყურებ, ხოლო არ მესმის,  
 ვუმზერ, ხოლო ვერ განმიჭვრეტია!“

ხომალდი შშვიდობით მიადგება ნაპიჩს. გილგამეშ ნახავს უტ-ნაფიშტის.

\* \* \*

უტ-ნაფიშტი ეუბნება მას, გილგამეშს:  
 „რად ჩაგცვივნია ლოყები, დაგიდრეკია თავი,  
 რად არის დაღონებული გული შენი, უძღური  
 სხეული შენი,  
 რად არის ვაება შენს გულში,  
 რად ემგავსები მგზავრსა შორი-გზით მომავალსა,  
 რად შეგშლია სახე ტანჯვითა, ზრუნვითა და  
 მწუხარებითა,



ჭმუნვით აღსავსე გაჭრილხარ ველად?“  
გილგამეშ ეუბნება მას, უტ-ნაფიშტის:  
„ვით არ იყოს ჩაცვივნილი ლოყები ჩემი,  
დადრეკილი თავი ჩემი,  
ვით არ იყოს დაღონებული გული ჩემი,  
უძლური სხეული ჩემი,  
ვით არ იყოს ვაება ჩემს გულში,  
ვით არ ვიყო მსგავსი შორი-გზით მომავალ მგზავრისა,  
ვით არ იყოს შეშლილი სახე ჩემი ტანჯვითა,  
ზრუნვითა და მწუხარებითა,  
ვით არ ვიყო ჭმუნვით აღსავსე გაჭრილი ველად!  
საყვარელს მეგობარს ჩემსას, ვეფხსა მინდვრისას, –  
ენკიდუს, საყვარელს მეგობარს ჩემსას, ვეფხსა  
მინდვრისას, – მოყვარეს ჩემსას,  
მთას რომ აღვედით,  
დავიჭირეთ ზეცის ხარი და მერმე მოვკალით,  
დავსრთგუნეთ ჰუმბაბა, ნაძვის ტყეში რომ  
ცხოვრობდა,  
დავბოცეთ ლომები მთის ჯურღმულებში, –  
მოყვარეს ჩემსას ენკიდუს, ჩემთან რომ იყო ყოველ  
განსაცდელში,  
ენკიდუს, მეგობარს ჩემსას, ჩემთან ერთად რომ  
ლომებს ხოცავდა,  
ჩემთან რომ იყო ყოველ განსაცდელში, –  
ენია ბედი კაცისა!  
ექვს დღესა და ექვს ღამეს ვსტიროდი მის გვამზედ,  
მეშვიდე დღემდე არ დამიმარხავს.  
შევძრწუნდი, რა განვიცადე ბედი მისი.  
სიკვდილის შიშმა შემიპყრო, ამისთვისა ვარ  
გაჭრილი ველად.  
ბედი ჩემის მოყვარისა მიმიძიმს ფრიად,  
ამისთვისცა ვარ შორის გზითა გაჭრილი ველად.



ბედი ენკიდუსი, ჩემის მოყვრისა, მიმძიმს ფრიად,  
 ამისთვისცა ვარ შორის მანძილით გაჭრილი ველად.  
 როგორ დავჩუმდე – როგორ აღმოვსთქვა ესე?!  
 მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქცა, –  
 ენკიდუ, მოყვარე ჩემი საყვარელი მიწად გარდიქცა!  
 ხომ მეც დავწვები მსგავსად იმისა, რომ აღარ

აღვსდგე არლარაოდეს?!“

გილგამემ კიდევ ეუბნება მას, უტ-ნაფიშტის:  
 „გარდავსწყვიტე წამოვსულიყავ ხილვად უტ-ნაფიშტისა,  
 რომელზედ ამბავთ მოგვითხრობენ.  
 ამისათვის მოვვლე ქვეყნის კიდენი,  
 ამისათვის გარდავლახე მთანი მიუდგომელნი,  
 ამისათვის განვიარე ერთობ ზღვანი.  
 შვენიერ სანახავით ვერა ძღებოდა თვალი ჩემი.  
 სანამებელში ვვარდებოდი მარადის ზეციალითა,  
 ტკივილებით ვავსებდი სხეულსა ჩემსა.  
 ჯერ არ მიმელწია მეღვინე-ქალის სადგომამდე –

თარზედ,

გამიცვდა სამოსელი.

ენადირობ ჭოტზედ, ბუზედ, ლომზედ, ვეფხზედ,

აფთარზედ,

ირემზედ, ჯიხზედ, მინდვრის მხეცზედ:

საზრდოდა მაქვს ხორცი მათი,

სამოსლად – ტყავი მათი.

\* \* \*

გილგამეშა ალბათ სიკვდილისა და სიცოცხლისა ჰკითხა უტ-ნაფიშტის  
 და უტ-ნაფიშტი მიუტეგს მას:

„მრისხანეა სიკვდილი, არ იცის შებრალება!

აღვაშენებთ სამარადისოდ, დავბეჭდავთ<sup>48</sup>

სამარადისოდ?



გაიყრებიან ძმანი სამარადისოდ?  
შექმნა შთამომავლობისა სამარადისოა ქვეყანაზედ?  
აღიწვეს მდინარე და მოაქვს წყალი სამარადისოდ?...  
დასაბამითგან არა არს რა სამარადისო!  
მძინარე და მკვდარი – რა გვარ არიან მსგავსნი  
ურთი-ერთისა!

შეუძლებელია აღწერა სიკვდილისა...  
შეკრებიან ანუნაკენი<sup>49</sup>, დიდნი ღმერთნი,  
მამეტუ, ბედის დამწერი, მათთან ერთად სწყვეტს  
ბედსა.

მათ ხელთ არის სიკვდილიცა და სიცოცხლეცა,  
ხოლო დღენი სიკვდილისა არ არიან დანიშნულნი!“



## კახი მეტეწთმეტე



გიღგამემ ეუბნება მას, უტ-ნაფიშტის, შორეულსა:  
„გიცქერ, უტ-ნაფიშტი, და შენი სხეული სხვა-გვარი  
არ არის!  
რაც მე ვარ, ის შენა ხარ! ჭემმარიტად, სხვა-გვარი  
არა ხარ შენ!  
რაც მე ვარ, ის შენა ხარ! ხოლო არსება ჩემი  
აღსავსეა ბრძოლითა და ომითა,  
შენ კი განისვენებ გულ-აღმა ნოლითა,  
როგორ შეხვედი ღმერთთა კრებულში და მოიპოვე  
ცხოვრება?“

\* \* \*

უტ-ნაფიშტი ეუბნება მას, გიღგამემს:  
„დაფარულს განგიცხადებ, გიღგამემ,  
გაუნყებ ღმერთთა საიდუმლოსა:  
არის ქალაქი შურუპპაკ, შენც ხომ იცი:  
ეფფრატის პირას მდებარეობს იგი.  
ქალაქი იგი ძველია და ღმერთნი მასთან ახლონი არიან.



ღმერთებმა განიზრახეს წარღვნა მოევლინათ.

შეკრბენ ერთად მამა მათი ანუ,

ბატონი მათი, გმირი ენლილ,

წინამძღოლი მათი ნიმურტა,

თავადი მათი ენნუგი<sup>50</sup>.

ნათელ-თვალა ეა მათთანა ბჭობდა,

განაჩენი მათი ამცნო ლერწმის ქოხს:

„ლერწმის ქოხო, ლერწმის ქოხო!

კედელო, კედელო!

ლერწმის ქოხო, ისმინე!

კედელო გაიგონე!

შურუპპაკელო, კაცო, უბარა-ტუტუს ძეო,

დაანგრე სახლი,

ალაშენე ხომალდი,

განაშორე სიმდიდრეს,

ეძებე ცხოვრება,

დააგდე ქონება,

იხსენ სიცოცხლე,

შეიყვანე ხომალდში ყოველი სულიერი!

ზომა ხომალდისა, შენ რომ ალაგებ, სწორად

განისაზღვროს:

სიგანე მისი და სიგრძე მისი თანასწორ იყოს!

წმიდა ტბაზედ დააყენე იგი ლუზითა!“\*

მივხვდი და ვეუბნები მას, უფალსა ჩემსა:

„ვიქმ, უფალო ჩემო, რასცა მიბრძანებ.

ხოლო რა ვუთხრა ქალაქს, ერს და უხუცესთა?“

მან ალალო ბაგენი თვისნი და უბნობს,

მეუბნება მე, მონასა თვისსა:

„კაცო, ესრე უთხარ მათ:

ვხედავ რომ ენლილ განმირისხდა,

ამისათვის აღარ ძალ-მიძს თქვენს ქალაქს ყოფნად,

ენლილის მიწას ველარ მივაპყრობ თვალსა.



წმიდა ტბაზედ ჩავალ, რათა ვიცხოვრო ეასთან  
უფალთან ჩემთან.

ხოლო თქვენ იგი მოგმადლებსთ სიმდიდრესა და  
სიუხვესა: ფრინველსა და თევზს,  
და გაკურთხებსთ დიდის **მსაველის** მონიჭებითა,  
ოდეს გამომგზავნი სიბნელისა<sup>51</sup> ერთსა საღამოს  
გადმოგასხამსთ ხორბლის წვიმასა“.  
გათენებისას მყისვე შეეუდეგ მის აღსრულებას,  
რაიცა მიბრძანა ეამ...

მეხუთე დღეს გამოვსახე სახე ხომალდისა:  
ას-ოცი წყრთა იყო სიმაღლით კედელი მისი.  
ას-ოცივე წყრთა ნაპირი მისის სახურავისა<sup>52</sup>.  
შექქმენ წინა-ნაწილი მისი.

ექვსი სართული გამოვიყვანე.  
გარე ნაწილი გავყავ შვიდად,  
შიდა ნაწილი ცხრადა.  
შუაში სვეტები დავასვი.

აღვარჩიე ანძაცა.  
რაიცა იყო საჭირო, ყოველი ჩავყარე.  
ექვსი სარი<sup>53</sup> შავი-კუპრი ჩავყარე საკირეში,  
სამი სარი (წმიდა) კუპრი ჩავასხი.

სამი სარი ზეთი მოაქვს ერს ჭურჭლებითა,  
გარდა ერთის სარის ზეთისა, მსხვერპლად რომ წავიდა,  
და ორის სარის ზეთისა, მეხომაღდეს რომ ებარა.  
ხარებსა და ცხვრებს ვუკლავდი ერს ყოველ დღე,  
ღვინოს, ლუდსა და ზეთს ვასმევდი, ვით მდინარის  
წყალსა.

დღესასწაული გარდავიხადე, მსგავსი ახალის წლისა,  
გავხსენ სანელსაცხებლე, ჩავყავ შიგ ხელეები.



\* \* \*

მზის ჩასვლამდის მზად იყო ხომალდი.  
 რაც რამა მქონდა, შევიტანე ხომალდში:  
 რაც ვეცხლი მქონდა, შევიტანე.  
 რაც ოქრო მქონდა, შევიტანე,  
 რაც რამა მყავდა, ყოველი სულიერი შევიყვანე.  
 ჩავსხი ხომალდში მთელი ჩემი სახლობა და გვარი,  
 მხეცი ველისა, ცხოველი ველისა:  
 ყოველი ხელობის ხალხი ჩავსხი.  
 დრო დამინიშნა შამაშმან<sup>54</sup>:  
 „გამომგ ზავნი სიბნელისა ერთსა სალამოს  
 ხორბლის ნვიმას აწვიმებს!  
 მაშინ შედი ხომალდში და ჩავიკეტე კარი“-ო.  
 ეს დროც დადგა,  
 სიბნელის გამომგ ზავნმა ერთსა სალამოს  
 ხორბლის ნვიმა აწვიმა.  
 ვუყურებდი ამინდს – საშინელი იყო ამინდი!  
 შევედი ხომალდში და ჩავიკეტე კარი.  
 ხომალდის აღმგებს, მეხომალდეს პუზურ-ამურრის<sup>55</sup>  
 გარდავეც ხომალდის დარბაზი მისის  
 ქონებითურთ(?).

\* \* \*

გათენებისას ცის დასავლითგან აღმოვიდა შავი  
 ღრუბლები.  
 ადად<sup>56</sup> გრგვინავდა ღრუბლებში.  
 შულლატ<sup>57</sup> და ჰანიშ<sup>57</sup> ქინ მოდიან.  
 მოჰქრიან, ვითარცა მოციქულნი, მთაზედ და ბარზედ.  
 ირრაგალ<sup>58</sup> ხომალდს ანძასა ჰგლეჯს.  
 მოჰქრიან ნიმურტა, ჰგლეჯს წყალთა ზღუდეთ<sup>59</sup>.  
 ანუნაკებმა აღმართეს სანათები,





აღავარვარეს ქვეყანა საშინელის ბრწყენითა.  
 ადადის რისხვა ცას უწევს, ნათელს ბნელად აქცევს,  
 ვით თიხის ქოთანს ჰლენს ფართე ქვეყანას.  
 მთელი დღე ჰქროდა შეუჩერებლად სამხრეთის  
 გრიგალი.

სწრაფად მიშხუოდა იგი და წყალი მთამდის ასწია.  
 ზვირთები ეცემიან კაცებს, თითქო ომი ყოფილიყო.  
 ერთი მეორეს ვერა ჰხედავს.  
 ცითგანაც შეუძლებელი იყო კაცთა ცნობა.  
 ღმერთნი შეძრწუნდნენ წარღვნის წინაშე,  
 გაიქცნენ, აღვიდნენ ზეცას ანუსთან,  
 მოიძუდგენ ვითარცა ძალღნი, კედელს ეკვროდენ!  
 იშტარ გაჰკივის, ვითარცა მშობიარე,  
 ღმერთთა დედოფალი, შვენიერ-ხმიანი, ჰგოდებს:  
 „ძველი დრო ჭეშმარიტად წარვიდა,  
 ვინაითგან ღმერთთა კრებაზედ მე თვითონ ვბრძანე  
 ბოროტი.

რაგვარ შემეძლო ღმერთთა კრებაზედ მე თვით  
 მებრძანა ბოროტი,  
 ჩემთავე კაცთა აღსასპოლვად ბრძოლის ბრძანება?!  
 მე მხოლო ვშობავ კაცთა ჩემთა!  
 აჰა, იგინი ვითარცა ლიფსიტი თევზისა აღავსებენ  
 ზღვასა!“  
 ღმერთნი ანუნაკთა შორის სტირიან მასთან ერთად,  
 ღმერთნი თავ-დადრეკით არიან, სხედან მტირალნი...  
 დახშულ არიან ბაგენი მათნი...

\* \* \*

ექვს დღესა და ექვს ღამეს მძვინვარებს გრიგალი,  
 იდრიკება ქვეყანა სამხრეთის ქარის ქვეშე.  
 მეშვიდე დღეს დამარცხდა ბრძოლაში სამხრეთის ქალი.



ვითა მხედრობა იბრძოდა იგი!  
დანყნარდა ზღვა, ჩადგა ნაპირებში, შესდგა წარღვნა!  
ამინდს შევხედე – დანყნარებულ იყო.  
ერთობ კაცობრიობა თიხად ქცეულიყო!  
ბრტყელი ბანივით იყო ქვეყანა!  
მაშინ განვალე სარკმელი,  
ნათელმან შემომანათა პირზედ.  
თავ-დადრეკილმა მოვრთე ქვითინი.  
სახეზედ ცრემლები ჩამომდიოდა.  
ზღვის წყალთა შინა მდებარე ხმელეთს გავხედე.  
მეთორმეტეს<sup>60</sup> იქით ერთს კუნძულს ამოეყო თავი.  
ნასირის მთას<sup>61</sup> მიადგა ხომალდი.  
ნასირის მთამ დაიჭირა ხომალდი –  
იგი არ ექანებოდა.  
მესამე, მეოთხე დღეს დაიჭირა ნასირის მთამ ხომალდი –  
იგი არ ექანებოდა.  
მეხუთე, მეექვსე დღეს დაიჭირა ნასირის მთამ ხომალდი –  
იგი არ ექანებოდა.  
მეშვიდე დღეს გამოვუშვი ტრედი, გავაფრინე.  
გაფრინდა, ხოლო უკან დაბრუნდა:  
ვერა ნახა რა დასაყრდნობი ადგილი, უკან მობრუნდა,  
გამოვუშვი მერცხალი, გავაფრინე.  
გაფრინდა, ნახა დაშრობა წყლისა:  
სჭამს, ჰქექავს, ყრანტალობს, აღარ დაბრუნებულა.  
მაშინ ყოველი სულიერი გამოვუშვი,  
ოთხი მხრით გავუშვი; და მივიტანე შესანიშნავი.  
მთის მწვერვალზედ ვაკმე მსხვერპლად საკმეველი.  
შეეუნთე ლერწამი, ნაძვი და დაფნა.

\* \* \*

ღმერთთა იყნოსეს სუნი,  
ღმერთთა იყნოსეს საამო სუნი.



ვითრცა ბუზნი მიეხვიენ ღმერთნი სამსხვერპლოს!  
 რა მოვიდა ღმერთთა დედოფალი<sup>62</sup>,  
 აღინია ძლიერნი სამკაულნი თვისნი,  
 ანუმ რომ მისის სურვილისამებრ შეუქმნა:  
 ღმერთნო, რაგვარადაც არ დავივინყებ ჩემს  
 ყელის-ფირუზს,

ისე მარადის მოვიგონებ ამ დღეს,  
 არ დავივინყებ მას უკუნითი-უკუნისამდე!  
 მოვიდენ ღმერთნი საკმევლის მსხვერპლთან!  
 ხოლო ენლილ ნუ მოვა საკმევლის მსხვერპლთან!  
 მან განუსჯელად წარღვნა მოავლინა,  
 აღსპოლვა მიუსაჯა კაცთა ჩემთა!“

\* \* \*

რა მოვიდა ენლილ, იხილა ხომალდი.  
 განრისხდა ენლილ, აღევსო გული წყრომითა  
 ღმერთთა მიმართ,  
 იგიგითა<sup>63</sup> წინააღმდეგ:  
 „ვილაც გადარჩენილა, ერთი სულიერი!  
 არც ერთი კაცი უნდა გადარჩენილიყო სასჯელის  
 დროსა!“

ნიმურტამ აღალო ბაგენი თვისნი, უთხრა გმირს ენლილს:  
 „ვის შეუძლია, თუ არა ეას, გეგმათა შექმნა?  
 ეამ ყოველი უწყის!“  
 ეამ აღალო ბაგენი თვისნი, უთხრა გმირს ენლილს:  
 „შენ უბრძნესო ღმერთთა შორის, გმირო,  
 ვითარ შეგეძლო განუსჯელად წარღვნის მოვლენა!  
 ვისაც მიუძღვის ცოდვა, აჰკიდე მას ცოდვა მისი!  
 ვისაც მიუძღვის დანაშაული, აჰკიდე მას დანაშაული  
 მისი!“

დასთმე, იყავ სულ-გრძელი,



რათა იგი<sup>64</sup> არ წარწყმდეს და არ აღმოიფხვრას!  
 წარღვნა რომ წარავლინე,  
 ნაცვლად ამისა აღმდგარიყო მგელი და შეემცირებია  
 კაცობრიობა!

წარღვნა რომ წარავლინე,  
 ნაცვლად ამისა გაჩენილიყო შიმშილი და  
 გაენადგურებია ქვეყანა!

წარღვნა რომ წარავლინე,  
 ნაცვლად ამისა აღმდგარიყო ირა<sup>65</sup> და  
 გაენადგურებია ქვეყანა!

მე არ გამიცია საიდუმლო დიდთა ღმერთთა:  
 უგონიერესს<sup>66</sup> სიზმარი მოვუვლინე,  
 ამით სცნო მან საიდუმლო დიდთა ღმერთთა.  
 აჰა, ახლა გარდაუკვეთე მას<sup>67</sup>!

\* \* \*

მაშინ შთამოვიდა იგი<sup>68</sup> ხომალდში,  
 მომკიდა ხელი, გამომიყვანა ხმელეთზედ –  
 გამომიყვანა ხმელეთზედ  
 და ცოლსა ჩემსა ჩემ გვერდით მუხლნი მოადრეკინა,  
 შეახო ხელი შუბლსა ჩვენსა,  
 ჩაგვიდგა შუაში და გვაკურთხა:  
 „აქამომდე იყო უტ-ნაფიშტი მხოლოდ კაცი,  
 ამიერითგან უტ-ნაფიშტი და ცოლი მისი  
 გვემსგავსენ ჩვენ, ღმერთთა!  
 შორსა ცხოვრობდეს უტ-ნაფიშტი,  
 მდინარეთა შესართავთან!“

\* \* \*

წამიყვანეს, შორს დამასახლეს, მდინარეთა შესართავთან.  
 ხოლო შენ<sup>69</sup> რომელმა ღმერთმა უნდა მიგიღოს,



რათა იხილო შენცა ცხოვრება, რომელსა ეძიებ?  
არ დანვე ექვს დღესა და ექვს ღამეს!“

\* \* \*

მოსვენებით ზის იგი<sup>70</sup>, ძილი უბერავს, ვითა გრიგალი.

უტ-ნაფიშტი ეუბნება ცოლს:

„შეხედე ამ ძლიერს, ცხოვრებას რომ ითხოვდა:

ძილი უბერავს ვითა გრიგალი!“

ცოლი მიუგებს მას, უტ-ნაფიშტის, შორეულსა:

„შეახე ხელი, რომ გაიღვიძოს კაცმა!

მშვიდობითამც უკან მიქცეულა იგი იმ გზით,

რომლით მოვიდა,

შესულა იმ კარში, საითგან გამოსულა,

დაბრუნებულა თვის ქვეყანაში!“

უტ-ნაფიშტი ეუბნება ცოლს:

„კაცთა მნუხარება განუხებს შენცა!

კარგი, გამოაცხვე პურები, შეუდევ თავქვეშ!“

\* \* \*

ოდეს დანვა იგი<sup>71</sup> თვისი ხომალდის კედელთან,

გამოაცხო ცოლმა პურები,

შეუდვა თავ-ქვეშ გილგამეშს.

ოდეს დანვა იგი<sup>71</sup> თვისის ხომალდის კედელთან

„აუნყა“ მას<sup>72</sup>:

„ერთი გამხმარია, ერთი პური მისთვის,

მეორე ამოღებული, მესამე რბილი,

მეოთხე გათეთრებული, ერთი კვერი მისთვის,

მეხუთე დაძველებული, მეექვსე გამომცხვარა,

მეშვიდე...“ – უცბად შეახო მან ხელი გილგამეშს,

და კაცმა გაიღვიძა<sup>73</sup>.

გილგამეშ ეუბნება მას, უტ-ნაფიშტის, შორეულსა:



„ძილისაგან ვიყავ გაბრუებული, ძილი მომეკიდა.  
უცბად ხელი შემახე და ძილისაგან განვკრთი“.  
უტ-ნაფიშტი ეუბნება მას, გილგამეშს:  
„გილგამეშ, დათვლილია შენი პურები,  
რაც მოხდა, იცოდე:  
ერთი იყო გამხმარი, ერთი პური შენთვის,  
მეორე ამოღებული, მესამე რბილი,  
მეოთხე გათეთრებული, ერთი კვერი შენთვის,  
მეხუთე დაძველებული, მეექვსე გამომცხვარი,  
მეშვიდე... – უცბად შეგახე ხელი და შენც გაიღვიძე“.  
გილგამეშ ეუბნება მას, უტ-ნაფიშტის, შორეულსა:  
„რა ვქნა, უტ-ნაფიშტი, სად წავიდე?  
სხეული ჩემი მტაცებელს<sup>74</sup> შეუპყრია,  
სანოლსა ჩემსა სიკვდილი ბუდობს,  
სადაც გავიქცევი, იგიც იქ არის – სიკვდილი!“  
უტ-ნაფიშტი ეუბნება ურ-შანაბის, მენავესა:  
მისადგომელსა<sup>75</sup> შენ სძულხარ,  
გარდასავალსა<sup>75</sup> აღარ უყვარხარ:  
ვინც მისს ნაპირზედ მიდის, მას წარსტაცე შენ  
ნაპირი მისი?<sup>76</sup>...  
კაცი, აქ რომ მოიყვანე, რომლის სხეულსა ძონძები  
ჰფარავს,  
რომელს ტყავებმა წაართვა შვენიერება სხეულისა,  
წარიყვანე იგი, ურ-შანაბი, მიიყვანე სარეცხ ადგილს,  
რათა ძონძები თვისი წყალში თოვლივით  
გაათეთროს,  
განიძროს ტყავები და გაატანოს ზღვას,  
შვენიერ-ჰყოს სხეული თვისი,  
განახლდეს თავ-საბურავი მისი,  
ჩაიცვას სამოსი, ვითა პერანგი,  
დამფარველი მისის სიშიშვლისა.  
სანამ არ მიაღწევს თვისსა ქალაქსა,



სანამ არ განივლის გზასა თვისსა,  
 არ უნდა დაძველდეს სამოსელი მისი,  
 არამედ მარად განახლდებოდეს!“

\* \* \*

ურ-შანაბიმ წარიყვანა იგი, მიიყვანა სარეცხ ადგილს.  
 ძონძები თვისი განრეცხა მან წყალში,  
 განათეთრა ვითარცა თოვლი,  
 განიძრო ტყავები და გაატანა ზღვას.  
 განშვენიერდა სხეული მისი,  
 განახლდა თავ-საბურავი მისი,  
 ჩაიცვა სამოსი, ვითა პერანგი,  
 დამფარველი მისი სიშიშვლისა.  
 სანამ არ მიაღწევს თვისსა ქალაქსა,  
 სანამ არ განივლის გზასა თვისსა,  
 არ უნდა დაძველდეს სამოსელი მისი,  
 არამედ მარად განახლდებოდეს!

\* \* \*

გილგამემ და ურ-შანაბი ჩასხდნენ ხომალდში,  
 მისცეს ხომალდი აღელვებულ ტალღებს, გასწიეს.  
 ცოლი ეუბნება უტ-ნაფიშტის, შორეულსა:  
 „გილგამემ მიდის შრომისა და ზრუნვის შემდეგ.  
 რომელი შენგან მიცემული ნიჭით უბრუნდება იგი  
 სამშობლოს?“

გილგამემმა აღილო ძელი, ხომალდი ნაპირს  
 უახლოვდება“.

უტ-ნაფიშტიმ უთხრა მას, გილგამეს:  
 „გილგამემ, მიდიხარ შრომისა და ზრუნვის შემდეგ.  
 რომელი ჩემგან მოცემული ნიჭით უბრუნდება  
 სამშობლოს?“



მე შენ გაუწყებ ერთს საიდუმლოს, გასწავლი  
ცხოვრების ბალახს:  
ვითა ეკალი ბალახი ესე აბია ჩირგვსა.  
მსგავსად ვარდისა ეკალი იგი სჩხვლეთავს ხელსა.  
ხელნი შენნი რომ მისწვდებიან ბალახს –  
იგი იქმნება, და შენ იცხოვრებ!“

\* \* \*

რა ესმა გილგამეშს, მიიბა ფერხთა მძიმე ლოდები.  
მათ უფსკრულის ძირს ჩაიყვანეს იგი.  
მან მოჰგლიჯა ბალახი, ხელს რომ უჩხვლიტა,  
მოიძრო ფერხთაგან მძიმე ლოდები; გვერდით დაიდვა  
იგი<sup>77</sup>.

გილგამეშ ეუბნება მას, ურ-შანაბის, მენავესა:  
„ურ-შანაბი, ეს ბალახი აღთქმის ბალახია,  
რაითაც კაცი თვისს უგულითადესს წადილს მიაღწევს.  
მივიტან მას გალავნიან ურუკს, ვაჭმევ ერსა...  
სახელი მისი არს: „მ ო ხ უ ც ი კ ა ც ი გ ა ყ მ ა ნ ვ ი ლ დ ე ბ ი ს “.  
მეცა ვსჭამ მისგან, რათა კვლავ დავუბრუნდე  
სიყმანვილესა“.

\* \* \*

ოცი მანძილი განვლეს, სჭამეს პური,  
ოცდაათი მანძილი განვლეს, დაიღამეს.  
გილგამეშმა დაინახა ჯურღმული ცივის წყლისა,  
ჩავიდა შიგ, იწყო ბანვა ტანისა.  
გველმა იყნოსა სუნი ბალახისა,  
მყისვე ავარდა და წარიტაცა იგი!





\* \* \*

ოდეს დაბრუნდა გილგამეშ, წყევა აღმოხდა.  
დაჯდა გილგამეშ ტირილად,  
ცრემლი ჩამოსდის სახეზედ.  
იგი ეუბნება ურ-შანაბის, მენავესა:  
„ვისთვის დაშვრენ, ურ-შანაბი, ხელნი ჩემნი?  
ვისთვის შრება სისხლი ჩემის გულისა?  
ჩემთვის კეთილი არა მიქნია რა!...  
დავაგდებ ხომალდს ნაპირზედ(?)!“

\* \* \*

ოცი მანძილი განვლეს, სჭამეს პური,  
ოცდაათი მანძილი განვლეს, დაიღამეს.  
მივიდნენ გალავნიან ურუკს.  
გილგამეშ ეუბნება მას, ურ-შანაბის, მენავესა:  
„ადი, ურ-შანაბი, გალავნიან ურუკის კედელზედ,  
შემოუარე,  
ნახე საძირკველი, იხილე აგურები:  
თუ განუახლებიათ აგურები,  
თუ შვიდ ბრძენს ჩაუყრია ფუძენი მისნი<sup>78</sup>“.

გილგამეშმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია: ვერ მოიპოვა უკვდავეზა. ამიტომ მის საგმირო საქმეებსედ აღაწაფეს მოგვიტონოს ამის შემდეგ ეპოსი.



## კაჩი ქეთოჩქმეცე



გილგამემს სუქს სული ძაინჯ იხილოს თვისის მეჯობნის ენკიდუსი და  
შეიცყოს ძისჯან საიქიოს აძბუბი. ექთი ღმეჩთი ასწავლის, თუ ჭოჭოჩ უნდა  
მოიქცეს, ჭომ ძიხანს მიაღწიოს:

„გილგამემ, ისმინე, რაც გითხრა:  
თუ ქვესკნელს გინდა შთახვიდე,  
ირკალას წმინდა ადგილს მიაღწიო,  
არ ჩაიცვა წმინდა პერანგი,  
კარგი ნელსაცხებელი არ იცხო  
სანელსაცხებლითგან,  
თვარა მის სუნზედ მკვდრები შემოგეხვევიან.  
არ დასდვა შვილდი მინაზედ,  
თვარა მკვდრები შვილდით მოგკლავენ.  
არ აღილო კვერთხი ხელში,  
თვარა მკვდართა სულნი შენს წინაშე ძრწოლას  
მორთავენ.  
ფერხთ არ ჩაიცვა, მინაზედ ხმაურობა რომ არ  
ასტეხო.  
ცოლს, რომელი გიყვარს, არ აკოცო,



ცოლს, რომელი გძულს, არ სცემო,  
 შვილს, რომელი გიყვარს, არ აკოცო,  
 შვილს, რომელი გძულს, არ სცემო,  
 თვარა კვნესა ქვესკნელისა შეგიპყრობს.  
 თვარა იქ რომ განისვენებს,  
 იქ რომ განისვენებს დედა ნინაზუისა<sup>79</sup>,  
 რომლის წმიდათა თეძოთ სამოსელი არა ჰფარავს,  
 იგი არ ამოუშვებს ენკიდუს ქვესკნელითგან“.

\* \* \*

ვილგამემ ვერ ასწულებს ამ პირობებს, ჩადგანაჯ:

წმიდა პერანგი ჩაიცვა მან,  
 კარგი ნელსაცხებელი იცხო სანელსაცხებლითგან,  
 შვილდი მინაზედ დადვა,  
 კვერთხი აღილო ხელში,  
 ფერხთ ჩაიცვა და მინაზედ ხმაურობა ასტეხა,  
 ცოლს, რომელი უყვარდა, აკოცა,  
 ცოლს, რომელი სძულდა, სცემა,  
 შვილს, რომელი უყვარდა, აკოცა,  
 შვილს, რომელი სძულდა, სცემა,  
 კვნესამან ქვესკნელისამან შეიპყრა იგი.  
 იქ რომ განისვენებს, აქ რომ განისვენებს,  
 დედამ ნინაზუისამ,  
 რომლის წმიდათა თეძოთ სამოსელი არა ჰფარავს,  
 არ ამოუშვა ენკიდუ ქვესკნელითგან.  
 ნამტარს<sup>80</sup> კი არ შეუპყრია იგი,  
 უბედურებას კი არ შეუპყრია იგი,  
 ქვესკნელმან შეიპყრა იგი!  
 ნერგალის<sup>81</sup> მცველს<sup>82</sup> კი არ შეუპყრია იგი,  
 შეუბრალებელსა,  
 ქვესკნელმან შეიპყრა იგი!



ბრძოლის ადგილს, ვაჟ-კაცთა შორის კი არ  
დაცემულა იგი,  
ქვესკნელმან შეიპყრა იგი!  
სტირის ნინ-სუნ, სტირის ენკიდუს, ყმასა თვისსა.

\* \* \*

ეკურს, ენლილის ტაძარს, მიაშურა მან<sup>83</sup>,  
მარტომან:  
„მამაო ენლილ, ერთ დღეს ბადემ დამცა, მახემ დამცა.  
ენკიდუ, რომელი ნინაზუის დედამ  
ქვესკნელითგან არ ამოუშვა,  
ნამტარს კი არ შეუპყრია,  
უბედურებას კი არ შეუპყრია,  
ქვესკნელმან შეიპყრო იგი!  
ნერგალის მცველს კი არ შეუპყრია იგი,  
შეუბრალებელსა,  
ქვესკნელმან შეიპყრა იგი;  
ბრძოლის ადგილს, ვაჟ-კაცთა შორის კი არ  
დაცემულა იგი,  
ქვესკნელმან შეიპყრა იგი!“  
მამა ენლილმა მას ხმა არ გასცა.

\* \* \*

მამაო სინ, ერთ დღეს ბადემ დამცა, მახიმ დამცა.  
ენკიდუ, რომელი ნინაზუის დედამ  
ქვესკნელითგან არ ამოუშვა,  
ნამტარს კი არ შეუპყრია,  
უბედურებას კი არ შეუპყრია,  
ქვესკნელმან შეიპყრა იგი!  
ნერგალის მცველს კი არ შეუპყრია იგი,  
შეუბრალებელსა,



ქვესკნელმან შეიპყრა იგი!

ბრძოლის ადგილს, ვაჟ-კაცთა შორის, კი არ

დაცემულა იგი,

ქვესკნელმან შეიპყრა იგი!“

მამა სინმა მას ხმა არ გასცა.

\* \* \*

მამაო ეა, ერთ დღეს ბადემ დამცა, მახიმ დამცა,

ენკიდუ, რომელი ნინაზუის დედამ

ქვესკნელითგან არ ამოუშვა,

ნამტარს კი არ შეუპყრია,

უბედურებას კი არ შეუპყრია,

ქვესკნელმან შეიპყრა იგი!

ნერგალის მცველს კი არ შეუპყრია იგი,

შეუბრალებელსა,

ქვესკნელმან შეიპყრა იგი!

ბრძოლის ადგილს, ვაჟ-კაცთა შორის კი არ

დაცემულა იგი,

ქვესკნელმან შეიპყრა იგი!“

\* \* \*

მამა ეამ ისმინა სიტყვა ესე მისი.

გმირ ნერგალს, გულადს, ეუბნება იგი სიტყვას:

„გულადო, გმირო ნერგალ, ჰქმენ, რასაცა გეტყვი!

მყისვე გახსენ ხვრელი მინისა!

აღმოავლინე ქვესკნელითგან აჩრდილი ენკიდუსი.

რათა აუწყოს ძმასა თვისსა

წესი და განგება ქვესკნელისა!“



\* \* \*

ოდეს ისმინა ესე გულადმან, გმირმან,  
 მყისვე გახსნა ხვრელი მიწისა.  
 ენკიდუს სული ქვესკნელითგან აღმოავლინა  
 ვითარცა ქარი...

\* \* \*

ენკიდუ და გილგამეშ უჩითი-ეჩოს ნახავენ. გილგამეშ ჰკითხავს:

– მითხარ, მეგობარო, მითხარ, მეგობარო,  
 მითხარ წესი და განგება ქვესკნელისა, რომელი  
 იხილე, მითხარ!

– ვერ გეტყვი, მეგობარო, ვერ გეტყვი.  
 რომ გითხრა წესი და განგება ქვესკნელისა, მე რომ  
 ვიხილე,

მთელი დღე უნდა იჯდე და იტირო!

– მთელი დღე დავჯდები და ვიტირებ!

– შეხედე ამ სხეულს, შენ რომ შეხებობხარ და გული  
 გაგხარებია,

ია ჰხრავს, ვითა ძველს სამოსელსა!

სხეული ჩემი, შენ რომ შეხებობხარ და გული  
 გაგხარებია,

განქრა, გაცამტვერდა!

მტვერშია იგი განრთხმული, მტვერშია იგი  
 განრთხმული!

გაგჩქელება საუბრისა დაკაცგულია, დასასწულია დაწმენილი.

ენკიდუ ეუბნება გილგამეშს:

– ვინც რკინის სიკვდილით მომკვდარა, გინახავს  
 ასეთი?



- მინახავს.
- სარეცელზედ წევს იგი, წმიდა წყალსა სვამს.
- ვინც ბრძოლაში მომკვდარა, გინახავს ასეთი?
- მინახავს.
- მამას და დედას უსვენიათ თავი მისი, ცოლი  
თავზედ დასცქერის.
- ვისი გვამი ველზედ ყოფილა დაგდებული, გინახავს  
ასეთი?
- მინახავს.
- მისს სულს მოსვენება არა აქვს ქვესკნელში!
- ვის სულს მზრუნველი არა ჰყოლია, გინახავს  
ასეთი?
- მინახავს.
- ქოთანში მონარჩენს, ქუჩაზედ გადაყრილ ლუკმას  
სჭამს იგი!



# ვაჩიანტეპი



## ქველი აკადუჩი ვეჩსია [ტვ.]:

ენკიდუ დაჯდა წინაშე მეძავ ქალისა.  
 მან იხილა კალთა მისი, გაუხსნა მკერდი.  
 ენკიდუს დაავინყდა ადგილი, სადაც დაიბადა!  
 ექვს დღესა და შვიდ ღამეს ჰყვარობდა ენკიდუ  
 მეძავ ქალს.

## ქველი აკ. ვეჩ.[ტვ.]:

მეძავმა ქალმა აღალო ბაგენი თვისნი და ეუბნება  
 ენკიდუს:  
 „გიყურებ, ენკიდუ, ღმერთის მსგავსი ხარ!  
 რაისთვის გინდა მხეცებთან ერთად მთაზედ იარო?  
 წამო, წაგიყვან ფოლოციან ურუკს,  
 წმიდა ტაძარსა, ანუხს სავანეს.  
 აღსდევ, ენკიდუ, მიგიყვან ეანნას, ანუხს სავანეს,  
 სადა სცხოვრობს გილგამეშ, უდარო საქმითა.  
 შენ თვით ნახავ მას, გაიცნობ,  
 დაემოყვრები მას;





აბა, აღსდევ საძაგელ მიწითგან!“  
მან ისმინა სიტყვა მისი,  
გულის-ხმა-ჰყო ნათქვამი მისი;  
რჩევა ქალისა ჩაუფარდა გულში.  
ქალმა გაიძრო თვისი სამოსი, ჩააცვა მას,  
თვით სხვა სამოსით შეიმოსა.  
ჩაჰკიდა ხელი და წაიყვანა, ვითარცა სასიძო,  
უხვსა ლხინზედა სანახირეში.  
მწყემსნი შემოეხვიენ მათ...

ცხოველის რძით იყო ნაზარდი.  
პური მიართვეს:  
შემკრთალი შესცქერის, მიაშტერდება მას.  
არ იცოდა ენკიდუმ ჭამა პურისა!  
არ უსწავლია მას სმა ღვინისა!  
მეძავმა ქალმა აღალო ბაგენი თვისნი და ეუბნება  
ენკიდუს:  
„სჭამე პური, ენკიდუ, ცხოვრებისაა იგი!  
სვი ღვინო, ჩვეულებაა იგი ქვეყნისა!“  
სჭამა პური ენკიდუმ, სანამ გაძღებოდა,  
სვა ღვინო, შვიდი სასმისი!  
მაშინ მოვიდა გუნებაზედ, გამხიარულდა:  
ლხინით აღევსო გული, ბრწყინავდა სახე მისი...  
იცხო საცხებელი, ბატონს დაემსგავსა,  
აღილო საჭურველი, ბრძოდა ლომებსა.  
სიმშვიდე მოიპოვეს ღამის მწყემსებმა,  
აღსპოლა მგელნი, განაგდო ლომნი –  
დიდ მეჯოგეთა ძილი შეეძლოთ:  
ენკიდუ იყო მცველი მათი.



### ქ. აკ. ვერ. [გვ.]:

იგი შევიდა ფოლოციან ურუკს.  
 ერი შემოეხვია მას,  
 იდგა ფოლოციან ურუკის შუკაზედ.  
 შეკრებილია ერი, უბნობს მასთან.  
 გილგამეშს ჰგავდა სხეულითა,  
 ოდნავ უნცროსი მასზედ ტანითა...

### ქ. აკ. ვერ. [გვ.]:

გილგამეშ ალსდგა და ამბობს სიზმარს,  
 ეუბნება დედას:  
 „დედა, ნუხელ ძალით ვიყავ ალსავსე  
 და დავდიოდი ვაჟ-კაცთა შორის,  
 ცის ვარსკვლავები იყო.  
 კრებული ანუსი დამეცა.  
 ვცდილობდი ამენია – მემძიმა,  
 ვცდილობდი შემემძრა – ვერ შევსძარ.  
 შემოკრბა მის ირგვლივ ურუკის ქვეყანა,  
 ჰკოცნიდნენ რა ვაჟ-კაცი ფერხთა მისთა.  
 შუბლით ვანვებოდი, ხოლო იგინი მე  
 მანვებოდნენ.

აღვილე და შენ მოგიტანე იგი“.  
 დედა გილგამეშისა, რომელმან ყოველი უწყის,  
 ეუბნება გილგამეშს:  
 „ჭემმარიტად, გილგამეშ, იგი შენებრ მთაშია  
 ნაშობი,

მთისაგან არის იგი ნაზარდი;  
 შენ იხილავ მას, მიიყვან შენთან,  
 ვაჟ-კაცი ფერხთ ემთხვევიან მას.  
 შენ მას შეინყნარებ, დაიცავ, ჩემთან გამოგზავნი“.



## ძვ. ავ. ვერსიები:

იგი დანვა და მეორე სიზმარი იხილა.  
 იგი ეუბნება დედას:  
 „დედა, მეორე სიზმარი ვიხილე:  
 ოდეს ფოლოციან ურუკში მიმოვიდოდი,  
 ცული იდვა, და მის ირგვლივ იკრიბებოდენ.  
 უცნაური იყო ცული, ვიხილე და გავიხარე.  
 შევიტყბე, ვითარცა ქალსა, ვეკვროდი მასა.  
 აღვიღე და გვერდით მოვიდევ...“

## ასსურული ვერსია [გვ.]:

„ნაზვთა მცველად, შესაშინებლად კაცთა  
 განანესა იგი ენლილმან.  
 ჰუმბაბას ღრიალი ქარიშხალია,  
 ცეცხლია პირი მისი, სიკვდილი სულ-თქმა მისი!...  
 ნაძვთა მცველად, შესაშინებლად კაცთა  
 განანესა იგი ენლილმან,  
 და ვინც მის ტყეში ჩავა, შიში შეიპყრობს“.

## ასსურული ვერსია [გვ.]:

„ნუ გაქვს იმედი, გილგამეშ, ძალთა შენთა სიმრავლისა...  
 ვინც წინ მიდის, მეგობარს იცავს,  
 ვინც გზა იცის, იგი მცველია ამხანაგისა.  
 შენს წინ წარვიდეს ენკიდუ,  
 მიტომ რომ იცის გზა ნაძვის ტყისკენ,  
 იცის ბრძოლა, მეცნიერია ომისა,  
 ენკიდუმ იხსნას მეგობარი, დაიცვას ამხანაგი!  
 გადახტეს თხრილებზედ!  
 მეფეო, ჩვენის ბჭობის დროს ვიზრუნეთ შენზედ;  
 სამაგიეროდ შენცა იზრუნე ჩვენზედ, მეფეო!



## ბოლახ-კოის აკადუჩი ვეჩსია [გვ]:

ძილმა, (კაცს) რომ გადაესხმის ხოლმე,  
განაკრთო იგი.

შუა-ლამისას დასრულდა ძილი მისი.  
იგი ეუბნება სიზმარს ენკიდუს, მეგობარს  
თვისსა:

„ხომ არ შემხებიხარ? რად გამომეღვიძა?  
ენკიდუ, მეგობარო, მეორე სიზმარი ვიხილე.  
ხელი შემახე? რად განვკრთი?  
პირველ სიზმართან მეორეც ვიხილე:  
სიზმარში, მეგობარო, მთა ჩამოინგრა,  
გარდამაგდო, შეიპყრო ფერხნი ჩემნი...  
საშინელი ბრწყინვალება გაჩნდა; გამოჩნდა

ვილაც კაცი:

ქვეყანაზედ ბრწყინავდა შვენება მისი;  
მთის ძირში ჩამიყვანა, მასვა წყალი,  
განმიგრილა გული,  
და დასდვა დედა-მინა ჩემ ფერხთა თანა“.  
ენკიდუ ეუბნება ღმერთს, გილგამეშს:  
„მეგობარო, ჩვენ ნავალთ...  
რა არის საკვირველი?  
განა არ აღვედით მთასა?...  
დათრგუნე შიში შენი!..“.

## ბოლ.-კ. აკ. ვეჩ.[გვ]:

იშტარ... აღვიდა ცასა და სთქვა:  
„მამაო ჩემო!... მიპოვე კურატი ექვსის თვისა...  
მკერდმაც ზეცის ხარისამ დათრგუნოს გილგამეშ“(?)...  
ანუ მისმინა სიტყვანი მისნი და ჰრქვა მას:  
„რა დაგიშავა იმ კაცმა, რადა გსურს შეიპყრო იგი!  
საშინელია მკერდი ზეცის ხარისა...“



## ქვ. ავ. ვერ. [ტვ.]:

„იგი, რომელი ჩემთან იყო ყოველ  
განსაცდელში, –  
ენკიდუ, ფრიად რომ მიყვარდა, ჩემთან რომ იყო  
ყოველ განსაცდელში, –  
ნარიტაცა ბედმან კაცისამან!  
დღე და ღამ ვსტიროდი მას.  
შვიდი დღე და შვიდი ღამე ვით ჭია ეცემოდა  
იგი პირქვე,  
მას შემდეგ, რაც იგი მოკვდა, აღარ მაქვს  
სიცოცხლე,  
დავეხეტები, ვითარცა მონადირე, მთებში.  
ახლა, მეღვინე-ქალო, ვხედავ პირსა შენსა;  
ნუმც ვიხილო სიკვდილი, რომლის მეშინის!“

## ქვ. ავ. ვერ. [ტვ.]:

მეღვინე-ქალი ეუბნება მას, გილგამეშს:  
„რისთვის მიდიხარ? ცხოვრებას, შენ რომ ეძებ,  
მაინც ვერ ნახავ!  
ოდეს ღმერთებმა კაცნი შეჰქმნეს, კაცობრიობას  
სიკვდილი გადუკვეთეს,  
ხოლო ცხოვრება თავისთვის დაიტოვეს!  
გილგამეშ, აღივსე მუცელი,  
იმხიარულე დღე და ღამ, ლხინი გამართე ყოველ დღე,  
დღე და ღამ იცეკვე, იმხიარულე!  
წმიდა იყოს სამოსელი შენი, დაიბანე თავი, წყალში  
იბანე,  
მხიარულად შეჰხედე ბავშვს, ხელში რომ აიყვან,  
განიხაროს ქალმა შენს მკლავებზედ!“



### ძვ. აკ. ვერ. [ტვ.]:

სურ-სუნაბუ იხილეს თვალთა მისთა.  
სურ-სუნაბუ ეუბნება მას, გილგამეშს:  
„რა არის შენი სახელი, მითხარ!  
მე ვარ სურ-სუნაბუ, (მენავე?) შორეულ უტ-ნაფიშტისა“.  
გილგამეშ ეუბნება მას, სურ-სუნაბუს:  
„გილგამეშ არის სახელი ჩემი...  
მოვსულვარ შორითგან,  
შორი გზით, მზის აღმოსავლით.  
ახლა, სურ-სუნაბუ, ვხედავ პირსა შენსა;  
მაჩვენე უტ-ნაფიშტი, შორეული!“

### ძვ. აკ. ვერ. [ტვ.]:

ეა ეუბნება უტ-ნაფიშტის:  
„დაგინიშნავ დროს, შედი ხომალდში და ჩაიკეტე კარი.  
შეიტანე შიგ შენი პური, შენი ქონება,  
შეიყვანე შიგ შენი ცოლი, შენი სახლობა,  
შენი გვარი და ხელოსნები,  
მხეცი მინდვრისა, ცხოველი ველისა,  
რაც ბალახსა სძოვს,  
მოგეცემა შენ ჩემგან,  
რომ შენს კარზედ მცველებად იყვნენ“.  
უტ-ნაფიშტი ეუბნება:  
„არასოდეს არ აღმიგია ხომალდი!  
დამიხატე სახე მისი,  
ვიხილავ და ამით აღვაგებ ხომალდსა“...



# შენიშვნები



## შუმერული პოეზია

### ენხედუანას პოეზია

ენხედუანას პოეზია წარმოადგენს კაცობრიობის პირველ პოეზიას ქრონოლოგიურად (ძვ. წ. XXIV-XXIII სს.) და ასევე პირველი მხატვრული სიტყვის ნიმუშს, რომელსაც ავტორი ჰყავს. ის დაწერილია შუმერულ ენაზე. ენხედუანა გახლდათ სარგონ აქადელის ასული, რომელიც მამამ მთვარის (ნანნას) ტაძრის უზენაეს ქურუმად დანიშნა ქ. ურში. ური სამხრეთ შუამდინარული ცივილიზაციის ცენტრს წარმოადგენდა. თუმცა ენხედუანა მხოლოდ ქურუმობით არ შემოსაზღვრულა. მას ეკუთვნის სამი პოემა ინანასადმი, სამი პოემა ნანნასადმი და ტაძრის 42 ჰიმნი. დღესდღეობით მსოფლიოს მეცნიერები ენხედუანას უწოდებენ ძველი აღმოსავლეთის შექსპირს, რადგან მის პოეზიას ინერდნენ, ზეპირად იცოდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ ათასწლეულის მანძილზე მისი სიკვდილის შემდეგაც. გადარჩენილია მრავალი შუმერულენოვანი ფირფიტა, რომელიც ენხედუანას პოეზიის სხვადასხვა ნიმუშს გვინახავს.

ჩვენ წარმოგიდგენთ ენხედუანას პოეზიის მხოლოდ ერთ ნაწილს – ინანას სამ პოემას.

## ინანა და მთა ებიხი

- 1 IN-NIN-ME-HUŠ-A – პოემის პირველი სიტყვებია. შუმერული ტრადიციით, პირველი სიტყვები ითვლებოდა სათაურად; ნიშნავს: „ბრწყინვალე, უძლეველი ქალბატონი“. „ინანა და ებიხი“ თანამედროვე სახელწოდებაა.
- 2 a-ankara ( ა - ა ნ კ ა რ ა ) – იარაღი – ა შუმერულად წყალს ნიშნავს. ანკარა- წყლის იარაღი, ეპითეტია და ზუსტად არ არის ცნობილი. ა-ანკარა იარაღით ინანა ატარებს მაგიურ რიტუალს ენგურის წყლებიდან, რაც ურუქის მეფის გამარჯვების გარანტი იყო (იხ. ეპოსი „ლუგალბანდა და ანზუდი“, ფინალი). შდრ. ქართული სიტყვები: „ანკარა“ და „ენგური“.
- 3 ინანა – შუმ. საბედისწერო სიყვარულის ქალღმერთი. ქ. ურუქის უზენაესი ღვთაება, მთვარის ღმერთის – ნანნას (სინის) ასული.
- 4 ელამი და შუბური – ძველი ირანის ოლქები.
- 5 ლულუბის მთა მდებარეობდა ზაგროსის მთიანეთში, რომლის მკვიდრთა ლულუბელები ეწოდებოდათ. აქადის გაღმერთებული მეფის, ნარამსინის ცნობილი გამარჯვების სტელა ეძღვნება ლულუბელებზე გამარჯვებას (ძვ. წ. 2300 წ.).
- 6 ებიხი – მთის სახელწოდება, რომელიც მდებარეობდა ზაგროსის მთიანეთში (იხ. შესავალი).
- 7 გიბილ ( გ ი რ რ ა ) – გაღმერთებული ცეცხლი, ითვლებოდა ცეცხლის ღმერთად და ცის ღმერთ ან-ის შვილად. გამოხატავდა ცეცხლს ყველა ასპექტში: დამანგრეველ ძალას, ზაფხულის მწველ სიცხეს, შემქმნელ ძალას – ცეცხლით გამოწვავდნენ აგურს და, შესაბამისად, ქალაქების დამფუძნებელი იყო. Jeremy Black, 1993, Gibil.
- 8 არათა – ლეგენდარული ქალაქი შუმერულ ლიტერატურაში, რომლის შესახებაც ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ცენტრალური ირანის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ლილაქვით ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ შესაძლოა, არათა წარმოსახვითი გეოგრაფიის საკუთრება იყოს და „რეალურ“ რუკაზე არც არასოდეს არსებულიყო (იხ. ნ. სამსონია, შუმერული ეპოსები).
- 9 ან, ანუ – (შუმ. ცა) ცის უზენაესი ღმერთი.
- 10 ენლილ - ი – (შუმ. „ჰაერის უფალი, სივრცე“). უზენაესი ტრიადის წევრი (ანი, ენლილი, ენქი). ითვლებოდა დემიურგად.
- 11 ნანნა – მთვარის ღმერთი, ინანას მამა.
- 12 მელამი – ღვთებრიობის ნიშანი, რომელიც რქის, ანუ განივთებული სხივის სახით გამოისახებოდა. მელამი მოსავდა ღმერთებსა და გალ-





მერთებულ მეფეებს, ასვე ტაძრებს და ღვთაებრივ საგნებს. მელამის დაკარგვით კარგავდნენ ღვთიურობას. მელამს ჰქონდა შემზარავი, თვალისმომჭრელი ნათება.

- 13 შევარდენი შუმერულად არის „შურდუ“, ანუ შესაძლებელი იყო გვეთარგმნა „ეშვებოდა შურდულივით“.
- 14 ანუნა – შუმერულ ტექსტებში ნახმარია ღმერთების სამყაროს აღმნიშვნელად. იგულისხმება პირველშობილი ღმერთები, ღმერთთა სიმრავლე.
- 15 Hašur – შუმერულად ხაშური ნიშნავს კვიპაროსს.
- 16 ბოტ. ესპარტო.
- 17 ყვავს უნდა ნიშნავდეს.
- 18 Pili-pili – ნანნას ტაძრის რიტუალის სახელწოდება, საკმაოდ ქარიზმატული წარმოდგენით, რომელიც აღწერილია ენხედუანას პოემაში „ქალბატონი სამყაროს გული“ (იხ. შესავალი).
- 19 ნისაბა – მოსავლიანობისა და დამწერლობის მფარველი ქალღმერთი. ამ შემთხვევაში ენხედუანა ადიდება, როგორც დამწერლობის ქალღმერთს, რადგან ნისაბას წყალობით დაწერა და უკვდავყო ინანას პირველი პოემა.

### ინანა სამეცნოს გული

- 1 IN-NIN ŠA-GUR4-RA – პოემის პირველი სტრიქონი ანუ სათაური: შუმ. „ქალბატონი ყველაზე დიდი გულით“.
- 2 ნუნ-გალანე, ნუნგალი – შუმერული ქალღმერთი, ქვესკნელის დედოფლის – ერეშქიგალის შვილი. ითვლებოდა მინისქვეშეთის ქალღმერთად.
- 3 ME – „მე“ შუმერული ტერმინი, რომელიც შეესატყვისება ქართულ „მე“-ს, მეობას და ითარმნება მხოლოდ ქართულად. ძველ შუანდინარეთში „მე“ აქვს ყოველ არსს: დამწერლობას, ლიტერატურას, ხელოვნებას, მუსიკას და ა.შ. მე-თა მფლობელია სიყვარულის ქალღმერთი ინანა, რომელსაც ის ციდან მინაზე უშვებს შუმერის სხვადასხვა ქალაქში.
- 4 ტექსტში გახმოვანებულია ინანას ყვირილი, როგორც „დამ-დამ“.
- 5 დემონის, ავი სულის ერთ-ერთი სახელი.
- 6 მელამი – ღვთებრიობის ნიშანი, რომელიც რქის, ანუ განივთებული სხივის სახით გამოისახებოდა. მელამი მოსავდა ღმერთებს და გაღმერთებულ მეფეებს, ასევე ტაძრებსა და ღვთაებრივ საგნებს. მელამის დაკარგვით კარგავდნენ ღვთიურობას. მელამს ჰქონდა შემზარავი, თვალისმომჭრელი ნათება.



- 7 შ ა ქ ა ნ ი – მთის ნადირთა შუმერული ღვთაება.
- 8 „ინანას ცეკვა“ ბრძოლის მეტაფორაა შუმერულ ლიტერატურაში.
- 9 ი შ ქ უ რ ი – შუმერული ტაროსის ღვთაება, აქადურად – ა დ ა დ ი .
- 10 არ არის ცნობილი, რა იგულისხმება.
- 11 ე ნ გ უ რ ი – მინისქვეშა მდინარე, ასოცირებულია აბზუსთან – ოკეანე-თის პირველარსებულ წყლებთან (შდრ. ქართული ენგური).
- 12 თევზის უცნობი სახეობა.
- 13 შესაძლოა, ითარგმნოს, როგორც მზეჭაბუკი.
- 14 „ხელის ცხვირთან მიტანა“ ნიშნავს სალამს.
- 15 ძალიან რთული, სადაო ეპიზოდია. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, საქმე გვაქვს ტაძრის როსკიპად გახდომის რიტუალთან, რადგან სიტყვა pill-pili უკავშირდება დაკნინებას (ო. **ედნარტის** აზრით, შარდვას. იხ. შესავალი). ჩემი აზრით, რიტუალის ეს ნაწილი უნდა ასახავდეს ინანას, როგორც სიყვარულის ქალღმერთის ვერაგობას მისი მსხვერპლის მიმართ. ის აჩვენებს სიყვარულის „ხრიკებს“ და შემდეგ მიჰყავს ოჯახის კარამდე. ინანას სიყვარული შუმერულ მითოლოგიაში საბედისწერო ხდება. ინანა თავად არის სიყვარულის „მე“ და თავისი განწყობის შესაბამისად მართავს სიყვარულის მსხვერპლს. ამასვე უნდა გულისხმობდეს ტექსტის 118-ე სტრიქონი „კაცთან ქალია და ქალთან კაცი“. გავიხსენოთ გილგამეშის მიმართვა იშთარისადმი, როდესაც გმირმა უარყო ქალღმერთის სიყვარული. იხ. მისაკო წერეთელი, „გილგამეშისანი“, თსუ, 2010, კარი მეექვსე, გვ. 38-40.
- 16 იხ. შესავალი.
- 17 ilu – სევდიანი სიმღერა.
- 18 გ ი პ ა რ ი – ინანას განმარტოების ოთახი ტაძარში, სადაც სრულდებოდა საკრალური ქორწინების რიტუალი.
- 19 ე - ზ ი ნ ა – ხორბლის დედოფალი, ნაკლებად ცნობილი, მეორეხარისხოვანი ღვთაება.
- 20 რ ი ც ხ ვ ი 7 აღნიშნავს დასრულებულ ციკლს, ანუ სრულიად ყოველი ინანას ხელთაა.
- 21 ამ სტრიქონს ზოგიერთი მკვლევარი მიაწერს ინანას ანდროგენულ ასპექტს, რაც ძალიან შორს დგას შუმერული მითოლოგიისგან. ჩემი აზრით, აქ სქესის შეცვლაზე არ უნდა იყოს საუბარი, არამედ უნდა იგულისხმებოდეს ინანას საბედისწერო სიყვარულის ასპექტი. ანუ, თუ ქალს აძლევს სიყვარულს, სანინალმდეგო სქესის მხრით ეცხადება და პირიქით. ინანა თავადაც ხდება საკუთარი „მე-ს“ მსხვერპლი მითში: „ინანა და დუმუზი“.



- 22 იგულისხმება მე-ები.  
23 MAH – ნიშნავს დიდს, ანუ უზენაესი ქურუმს.

## ინანა მეცხრე ცაზე

- 1 NIN-ME-ŠAR-RA – პომის პირველი სტრიქონია შუმ. „ქალბატონი ყველა მე-თა ღვთაება“. „ინანა მეცხრე ცაზე“ ვთარგმნეთ ქართული ენის შესაბამისად. პომის თანამედროვე სახელია „ინანას ეგზალტაცია“.
- 2 უ რ ა შ - ი – ღვთაება ურაში ითვლებოდა ან-ის წინაპრად. მოიხსენიება ხამურაბის კანონებში.
- 3 ყველა ღვთიური ძალა ინანას ხელთაა, ამიტომაც არის მეცხრე ცაზე. 7 ნიშნავს დასრულებულ ციკლს.
- 4 უ შ უ მ გ ა ლ ი – ურჩხულის შუმერული ტერმინი, რომელსაც არ გააჩნია ზუსტი თარგმანი. მითიური ცხოველი, დრაკონი, რომელიც გამოსახული იყო ბაბილონში, იშთარის კარიბჭეზე.
- 5 თარგმანი პირობითია. ინანას, როგორც სიყვარულის ქალღმერთის გამოვლინებაა მწუხრის ვარსკვლავი, ხოლო ცისკრის ვარსკვლავი გამოხატავს ინანას ბრძოლის ასპექტს.
- 6 ტექსტში გაურკვეველია, ინანას ქარი აცლის ძალას თუ პირიქით.
- 7 ვინმე ლუგალანე შეიჭრა ნანას ტაძარში და ენხედუანა გააძევა. პომის ტექსტში ასახულია ისტორიული ფაქტი, როცა აქადის მეფე ნარამსინს აუჯანყდა ქ. ურუქი. ამ აჯანყების გამო ენხედუანას დროებით დაატოვებინეს ქურუმობა ურუქის და ურის ტაძრებში, სანამ ნარამსინი აჯანყებულებს საბოლოოდ გაუსწორებოდა (იხ. შესავალი).
- 8 იგულისხმება ინანა.
- 9 ა შ ი მ ბ ა ბ ა რ ი – შუმერულად ნიშნავს „ვინც წინ გზას ანათებს“. მთვარის ღმერთის, ნანას (სინი) უძველესი სახელი. Jeremy Black, 1995.
- 10 ე - ა ნ ა – შუმ. „სახლი ციური“. ურუქის მთავარი ტაძარი, რომელიც ინანას ადგილსამყოფელი იყო.
- 11 უ შ უ მ გ ა ლ ა ნ ა – ინანას ქმრის, დუმუზის სხვა სახელი.
- 12 იგულისხმება წინასწარმეტყველება.

## შუმერული ეპოსები

### ენმერქარი და ენსუხგინანი

- 1 ქულაბა – იხ. ურუქი.
- 2 ურუქი – (შუმ. უნუგ „სადგომი“, „ბინა“), უძველესი შუმერული ქალაქი, ასპარეზი ეპიკური და მითოლოგიური თქმულებებისა. ურუქის მკვიდრნი იყვნენ ენმერქარი, ლუგალბანდა და გილგამეში. იქვე ჩაისახა ლეგენდები მათ შესახებ. შუმ. ეპოსის თანახმად, ურუქის მეფემ გამოიგონა ლურსმული დამწერლობა. იყო ინანას საკულტო ქალაქი, სადაც იდგა მისი მთავარი ტაძარი ე-ანა. ქულაბა ენოდებოდა ურუქის ერთ ნაწილს, სავარაუდოდ, მის შემოგარენს. ურუქის ქებით იწყება გილგამეშის ეპოსი. იხ. ზ. კიკნაძე, 1984.
- 3 მელამი – შემზარავი და მომაკვდინებელი შუქი (ნათება), რომლითაც შემოსილნი იყვნენ მხოლოდ ღმერთები, ღვთაებრივი საგნები და მოვლენები, ღმერთებთან წილნაყარი ადამიანები. მელამის გამოხატულებაა რქიანი ტიარა, რომელიც შუამდინარელ ღმერთებს ახურავთ. მელამის წართმევით ღვთაება კარგავს ღვთიურობას.
- 4 სუქალმახი – ეს ტერმინი ჩნდება შუმერის სახელმწიფოს არსებობის მეორე ეტაპზე (ძვ. წ. XXV-XXVI სს.), განსაკუთრებით ურის III დინასტიის პერიოდში ჩანან პიროვნებები ამ ტიტულით. ტერმინი ორი ნაწილისგან შედგება: *sukkal* – ვეზირი და *mah* – დიდი, ანუ დიდი ვეზირი, კურირი. იხ. ჯემალ შარაშენიძე, სუქალმახის ინსტიტუტი შუმერში, თბილისი, 2008.
- 5 ეგარა – ინანას ტაძარი არათაში.
- 6 ეზაგინა – (შუმ. „მაღალი, ამაღლებული სახლი“) იგულისხმება ინანას ტაძარი.
- 7 გიპარი – შუმ. სახლი, რომელშიც სრულდებოდა საკულტო ქორწინების რიტუალი (ჰიეროგამია) ქალაქის თუ ქალაქ-სახელმწიფოს ღვთაებასა და ქურუმს შორის. იხ. ზ. კიკნაძე, 1984.
- 8 გაურკვეველი ადგილია, ამოვარდნილი კონტექსტიდან. დამწერლობის გამოგონებაზეა საუბარი პოემაში „ენმერქარი და არათას ბატონი“. შესაძლოა გადმოტანილი იყოს.
- 9 უთუ – შუმ. მზის ღმერთი. ინანას რანგის ღვთაებაა. ინანას ძმა ზრუნავს მასზე. უთუ ითვლება ურუქის ლეგენდარული მეფეების მამად.
- 10 იგულისხმება სიყვარულის დაუსრულებელი ღამე.
- 11 ენლილი – (შუმ. „ჰაერის უფალი, სივრცე“) უზენაესი ტრიადის წევრი (ანუ, ენლილი, ენქი). ითვლებოდა დემიურგად და შუმერული ხალხის ეროვნული ერთიანობის ღმერთად.



- 12 ნინურთა – შუმ. ომისა და ნადირობის ღმერთი, ენლილის ძე.
- 13 არურუ – (შუმ. „თესლისმიმნიჭებელი“) ქალღმერთი, რომელიც ადამიანის შექმნაში იღებს მონაწილეობას. მისი შექმნილია პირველი კაცი და შემდგომაც ხელს უწყობს კაცთა მოდგმის გამრავლებას.
- 14 იგულისხმება ინანას სიხარულის კივილი, როდესაც ენმერქარი შედის მასთან ტაძარში, როგორც სატრფო.
- 15 išib, lumah, gudu – ქურუმთა კატეგორიები. girsiga – ტაძრის მსახური.
- 16 Hamazi/u** – ქალაქი ბაბილონის ჩრდ.-აღმოსავლეთით, კირკუჯის აღმოსავლეთით.
- 17 თიამათი, კედარი; თიამათი – (აქად. ზღვა). მდედრული სანყისი ბაბილონურ კოსმოგონიაში, მლაშე წყლების პერსონიფიკაცია. კედარი – ძვირფასი ხე, რომელიც შუამდინარეთში ღიბანიდან შემოჰქონდათ.
- 18 ნისაბა – (შუმ. შეიძლება ნიშნავდეს „პურის მომნიჭებელს“, რასაც მოწმობს მისი ვარიანტი ნიდა-ბა, ნინდა – „პური“) მოსავლიანობისა და მარცვლეულის ქალღმერთი.
- 19 ნისაბა აგრეთვე, დამწერლობისა და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული საქმეების ქალღმერთიც არის. პოემაში იგულისხმება, რომ თუ ნისაბა იშიმშილებს, ცივილიზაციაც შიმშილობს.
- 20 ბურანუნა – მდ. ევფრატის შუმერული სახელწოდება.
- 21 ანკესის ფუნქციით.
- 22 ან, ანუ – შუმ. „ცა“. ცის უზენაესი ღმერთი. შუამდინარული პანთეონის ტრიადის პირველი წევრი (ანუ-ენლილი-ენქი).
- 23 ნინლილი – შუმ. „ჰაერის დედოფალი“, ენლილის მეუღლე.
- 24 ნანნა, ნანარი – შუმ. მთვარის ღმერთის, სინის სხვა სახელი.

## ენმერქარი და ანათას ბაცონი

- 1 მეფეთა და ღვთაებათა ეპითეტი.
- 2 „ქორჭილას წარღვნა“ – სასოფლო-სამეურნეო დოვლათის აღმნიშვნელი პოეტური ტერმინი.
- 3 დილმუნი – მითოსური კუნძული, რომელიც მდებარეობდა ქვეყნის აღმოსავლეთით, „სადაც მზე ამოდის“. დილმუნი გაიგივებული იყო ამქვეყნიურ სამოთხესთან. აქ გამოიყენება, როგორც სავაჭრო გზის სიმბოლო, რაც ეპოსის ძირითადი თემაა.
- 4 გიპარი მოიაზრება, როგორც ინანას განმარტოების და მისდამი თავყვანისცემის ოთახი ე-ანაში.



- 5 „ძალაუფლება“ – ამ შემთხვევაში ასე ვთარგმნეთ ტერმინი, რომელიც ზუსტად არ ითარგმნება. ახლოს არის ქართულ „მე“-სთან, მეობასთან. შუმერულ მითოლოგიაში ყველაფერს, რასაც ღმერთები ადამიანს აძლევენ, აქვს – „მე“. მაგ., დამწერლობას, ხელოვნებას, მუსიკას და ა. შ.
- 6 აბზუ – პირველარსებული მტკნარი წყლების სტიქია. ბაბილონური კოსმოგონიით უპირისპირდება თიამათს, მლაშე წყლების განსახიერებას.
- 7 ერიდუ – სამხ. შუამდინარეთის უძველესი ქალაქი, რომელიც ხუთ წარღვანადელ ქალაქს შორის მოიხსენიება. მისი სახელწოდება „ერიდუგ“ ეტიმოლოგიურად „კარგ ქალაქს“ ნიშნავს. მდებარეობდა ბაჰრეინის ლაგუნასთან, სადაც ევფრატი უერთდებოდა ყურეს. იხ. ზ. კიკნაძე, 1984.
- 8 გაურკვეველი ტერმინია – „კვერთხი“, კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლოა, ნიშნავდეს ტახტრევანს.
- 9 ამა-უშუმგალანა – ინანას სატრფოს, დუმუზის სხვა სახელი.
- 10 ინანას, რომლის სიტყვასაც შიკრიკი ატარებს.
- 11 ე. ი. რისი გაკეთება შეუძლია არათას თავის დასაღწევად.
- 12 ნუდიმუდი – (შუმ. „შემქმნელი“), ენქის ერთ-ერთი სახელი.
- 13 ნუდიმუდის ლოცვა ბუნდოვანი რჩება მკვლევართათვის.
- 14 „სამყაროს მმართველი ქვეყანა“ მიუთითებს წარმოდგენაზე, რომლის იდეოლოგია გავრცელებული იყო ურის III დინასტიის შუმერში. აღწერს თავის სხვადასხვა ოლქებს, მაგ., შუბური და ჰამაზუ (ჩრდ. და აღმ.), შუმერი და აქადი (ცენტრი) და მართუ (დასავლეთი).
- 15 შიკრიკი ასრულებს შვიდ გზას ურუქიდან არათამდე, ასევე შვიდ მთას გადაივლის, რაც ფოლკლორში ფართოდაა გავრცელებული.
- 16 შიკრიკს სიტყვები დაზეპირებული ჰქონდა, რასაც შესაძლოა, მისთვის პრობლემა შეექმნა, ამისათვის მოგვიანებით ენმერქარი გამონახავს სხვა გამოსავალს – გამოიგონებს დამწერლობას.
- 17 ე. ი. რისი გაკეთება შეუძლია არათას თავის დასაღწევად.
- 18 გაუგებარია, რატომ მოიხსენიება ენმერქარი არათას მიწაზე გაზრდილად.
- 19 იგულისხმება მთები, როდესაც ინანა მალღდება მათზე.
- 20 ტრადიციულად მსხვერპლს თან ახლავს თხოვნა ან მიმართვა ღმერთებისადმი.
- 21 ამ ხერხით, პატარა რიცხვების ჩამოთვლით, გადმოსცემენ მცირე რაოდენობას. აქ ამ ხერხის გამოყენება მოულოდნელია.



- 22 არათას ბატონი სხვაგვარ შეჯიბრში ინვესტორს ენმერქარს: გონების შეჯიბრში. ასე სურს მისი დამარცხება.
- 23 ე. ი. ინანა.
- 24 ლამა – (აქად. ლამასუ), მფარველი ქალღმერთი. ის, როგორც ქალღმერთი, ნაკლებად ცნობილია. იხ. J. Black,...
- 25 შეტაკებას ჰქვია „ინანას ცეკვა“.
- 26 იგულისხმება ენმერქარი, რომელიც სხვაგან მოიხსენიება, როგორც მზის ვაჟი.
- 27 ფაქტია, ენმერქარი ძალიან სერიოზულ ოპერაციას ატარებს, რაც ფიზიკურად შეუძლებელია. ამდენად, პასაჟი ბუნდოვანია.
- 28 აქ თიხის დაფა ნისაბას ეპითეტია, როგორც მოსავლიანობის, ასევე დამწერლობის ქალღმერთის.
- 29 ნისაბა ნანიბგალთანაა გაიგივებული.
- 30 მნიშვნელობა ბუნდოვანია, შეუძლია თუ არა მას მსგავსი სკიპტრის გაკეთება? შესაძლოა, ენმერქარის სკიპტრა ურუქის MEŠ-ზე იყოს. მაშინ ენმერქარი არათას ბატონს სთავაზობს ხის მცირე ნაწილს, რომ მან ხელისუფლება გაუყოს ურუქის უზენაესი წესის თანახმად. არათას ბატონი ენინააღმდეგება. დათანხმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკიპტრა გადაეცემა.
- 31 შესაძლოა, ამ ნაწყვეტში ცხადდება ეპოსის დედააზრი – ვაჭრობის დამყარება, თუ უზუცესები საგანძურს სთავაზობენ ენმერქარს ხორბლის სანაცვლოდ.
- 32 ძალიან კარგი შედარებაა. ხაზგასმულია, რომ არათაში ხორბალი ახალი შესულია.
- 33 GIŠ – დეტერმინატივით, რაც ხეს, ხისას აღნიშნავს. არსებობს მრავალი სახელი. ამ შემთხვევაში ოსტატურადაა გამოყენებული; ტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია.
- 34 ხაშურ-ი – კვიპაროსის სახეობა (შდრ. ქართ. „ხაშური“).
- 35 ენქი გვევლინება ჩვეულ როლში, როგორც გმირების დამხმარე. ასევე გამოგონებისა და შექმნის ღვთაება.
- 36 საეჭვოა, მაგრამ არ არის წარმოუდგენელი. შუმერული სიტყვა mu ზოგ შემთხვევაში „დროის“ აღმნიშვნელიცაა.
- 37 პოეტური სახეა ბარბაროსების მიერ განადგურებული ქალაქისა. სავარაუდოდ, იგულისხმება მოსახლეობის აყრა და დეპორტაცია.
- 38 ტექსტის მიხედვით თანდათან ცხადდება, რომ ენმერქარის უდიდესი დამსახურება – დამწერლობის გამოგონება, თანდათან ფასდება.
- 39 ამ ნაწყვეტის გარშემო მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.



- სადავოა, რომ ur აქ ნამდვილად ძალს ნიშნავს.
- 40 ეს, რასაკვირველია, შეცდომაა ურუქის შემთხვევაში. იგულისხმება ენმერქარი.
- 41 თოქმაჩი – მესპილენძე.
- 42 შუმერული სიტყვა gag – „ლურსმანი, სოლი“ არ იყო ტექნიკური ტერმინი ლურსმული ნიშნებისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში აზრი სწორია.
- 43 იშქური – (შუმ). ტაროსის ღმერთი, აქადურად –ადადი.
- 44 ტექსტს აკლია ნაწყვეტი. გაურკვეველია, ვის ეძღვნება ეს სიტყვები.
- 45 ინანა უნდა იგულისხმებოდეს.
- 46 გეშთინანა – (შუმ. „ციური ვაზი“) დაბალი რანგის ქალ-ღვთაება, დაკავშირებულია ინანასა და დუმუზის მითოსურ ციკლთან, დუმუზის და. ერთადერთი არსება, რომელიც ბოლომდე უერთგულებს მას. იხ. ზ. კიკნაძე, 1984.

## ლუგალბანდა უდაბურ მთებში

- 1 ასე მოიხსენიებოდნენ შუმერები.
- 2 იგულისხმება, რომ დაპყრობა გადაწყვიტა.
- 3 რიცხვი 7 – აღნიშნავს დასრულებულ ციკლს. – შდრ. შიკრიკის 7 გზა და და მათა 7 მწკრივი პოემაში „ენმერქარი და არათას ბატონი“.
- 4 მრავლადაა ცნობილი ბრინჯაოს საკულტო იარაღები გარეული ცხოველების გამოსახულებით. ბევრი მათგანი ფალსიფიცირებულია, გარდა ლურისტანიდან ან ზაგროსის მთიანეთიდან შემოტანილისა (მესოპოტამიის ჩრდ.-აღმოსავლეთით). მიუთითებს, რომ ენმერქარი სწორი მიმართულებით მიდიოდა.
- 5 ურაში – ღვთაება ურაში ითვლებოდა ანის წინაპრად, ნახსენებია ხამურაბის კანონების პროლოგში. მოგვიანებით მოხდა მისი იდენტიფიკაცია ნინურთასთან. ქ. დილბათის ღვთაება (ბაბილონთან). იხ. Jeremy Black and Anthony Green; Gods, emons and Symbols of Ancient Mesopotamia, British Musseum Press.
- 6 რიცხვი 3 არ აღნიშნავს რიცხვს 36.000, ანუ სრულ ციკლს.
- 7 გაურკვეველია, რა დაფარვატებს, ჯარი თუ მთები.
- 8 „წმინდა და ძვირფასი ადგილი“ – საფლავის ეპითეტი.
- 9 ამ ადგილის ნაკითხვა და გაგება შეიძლება ორნაირად: პირველი საგზლის დატოვება გადარჩენის შემთხვევაში; და, მეორე: საგზალი საიქიოსკენ მიმავალი „რთული გზის“ გადასალახავად.





- 10 რძიანა – ბოტ. რძიანა (მცენარე).
- 11 ალბათ შიშობს, რომ ველარასდროს შეძლებს ძვირფასი იარაღის ხმარებას.
- 12 ან „მზის ამოსვლისას“, მაგრამ „როგორც მზე“ მიანიშნებს მზის კონტაქტზე ურუქის გმირ მეფეებთან, მათ შორის, გილგამეშთან.
- 13 „ნანანას ფურები“ – ნანანა მთვარის ღმერთია. აქედან გამომდინარე, ვარსკვლავები უნდა იგულისხმებოდეს.
- 14 ნინგალი – შუმ. ქალ-ღვთაება, სინის მდედრული ცალი. მწერლობაში წარმოდგენილია, როგორც ქალწულ ინანას დედა. მზის ღმერთი უთუც ინანას ძმად იწოდება.
- 15 შუმერულ მითოლოგიაში მტვერი ერთადერთი საკვებია მიწისქვეშა სამყაროში.
- 16 აქ იგულისხმება ინანა. ამ პასაჟში წარმოდგენილია, როგორც სექსუალური სიამოვნების მიმნიჭებელი, რომელსაც ის მდიდარსა და ღარიბს ერთნაირად უნანილებს. მისი „თამაში“, ჩვეულებრივ, „ომის“ აღმნიშვნელია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, აღნიშნავს სექსს.
- 17 სინი – შუმ. მთვარის ღმერთი.
- 18 შარა ინანას ვაჟია. აქ ინანას შარავანდედი, როგორც მწუხრის ვარსკვლავის, აღქმულია მის სახედ.
- 19 გველებსა და მორიელებსაც კი აქვთ სახლი – მიწა. ლუგალბანდა ამბობს, რომ მას არაფერი აქვს.
- 20 გაურკვეველია, რატომ იწოდებიან ნანანა და სინი აქ „წმინდა ხბოდ“ (amar kug). წინა სტრიქონში ეწოდება „ხარი“. ასეთი ეპითეტით შემკული იყო მარდუქი. შესაძლოა, ურის III დინასტიის მეფის ამარ-სინის სახელის გავლენა იყოს.
- 21 ნანანას გვირგვინი იყო ახალი მთვარე.
- 22 გაურკვეველია, რატომ მოიხსენიება მთვარე სამართლიანობის მფარველად. ეს საქმე მზეს – უთუს ეკუთვნოდა.
- 23 მეტაფორაა, რომელიც მომდევნო სტრიქონს უკავშირდება.
- 24 ბოტ. ტერმინი.
- 25 ბოტ. საპონელა ან საპონა. შესატყვისებია: ქაფურა, აბრეშუმა ან წინწკარა.
- 26 ნინქაში – ლუდის ქალღმერთი. მისი კასრით მიღებული სიამოვნება აძინებს ლუგალბანდას.
- 27 სიზმარი შეიძლება იყოს მშვიდი და წყნარი, როგორც წინლილი, ოჯახის მფარველი ქალღმერთი, ასევე გარეული და სასტიკი, როგორც ინანას დამანგრეველი სექსუალობა.



- 28 ბუნდოვანი ადგილია. შესაძლებელია, სულს ესაუბრება.
- 29 ნინხურსაგი – (შუმ. „მთის დედოფალი“) უძველესი შუმ. ქალღმერთი.
- 30 უცნობი ტერმინი.
- 31 ეს ვერსია, როგორც ჩანს, ნინა ვერსიას ეწინააღმდეგება.
- 32 შესაძლებელია ამგვარად ნაკითხვა: გმირი, რომლის სიგრძე-სიგანე მოიცავს ყოველივეს.
- 33 ანუნა – (Anunnaku) ნახმარია შუმერულ ტექსტებში ღმერთების სამყაროს აღმნიშვნელად. არ უკავშირდება ერთი ღმერთის კონკრეტულ სახელს. იგულისხმება პირველშობილი ღმერთები.
- 34 ნინთუდ – უნდა იგულისხმებოდეს ნინთური, „ქალბატონი-ბოსელი“, შუმ. მითოლოგიის თანახმად, დიდი დედა, კაცობრიობის მშობელი ქალღმერთი.
- 35 უნდა იგულისხმებოდეს სამეფო იარაღი, სამართლიანი ღმერთი, რომელიც ღამით კაცის გვერდითაა და იცავს მას.
- 36 იგულისხმება, რომ ღმერთებს აცნობებენ სხვათა ბოროტ სიტყვას და ამით არიან სამართლის ჯამუშნი.
- 37 პასაჟი ეხება ვარსკვლავებს.
- 38 bur-šum-ma – ნიშნავს მატრიარქს, რაც ინანას ერთ-ერთი ეპითეტია.
- 39 იგულისხმება თანავარსკვლავედი.
- 40 თანავარსკვლავედი.

## ლუგალბანდას დაბრუნება

- 1 ARU – ხის ერთ-ერთი სახეობა. იგულისხმება, რომ ჩვეულებრივზე მაღალი ადგილია, სადაც მხოლოდ არწივის ხე ხარობს.
- 2 „ნანნას ბოსელი“ არის ცის თვალსანიერი, სადაც ნანნას მიჰყავს თავისი ნახირი, ანუ ვარსკვლავები.
- 3 სახელის დარქმევა არის კარგი ბედის ნიშანი, რაც ღმერთების პრივილეგიაა. აღსანიშნავია, რომ ბევრი მეფე ატარებდა ასეთ სახელებს შუამდინარეთში.
- 4 არ არის ცნობილი, რას პასუხობდა ლუგალბანდა. შესაძლოა, უბრალოდ, უარს ეუბნებოდა.
- 5 არსებობს მრავალი ადრეული ტაძრის ფრიზი ანზუდის გამოსახულებით. ცნობილია მონუმენტური გამოსახულება ელ-უბაიდიდან.
- 6 ასოცირებულია ღვთაება ენქისთან. ენქის ჰყავდა „ენგურის 50 ლახამა“. ენგური არის აბზუს სინონიმი (შდრ. ქართული – ენგური). მოიხსენიება „ინანას და ენქის მითში“; Jeremy Black, Anthony Green; Gods, Demons and



Symbols of Ancient Mesopotamia, British Museum Press.

- 7 გაურკვეველი ადგილია. მომდევნო სტრიქონებში ნათქვამია, რომ არათას ალყა უშედეგოა.
- 8 როგორც ჩანს, დროებითი სათვალთვალ კოშკები ჰქონდათ აგებული.
- 9 შუმერული ტერმინი *ušumgal* – მას არ გააჩნია ზუსტი თარგმანი. უნდა იყოს მითიური ცხოველი, რომელიც გამოსახული იყო ბაბილონში, იშთარის კარიბჭეზე.
- 10 დასავლეთის აღმნიშვნელი ტერმინი.
- 11 ვინც „არ იცის ხორბალი“ – მიუთითებს მართეს არაცივილიზებულიობაზე. ასევე ჩანს მართე „აქადის წყევლაში“ (იხ. Cooper, 1983) და „მართეს ქორწინებაში“ (იხ. Klein, 1996).
- 12 სახელწოდებები უცნობია და არ ითარგმნება.
- 13 ბოტ. სამასრე ტირიფი.

## გილგამეშანი

### შენიშვნები

- 1 ბაბილონეთის რომელმა ეროვნულმა ელემენტმა შექმნა ეს კიკლოსი თქმულებათა? – აქ დაბეჭდილი ვერსია სემიურ-ბაბილონურია, – ასსურული ვერსია, გადანერილი უძველეს ტექსტთაგან მეშვიდე საუკუნეში ქრ. წ., და შევსებული სხვა, უძველეს ვერსიათა ნაწყვეტებითა. აკკადური ვერსიები ეკუთვნის მეორე ათასწლეულის შუა ხანის ქრ. წინ და მესამე ათასწლეულის დასაწყისს. ასსურულ ვერსიაში მოხსენებულნი რკინა და ცხენი, რომელთაგანაც პირველი ცნობილია ბაბილონეთში მხოლოდ XI-X ს. გარდამავალ ხანითგან და მეორე ალბათ კასსიტების დინასტიის დამკვიდრებისას, ე. ი. მე-XVIII ს. ქრ. წინ შემოვიდა ბაბილონეთში, რასაკვირველია, ვერ უარჰყოფენ გილგამეშის ეპოსის დიდ სიძველეს, რათგანაც ერთიცა და მეორეც შემდეგ არის ეპოსში, ხოლო უძველესი სახე ეპოსისა ალბათ არ იხსენიებდა არც ცხენსა და არც რკინას. სავსებით რომ იყოს დაცული ძველი აკკადური ვერსია მისი, ცხენისა და რკინის მაგივრად ალბათ იქ ვირსა (ანუ ჯორსა) და რვალს შევხვდებოდით. სამაგიეროდ, ეპოსში არ იხსენიება ღმერთი მარდუკ, უპირველესად სრულიად უმნიშვნელო ადგილობრივი ღმერთი ქალაქ ბაბილონისა, რომელიც ბაბილონეთის უმთავრეს ღმერთად იქცა მის შემდეგ, რაც ბაბილონი გახდა ამ სამეფოს სატახტო ქალაქად, ე. ი. ჰამმურაპის ეპოქაში, მიახლოებით XX საუკუნეში ქრ. წინ. ეს კი მნიშ-



ენელოვანი საბუთია იმისა, რომ ეპოსის შექმნა ამ ეპოქის წინა დროს ეკუთვნის, ხოლო რომელ დროს? – იმ დროს, როდესაც ბაბილონეთში ბატონობდა სემიელთა კულტურა, თუ იმ დროს, როდესაც სუმერი იყვნენ პატრონი მისნი?

პირველ აღმომჩენთ მართლაც ეგონათ, რომ შემომქმედნი ეპოსისა სემიელი ბაბილონელები იყვნენ. მაგრამ გავიდა დრო და აღმოჩნდა სუმერული წარმოშობა ამ ქმნილებისაც, როგორც აღმოჩნდა სუმერული წარმოშობა შესაქმისა და სხვა ბაბილონურ თქმულებათა. – გერმანელმა ასირიოლოგმა პოებელ-მა აღმოაჩინა ამ ათიოდე წლის წინად ამერიკაში ნიპურითგან<sup>84</sup> ჩამოტანილ ტექსტებში წარღვნისა და შექმნის თქმულებათა სუმერული ვერსია და შეიძლება შემდეგ აღმოჩნდეს სუმერული ვერსია მთელის გილგამეშის ეპოსისა.

ახლად აღმოჩენილ სუმერულ ტექსტში აღწერილია დასაბამი ქვეყნისა, რომელსაც განაგებდენ ღმერთნი: ანუ, ენლილ, ენკი (სამება: ცა, მიწა და წყალი) და ნინხარსაგა, ქალ-ღმერთი, დედა ღმერთთა და ყოვლისა სულიერისა. იგინი ჰქმნიან კაცს სადიდებლად ღმერთთა, ჰქმნიან ცხოველებს, ქმნიან კაცთა სამეფოს, ხუთს წარღვნის-წინა ქალაქსა და სხვ., მაგრამ ღმერთნი გადასწყვეტენ კაცობრიობის მოსპობას წარღვნით. ნინტუ, ქალ-ღმერთი, მშობელი კაცთა, წინააღმდეგია ღმერთთა ასეთის სიმკაცრისა. სუმერული ტექსტი მოგვითხრობს:

მაშინ იკივლა ნინტუმ, ვითარცა მშობიარემა.  
 მალაღმა ინანამ<sup>85</sup> მორთო გოდება თვისის ერისათვის.  
 ენკიმ თვის გულში რჩევა დაიწყო.  
 ანუ, ენლილ და ნინხარსაგა ბჭობად ისხდენ.  
 ღმერთნი ცისანი და ქვეყანისანი ჩიოდნენ წინაშე  
 ანუსი და ენლილისა.  
 მაშინ ცი-უ-სუდუ<sup>86</sup> იგი მეფე და მღვდელთ-მთავარი.  
 დიდთა მსხვერპლთა შესწირვიდა იგი ღმერთსა<sup>87</sup>,  
 თაყვანსა სცემდა მას,  
 გოდებდა სინანულითა,  
 აღსაგე იყო შიშითა წინაშე ღმერთთა,  
 მარადის კეთილად მსახურობდა მათ.  
 შელოცვა სახელითა ცისათა და ქვეყანისათა საქმე  
 იყო მისი.  
 წმიდა ადგილს ღმერთთა კედელი იყო აღშენებული.  
 ცი-უ-სუდუ მიუახლოვდა მას<sup>88</sup> და ესმა ხმა ღმრთისა:



„მიდი კედელთან მარცხნით ჩემისა, და ისმინე!  
 კედელთან გეტყვი სიტყვას.  
 ღვთის მოშიშო მონაო ჩემო, ისმინე!  
 სახელითა ჩვენისათა წარღვნა მოსპობს ქვეყანასა.  
 აღმოფხრა კაცის თესლის, დათრგუნვა ქვეყნისა გარდასწყვიტა  
 ღმერთთა კრებულმან“.

ამოვარდენ ქარნი ძლიერნი,  
 მათთან ერთად მძინვარებდა განმანადგურებელი  
 წარღვნა.

შვიდს დღესა და შვიდს ღამეს რომ მძინვარებდა  
 წარღვნა ქვეყანაზედ  
 და დიდი კიდობანი თვალ-გარდუწვედნელ წყალზედ  
 ტალღებისაგან მიმოიტაცებოდა,  
 შემდგომად ამისა გამოვიდა მზე და განანათლა ცა და ქვეყანა.  
 ცი-უ-სუდუმ განალო სარკმელი დიდის კიდობნისა,  
 შეუსვა დიდ კიდობანში ნათელი გმირის უტუსი<sup>89</sup>.  
 მეფემ დაჰკლა ხარი, შესწირა მსხვერპლად მრავალი ცხვარი...  
 ცი-უ-სუდუ პირ-ქვე დაემხო წინაშე ანუსა და ენლილისა.  
 ვითარცა ღმერთსა უკვდავება მიანიჭეს მას ღმერთებმა.  
 საუკუნო ცხოვრება, ვითარცა ღმერთსა, მიანიჭეს მას.  
 შორეულ ქვეყანაში, დილმუნის<sup>90</sup> ქვეყანაში, წმიდა ადგილს  
 დაასახლეს იგი.

სუმერულ შემოქმედებასთან გვაქვს აქაც საქმე: სუმერულია წარღვნის თქმულება, როგორც თქმულება შექმნისა და მრავალი სხვა რამ ბაბილონის კულტურაში. შორს ნაგვიყვანდა ამაზედ სიტყვის განგრძობა; მხოლოდ ერთს შევნიშნავთ: კარგა ხანია დავრწმუნდით, რომ სუმერთა ენა მონათესავეა ქართული ენისა და სუმერთა ერი გამონაყოფი ყოფილა იმ რასისა, რომელიც უძველეს დროს სახლობდა მცირე აზიაში, შუა-მდინარის ქვეყანაში, სომხეთში, შეიძლება კავკასიაში და სხვაგანაც. სამხრეთ ბაბილონეთში გადასახლებულმა სუმერებმა რა ჩაიტანეს ძველი სამშობლოთგან ახალ სამშობლოში, არ ვიცით – შეიძლება ლურსმული წერილი მაინც – მაგრამ ვიცით რომ ახალ სამშობლოში შექმნეს მათ ძლიერი კულტურა, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია მთელის აღმოსავლეთის კულტურაზედ და აქედგან მთელის კაცობრიობის კულტურაზედაც. ერთია ის რასა, რომელსაც შეუქმნია შექმნისა და წარღვნის თქმულებანი და „ვეფხისტყაოსანი“. დიდი



დრო სძევს მათ შუა. ერთნი ეკუთვნიან არა უგვიანესს ხანას, ვიდრე მესამე ათასწლეულს ქრ. წ., მეორე XII საუკუნეს ქრ. შემდეგ, მაგრამ განსაცვიფრებელიც ის არის, რომ ათასეულთა განმავლობაში არ დაშრეგია შემოქმედების ნიჭი ამ საკვირველს, უძველესს მოდგმას კაცობრიობისა.

- 2 რაოდენ რას არ გვაგონებს გილგამეშის ამბავი – რაოდენ ზღაპარს, თქმულებას, უკვდავ თხზულებას მსოფლიო მწერლობაში? მხოლოდ ცოტა რამ მოვიგონოთ აქ, რათგანაც აღრიცხვა „გილგამეშიან“-ის ელემენტთა სხვა და სხვა ერთა თქმულებებში და მწერლობაში ძლიერ შორს წაგვიყვანდა; ხოლო კარგის ხნითგან არის „გილგამეშიანი“ სპეციალურ კვლევათა საგნად ქცეული და ეს კვლევა დღესაც გრძელდება მნიშვნელოვან შედეგებითა. ოდისევსის შთასვლა ქვესკნელს, იქ ნახვა დედისა და მეგობართა, აღწერა ამ უკანასკნელთა მიერ ჯოჯოხეთში შთასულ სულთა ცხოვრებისა, ახილევსის ჭმუნვით აღსავსე ჩივილი – მზის სინათლეზედ დღიურ მუშად ყოფნა მირჩევნია ბნელეთის სულებზედ მეფობასაო, – ერთის მხრით და ენკიდუს სიზმარში აღწერილი ბნელი ქვესკნელისა და იქ შთასულ სულთა აჩრდილის მსგავსი ცხოვრება, უტნაფიშტის მიერ ნათქვამი საშინელებანი სიკვდილისა, ქვესკნელითგან აღმოსულ ენკიდუს სულის მიერ ნაამბობი იქ მცხოვრებ სულებზედ, – მეორეს მხრით, ემსგავსებიან ურთი-ერთსა, და ცხადია, ბაბილონურ წარმოდგენას ჯოჯოხეთზედ გავლენა მოუხდენია ბერძენთა რელიგიურ წარმოდგენებზედ. აქ უნდა იყოს პირდაპირი გავლენა გილგამეშის ეპოსისა, რომელიც მთელს წინა-აზიაში იყო გავრცელებული. იგი, როგორც ახლა აღმოჩნდა, თარგმნილი იყო ბაბილონურითგან უცხო ენებზედ – მაგ., ერთ ინდოგერმანულ და ერთ არა-ინდოგერმანულ ხეთურ ენაზედ<sup>91</sup>, და ბერძენთა ყურამდისაც მიღწეული. ბაბილონური თქმულებანი ჩაექსოვენ ბერძნულთ, შეცვლილ იქმნენ შემდეგ ბერძენთა დიდი სიტყვის-ხელოვანთაგან, განშვენიერებულნი მათ მიერ, ეროვნულად ნამღერნი და დიდ ეპოსთათვის გამოყენებულნი, მაგრამ პირველ-ყოფილი ბაბილონური ელემენტები მაინცა სჩანს „ოდისეა“-ში და „ილიადაში“. თვით განეტარებას უტნაფიშტისა – მის მიერ უკვდავების მოპოვებას – ამასაც ხომ თვისი პარალელი აქვს ბერძენთა სარწმუნოებაში: მენელაუსს სიცოცხლეშივე დაჰპირდა პროტეუს, რომ იგი ელიზიოს ველზედ განისვენებდა საუკუნოდ, – შორს ქვეყნის საზღვარზედ, საუკუნო ნათელში, – ნეტარი. იქვე ცხოვრობდენ გმირი რადამანტის და სხვა რჩეულნი სულნი, რომელნიც სიცოცხლეშივე გახდენ ღირსნი სიკვდილის შემდეგ სამოთხეში განე-



ტარებისა. უდიდესი ნაწილი სულთა კი ჯოჯოხეთში მიდიოდა, – არა სასჯელისათვის, არამედ როგორც ბუნებრივ სავანეს სულთა საუკუნო განსვენებისა. და ძლიერ ემსგავსება ბერძენთა ელიზიოს უტ-ნაფიშტის საცხოვრებელ ადგილს: იგი არ არის საიქიო, მაგრამ არც სააქაო: ქვეყნის საზღვარზედ არის იგი. მხოლოდ უხვად მიმადლებულ კაცს წარიტაცებდენ ხოლმე იქ ღმერთები. სული ისევ ხორცთან იყო, განუყრელი მისგან, გადარჩენილი ერებოსის მიერ შთანთქმას, – უკვდავად ქცეული – განეტარებულ, როგორც ასეთი ბედი ენია უტ-ნაფიშტის; ხოლო საზოგადო კანონი სულთა ჯოჯოხეთში შთასვლა იყო როგორც ბაბილონელთა, ისე ბერძენთა წარმოდგენით, და უტ-ნაფიშტი, რადამანტის და სხვანი გამონაკლისნი იყვნენ კაცთა შორის, მიმადლებულნი ღვთაებათა მიერ, ნეტარნი<sup>82</sup>, – და კიდევ მრავალია ელემენტი „გილგამეშიან“-ისა „ოდისეა“-ში და „ილიადა“-ში, რაზედაც აქ სიტყვას ვერ განვავარძობთ<sup>83</sup>.

- 3 აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ საკვირველ მსგავსებას „გილგამეშიან“-ისა და „ოდისეა“-ს შორის: თვით დასაწყისნი ამ ეპოსთანი ემსგავსებიან თუ ურთიერთსა:

მიმღერე, მუზაო, კაცი დიდად-გამოცდილი,  
რომელმან ფრიად ბევრი იმგზავრა,  
დათრგუნა რა წმიდა ქალაქი ტროასი;  
ბევრ კაცთა ქალაქნი ნახა მან და ისწავა წესნი მათნი;  
ბევრი გამოუთქმელი ჭირი იხილა მან ზღვაში,  
რომ ეხსნა სული თვისი და შინ დაებრუნებია  
ამხანაგნი თვისნი და სხვ.

– ასე იწყება „ოდისეა“ და ეს დასაწყისი მოგვავარდნებს „გილგამეშიან“-ის შესავალსა. რასაკვირველია, „ოდისეა“-ს შესავალი ისეა დაწყებული, როგორც შეეფერება მთელს მის შინაარსს. მაგრამ ფორმა დასაწყისისა „გილგამეშიან“-ისა და უმთავრესის გმირის დახასიათებაც გილგამეშის დახასიათებასა ჰგავს. ხოლო ჩვეულება, რომელიმე ცნობილი თხზულების გამოთქმა განემეორებიათ მწერლებს მათ თხზულებებში, ხშირად შეუცვლელადაც კი, ძლიერ იყო გავრცელებული ბერძნულ და რომაულ მწერლობაში. ხშირად ისტორიულ თხზულებებში გვხვდება მსგავსი მოვლენა, კიდევ უფრო უხვად გეოგრაფიულ აღწერებში: ერთი მწერალი ისევე ახასიათებს რომელიმე ქალაქს, ქვეყანას, ტომს, როგორც მის მიერ წაკითხული მწერალი რომელიმე სხვა



ქალაქს, ქვეყანას, ტომს. თანამედროვე მკვლევარის კრიტიკული ყურადღება ამიტომ ძლიერ ფხიზლად უნდა იყოს, რომ ასეთმა მოვლენებმა შეცდომაში არ შეიყვანოს. ედუარდ ნორდენმა ბევრი მაგალითი აღნიშნა ასეთ სამწერლო ჩვეულებისა, როდესაც მან განარჩია წყარონი, შემცველნი გერმანელებზედ ცნობათა ბერძნულ და ლათინურ ენებზედ<sup>4</sup>. და შესაძლებელია, რომ ფორმა „გილგამეშიან“-ის დასაწყისისა ბერძენ მელექსეთა ყურამდისაც მივიდა და მათ მიერ შეთვისებულ იქნა; ხოლო შემდეგ, როდესაც „ოდისეა“-ს წერა დაიწყეს, ეს ფორმა, შეკეთებული და პოემის მთელს შინაარსთან შეხამებული, მაინც დარჩა ეპოსში ჩვენამდე მოღწეული სახითა.

- 4 თვით დანტეს ჯოჯოხეთი გვაგონებს „გილგამეშიან“-ის ქვესკნელს. მართალია, ჯოჯოხეთი დანტესი სულ სხვაა, ვიდრე ქვესკნელი ენკიდუსი და საზოგადოდ ბაბილონური საიქიო, რომელზედაც გარდა „გილგამეშიან“-ისა კიდევ სხვა ბაბილონური წყაროები გვაძლევენ წარმოდგენას. ბაბილონური ქვესკნელი განირჩევა აგრეთვე ჰომეროსის ქვესკნელისაგან, მაგრამ რაშიაც ემსგავსებიან ეს საიქიონი ურთიერთს, ეს მსგავსება შეტანილია ბერძენთა და ამ უკანასკნელთა გავლენით დასავლეთ ევროპელთა წარმოდგენაში ძველ აღმოსავლეთითგან, სადაც იყო გავრცელებული ბაბილონური წარმოდგენა საიქიოზედ. ბაბილონურ ზეპირ-გადმოცემას, ენას, მწერლობას უდიდესი გავლენა ჰქონდა უძველეს დროითგან მთელს წინა-აზიაში. კვალი ამ გავლენისა დღესაც სჩანს მთელს კულტურულ კაცობრიობაში, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ელემენტები დანტეს წარმოდგენათა საიქიოზედ ერთი მხრით ჰომეროსისაა, მეორე მხრით ეგვიპტური და სპარსულ-ებრაულ-ქრისტიანული – სააქაოს ცოდვისა და მადლისა. საიქიოს სასჯელისა და ჯილდოს იდეა ქრისტიან დანტესათვის ხელმძღვანელი იდეა, მაშინ როდესაც სუმერთა და სემიელთ ეს იდეა კიდევ უფრო სუსტად ჰქონდათ განვითარებული, ვიდრე ბერძენთ, მაგრამ ბაბილონური წარმოდგენა მაინც მოსჩანს დანტეს ჯოჯოხეთში, სადაც არიან პაპნი, მღვდელთმთავარნი, ხელმწიფენი ამა ქვეყნისანი – ცოდვათათვის და აგრეთვე დიდნი პიროვნებანი წარსულ საუკუნეთა, თვით ჯოჯოხეთში განეტარებულნი, რათგანაც იგინი სამოთხეში მოუნათლავნი ვერ შევიდოდნენ ქრისტიან დანტეს წარმოდგენით. და ეს მსგავსია იმ ქვესკნელისა, რომელიც ენკიდუმ სიზმარში ნახა, სადაც ძირს ეწყვნენ სკიპტრანი, გვირგვინნი მეფეთა, სადაც ცხოვრობდნენ ბატონნი ამა ქვეყნისანი, მღვდელთმთავარნი და სხვ.





- 5 მოვიგონოთ ჩვენი უკვდავი რუსთაველის ქმნილებაცა, „ვეფხისტყაოსანი“: გაჭრა ტარიელისა ნესტანის საძებნელად. ცხოვრება მისი მხეცებთანა, ვეფხისტყაოსნობა, ლომ-ვეფხისტყაოსნობა, კვება ნადირის ხორციტა – ეს ხომ გილგამეშის საქმეც იყო:

მაგრამ დავყარენ არენი მე კაცრიელთა თემთანი,  
„სახლად სამყოფი მე მიწნდეს...“ თხათა და მათ ირემთანი,  
გავიჭერ, სრულად დავსტეკუნე ქვე მინდორი და ზე მთანი-ო.

ხელი მინდორს გავიჭრები, ზოგჯერ ვსტირ და  
ზოგჯერ ვბნდები-ო.

მას აქათ ვახლავ ნადირთა, თავსა მათებრივ მხსენები-ო,

ამბობს ტარიელ, ასმათი ეუბნება ტარიელს:

...მხეცთა თანა იარები მარტო ტევრად,  
არა კაცსა არ იკარებ საუბრად და შემაქცევრად-ო.

ტარიელი ამბობს:

ვსთქვი, თუ ჩემგან არღარაა სიარული, ცუდი ცურვა,  
ნუ თუ მხეცთან სიარულმან უკუ-მყაროს გულსა ურვა-ო.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხისტყავისა.  
ვეფხისტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა-ო,

აღწერს რუსთაველი ტარიელს.

რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,  
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად დამისახავს-ო,

ამბობს ტარიელ. – ასმათმა გამირთა-გმირს ტარიელს

დაუგო ტყავი ვეფხისტყაოსნისა, რომელ კვლავ მიწყევ ჰგებოდა-ო,  
და სხვ.



ასეთი იყო ტარიელ, ველად გაჭრილი, მხეცთა ტყავით მოსილი და ნადირის ხორციით მსაზრდოებელი, მსგავსად გილგამეშისა. მოვიგონოთ აგრეთვე ძმად-შეფიცულობა ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონისა, განუსაზღვრელი მეგობრობა და სიყვარული მათი, მსგავსად გილგამეშენკიდუსი და სხვ., მაგრამ, რასაკვირველია, რუსთაველმა გილგამეშისა არა იცოდა რა, როდესაც „ვეფხისტყაოსან“-ს სწერდა, როგორც არც დანტემ და არც „ოდისეა“-ს მმღერალმა არა იცოდენ რა მისი, – მხოლოდ მოტივებია მათსა და ბევრ სხვა ქმნილებებში გილგამეშური – უცხო, ბაბილონური, – შევადართო აგრეთვე ლოცვა ავთანდილისა ცის მნათობთადმი და ლოცვა გილგამეშისა შამაშისადმი, სინისადმი და იშტარისადმი – ღმერთთადმი, რომელნიც ბაბილონელთა წარმოდგენით ცის მნათობნიც იყვნენ:

მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:

„აჰა, მზეო, გეაჯები, შენ, უმძლეთა მძლეთა მძლესა,  
ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,  
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა.“

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,  
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,  
შემამყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა,  
მას უთხარ თუ: ნუ გასწირავ, შენია და შენთვის სტირსა.

ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა ბრჭესა სრულსა,  
მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა,  
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა,  
მართალი ვარ, გამიკითხავ, რად მანწყლულე მისთვის წყლულსა!

მოდი, მარხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა,  
შეცამლებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა,  
მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა,  
რაგვარ გასრულვარ, შენ იცი, გული აღარ არს ლხენითა.

მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,  
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსავს ძონისა ბაგითა.  
შენ დაამშვენებ კეკლუცთა დამშვენებითა მაგითა,  
ვისმე გლახ ჩემებრ დაადებ, გახდი ცნობითა შმაგითა.

ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა:  
მზე მაბრუნებს, არ გამიშვებს, შემყრის და მიმცემს წვასა.  
დაჯდე წერად ჭირთა ჩემთა, მეღნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,  
კალმად გიკვეთ განლობილსა ტანსა წვრილსა ვითა თმასა.

მო, მთვარეო, შემიბრაღე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები,



მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები,  
 ზოგჯერ ვწვლდები,  
 მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს, ანუ რაგვარ ვზნდები.  
 მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები.  
 აჰა, მონობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემონებთან,  
 მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ზნდებიან,  
 მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მონმად მყვებიან,  
 მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიან<sup>96</sup>.

გილგამეშურია ამ შვენიერ ლოცვაში მიმართვა ცის მნათობთადმი, ბაბილონურია შვიდი ვარსკვლავი: მზე = შამაშ, მთვარე = სინ, ასპიროზ = იშტარ = ვენუს, მუშთარ = მარს, იუპიტერ, მარიხ = ნერგალ = მარს, ზუალ = ნიმურტა = სატურნ, ოტარიდ = ნაბუ = მერკურ, მართალია მზისა და მთვარის გარდა მნათობთა სახელნი უცხონი არიან: მუშთარ, ზუალ, მარიხ, ოტარიდ – არაბულ-სპარსული, ასპიროზ (ჰესეხროს) – ბერძნული; ეს სახელნი და შეიძლება შვიდი ვარსკვლავიც ბერძენ-არაბ-სპარსთა გავლენით იყვნენ გადმოსულნი ქართულში, ან შეიძლება შვიდი ვარსკვლავი დამოუკიდებლად ბერძენთა და არაბ-სპარსთა შუამდგომლობისა უძველეს დროითგან იყო ცნობილი ქართველთა შორის ბაბილონელთა შორეული გავლენით, რაიცა უფრო საფიქრებელია, ხოლო სპეციალური კვლევის საგანი, მაგრამ საყურადღებო აქის არის, რომ ბაბილონური ელემენტები და კერძოდ გილგამეშური მოტივები „ვეფხისტყაოსან“-შიაც არის, აღმოსავლეთის რომელ სამწერლო ნაკადთა გზითა და რომელ ხალხურ წარმოდგენათა გავლენითაც არ უნდა მიეღწიათ მათ უძველეს საქართველომდე და შემდეგ რუსთაველამდე.

დახასიათება მნათობ-ღვთაებათა რუსთაველს წმიდა ბაბილონური აქვს: მზე – უმძლეთა მძლეთა მძლე, მდაბლის აღმამალღებელი და მეფობის მიმნიჭებელი; მთვარე – ყოვლად მონყალე და შემბრალე ღვთაება; ზუალ-სატურნ, ღვთაება ჭმუნვის შემომყრელი, გულის შავად შემღებველი, სიბნელის ღვთაება; მუშთარ – იუპიტერ, სრული ბრჭე და მოსამართლე; მარიხ-მარს. ლახერის მატარებელი და წითელის ფერისა, ომის ღვთაება; ოტარიდ-მერკურ, ღვთაება წერისა, და ბოლოს ასპიროზ-ვენუს, სიყვარულისა და შვენიერების ქალღმერთი, ძლიერ ხშირად ვხვდებით ასეთ დახასიათებას მნათობ-ღვთაებათა ბაბილონურ, ასსურულ და უძველეს სუმერულ მწერლობაში.

და, ბოლოს, ჩვენ ზღაპართა მოტივები – ძენბა უკვდავებისა, რასაც „გილგამეშიან“-შიაც ვპოულობთ, ბრძოლა გველ-ვეშაპთან, რაიცა



აგრეთვე ბაბილონური მოტივია, და სხვ. – ესეც უეჭველად გვაკავშირებს ძველ ბაბილონეთთან.

- 6 უმთავრესის მნიშვნელობისა არის გავლენა „გილგამეშიან“-ისა – ეპოსში მოთხრობილ წარღვნის ამბავისა – ურიათა მწერლობაზედ. ცხადია, აქ უკვე „გავლენაზედ“, მოტივის შეთვისებაზედ კი აღარ შეიძლება მსჯელობა, არამედ მოსეს წიგნთა შემადგენელს პირდაპირ შეუტანია წიგნში ურიათა შორის გავრცელებული და მათ მიერ ბაბილონურ მწერლობითგან შეთვისებული ამბავი წარღვნისა, უტ-ნაფიშტიმ გილგამეშს რომ უამბო. შევადაროთ ამ მოთხრობას ურიათა ნოეს მოთხრობა:

ხოლო იხილა რა უფალმან ღმერთმან, ვითარმედ განმრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი ქვეყანასა ზედა, და ყოველი ვინ იგონებს გულსა შინა თვისსა მისწრაფებით ბოროტთა ყოველთა დღეთა; და შეინანა ღმერთმან, რამეთუ შევჰქმნა კაცი ქვეყანასა ზედა და განიზრახა და თქვა ღმერთმან: აღვხოცო კაცი, რომელი შევჰქმენ, პირისაგან ქვეყნისა, კაცთაგან პირუტყვთამდე, და ქვეწარმავალთაგან მფრინველთადმდე ცისათა; რამეთუ შევიანე, რამეთუ შევჰქმენ იგინი. ხოლო ნოე პოვა მადლი წინაშე უფლისა ღვთისა... ნოე, კაცი მართალი, სრულ იყო ნათესავსა შინა მისსა, და სათნო ეყო ნოე ღმერთსა... და ქვეყანა განიხრწნა წინაშე ღვთისა და აღივსო ქვეყანა უსამართლოებითა. და იხილა უფალმან ღმერთმან ქვეყანა, და იყო განხრწნილ, რამეთუ განხრწნა ყოველმან ხორციელმან გზა თვისი ქვეყანასა ზედა. და თქვა უფალმან ღმერთმან ნოეს მიმართ: ჟამი ყოვლისა ხორციელისა მოინია წინაშე ჩემისა, რამეთუ აღივსო ყოველი ქვეყანა უსამართლოებითა მათგან; და აჰა მე განვხრწნი მათ და ქვეყანასა. ჰქმენ უკვე თავისა შენისა კიდობანი ძელთაგან ულპილველთასა ოთხ-კუთხედ; ბუდეებად-ბუდედ ჰქმენ იგი, და მოფისო იგი შინათ და გარეთ ნავითა. და ესრეთ ჰქმენ კიდობანი იგი: სამასი წყრთა სიგრძე კიდობნისა, ერგასის<sup>97</sup> წყრთა სიგრძე და ოცდაათი წყრთა სიმაღლე მისი. შეკრულ ჰყო კიდობანი, და წყრთეულად შეასრულო ზედა კერძო; ხოლო კარი კიდობნისა ჰქმენ იგურდივ; ქვენად საყოფელად ორ სართულებად და სამ სართულებად ჰყო. ხოლო მე მოვხადო რღვნა წყლისა ქვეყანასა ზედა, განხრწნად ყოვლისა ხორცისა, რომლის თანა არს სული სიცოცხლისა ცისა ქვეშე; და რაოდენიცა რაი არს ქვეყანასა ზედა, მოსწყედეს; და დავამტკიცო აღთქმა ჩემი შენთანა... ხოლო შეხვიდე კიდობნად შენ, და ძენი შენნი, და ცოლი შენი, და ცოლნი ძეთა შენთანი შენთანა. და ყოვლისაგან ქვეწარმავალთა და ყოველთაგან მხეცთა, და ყოველთაგან ხორციელისა ორ-ორი ყოველთაგან შეიყვანო კიდობნად, რათა ზრდიდე თავისა შენისა თანა; მამალი და დედალი იყვნენ. ყოველთაგან ფრთოვანთა მფრინველთა, ნათესაობისაებრ მათისა, ყოველნი პირუტყვნი ქვეყანისანი ნათესაობისაებრ, ყოველნი ქვე-



წარმავალნი და ქვე-მძრომნი ქვეყნისანი ნათესაობისაებრ, ორ-ორი ყოველ-  
თაგან შვეიდეს შენთან, ზრდად შენთანა, მამალი და დედალი. ხოლო შენ მიიღო  
თავისად შენისად ყოველთაგან ჭამადთა, რომელთა სჭამთ, და შეჰკრიბო თავისა  
შენისა თანა; და იყოს შენდა და მათდა ჭამად. და ჰქმნა ნოე ყოველნი, რაოდენი  
ამცნო მას უფალმან ღმერთმან, და ეგრეთ ჰქმნა. და თქვა უფალმან ღმერთმან  
ნოეს მიმართ: შევედ შენდა ა ყოველი სახლი შენი კიდობნად, რამეთუ გიხილე შენ  
მართლიად წინაშე ჩემსა ნათესავსა ამას შინა. ხოლო ყოველთაგან საცხოვართა  
წმიდათა შეიყვანე შენთანა შვიდ-შვიდი, მამალი და დედალი. ხოლო პირუტყვთა-  
გან არა წმიდათა ორ-ორი, მამალი და დედალი. და მფრინველთაგან ცისათა  
წმიდათა შვიდ-შვიდი, მამალი და დედალი და ყოველთაგან მფრინველთა არა-  
წმიდათა ორ-ორი, მამალი და დედალი დამარხვად თესლი ყოველსა ქვეყანასა  
ზედა. რამეთუ მერმედ-ლა შვიდი დღენი, და მოვხადო წყლით რღვნა ქვეყანასა  
ზედა ორმეოცთა დღეთა და ორმეოცთა ღამეთა; და აღვხოცო ყოველი აღმდ-  
გომი, რომელი შევჰქმენ, პირისაგან ყოველისა ქვეყანისა. და ქმნა ნოე ყოველნი,  
რაოდენნი ამცნო უფალმან ღმერთმან. ხოლო ნოე იყო ექვს-ასთა წელთა, და  
წყალთა რღვნისა იყო ქვეყანასა ზედა. და შვიდა ნოე და ძენი მისნი მისთანა,  
და ცოლი მისი, და ცოლნი ძეთა მისთანი კიდობანსა მას წყლისათვის რღვნისა.  
და ყოველთაგან მფრინველთა წმიდათა, და პირუტყვთაგან არა-წმიდათა, და  
მხეცთა, და ყოველთაგან ქვე-წარმავალთა ქვეყანის ზედათა ორ-ორი შვეიდეს  
ნოეს თანა კიდობნად, მამალი და დედალი, ვითარცა ამცნო უფალმან ღმერთმან  
ნოეს. და იყო შემდგომად შვიდთა დღესათა, და წყალი რღვნისა იყო ქვეყანასა  
ზედა. ექვსასსა წელსა ცხოვრებისა ნოესა, მეორესა თთვესა, ოცდამეშვიდე-  
სა დღესა თთვისასა, ამას დღესა შინა მოეცნეს წყარონი უფსკრულისანი და  
საქანელნი ცისანი განეხუნეს, და იქმნა წვიმა ქვეყანასა ზედა ორმეოც დღე  
და ორმეოც ღამე. ამას დღესა შვიდა ნოე, სემ, ქამ და იაფეთ, ძენი ნოესნი, და  
ცოლი ნოესი, და სამნი ცოლნი ძეთა მისთანი მის თანა კიდობნად. და ყოველნი  
მხეცნი ქვეყანისანი, ნათესაობით, და ყოველნი საცხოვარნი, ნათესაობით, და  
ყოველნი მფრინველნი, ნათესაობით მისით, ყოველი მფრინვალი, ფრთოსანი. და  
შვიდა ნოესთანა კიდობნად ორ-ორი, მამალი და დედალი, ყოველისაგან ხორცისა,  
რომლისა თანა არს სული სიცოცხლისა. და შემავალი მამალი და დედალი ყო-  
ვისაგან ხორცისა შვიდა, ვითარცა ამცნო ღმერთმან ნოეს. და დაჰხუა უფალმან  
ღმერთმან გარეგან მისსა კიდობანი. და იქმნა რღვნა ორმეოც დღე და ორმეოც  
ღამე ქვეყანასა ზედა, და განმრავლდა წყალი; და აღიღო წყალმან კიდობანი ზედა  
კერძო წყლისა. ხოლო განძლიერდა წყალი ფრიად ქვეყანასა ზედა, და მიმოიტა-  
ცებოდა კიდობანი ზედა წყალთა. ხოლო წყალი აღმალდებოდა ფრიად-ფრიად  
ქვეყანასა ზედა, და დაფარნა ყოველნი მთანი მაღალნი, რომელნი იყვნეს ქვეშე  
ცისა. ათხუთმეტ წყრთა ზედა კერძო აღმალდა წყალი, და დაფარნა ყოველნი



მთანი. და მოკვდა ყოველი ხორცი, მოძრავი ქვეყანასა ზედა, მფრინველნი, და პირუტყვი, და მხეცნი, და ყოველი ქვე-წარმავალი, მოძრავი ქვეყანასა ზედა, და ყოველი კაცი; და ყოველი, რაოდენსა აქეს სული სიცოცხლისა, და ყოველი, რომელი იგი ხმელსა ზედა, მოკვდა. და აღიხოცა ყოველი არსება, რომელი იყო პირსა ზედა ქვეყანისასა კაცთაგან ვიდრე პირუტყვთამდე და ქვე-წარმავლთა; და მფრინველნი ცისანი მოისპო ქვეყანისაგან; და დაშთა მხოლო ნოე და მისთანანი კიდობანსა შინა. და აღმალდა წყალი ქვეყანასა ზედა ას ერგასის დღე. და მოეხსენა ღმერთსა ნოე და ყოველნი მხეცნი, და ყოველნი საცხოვარნი, და ყოველნი მფრინველნი, და ყოველნი ქვე-წარმავალნი, რაოდენნი იყვნენ მის თანა კიდობანსა შინა. და მოაწი ღმერთმან ქარი ქვეყანასა ზედა და მოაკლდა წყალი. და დასწყდეს წყარონი უფსკრულისანი და საქანელნი ცისანი და მოაკლდა წყალი ცისაგან. უკუ-იქცა წყალი, მავალი ქვეყანისაგან, შედგებოდა და შემცირდებოდა წყალი შემდგომად ას ერგასისთა დღეთასა. და დადგა კიდობანი თთვესა მეშვიდესა. ოცდაშვიდსა მის თთვისასა მთასა ზედა არარატისა. ხოლო წყალი მავალი შემცირდებოდა ვიდრე მეათედ თთვემდე. და მეათესა თთვესა პირველსა დღესა თთვისასა გამოჩნდეს თავნი მთათანი. ხოლო იგი შემდგომად ორმეოცთა დღესა, განაღო ნოე სარკმელი კიდობნისა, რომელი ჰქმნა. და განავლინა ყორანი ხილვად, უკეთუ მოაკლდა წყალი; და განსრული არღა კვალად იქცა (\*ორიგინალში: იქით-აქეთ დაფრინავდა), ვიდრე განხმობამდე წყლისა ქვეყანისაგან. და განავლინა ტრედი უკანა მისსა ხილვად, უკეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქვეყანისა. და ვერ მპოვნელი ტრედი განსვენებისა ფერხთა მისთასა, მიიქცა მისსა მიმართ კიდობნად, რამეთუ წყალი იყო პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა, და განყო ხელი მისი, მიიწუა იგი და შეიყვანა იგი თავისა თვისისა თანა კიდობნად. და მერმედ შემდგომად შვიდთა დღეთასა კვალად განავლინა ტრედი კიდობნისაგან; და მოაქცია მისსა მომართ ტრედმან მიმწუხრი; და აქუნდა ზეთის ხილისა რტო ფურცლითურთ პირსა შინა მისსა. და ცნო ნოე, რამეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქვეყანისა. და მერმე დაღაითმინა შვიდ დღე, კვალად განავლინა ტრედი; და არღარა შესძინა მოქცევა მისსა მიმართ მერმე. და იყო ექვსას და ერთსა წელსა ცხოვრებისა ნოესსა, პირველსა დღესა პირველისა თთვისასა, მოაკლდა წყალი ქვეყანისაგან. და აღძარცვა ნოე სართული კიდობნისა, რომელ ჰქმნა, და იხილა, რამეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქვეყანისა. ხოლო მეორესა თთუესა, ოცდაშვიდსა თთვისასა, განხმა ქვეყანა და ჰრქვა უფალმან ღმერთმან ნოეს: გამოვედ კიდობნისაგან შენ და ძენი შენნი, და ცოლნი ძეთა შენთანი; და ყოველნი მხეცნი, რაოდენნი არიან შენთანა, და ყოველი ხორციელი მფრინველთაგან ვიდრე საცხოვართამდე; ყოველი ქვე-წარმავალი, მოძრავი ქვეყანასა ზედა, გამოიყვანე თავისა შენის თანა და აღორძინდით და განმრავლდით ქვეყანასა ზედა. და გამოვიდა ნოე და ცოლი მისი, და ძენი მისნი, და ცოლნი ძეთა



მოსთან; და ყოველნი მხეცნი, და ყოველნი საცხოვარნი, და ყოველი მფრინველი, და ყოველი ქვე-წარმავალი, მოძრავი ქვეყანასა ზედა, ნათესაობისაებრ მათისა, გამოვიდეს კიდობნისაგან. და აღუშენა ნოე საკურთხეველი უფალსა; და მოილო ყოველთაგან საცხოვართა წმიდათა, და ყოველთაგან მფრინველთა წმიდათა, და შეწირნა იგინი ყოვლად დასაწველად საკურთხეველსა ზედა. და იყნოსა უფალმან ღმერთმან: შევინანე, არლარა შევსძინო მერმე წყევად ქვეყანისა, საქმეთათვის კაცთასა; რამეთუ მიდრეკილ არს გული კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა სიჭაბუკით მისით, არლარა შევსძინო უკვე მერმე მოსპოვლად ყოველისა ხორცისა ცხოველისა, ვითარცა ვყავ. და ყოველთა დღეთა ქვეყანისათა თესვა და მკა, ზამთარი და სიცხე, ზაფხული და არე, დღე და ღამე არა მოალკდიან. და აკურთხნა ღმერთმან ნოე და ძენი მისნი, და ჰრქვა მათ:

აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას<sup>86</sup>, და სხვ.

ცხადადა სჩანს, რომ ეს ებრაული წარღვნის ამბავი ბაბილონურია, რომელი ვერსიაც არ უნდა ავიღოთ ამ უკანასკნელისა – სუმერული თუ სემიური. ებრაელთა შორის ბაბილონის ტყვეობამდე იქმნებოდა წარღვნის თქმულება გავრცელებული. ხოლო კავშირი ბაბილონთან რასაკვირველია მათ ბაბილონის მწერლობასაც გააცნობდა, და როდესაც ინერებოდა ეგრედ-წოდებული მოსეს წიგნები, ბაბილონური თქმულება ებრაელ მწერალს პირდაპირ შეუტანია, რასაკვირველია რელიგიურის მიზნით, შეხამებული მთელის წიგნის შინაარსთან და შეცვლილი ებრაულ წარმოდგენათა თანახმად. წმინდა ხელოვნების მხრით რომ გავსინჯოთ, ძლიერ ცუდად აღუსრულებია თვისი საქმე ებრაელ მწერალს: ძნელად შეხვდება კაცი ძველ მწერლობაში იმოდენ ზედ-მეტ და უადგილო განმეორებას, რაოდენსაც წარღვნის ამბის ებრაულ ვერსიაში ვხვდებით; სტილი მძიმეა და უშნო. მაგრამ ეს ადვილი გასაგებიც არის: ბაბილონური ამბავი მხატვრული შემოქმედებაა, სიმღერა ხალხისა, მგოსნისა, ებრაული კი უცხო თქმულების სარწმუნოებრივ, მიზნით გამოყენება მნიგნობრის მიერ.

სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხრითაც საინტერესოა შედარება ბაბილონურ და ებრაულ წარღვნის ამბავთა: ებრაულ მოთხრობაში იაჰვე (ანუ იაჰუ) ჯერ შეინანებს, „რამეთუ შეჰქმნა კაცი ქვეყანასა ზედა“, რადგანაც განმრავლდა ბოროტი და უსჯულოება კაცთა შორის, და ბოროტისა და უსჯულოების დასასჯელად გარდასწყევტს მოსპოს წარღვნით მთელი კაცობრიობა და სულიერნი არსნი ქვეყანაზედ. მხოლოდ მართალ ნოეს, მის სახლობასა და სულიერთა თესლს



გადაარჩენს სიკვდილს, რომ კვლავ გაჩნდეს ცხოვრება წარღვნის შემდეგ. ხოლო კაცობრიობისა და სულიერ არსთა მოსპობის შემდეგ იაჰვე ამბობს: შევინანე, აღარ მოვავლენ მსგავსს რამეს, „რამეთუ მიდრეკილ არს გული კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა სიჭაბუკით მისით“-ო. ამგვარად იაჰვე ჯერ ჰქმნის კაცს „ხატად თვისად“, ეს „ხატი მისი“ კი ისე იხრნება რომ ნოესა და მისის სახლობის გარდა მთელი კაცობრიობა ხდება მოსპობის ღირსი, და იაჰვე თვით „თვისის ხატის“ შექმნის აქტსაც კი შეინანებს, ხოლო შემდეგ, მოსპობს რა კაცობრიობას, თვისის მართლმსაჯულების აქტსაც შეინანებს იაჰვე, რათგანაც კაცი, „ხატი მისი“, „სიჭაბუკით მისით“ არის ბოროტისადმი მიდრეკილიო! მართალია, ეს ნმინდა ებრაული წარმოდგენაა ღვთაებაზედ, მაგრამ მეორე მხრით ნათლადა სჩანს რა პირდაპირი გავლენა ბაბილონურ მოთხრობისა: ებრაულ მოთხრობაში იაჰვეს ბაბილონურ უმთავრეს ღმერთთა ყველა თვისებანი შეუერთებია: ერთს იაჰვეს აქვს ამ მოთხრობაში ბაბილონის მრავალ ღმერთთა როლი. ებრაელთა იაჰვე არის აქ ბაბილონელთა ენლილ, ღმერთი მრისხანე, რომელიც მთელს კაცობრიობას გასწირავს მოსასპობად, რათგანაც ცოდვა და ბოროტი განმრავლდა მათ შორისო. იგი არის ბაბილონელთა ეა, ღმერთი კეთილი, რომელიც ერთს მართალსა და სულიერთა თელს მაინც გადაარჩენს, რომ სულ არ მოისპოს სიცოცხლე ქვეყანაზედ, და ამიტომ აუნყებს კაცს ბოროტი ენლილის გარდანყვეტილებას. იგი არის იშტარ, რომელიც თვის მიერ შექმნილ კაცობრიობის მოსპობას შეინანებს, მაშინ როდესაც ბაბილონურ მოთხრობაში ღმერთებს როლები ბუნებრივად აქვთ განაწილებული: მუდამ მრისხანე და ულმობელი ღმერთი ენლილ მთელ კაცობრიობას სპობს ცოდვათათვის, და თვისის დიდის ავტორიტეტით სხვა ღმერთთაც აიძულებს დაეთანხმონ მისს ულმობელ მსჯავრს, და ბოლოს რისხვის ცეცხლსაც კი ჰყრის, რად გადარჩა ცოცხალი ერთი სულიერი-ცაო; იშტარ, ქალ-ღმერთი სიყვარულისა და შთამომავლობის შექმნისა მიხედვებ თვისს შეცდომას, შეინანებს, რად მივეცი ხმა ასეთ ულმობელ განაჩენს და ჩემ მიერვე შექმნილი კაცობრიობა ბოროტ ენლილს მოვასპობიეო, ატირებს სხვა ღმერთებსაც და გადარჩენილ უტ-ნაფიშტის მიერ შეწირულ მსხვერპლზედაც არ სურს მიუშვას დამნაშავე, ბოროტი ენლილ; დისციპლინის მოყვარე, ომის ღმერთი ნიმურტა ეას გადააბრალებს კაცის გადარჩენას, თუმცა სრულიადაც არ თანაუგრძნობს გულში ენლილის მოქმედებას; ხოლო ეა, ღმერთი მუდამ კეთილი და ბრძენი, მეგობარი ადამიანისა, პირდაპირ უსაყვედურებს ენლილს – დამნაშავე და ცოდვილი დასაჯე მხოლოდ მის საკუთარ დანაშაულთა და ცოდ-





ვათათვის, მთელს კაცობრიობას კი რას ერჩი, ხოლო ახლა მაინც იყავ სულგრძელი და ამ ერთ-ერთ გადარჩენილ კაცს ნუ დაღუპავო, რაიცა გვაჩვენებს უკვე განვითარებულ ზნეობას – პრინციპს ადამიანის პირად პასუხისმგებლობისას, ებრაელთა შორის რომ არასოდეს არ იყო სავსებით შეგნებული, – ებრაელთა მოთხოვნაში ერთ ღმერთზედ გადასულა ეს ურთი-ერთის საწინააღმდეგო როლები, მასში შეერთებულა მოპირისპირე პრინციპები.

უეჭველად საქმე გვაქვს აქ ერთი ერის მწერლობის გავლენასთან მეორე ერის მწერლობაზედ: ებრაელ მწერალს უცხო მოთხოვნა უამბონია ებრაულ კილოზედ!

თვით ებეკიელ წინასწარმეტყველის წიგნში, დავითნში და სხვ. არის კვალი ბაბილონეთში გაგონილ „გილგამეშიან“-ის გავლენისა ებრაულ მწერლობაზედ: როდესაც იქ ვკითხულობთ შიშობილზედ, მხეცზედ, ხმაღზედ, ჭირზედ, ლომზედ, რომლითაც ღმერთი სჯის კაცს ან შეუძლია დასაჯოს იგი ცოდვათათვის და უსჯულოებისათვის<sup>99</sup>, გვაგონდება ეს საყვედური, ენლილისადმი მიმართული, – ნაცვლად წარღვნისა ეს სასჯელნი მოგვევლინა ცოდვილ ადამიანთათვისაო, და სხვ...

7 ბოლოს, საყურადღებოა რამოდენიმე მომენტ გილგამეშის ეპოსში: მომენტ სიკვდილის შიშისა, სიცოცხლის წყურვილისა, ადამიანის სასოწარკვეთილ სურვილისა, როგორმე სძლიოს სიკვდილს, ან შეამცროს საშინელება მისი, და ვერ მიღწევა მიზნისა, საუკუნო თემა ყოფილა მსოფლიო მწერლობისა და როგორც უძველეს საწმუნოებებში, ისე უძველეს მწერლობაში ვხვდებით მას. – მრისხანეა სიკვდილი, შეუბრალებელი, არა არს რა საუკუნო ამ ცხოვრებაში, ძილი და სიკვდილი მსგავსნი არიან ურთი-ერთისა – არარაობა, შეუძლებელია გარდმოცემა სიკვდილისაო – ეუბნება უტ-ნაფიშტი გილგამეშს. გილგამეშმა ეს იცოდა და სწორედ ამისათვის გაიჭრა უკვდავების საძებნელად, თვით ქვეყნის კიდეს მიაღწია და ნახა უტ-ნაფიშტი, მაგრამ მაინც ვერ მოიპოვა უკვდავება. – მზის ღმერთიც აფრთხილებს გილგამეშს:

„სად მიისწრაფი, გილგამეშ? – ეუბნება ერთ ვარიაგტში გილგამეშს შამაშ – ცხოვრებას, შენ რომ ეძიებ, მაინც ვერ ნახავ!“ გილგამეშ მაინც არა სცხრება:

„მე რომ საცოდავად დავეხეტები ამ ქვეყანაზედ, განა ვარსკვლავებმა იკლო? მთელი წლობით თითქოს ძილში ვიყავ, ხოლო ახლა მსურს ვიხილო მზე, მსურს გავძღე სინათლითა! ბნელი დაფარულია, ხოლო ნათელი დიდი! როდის უნდა ნახოს მიცვალებულმა ბრწყინვალეობა მზისა?“-ო, ამბობს გილგამეშ. – მეღვინე-ქალი კი, როგორც ტექსტიტგან ვიცით, ეუბნება გილგამეშს:



ცხოვრებას, შენ რომ ეძიებ, მაინც ვერ ნახავ! ოდეს ღმერთებმა კაცი შექმნეს, კაცობრიობას სიკვდილი დაუნერეს, ცხოვრება კი თავისთვის დაიტოვეს. ამიტომ, სვი და ჭამე, დღე და ღამ ილხინე და გაიხარე ცოლ-შვილითაო!

იმავე კილოსა ვხვდებით მეორე უძველეს მწერლობაში – ეგვიპტურში:

ვინც პიტალო ქვისაგან აშენებდა და პირამიდის დარბაზს აწყობდა, ვინც შეენიერება შექმნა ამ შეენიერი საქმითა, მათი სამსხვერპლონიც ისევე დაცალიერდებიან მათის სიკვდილის შემდეგ და მათაც იგივე ბედი ეწევა, რაგვარიც დაღლილთა, უპატრონოდ რომ იხოცებიან და შთამომავლობასაც არ სტოვებენ-ო, ამბობს ერთი პესსიმისტი მგოსანი ეგვიპტის შუა-ხნის სამეფოსა (2160-1780 ქრ. წ.). ხოლო მეორე მგოსანი ახალი ხანის სამეფოსა (1580-1100 ქრ. წ.), აღნიშნავს რა ამაოებას ცხოვრებისა, აუცილებლობას სიკვდილისა, მისს საიდუმლოებას, ამბობს:

იყავ მხიარულ, დაავიწყე გულს, რომ აუცილებელი სიკვდილი მოგელის. მიჰყევ გულის წადილს, სანამ ცოცხალ ხარ. დაიდევ თავზედ სუნელებანი, ჩაიცვი ნმიდა სამოსელი და იცხე ნამდვილი საღმრთო ნელ-საცხებელი. განამრავლე, რაიცა გაქვს კეთილი და ნუ დაჰლი გულსა შენსა. მიჰყევ გულის-წადილსა და მიანიჭე კეთილი თავსა შენსა. რაიცა გჭირდება ამ ცხოვრებაში, შეასრულე და ნუ ჰგვემავ გულსა შენსა, სანამ არ მიუახლოვდები გოდების დღესა... გოდებას კი არავინ გაუცოცხლებია! გაატარე დღე მხიარულად და ნუ დაგლის დღე ესე ლხინისა. თვისი სიმდიდრე არავის წარულია საიქიოს, არც არვინ დაბრუნებულა ამ ქვეყნად, ვინც საიქიოს გამგზავრაბულა-ო<sup>100</sup>, და სხვ.

ასეთივე კილოთია გამოთქმული ეკლესიასტეს ეგვიპტური პესსიმში:

გულისხმა ვყავ, რამეთუ არა არს კეთილი მათ შინა, არამედ გარნა რომელ იხაროს, და რომელმან ჰქმნას კეთილი ცხოვრებასა შინა თვისსა, რამეთუ ყოველმან კაცმან, რომელმან ჭამოს და სვას, და იხილოს კეთილი ყოველსა შინა შრომასა თვისსა, ესე ნიჭი ღვთისა არს-ო. – რამეთუ ყოველისა კაცისა, რომელსა მისცა ღმერთმან სიმდიდრე და საქონელი, და ხელმწიფება მისცა მას ჭამად მისგან, და მიღებად ნაწილსა თვისსა, და მხიარულ ყოფად ნაშრომითა თვისითა, ესე ნიჭი ღვთისა არს-ო.



შემდეგი ადგილი ეკვლეზიასტეს „ამაოების“ ფილოსოფიისა კიდევ უფრო გვაგონებს ხსენებულ ეგვიპტელ მგოსნებსა და „გილგამეშიან“-ს:

რამეთუ ძალღი ცოცხალი და იგი უკეთეს უფროს ლომისა მკვდრისა. ვინათ-გან ცოცხალნი სცნობიან, რამეთუ მოკვდებიან, ხოლო მკვდარნი არა არიან მეცნიერ არა რა-სა, და არა არს მათდა მერმეცა სასყიდელი, რამეთუ დავიწყებულ არს სახსენებელი მათი და სიყვარული მათი, და სიძულვილი მათი და შური მათი ეგერა წარწყმდა, და ნაწილი მათი არა არს მერმე საუკუნოდ ყოველსა შინა ქმნულსა მზესა ქვეშე. მოვედ და ჭამე სიხარულსა შინა პური შენი, და სუ გულსა კეთილსა შინა ღვინო შენი. რამეთუ ეგერა სათნო იჩინა ღმერთმან ქმნილი შენი. ყოველსა შინა ჟამსა რათა იყვენ სამოსელნი შენი სუტაკა და ზეთი თავსა ზედა შენსა რათა ნუ მოგაკლდები. და იხილე ცხოვრება დედა-კაცისა თანა, რომელი შეიყვარე ყოველთა შინა დღეთა ცხოვრებისა ამაოებისა შენისათა, რომელი მოგეცა შენ მზესა ქვეშე, ყოველსა დღესა ამაოებისა შენისა, რამეთუ ესე ნაწილ არს შენდა ცხოვრებასა შინა შენსა, და შრომასა შინა შენსა, რომელსა შენ შვრები მზესა ქვეშე. ყოველი, რაოდენი უკეთუ პოვნეს ხელმან შენმან ქმნად, ვითარცა ძალ-გედვას, ქმენ, რამეთუ არა არს ქმნილი და გულის-სიტყვა და მეცნიერება და სიბრძნე ჯოჯოხეთსა შინა, სადაცა შენ შთახვალ მუნ-ო.

მაგრამ ეკვლეზიასტეს „ამაოება“ უმწვერვალეს ხარისხს აღწევს, ოდეს იგი ამბობს, რომ კაცი და პირუტყვი არ განირჩევიან ურთიერთისაგან, რათგანაც:

ვითარცა სიკვდილი მისი, ეგრეთ სიკვდილი ამათი, და სული ერთი ყოველთა შინა, და რათა უმეტეს აქვს კაცს პირუტყვთა? არარა! რამეთუ ყოველი ამო: ყოველნი მივლენ ადგილსა ერთსა შინა, ყოველნი შეიქმნენ მინისაგან და ყოველნი მიიქცევიან მიწადვე. და ვინ უწყის, სული ძეთა კაცთასა, უკეთუ იგი აღვალს მაღლა, და სული საცხოვართა, უკეთუ შთავალს იგი დაბლა ქვეყანად? და ვიხილე, რამეთუ არა არს კეთილი, არამედ გარნა რომელ იხაროს კაცმან ქმნილთა თვისთა ზედა, რამეთუ ესე ნაწილი მისი. ვინათგან ვინ მოიყვანოს იგი ხილვად მისა, რომელიცა იქმნებიან შემდგომად მისა-ო<sup>101</sup>, და სხვ...

საუკუნო, იგივე შიში სიკვდილისა და ბოლოს ძლევა მისი მით, რომ ლხინით დაივიწყოს კაცმა უკანასკნელი დღე! მთელს ძველსა და ახალს მწერლობაში ვხედავთ ამას და თვით უძველეს პოეზიაშიც ყოფილა იგი. „ვეფხისტყაოსანში“-აც არის იგი მრავალ ადგილას, მრავალ-ფეროვნად



გამოხატული, როგორც ყველა დროის ყველა ხალხთა მწერლობაში, და ვერც ეგვიპტეში უაღრესად განვითარებულმა რწმენამ საიქიო ცხოვრებისა, ვერც ქრისტიანულმა რწმენამ სულის ცხოვრებისა, – ვერავითარმა სარწმუნოებამ ვერ განუქარწყლა ადამიანს ეჭვი, რომ სიკვდილი უარ-ყოფაა სიცოცხლისა და მისი საშინელების შემსუბუქება შეიძლება მხოლოდ ამ ქვეყნიური სიამოვნებითა და კეთილითა.

მაგრამ ქვესკნელითგან ამოსული სული ენკიდუსი იმასაც აუწყებს გილგამეშს, რომ ვინც ბრძოლაში არ მომკვდარა, იგი ნაკლების პატივით არის მოსილი საიქიოსო, ხოლო ვინც ბრძოლაში მომკვდარა, მას მეტი პატივი აქვს, მას არ აკლია მზრუნველობა მშობელთა და მეუღლისაო. აქ კი იგივე საუკუნო იმედი საიქიო ცხოვრებისა, შეურიგებლობა სიკვდილთან, და ამასთანავე იმედი ამ ქვეყნად მოვალეობის აღსრულებით საიქიოს ბედნიერების დამკვიდრებისა, – ზნეობრივი მომენტი, რომელიც აგრეთვე გვხვდება ყველა სარწმუნოებაში და მსოფლიო მწერლობაშიაც! რუსთაველი გვეუბნება: ვინც მეფეთათვის, ე. ი. სამშობლოსათვის კვდება, „სულნი მათნი ზეცას რბიან“-ო, და ჩვენი დიდი მგოსანი, მართლაც, მართო ლხინით კი არ გვირჩევს დავივინყოთ აუცილებელის სიკვდილის საშინელება.

სწახდა ენკიდუს სული, რომ ბრძოლაში არ მომკვდარა და ამიტომ პატივი მოაკლდა მას საიქიოს, – ეს პირველ-ყოფილი მხეც-კაცა, გმირი უძველეს ეპოსისა მსოფლიო მწერლობაში, და სწამს რუსთაველსაც – მოვალეობის აღსრულებელის სული ზეცას რბისო. და ეს მცნება ძველია და თან სამარადისო: გილგამეშის დროითგან რუსთაველამდე, რუსთაველის წინად და შემდეგ, სანამ იქმნება კაცობრიობა, მას ჰქონდა, აქვს და ყოველთვის ექმნება ღირებულება: იგი კანონი ყოფილა კეთილშობილთა ცხოვრებისა.

ნახევრად მაინც ნუგემის-ცემულ უნდა დარჩენილიყო გილგამეშ ენკიდუს სულის უწყებით: თუ მისი საყვარელი მეგობარი საიქიოს ვერ იქმნებოდა ღირსეულად დაჯილდოვებული, რათგანაც ამ ქვეყნად ბრძოლას ერიდებოდა და „ბრძოლის ველზედ არ დაცემულა“, სამაგიეროდ გილგამეშს ეუნყა გზა საიქიოს ბედნიერების მოპოვებისა ბრძოლის ველზედ სიკვდილითა, იგი არ ერიდებოდა ბრძოლას, არამედ ამბობდა: მოვკვდები, მაგრამ სამარადისო სახელს მოვიხვეჭო! თუ საიქიოს უკვდავება ვერ მოიპოვა, სახელი ხომ მოიხვეჭა ამ ქვეყნად, ხოლო იმ ქვეყნად მას შეეძლო მოეპოვებია მშვიდი განსვენება სიცოცხლეში მოვალეობის აღსრულებით, „ბრძოლის ველზედ დაცემით“, – „სახელის მოხვეჭით“.



ურია ისო ზირაქი გვიჩვენებს:

იზრუნე სახელისათვის, რამეთუ იგი დაადგრების შენდა უფროს ათასთა დიდთა საუნჯეთა ოქროისათა. კეთილი ცხოვრება რიცხვნი დღეთანი, და კეთილი სახელი უკუნისამდე დაადგრების-ო. – უმჯობეს სიკვდილი, ვიდრეა თხოვნა-ო, დას ხვ.

და რუსთველმაც ესე დაგვარიგა:

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა-ო;

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი-ო;

და ესე უძველეს დროითგან ყოფილა უკვდავების შესატყვისი საა-ქაოს და ბედნიერების პირობა საიქიოს, – ზნეობრივი ცხოვრება, მოვალეობის აღსრულება ამ ქვეყნად!

## ჯანმარცხებანი

- 1 ქალაქი სამხრეთ ბაბილონეთში.
- 2 ტაძარი ცის ღმერთის ანუ სა ქ. ურუკში.
- 3 ე. ი. აკრძალა ქორწინებანი.
- 4 ერისა.
- 5 ცის ღმერთს, ანუს.
- 6 ცის ღმერთი.
- 7 შემქმნელი დედა.
- 8 გილგამეშისა.
- 9 ერთი ომის ღმერთთაგანი, ვარსკვლავი სატურნი.
- 10 ხორბლის ღვთაება, ჰურის თავ-თავი.
- 11 ნადირის დასაჭერი.
- 12 მეძავ ქალს.
- 13 სიყვარულის ქალ-ღმერთი, ვარსკვლავი ვენუსი. ურუკი იყო ანუ სა და იშტარის კულტის დიდი ადგილი.
- 14 ეუბნება მეძავი ქალი.
- 15 გილგამეშს ეწოდება „მეგობარი მწუხარებისა“, რათგანაც მან ქალაქის ზღუდეთა აშენების დროს ერი შეაწუხა გადაჭარბებული სიმკაცრითა.
- 16 მზის ღმერთი.
- 17 მიწის ღმერთი.
- 18 წყალთა ღმერთი, ღმერთი სიბრძნისა, კაცთა მეგობარი და შემწე.



- 19 დედა გილგამეშისა.
- 20 ელამური სახელია.
- 21 სამოცი მანა (გირვანქა); იხ. 34.
- 22 გილგამეშის დამცველი ღვთაება.
- 23 ორი საათის სავალი.
- 24 გილგამეშს.
- 25 ერთი ფორმათაგანი იშტარისა.
- 26 გილგამეშმა.
- 27 მცენარეულობის ღმერთი, რომელიც პერიოდულად კვდებოდა და ცოცხლდებოდა.
- 28 ფრინველია.
- 29 ბაბილონურად: ფრთაო ჩემო!
- 30 ცის ღმერთის, ანუს მეუღლე.
- 31 შიმშილს.
- 32 ზეცის ხარის ბარკალზედ.
- 33 ზეცის ხარისა.
- 34 ბაბილონური მანა (გირვანქა)=505 გრამმს, დიდი ასსურული მანა=1010 გრამმს.
- 35 გილგამეშმა.
- 36 გილგამეშმა და ენკიდუმ.
- 37 ქვესკნელის ღვთაება.
- 38 განსაკუთრებული კლასის ბაბილონის სამღვდელოებისა.
- 39 მითოლოგიური პიროვნება, არნივს რომ შეაჯდა ზურგზედ და აფრინდა ცაში.
- 40 პირუტყვთა ღმერთი.
- 41 „მინდვრის დედოფალი“.
- 42 =მე, ე. ი. ენკიდუ.
- 43 გილგამეშმა.
- 44 მთვარე, მთვარის ღმერთი.
- 45 გილგამეშ.
- 46 ეს ადგილი გაუგებარია.
- 47 სამ დღეს გაუვლიათ თვე-ნახევრის გზა.
- 48 ე. ი. ვაკეთებთ საქმეს სამარადისოდ?
- 49 ქვესკნელის სულნი.
- 50 ქვესკნელის ღმერთნი.
- 51 ტაროსის ღმერთი ადად.
- 52 ე. ი. სიგანე.



- 53 საზომი ფხვიერ ნივთიერებათა.
- 54 ზემოთ დავინახეთ, რომ ეამ დაუნიშნა დრო. თქმულებას სხვა და სხვა სახე ჰქონია.
- 55 მეხომალდეს ერთის ვერსიით ურ-შანაბი ერქვა, კიდე სხვა ვერსიით – სურ-სუნაბუ.
- 56 ტაროსის ღმერთი.
- 57 ღმერთთა მოციქულები.
- 58 ქვესკნელის ღმერთი.
- 59 მდინარეთა.
- 60 ცის მიმართულების ანგარიშია.
- 61 ტიგროსსა და ქვედა ზაბს შუა.
- 62 იშტარ.
- 63 ცის სულები.
- 64 უტ-ნაფიშტი.
- 65 ჭირის ღმერთი.
- 66 ეპითეტი უტ-ნაფიშტისა: ბაბილ. ხასის-ატრა.
- 67 ე. ი. გარდასწყვიტე ბედი მისიო.
- 68 ეა, ან შეიძლება თვით ენლილ.
- 69 გილგამეშ.
- 70 გილგამეშ.
- 71 უტ-ნაფიშტი.
- 72 გილგამეშს: ე. ი. მოაჯადოვა იგი (?).
- 73 ეს ადგილი გაუგებარია; ხოლო აზრი ის უნდა იყოს, რომ უკვე გარდაწყ- და შეუძლებლობა გილგამეშის მიერ უკვდავების მოპოვებისა.
- 74 სიკვდილს.
- 75 ზღვისას.
- 76 გაუგებარია.
- 77 ბალახი.
- 78 ქალაქ ურუკისა.
- 79 მკვდართა ქალ-ღმერთი.
- 80 ჭირის ღმერთი, ჭირი.
- 81 ქვესკნელისა და ჭირის უზენაესი ღვთაება, უმთავრესი ღმერთი ომისა, ვარსკვლავი მარსი.
- 82 ნერგალის დარაჯი.
- 83 გილგამეშმა.
- 84 ქალაქი სუმერეთში, დღევანდელი ნუფფარ.
- 85 სუმერთა იშტარ.



- 86 სუმერულად: ცი=სიცოცხლე, უ(დ)=დღე, სუდ(უ)=გრძელი; ცი-უ-სუდუ= „სიცოცხლის-დღე-გრძელა, რაის პიდაპირი თარგმანია ბაბილონური უტ(ა)-ნაფიშტი(მ).
- 87 ენკის.
- 88 კედელს.
- 89 უტუ-სუმერთა მზის ღმერთი, ბაბილ.-ასსურ. შამამ.
- 90 კუნძული იყო სპარსეთის ყურეში.
- 91 იხ. ჩემი „ხეთის ქვეყანა“ და სხვ., გვ. 13,53; გერმანული თარგმანი ვერსიათა ნაწყვეტებისა . Ungnad: Gilgamesh-Epos und Odyssee (Kulturfragen, Heft 4/5. Breslan 1923).
- 92 იხ. E.Rohde.
- 93 იხ. განსაკუთრებით A. Ungnad: op.eit...
- 94 იხ. Ed. Norden: Die Germanische Vorgeschichte in Tacitus Germania.
- 95 იხ. „ვეფხისტყაოსანი“ (ი. აბულაძის გამოცემა) 51,224, 589, 592, 594-596, 857.
- 96 „ვეფ.ტყ.“ 892-894.
- 97 ერგასი – 50 (ნახევარი 100-ისა).
- 98 მოსე I, 65-91.
- 99 ეზეკიელ 5,19 და სხვ.
- 100 იხ. Ad.Erman: Die Literatur der Egupter.
- 101 ეკკლეზიასტე 3,12-13; 5,17; 9,4-10; 3, 19-22. 102. ისო ზირაქი: 41, 15-16; 40, 29.

## დამატება

შვიდი ვარსკვლავის სახელები გვხვება როგორც შვიდეულის დღეთა სახელწოდებანი. ევროპაში საბერძნეთითგან და რომითგან არიან იგინი შესულნი. საქართველოში შვიდი ვარსკვლავი და შეიძლება შვიდეული და მათი დღეთა წოდებაც მნათობ-ღვთაებათა სახელით ალბათ ბერძენ-რომაელთა გავლენის წინადაც იყვნენ შემოსულნი პირდაპირ ბაბილონითგან, ან ხეთელთა შუა-მავლობით. თვით ბერძნებს ეუნყათ ბაბილონური ვარსკვლავთ-მრიცხველობა ალბათ ჯერ კიდევ ხეთელთაგან\*.

საუბედუროდ წმიდა ქართული სახელები შვიდეულ დღეთა დაკარგულია. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: შაბათი: ქართულად შაბათისა სახელი არს კრონოსისა, კვირიაკისა მზისა, ორშაბათისა – მთოვარისა, სამშაბათისა – არეასი, ოთხშაბათისა – ერმისა, ხუთშაბათისა – აფროდიტისა (უნდა იყოს: დიოსისა), პარასკევისა – დიოსისა





(უნდა იყოს: აფროდიტისა): ე. ი. კვირა – მზის დღე, ორშაბათი – მთვარისა, სამშაბათი – არესისა=მარსისა, ოთხშაბათი-ჰერმესისა=მერკურისა, ხუთშაბათი – ძევსისა=იუპიტერისა, პარასკევი – აფროდიტისა=ვენუსისა, შაბათი – კრონოსისა=სატურნისა, ბერძნულითგან არის გვიან გადმოღებული ეს სახელები, და პირდაპირ ეთანხმება ლათინურითგან გადაღებულ ფრანგულ, იტალიურ და სხვ. სახელთ შვიდეულის დღეთა და აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ და სხვ. სახელთ, რომელნიც ბერძენ-ლათინთა და ბაბილონელთა მნათობ-ღმერთების შესატყვის ღვთაებათა სახელნი არიან. – მეგრულად და სვანურად კი დარჩენილან სახელნი შვიდეულის დღეთა:

მეგრ. ჟაშხა (ბჟაში დღა)=მზის დღე=სვან. მიშლადეღ=კვირიაკე; მეგრ. თუთაშხა (თუთაში დღა)=მთვარის დღე= მთვარის დღე=სვან. დოშდიშ=ორშაბათი; მეგრ. თახაშხა (თახაში დღა)=?=სვან. თახაშ.=სამშაბათი; მეგრ. ჯუმაშხა (ჯუმაში დღა)=?=სვან. ჯომაშ=ოთხშაბათი; მეგრ. ცაშხა (ცაში დღა)=ცის დღე=სვან. ცაშ=ხუთშაბათი; მეგრ. ობიშხა (ობიში დღა)=?=სვან. ვობიშ=პარასკევი; მეგრ. (საბიტონი)=სვან. (საფტინ)=შაბათი.

შეად. მაგ. ფრანგ. (Dimanche), Lundi – მთვარის დღე, Mardi – მარსის დღე, Mercredi – მერკურის დღე, Jeudi – იუპიტერის დღე, Vendredi – ვენუსის დღე, Samedi – შაბათი; ინგლ. Sunday – მზის დღე, Monday – მთვარის დღე, Tuesday – გერმ. მარსის დღე, Wednesday – გერმ. მერკურის დღე, Thursday – გერმ. იუპიტერის დღე, Friday – გერმ. ვენუსის დღე, Saturday – სატურნის დღე, და სხვ. უეჭველია ხდება, რომ მეგრ.-სვან. თახა არის მარს, ბაბ. ნერგალ, ჯუმა-მერკურ, ბაბ. ნაბუ, ობი, ვობი – ვენუს, ბაბ. იშტარ, რადგანაც მზე=ბაბ. შამაშ, მთვარე – ბაბ. სინ. ცა – ძევს-იუპიტერ, ბაბ. მარდუკ, და საბატონი, საფტინ, რომლის სვან.-მეგრ. სახელი დაკარგულია, უდრის კრონოსს, სატურნს, – ბაბ. ნიმურტას, რომლის სახელის შესატყვისიც მას უეჭველად ექმნებოდა. ხოლო რას ნიშნავს სიტყვები თახა, ჯუ/ომა და (ვ)ობი და რაგვარ აღნიშნავენ იგინი მარსს, მერკურს და ვენუსს, ან რომელსამე მათს ეპითეტს, – სხვა საკითხია და ამის გამოკვლევისაგან ფრიად საინტერესო შედეგებს უნდა მოველოდეთ.



# ლექსიკონი



## ენნედუანას პოეზია

- ინანა და ებიხი
- ინანა მეცხრე ცაზე
- ქალბატონი – სამყაროს გული

### A

- a (არს.) წყალი I 16, 178, 179; III 55, 253;  
 a-a (არს.) მამა I 65, 167; II 52;  
 a-ba (ნაცვ.) ვინ II 16, 38, 42, 59; III 15, 53, 179, 217, 256, 257;  
 a-da-al (ზმნიზ.) ახლა II 76;  
 a-gar<sub>3</sub> (არს.) მინდორი, ველი I 76;  
 a-gin<sub>7</sub> (ზმნიზ.) ქცევა, შესტი I 89; II 115;  
 a-ḫa-an (არს.) თევზის სახეობა III 65;  
 a-la (არს.) ბარაქა I 151;  
 a-ma-ru (არს.) წარღვნა II 11, 78;  
 a-na (ნაცვ.) რა? რომელი? I 113, 114, 115; II 92; (ოდესმე) III 183, 246;  
 a-niḡin<sub>2</sub> (არს.) წყალსაცავი, არხი I 47, 106;  
 a-nir (არს.) გოდება ჩივილი I 164; II 25, 33, 97, 98; III 90, 197, 251;  
 \*a-nun-na – ანუნა 88, I 117; II 34, 113, 115, 116; III 1, 5, 12, 73, 104, 185;  
 a-ra-zu (არს.) ვედრება; II 81;  
 a-ra<sub>2</sub> (არს.) გზა III 255;  
 a-sur-ra (არს.) მიწისქვეშა წყალი III 65;  
 a-ša-an-gar<sub>3</sub> (არს.) სიცრუე, სიყალბე III 157;  
 a-šag<sub>6</sub> (არს.) ველი, მინდორი III 33, 34;  
 a-tar (არს.) დაცივნა, ქილიკი III 159;  
 a<sub>2</sub> (არს.) მკლავი, ტოტი I 6, 12, 37, 38, 71, 76, 79, 85, 96, 97, 140, 146, 161, 162, 168, 169; II 17, 19, 27; III 6, 156, 199;  
 a<sub>2</sub>-an-kar<sub>2</sub> (არს.) იარაღის სახეობა I 2;  
 a<sub>2</sub>-ḡal<sub>2</sub> (ზედ.) ძლიერი, ჯანმრთელი III 4;  
 a<sub>2</sub>-sag<sub>6</sub> (არს.) ბაგირი, თოკი I 42, 101;  
 a<sub>2</sub>-tuku (ზედ.) ძლიერი, ყოვლისშემძლე, რაინდი II 48; III 112-13;  
 a<sub>2</sub>-ur<sub>2</sub> (არს.) გაჩერება III 13;  
 ab (არს.) ნაპრალი II 105;  
 ab-bi (არს.) მნიშვნელობა უცნობია III 206, 264;  
 absin<sub>3</sub> (არს.) ხნული, კვალი; III 34;  
 abula (არს.) ქალაქის გალავანი, ჭიმკარი; I 78; II 44;  
 ad (არს.) აზრი, ხმა II 56;  
 ad<sub>6</sub> (არს.) გვამი II 127;  
 aga (არს.) გვირგვინი I 122; II 4, 107; III 142;  
 aḡ<sub>2</sub> (ზმ.) გაზომვა, შეფასება II 2, 4, 18,



19, 109, 111, 121, 136; III 6, 93, 135, 156, 199, 258;

ak (ზმ.) კეთება, შესრულება I 3, 30, 31, 32, 33, 43, 57, 92, 102, 113, 114, 115, 130, 140, 171, 175; II 116; III 7, 20, 58, 69, 81, 83, 84, 126, 184, 212, 214;

al (არს.) სურვილი, გნება I 113, 114, 115;

<sup>ა</sup>al-la-nu-um (არს.) რკო, მუხა I 148;

<sup>ა</sup>alad (არს.) მფარველი სული III 123;

am (არს.) გარეული ხარი I 8, 125, 161; III 25;

ama (არს.) დედა II 61, 96, 150;

am-si (არს.) სპილო I 160;

an (არს.) ცა, ზეცა I 7, 10, 13, 25, 26, 64, 66, 67, 75, 89, 90, 91, 120, 22, 156; II 3, 12, 123; III 3, 68, 71, 94, 96, 100, 102, 105, 126, 179, 183, 206, 209, 210, 214, 217, 265;

an – ან-ი, ცა, I 49, 61, 62, 65, 66, 79, 82, 86, 108, 112; II 2, 14, 15, 19, 59, 75, 76, 85, 86, 93, 94, 109, 121, 136, 153; III 3, 6, 14, 35, 69, 93, 97, 106, 107, 113, 181, 199, 200, 201, 202, 203, 205, 216, 258, 265;

an-ba (არს.) ნაყარი, გროვა III 60;

an-bar (არს.) ცის კიდე; I 68;

an-bar, (არს.) შუადღე II 141; III 49, 177;

an-edin (არს.) ველი, მდელო III 36;

an-pa (არს.) ზეცა, მწვერვალი II 112;

an-ta (არს.) მეგზური, თანამგზავრი III 116;

an-ti-bal (არს.) სიმბოლო, ნიშანი I 69;

an-ur<sub>2</sub> (არს.) ჰორიზონტი; II 111;

an-usan (არს.) სალამო, მწუხრი I 59;

ar<sub>2</sub> (არს.) ქება, ხოტბა III 214;

arḥuš (არს.) თანაგრძნობა, თანადგომა III 244, 4252;

aratta<sup>ა</sup> (გეოგ.) არათას ქვეყანა; I 48, 107;

asila (არს.) დღესასწაული II 68;

<sup>ა</sup>aš-im<sub>2</sub>-babbar<sub>2</sub> – აშიმ-ბაბარი, მთვარის ღმერთის ძვ. შუმ. სახელი II 84, 102;

aš<sub>2</sub> (არს.) წყევლა I 147, 149;

**B**

ba (ზმ.) საკუთრად ქონა, აღსრულება II 153; III 175;

ba-an-gi<sub>4</sub> (არს.) მიზღვა, მიგება III 158;

ba-da-ra (არს.) გალესილი მახვილი, პირი I 173; II 108;

ba-ra-aḥ (არს.) ბრძოლა III 28;

bad (ზმ.) გახსნა, III 139, 176;

bad<sub>3</sub> (არს.) კედელი III 62;

bal (ზმ.) შეცვლა, შებრუნება, უკუქცევა I 131, 175; III 29, 88, 122, 126, 198;

balaḡ (არს.) მუსიკალური საკრავი II 33;

ban<sub>3</sub>-da (ზედ) უმცროსი II 114;

bar (ზმ.) გვერდზე ყოფნა I 85, 137; II 83; III 14, 31, 54, 124, 176, 184, 252; (არს.) გარე, გვერდი I 145, 149, 165; III 56, 89;

barag (არს.) კვარცხლბეკი, ტახტი, დიდება II 135; III 99, 260;

bar, (ზმ.) დანვა II 13;

bi-ri-ig (ზმ.) შექმუხვნა (სახის) III 158;

biluda<sup>ა</sup> (ზმ.) რიტუალის სახეობა II 16;

bil<sub>2</sub> (ზმ.) მხურვალეობა, დანვა II 70;

bir (ზმ.) გაფანტვა III 61;

bir<sub>5</sub> (არს.) კალია I 76;

busuḡ (ზმ.) გაფურჩქვნა I 10;

bur<sub>2</sub> (ზმ.) გათავისუფლება II 57, 120; III 25, 92, 203;

buru<sub>3</sub> (ზმ.) შელწევა I 86;

**D**

da (არს.) გვერდი, მხარი III 21;

dab<sub>5</sub> (ზმ.) ალყაში მოქცევა, შეპყრობა, ჩაჭიდება I 160; II 91, 142; III 9, 13, 65, 109, 117, 201;

dadag (ზმ.) ბრწყინვა, კაშკაში II 120; III 177;

dag (ზმ.) ხეტიალი I 84; III 78;

daḡal (ზმ.) ფართედ ყოფნა, სიფართო I 12; II 124; III 32, 49, 155;

dal (ზმ.) ფრენა II 35, 105;

<sup>ა</sup>dal-ha-mun (არს.) მტვრიანი ქარი, ქარბორბალა III 21;



dalla (ზმ.) კაშკაში II 1; III 209;  
dam (არს.) ცოლი II 55, 141; III 79, 135;  
(ზმნიზ.) III 135;  
dar (ზმ.) გახლეჩა, გაპობა, გაყოფა,  
გახეთქვა I 3; III 21, 118;  
de<sub>2</sub> (ზმ.) დაღვრა I 152; II 45, 126; III 47/8;  
de<sub>5</sub> (ზმ.) შეგროვება III 182, 247;  
de<sub>6</sub> (ზმ.) ტარება I 40, 58, 99; II 42, 46, 59;  
III 61, 156;  
di (არს.) კანონი, სამართალი II 83, 100,  
102, 117;  
dib (ზმ.) აცდენა, უზენაესობა III 2, 212,  
213, 214;  
diḡir (არს.) ღვთაება I 87, 112, 116; II 64,  
87, 34, 115; III 4, 9, 11, 32, 70, 109, 182,  
183, 217, 259;  
dili (ზედ.) ერთი III 12, 71, 96, 182, 210, 218;  
dili-us<sub>2</sub> (არს.) თანამგზავი III 116;  
dim<sub>2</sub> (ზმ.) გაკეთება, აღსრულება I 151;  
III 58 2x, 119, 138;  
dim<sub>3</sub> (ზმ.) უნუგეშობა III 116, 137;  
dirig (ზმ.) უზენაესობა I 88, 171; II 42, 59,  
61, 115, 139; III 15, 98, 113, 122, 18;  
du<sub>3</sub> (ზმ.) აშენება, აგება, აღმართვა,  
შექმნა, I 47, 171; III 30, 49, 63, 138, 199;  
du<sub>6</sub> (არს.) ნანგრევი, ყრილი II 35; III 16;  
du<sub>7</sub> (ზმ.) სისრულეში მოყვანა, დამ-  
თავრება I 2; II 108; III 8;  
du<sub>8</sub> (ზმ.) გავრცელება, დახუნძვლა I 117,  
121; III 50, 79, 172, 214; II 75, 76;  
du<sub>14</sub> (არს.) აღრევა, ქაოსი III 162;  
dub (ზმ.) გროვად მოქუჩება II 136;  
dub-dad<sub>5</sub> (n:ideophone) გრგვინვა I 145;  
dub<sub>2</sub> (ზმ.) კანკალი I 81, 83; III 17, 52, 90,  
115, 178, 262;  
dub<sub>3</sub> (არს.) მუხლი III 137;  
dug<sub>2</sub> (ზმ.) კარგად ყოფნა, სიკარგე I 22; II  
82, 147; III 135 2x, 274;  
dug<sub>3</sub> (ზმ.) თქმა, ლაპარაკი, I 4, 22, 55, 60,  
61, 65, 113, 114, 115, 122, 126, 135, 147,

166; II 5, 15, 33, 51, 52, 53, 55, 63, 64, 65,  
68, 72, 75, 76, 81, 83, 102, 103, 108, 119,  
122, 134, 136, 139, 140, 151, 152; III 20, 62,  
139, 157 2x, 158, 159, 170, 178, 199, 202,  
203, 205, 206, 207, 208, 218, 258, 261, 262;  
dugud (ზმ.) დამძიმება III 12, 158;  
dul (ზმ.) დაფარვა II 71; III 10, 46, 64;  
dul<sub>2</sub> (ზმ.) დაკლება, III 141;  
dum-dam (N:ideophone) ხმაური III 13;  
dumu (არს.) ვაჟი, შვილი I 23, 53, 182; II  
41, 58, 96, 142; III 2, 79;  
dun (არს.) ბარაქა III 121;  
dungu – ალბათ III 100;  
dur (არს.) შეეკრა, გადაბმა I 58;  
dur<sub>2</sub> (არს.) rump გავა, გავის ხორცი III  
23, 106;  
<sup>საშ</sup>dur<sub>10</sub>-al-lub (არს.) ნაჯახის სახეობა III  
46;

## E

e-ne (ზმ.) გართობა, თამაში I 126; III 20;  
(PD:personal) ის III 4, 14, 35;  
<sup>საშ</sup>e-sir<sub>2</sub> (არს.) სანდალი III 20;  
e<sub>2</sub> (არს.) სახლი, სამყოფელი I 132; II 25,  
88, 89, 104; III 16, 79, 84, 92, 121, 138;  
e<sub>2</sub>-an-na – ე-ანა II 86;  
e<sub>2</sub>-gal (არს.) სასახლე I 171; II 44; III 180;  
e<sub>2</sub>-mi<sub>2</sub> (არს.) ქალის სამყოფელი, საკანი  
III 75, 135;  
e<sub>2</sub>-ri-a (არს.) უნაყოფო მიწა, უდაბნო III 16;  
e<sub>3</sub> (ზმ.) გასვლა ან შემოსვლა I 2, 12, 15,  
54, 59, 75, 76, 86, 120, 134, 178; II 1, 61,  
104, 148, 149, 154; III 19, 61, 66, 85, 105,  
209, 211, 249, 263, 270;  
ebih<sup>ლ</sup> – ებიხი I 32, 52, 91, 111, 115, 123, 141,  
144, 152, 177, 181, 182; III 111;  
ebih<sub>2</sub> (არს.) თოკი I 42, 101;  
ed<sub>3</sub> (ზმ.) ასვლა ან ჩამოსვლა I 84; II 11;  
edin (არს.) უდაბნო III 43, 49, 51;  
elam<sup>ლ</sup> (გეოგრ.) ელამი I 27;



- eme (არს.) ენა III 157;
- en (არს.) ბატონი I 19; III 245; უზენაესი ქურუმი II 67, 120;
- En-hē<sub>2</sub>-du<sub>7</sub>-an-na / En-hēdu-ana – ენხედუანა II 67, 81; III 219;
- den-il<sub>2</sub> (n:dn) ენლილი I 50, 109, 167; II 18, 95; III 14, 97, 113, 200, 201, 205, 265;
- en<sub>3</sub>-du (არს.) სიმღერა III 197;
- engur (არს.) მინისქვეშა წყალი III 65;
- enmen<sub>2</sub> (არს.) წყურვილი, პირის გამრობა I 148;
- ereš (არს.) ქალბატონი III 1, 3;
- er<sub>2</sub> (არს.) ცრემლი, წვეთი I 163; II 24, 82, 96; III 40, 90 2x, 91, 93;
- er<sub>9</sub> (ზმ.) ძლევამოსილება III 53, 54;
- erim<sub>2</sub>-gā<sub>2</sub> (ზედ.) ბოროტება, უბედურება, ცოდვა III 27;
- erin<sub>2</sub>-hāš (არს.) ბრძოლა, ცხარე კამათი III 38, 164;
- ēišes<sub>2</sub>-ad (არს.) ხაფანგი III 27;
- eš-bar (არს.) გადაწყვეტილება III 180, 206;
- eš<sub>2</sub> (არს.) თოკი III 17;
- ešemen (არს.) თოკი I 39, 98;
- dezina<sub>2</sub> ეზინა (ღვთაება) II 10, 43; III 99;
- G**
- ga (არს.) რძე III 40, 41;
- ga-ba-ra-hum (არს.) სასონარკვეთილება, უიმედობა III 22;
- ga<sub>2</sub>-erim<sub>2</sub>-gā<sub>2</sub> (ზედ.) მტრული I 8;
- gaba (არს.) მოსათავსებელი ადგილი, სკივრი II 7; III 25, 73, 95;
- gaba-ri (არს.) თანაბარი I 67; (ზმ.) გაიგივება III 165;
- gabū<sub>2</sub> (არს.) მარცხენა (მხარე) I 169; III 59;
- gal (არს.) დიდად ყოფნა I 1, 3, 5, 8, 23, 64, 134, 143, 146, 161, 167, 170, 182; II 3, 6, 16, 25, 34, 41, 58, 60, 64, 87, 112, 115, 135, 143; III 2, 3, 4, 8, 9, 10, 14, 25, 59, 60, 70, 77, 80, 97, 102, 105, 106, 107, 108, 109, 161, 179, 183, 186, 200, 203, 216, 250, 258, 259, 265, 272;
- gal-zu (ზედ.) დახელოვნებული I 5; II 62;
- gala (არს.) მომღერალი I 174; II 140;
- galam (ზმ.) ოსტატობა, ცოდნა III 114;
- gam (ზმ.) მოდრეკა, დამორჩილება I 71; II 20; III 30, 104, 137;
- gum<sub>2</sub>-gum<sub>2</sub><sup>გა-უმ-გა-უმ</sup> (არს.) უგულვებელყოფა III 138;
- <sup>მ</sup>gana<sub>2</sub>-ur<sub>3</sub> (არს.) ფარცხი I 77, 170;
- gar (ზმ.) დასხმა, ნაკადი I 98;
- gaz (ზმ.) განგმირვა I 74;
- gen<sub>6</sub> (ზმ.) მტკიცედ ყოფნა, გამყარება I 70, 172; III 117, 166;
- gi (არს.) განაჩენი III 4; ლერწამი III 12;
- gi-il-gi-il (ზმ.) ცხენის შეკავშირება III 23;
- gi-rin (არს.) ყვევილობა, გაფურჩქვნა I 16; II 117; (ზმ.) სინმინდე, განზანცვა, ნათლად ყოფნა I 56;
- gi<sub>4</sub> (ზმ.) დაბრუნება, უკან წასვლა I 7, 49, 108, 112; II 10, 30, 53, 56, 73, 88, 110, 141, 146; III 52, 170, 202, 205, 271;
- <sup>დ</sup>gibil – გიბილი, ცეცხლის ღმერთი I 47, 106;
- gid<sub>2</sub> (ზმ.) გრძელად ყოფნა, გაქაჩვა, მგზნებარედ სურვილი I 50, 63, 73, 78, 85, 109; II 43; III 33;
- gig (ზმ.) ავად ყოფნა II 93; III 159, 168, 244, 251;
- gig<sub>2</sub> (ზმ.) შავი, სიშავე I 21;
- giri<sub>17</sub> (არს.) ცხვირი I 35, 93, 158; III 81, 104, 109, 110, 111, 252;
- giri<sub>17</sub>-zal (არს.) სიხარული, ბრწყინვალეობა I 121; III 1, 64;
- gu (არს.) სელის ძაფი I 85; III 211;
- <sup>მ</sup>gu<sub>2</sub>-za (არს.) ხე, ტახტი I 70, 172; III 142;
- <sup>ნა</sup>gu<sub>2</sub> (არს.) სარდიონი III 109;
- gu<sub>2</sub> (არს.) კისერი I 2, 50, 52, 109, 141; II 113, 154; III 20, 30, 57, 137, 155, 163, 166, 170;



gu<sub>2</sub>-bar (არს.) მტერი III 166;  
 gu<sub>2</sub>-en (არს.) უხუცესთა საბჭო II 144; III 266;  
 gu<sub>2</sub>-tuku (ზედ.) სრულყოფილი II 143;  
 gu<sub>3</sub> (არს.) აზრი, ხმა I 152; II 30, 126; III 51, 100, 163;  
<sup>na</sup>gu<sub>3</sub> (არს.) სარდიონი I 56;  
 gu<sub>3</sub>-an-ne<sub>2</sub>-si (არს.) ქუხილი I 145; III 111;  
 gu<sub>7</sub> (არს.) ქამა, დანაყრება II 27, 105, 127; III 41, 42, 46;  
 gub (ზმ.) ადგომა, დადგმა, დგომა I 8, 37, 38, 46, 60, 61, 78, 96, 97, 105, 122, 125, 172, 180, II 19, 22, 36, 48, 80, 104; III 185;  
 gud<sub>3</sub> (არს.) ბუდე I 165; III 164;  
 gul (ზმ.) დანგრევა, დაქცევა I 6, 81; II 17, 101, 125, 153; III 119, 178, 204, 207, 208;  
<sup>na</sup>gul-gul (არს.) ქვის სახეობა III 62;  
 gun<sub>3</sub> (ზმ.) მრავალფერადი II 130;  
 gur (ზმ.) ბრუნვა, მიმართვა, შებრუნება III 132, 252;  
 gur<sub>4</sub> (ზმ.) გასუქება, გახშირება, მოწყალება I 19, 20, 161; III 1, 58, 268, 269;  
<sup>na</sup>gur<sub>2</sub> (არს.) ფარი, მახვილი I 3, 44, 103;  
 gurus<sub>3</sub> (ზმ.) ტარება, ზიდვა, ატანა, გადაზიდვა I 1, 13, 14; II 2, 68, 148;  
 gurus<sub>5</sub> (ზმ.) ცვენა, ვარდნა I 146;  
 gurusd (ზმ.) მიწაზე დანარცხება III 115;  
 gurusn (არს.) ხილი I 121.

## Ġ

ġalga (არს.) გონება, მიზეზი III 70, 243;  
 ġal<sub>2</sub> (ზმ.) გაღება I 133; II 24; III 56, 253;  
 (zm.) დასახლება, II 10, 138; III 16, 64, 81, 83, 121, 252;  
 ġar (ზმ.) ქონა, ყოფნა I 71, 85, 129, 164; II 37, 69, 97, 113; III 7, 15, 43, 44, 51, 70, 74, 80, 107, 119, 121, 137, 163, 167, 170, 177, 179, 210, 253;  
 ġarza (არს.) რიტუალი, ჩვევა III 108 2x, 156, 257;

ġe<sub>26</sub> (ნაცვ. კუთვ.) მე I 89; II 69, 92, 100; III 246;  
 ġen (ზმ.) სვლა, სეირნობა I 13, 15, 84, 139, 152, 178; II 25, 106;  
 ġeštug<sub>2</sub> (არს.) ყური I 66; III 176, 182, 247;  
 ġi<sub>6</sub> (არს.) ლამე II 56;  
 ġi<sub>6</sub>-par<sub>4</sub> – გიპარი II 66;  
<sup>na</sup>ġidru (არს.) სკიპტრა III 140;  
 ġiri<sub>2</sub> (არს.) პირი, ლერო I 140, 142, 173; II 107;  
 ġiri<sub>2</sub>-ur<sub>3</sub>-ra (არს.) სატევარი III 64;  
 ġiri<sub>3</sub> (არს.) ფეხი, ტერფი I 58, 138; II 22, 32, 53, 54, 78; III 18, 56, 114, 116;  
 ġiri<sub>3</sub>-us<sub>2</sub> (არს.) კვალი III 117;  
 ġissu (არს.) ჩრდილი, მცველი II 71;  
 ġiñ (არს.) ხე I 122, 148; II 114, 126; III 177;  
 ġiñ-an-dul<sub>3</sub> (არს.) ჩრდილისმიმდებარი ხე I 122;  
 ġiñ-gid<sub>2</sub>-da (არს.) მახვილი იარაღი I 43, 102;  
 ġiñ-hur (არს.) განზრახვა III 42, 68;  
 ġiñ-kan<sub>4</sub>-na (არს.) კარიბჭე II 150;  
 ġiñ-keše<sub>2</sub>-da (არს.) არხი I 179;  
 ġiñ-la<sub>2</sub> (არს.) ბრძოლა III 19, 54, 163;  
 ġiñ-nu<sub>2</sub> (არს.) სარეცელი II 117;  
 ġiñ-šub-ba (არს.) ხვედრი III 168;  
 ġirusš (არს.) ახალგაზრდა კაცი, რაინდი II 48, 50.

## Ḫ

ḫa-šu-ur<sub>2</sub> (არს.) კვიპაროსი, ხაშური I 126;  
 ḫa-za (ზმ.) დაჭერა, ფლობა I 72; III 72;  
<sup>su</sup>ḫa-zi-in (არს.) ცული I 46, 105;  
 ḫar-ra-an (არს.) მორევა, დამარცხება, აღება I 74, 86; III 25, 117;  
 ḫaš<sub>2</sub> (არს.) ლაგამი I 73;  
 ḫe-am<sub>3</sub> (არს.) ასე, ამგვარად III 203, 204 2x, 207, 208;  
 ḫe-en-du (არს.) ბილიკი III 117;  
 ḫe<sub>2</sub>-ġal<sub>2</sub> (არს.) სიუხვე, სიმრავლე III 248;  
 ḫi (ზმ.) ერთობა III 140, 141;



hi-li (არს.) მიმზიდველობა II 88, 147, 154;  
(ზმ.) სიამოვნების მიღება, გართობა  
III 137;  
hi-ri<sub>2</sub>-in<sup>musen</sup> (არს.) არწივი III 31;  
hib<sub>2</sub> (არს.) ფეხი I 3, 39; III 19, 20;  
hiṣṭ (ზმ.) სამსახურში ყოფნა III 259;  
hiṣ (ზმ.) ცუდად ყოფნა I 136, 162, 182; II  
89, 93; III 47, 76, 160 2x, 168, 244;  
hiṣ-du (ზედ.) ბოროტი, უსამართლო I  
46, 105;  
hiṣ-ḡal<sub>2</sub> (ზედ.) ღვარძლი II 39;  
hiṣuḥ (ზმ.) შეშინება III 105;  
hiṣ<sub>2</sub> (ზმ.) ბედნიერად ყოფნა, გახარება I  
62; II 40; III 43;  
hiṣ-saḡ (არს.) მთათა რიგი I 15, 32, 36, 40,  
48, 91, 95, 99, 107, 115, 119, 126, 128,  
138, 152, 153, 177; II 43; III 10, 24, 60;  
hiṣ (ზმ.) განითლება I 1, 9, 14, 55, 116,  
119, 127, 128, 166; II 22, 36, 37, 129, 130;  
III 19, 21, 103;

## I

i (ზმ.) გამოტანა I 24, 52, 111; III 113, 255,  
273;  
i-bi<sub>2</sub> (არს.) კვამლი I 150;  
i-bi<sub>2</sub>-za (არს.) დანაკარგი III 123;  
i-dib (არს.) ზღურბლი II 24;  
i-lu (არს.) სიმღერა (სევდიანი) II 33; III 89;  
i-lu-lam-ma (არს.) მზიარული სიმღერა I 22;  
i<sub>3</sub>-udu (არს.) მსუქანი ცხვარი, ქონი III 63;  
ib<sub>2</sub> (ზმ.) მძვინვარება I 131; II 38, 41, 143;  
III 112, 198;  
id<sub>2</sub> (არს.) მდინარის კალაპოტი II 45;  
iḡ (არს.) კარი I 78, 133; III 84;  
igi (არს.) თვალი I 85, 163; II 26, 36, 117,  
130, 131; III 18, 50, 54, 79, 93, 124 4x,  
162, 164, 176, 177, 182, 184, 211, 212,  
215, 248 2x, 251, 252;  
igi-gal<sub>2</sub> (ზედ.) ბრძენი, მცოდნე II 62;  
igi-te-en (არს.) ბადე, კაკანათი III 66, 85;

il<sub>2</sub> (ზმ.) ადგომა, აწევა I 153; II 7, 130; III  
15, 99, 137, 141 2x, 184;  
iḡilar (არს.) ხის შუბი, ჯოხი I 44, 103;  
im-ba (არს.) დაკლება, არარსებობა III  
122;  
im-ba-x (არს.) ავადმყოფობის სახეობა  
III 134;  
im-ba-x-x (არს.) ავადმყოფობა, მძიმე  
სენი III 133;  
im-ba-sur (არს.) ავადმყოფობა III 133, 162;  
im-hul (არს.) დამნგრევი ქარიშხალი,  
გრიგალი I 137; II 31;  
immal<sub>2</sub> (არს.) გარეული ძროხა III 183;  
in (არს.) შეურაცხყოფა III 42;  
in-di<sub>3</sub> (არს.) გზა I 51, 110; III 6, 98;  
in-nin (არს.) დიასახლისი I 1, 25, 30, 150;  
III 1, 15, 25, 31, 34, 36, 38, 56, 58, 64, 73,  
215, 268;  
inbir (არს.) კონფლიქტი III 50, 74;  
inim (არს.) სიტყვა I 65, 67; II 15, 53, 119,  
129; III 5, 67, 69, 157, 184, 185, 202;  
iḡnana (n:dn) ინანა I 2, 5, 11, 24, 26, 31, 39,  
53, 62, 88, 90, 98, 114, 129, 135, 151, 183;  
II 12, 83, 146, 154; III 14, 23, 32, 33, 37, 41,  
62, 74, 103, 115, 116, 117, 118, 119, 120,  
121, 122, 123, 124, 125, 131, 132, 133, 134,  
135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 155,  
157, 168, 172, 180, 269, 274;  
iri<sup>ki</sup> (არს.) ქალაქი I 49, 108; II 49, 51, 79, 94;  
III 16, 33; (ზმ.) მიმართვა III 9;  
iḡiskur (n:dn) იშქური II 10, 30; III 52, 100;  
itid (არს.) მთვარის შუქი I 75; II 148;  
izi (არს.) ცეცხლი I 45, 104, 149; II 13, 44;  
III 36;  
izi-ḡar (არს.) ჩირალდანი III 210;

## K

ka (არს.) პირი I 52, 111, 143; II 72; III 42,  
57, 175, 180, 186, 187, 254, 201;  
KA-e<sub>2</sub>-gal (არს.) ცილისწამება III 156;



- ka-aš (არს.) გადანყვეტილება, სიმტ-  
კიცე III 14;
- ka-ğiri<sub>3</sub> (არს.) ბილიკი III 118;
- kadra (არს.) ძღვენი III 180;
- kal (არს.) გაიშვიათება II 109; III 86, 213;
- kalag (ზმ.) გაძლიერება, გამო-  
ჯანმრთელება III 140;
- <sup>na</sup>\*kalag-ga (არს.) ქვის სახეობა III 63;
- kalam (არს.) მიწა I 82, 118; II 13, 18; III 9,  
11, 64, 77, 201, 249;
- kan<sub>4</sub> (არს.) ჭიშკარი I 60;
- kana<sub>6</sub> (არს.) სიბნელე III 160;
- kar (არს.) გაქცევა, თავის დაღწევა II 77,  
86, 107; III 115;
- kar<sub>2</sub> (ზმ.) გაფანტვა, დაბერვა,  
გავრცელება III 124, 248;
- kaskal (არს.) მაღალი, გზა III 10;
- kaš (არს.) ლუდი II 82;
- kaš<sub>2</sub> (ზმ.) სირბილი III 115, 139;
- keše<sub>2</sub> (ზმ.) შეკვრა II 6, 47; III 22, 168;
- ki (არს.) ადგილი I 3, 7, 11, 14, 17, 25, 26,  
34, 49, 63, 67, 72, 89, 90, 91, 93, 108, 134,  
157, 161, 162; II 2, 4, 10, 12, 18, 42, 43,  
53, 59, 92, 97, 98, 109, 110, 111, 116, 121,  
124, 136, 146; III 3, 4, 16, 28, 55, 67, 68,  
93, 95, 96, 102, 109, 110, 111, 117, 118,  
135, 170, 178 2x, 179, 183, 185, 206, 207,  
208, 214, 217, 258, 263, 271;
- ki-e-ne-di (არს.) საცეკვაო მოედანი II 49;
- ki-bal (არს.) აჯანყებული მიწა I 77, 80; II  
93, 125;
- ki-gal (არს.) კვარცხლბეკი I 70;
- ki-gub (არს.) ადგილი I 116;
- ki-in-dar (არს.) ქვეწარმავალი I 83;
- ki-in-du (არს.) მიწის სიფართე III 28;
- KI.KAL (არს.) იხმარება მიწის სხვადა-  
სხვა კატეგორიის აღსანიშნავად III  
56, 253;
- ki-lul-la (არს.) უსამართლობის ადგილი  
II 101;
- ki-sig<sub>10</sub>-ga (არს.) დაკრძალვის რიტუალი  
II 69;
- ki-sikil (არს.) ახალგაზრდა ქალი I 11, 24,  
129, 183; III 75, 274;
- ki-šu (არს.) კულტმსახურების ადგილი  
III 98,
- ki-šu-peš (არს.) კულტის ადგილი II; 124;
- ki-tuš (არს.) საცხოვრებელი I 117; III 106,  
107, 261;
- kiğ<sub>2</sub> (არს.) შრომა, მუშაობა, მსახურება  
I 47, 106;
- kiğ<sub>2</sub>-sig (არს.) სალამოს შესანიირი,  
ვახშამი II 69;
- kiilb<sub>2</sub> (არს.) სისავსე, ერთიანობა,  
მთლიანობა III 13, 213, 265;
- <sup>98</sup>kir<sub>6</sub> (არს.) ბოსტანი I 76, 121;
- <sup>98</sup>kiš<sub>16</sub> (არს.) აკაცია II 106;
- ku (ზმ.) დაცემა, დანარცხება III 162;
- ku<sub>6</sub> (არს.) თევზი III 65;
- ku<sub>10</sub>-ku<sub>10</sub> (ზმ.) დაბნელება III 49, 160, 177,  
210, 253;
- kud (ზმ.) გაჭრა I 49, 108, 147; II 95, 100; III  
82, 86, 180;
- kug (ზედ.) კაშკაშა, ელვარე, ბრწყინ-  
ვალე I 2, 39, 56, 86, 98, 117, 135, 151,  
155; II 15, 53, 57, 61, 63, 65, 66, 83, 85,  
99, 110, 146; III 93, 209, 216, 262;  
(არს.) ძვირფასი ლითონი III 122 2x,  
123 2x;
- kug-dun (არს.) ბარაქა III 123;
- kug-zu (ზედ.) ბრძენი, მცოდნე III 66;
- kur (არს.) ქვეყანა I 6, 8, 16, 17, 22, 28, 30,  
31, 51, 83, 84, 85, 89, 90, 91, 110, 113,  
114, 119, 150, 167, 176, 180; II 9, 11, 17,  
20, 42, 43, 51, 62, 78, 106, 126, 153; III 2,  
15, 31, 52, 61, 110 2x, 181, 254;
- kur-ğar-ra – კულტის მსახურის სახელი I  
173; III 88;
- kur-ku (ზმ.) განძრევა, დაძვრა I 51, 110, 166;
- kur-šag<sub>4</sub> (არს.) მთის შუაგული I 29;





kur-ur<sub>2</sub> (არს.) მთის ბილიკი I 8;  
 kur<sub>2</sub> (ზმ.) განსხვავებულად, გამორჩეულად ყოფნა II 85, 98, 117; III 7, 30, 157, 159, 206;  
 kur<sub>9</sub> (ზმ.) შესვლა I 80, 127; II 66, 89, 90; III 24, 120, 175;  
 kurum<sub>7</sub> (არს.) დიასახლისი III 212;  
 kuš<sub>2</sub> (ზმ.) დაღლა II 31, 32, 84; III 20, 90;  
 kušum<sub>4</sub> (არს.) სახელი, შედგენილი ზმნის ნაწილი III 5;

**L**

la (არს.) სიუხვე, სიმრავლე II 88, 147, 148, III 75, 120;  
 La-ra-ah (არს.) ნაპრაღი, უფსკრული III 251;  
 la<sub>2</sub> (ზმ.) ჩამოკიდება I 72, 73, 121; II 7, 118; III 6, 17, 60, 65, 66, 85 2x, 159, 176, 199, 211;  
 la<sub>3</sub> (არს.) ტკბილი სასმელი II 72;  
 lamma მცველი ღვთაება III 125;  
 li-li-is<sub>3</sub> (არს.) საკრავის, დოლის სახეობა I 174;  
 lib (არს.) მარადიული დუმილი III 184;  
 lib<sub>4</sub> (ზმ.) აღელვება, აღრევა III 162, 251;  
 li<sub>2</sub> (არს.) მოჩვენება III 16;  
 lipiš (არს.) შიგანი I 131; III 29;  
 lu (ზმ.) ბარაქიანად ყოფნა I 123, 124, 125; II 63;  
 lu<sub>2</sub> (არს.) ადამიანი, კაცი I 47, 106; II 87, 91, 119; III 17, 18, 27, 30, 31, 41, 42, 50, 57, 74, 86, 100, 200;  
 lu<sub>2</sub>-gam-ma (არს.) სუსტი ადამიანი III 138;  
 lu<sub>2</sub>-giš-gi-sağ-keše<sub>2</sub> – კულტის მსახურის სახელწოდება III 88;  
 lu<sub>2</sub>-kaš<sub>4</sub> (არს.) ფეხმარდი III 175;  
 lu<sub>2</sub>-kur<sub>2</sub>-ra (არს.) უცნობი, შემხვედრი III 27;  
 lu<sub>2</sub>-sig-ga (არს.) სუსტი ადამიანი III 138;  
 lu<sub>2</sub>-tur (არს.) ბავშვი I 112;  
 lu<sub>3</sub> (ზმ.) შერევა, არევა III 51;  
 lu<sub>5</sub>-lu<sub>5</sub>-bi (გეოგრ.) ლულუბი I 28;

lugal (არს.) მეფე I 12, 75, 79, 80, 82, 112;  
 lugal-an-ne<sub>2</sub> (საკუთარი სახელი) – ლუგალ-ანე II 74, 77;  
 lugud (არს.) ჩირქი, წყლული III 45;  
 lul (ზმ.) გაყალბება, მოტყუება III 157;  
 lulim (არს.) ირემი I 125.

**M**

ma-an-si-um (არს.) ემბლემა, ნიშანი I 69;  
 ma-az (ზმ.) გაბერვა, გადიდება II 147;  
 gima-sa<sub>2</sub>-ab (არს.) კალათა II 68;  
 gišma<sub>2</sub> (არს.) ნავი II 98;  
 mah (ზმ.) დიდად, ფართოდ ყოფნა, დიდი I 11, 37, 96, 122, 134, 162, 178; II 39, 64, 79, 110, 123, 135, 152; III 5, 8, 30, 96, 98, 99, 108, 155, 182, 187, 269;  
 mah-di (ზედ.) ცნობილი, გამორჩეული III 2, 59;  
 mar-uru<sub>5</sub> (არს.) ქარშხალი, გრიგალი I 4, 136; III 19, 29; ცახცახი I 41, 100, 135;  
 me (არს.) არსი, რაობა I 1, 150; II 1, 5, 6, 7, 8, 14, 23, 60, 64, 65, 153; III 3, 8, 83, 94, 102, 125, 213; (ზმ.) მეობა, არსეობა III 14, 114, 183;  
 me-a (ზმნიზ.) სად III 187;  
 me-lem<sub>4</sub> (არს.) მელამი, შიშისმომგვრელი ბრწყინვალეობა I 55, 119, 128; II 2, 21; III 161;  
 me-teš<sub>2</sub> (არს.) ქება I 24, 52, 111; III 255;  
 me<sub>3</sub> (არს.) ბრძოლა I 3, 20, 23, 40, 99, 132, 134; II 26; III 20, 53;  
 mir (ზმ.) რისხვა I 170; II 136;  
 (არს.) ჩრდილოეთის ქარი II 49;  
 mu (არს.) სახელი I 82; III 86, 96, 181, 187;  
 mu-bu-um (არს.) ხის სახეობა I 71;  
 mu<sub>2</sub> (ზმ.) გაზრდა I 149; III 111;  
 mud (არს.) სისხლი I 2;  
 mul (ზმ.) გაბრწყინებული I 123;  
 mul-sig<sub>7</sub> (არს.) სიბნელე III 49, 177;  
 munus (არს.) ქალი II 2, 55, 65, 77, 79; III 76, 86, 120 2x, 200, 211;



MUNUS<sup>2</sup> () UNUS<sup>2</sup> III 40;  
 minus-მწ-გი (n) კულტის მსახურ ქალთა  
 სახეობა III 87;  
 mur (არს.) ბრდღვინვა, გრგვინვა, ჭექა-  
 ქუხილი III 12;  
 mur<sub>10</sub> (ზმ.) ჩაცმა, შემოსვა I 54, 155;  
 muš (არს.) გველი I 83;  
 muš-am<sub>3</sub> (არს.) პატივის მიგება III 258;  
 muš-sağ-kal (არს.) გველის სახეობა I 84;  
 muš-šag<sub>4</sub>-tur<sub>3</sub> (არს.) ქვეწარმალი I 146;  
 muš<sub>3</sub> (არს.) სივრცე III 106;  
 muš<sub>3</sub>-am<sub>3</sub> (არს.) ემოცია, ტირილი III 92, 244;  
 mušen (არს.) ფრინველი, ჩიტი I 165; III 66;  
 mušen-du<sub>3</sub> (არს.) კაკანათი, მახე III 66;

**N**

na-me – რაიმე, ვინმე, თითოეული III 25, 215;  
 na<sub>4</sub> (არს.) ქვა I 146;  
 nağ (ზმ.) დაღვევა II 45; III 166;  
 \*nanna (ლვთ.) ნანნა II 93, 100, 120, 122,  
 134, 149; III 209, 220;  
 nam (არს.) ბედი, ბედისწერა I 49, 108,  
 147; II 74, 77, 95, 103; III 14, 114, 133<sup>2</sup>,  
 265, 267 ;  
 nam-diğir (არს.) ღვთაებრიობა III 209,  
 249, 256;  
 nam-en (არს.) ქურუმობა II 4, 107;  
 nam-gur<sub>4</sub> (არს.) სიდიდე III 255;  
 nam-kug-zu (არს.) სიბრძნე III 84;  
 nam-lu2-usu<sub>3</sub> (არს.) კაცობრიობა II 21;  
 nam-lugal (არს.) მეფობა III 142;  
 nam-mah<sub>h</sub> (არს.) დიდებულება III 3, 254,  
 261, 264, 270, 273;  
 nam-nin (n) ქალბატონობა III 214, 260,  
 266, 267;  
 nam-šita<sub>4</sub> (არს.) იარაღი I 71;  
 nam-šul (არს.) ვაჟკაცობა I 57;  
 nam-uš<sub>2</sub> (არს.) სიკვდილი, აღსასრული III  
 40, 41, 43, 48;  
 ne-en (ნაცვ.) ეს II 71; III 246;

ne-mur (არს.) ნაკვერჩხალი II 137;  
 ne<sub>3</sub> (არს.) ძალ-ღონე III 25;  
 nemurx (PIRIG.TUR) (არს.) გარეული კატა  
 III 24, 73;  
 nesag<sub>h</sub> (არს.) ახალი ხილი, დილის ძღვენი  
 I 62;  
 ni<sub>2</sub> (არს.) შიში I 1, 13, 30, 31, 32, 36, 48, 55,  
 66, 89, 90, 91, 95, 107, 116, 118, 127, 166,  
 167; II 18, 21, 87; III 10, 23, 85, 106, 161,  
 163, 167, 186;  
 ni<sub>2</sub>-gu<sub>10</sub> – თვითონ II 117;  
 ni<sub>2</sub>-su-ub (არს.) ექსტაზი III 87;  
 ni<sub>2</sub>-zu – თქვენ თვითონ, თქვენთვის II 27;  
 niğ<sub>2</sub> (არს.) საგანი, საქმე, I 171; II 16, 26, 57,  
 73, 140; III 7, 22, 29, 30, 42, 70, 96, 135,  
 159, 162, 178, 179, 199, 211, 251, 272;  
 niğ<sub>2</sub>-a<sub>2</sub>-zig<sub>3</sub> (არს.) ვერაგობა III 157;  
 niğ<sub>2</sub>-gig (არს.) სიძულვილი II 43; III 160, 244;  
 niğ<sub>2</sub>-gug<sub>2</sub>-na (არს.) აღჭურვილობა III 121,  
 138;  
 niğ<sub>2</sub>-ħis<sub>3</sub> (n) მახე, ხაფანგი III 26;  
 niğ<sub>2</sub>-me-ğar (არს.) დუმილი II 22;  
 niğ<sub>2</sub>-na (არს.) ცეცხლის ნავლი, საცეცხ-  
 ლური III 36;  
 niğ<sub>2</sub>-nam – რამ, რამე II 85; III 55, 124, 165,  
 214;  
 niğ<sub>2</sub>-su-ub (არს.) გაპრიალება I 43, 102;  
 niğ<sub>2</sub>-ša (არს.) საქონელი III 121;  
 niğin<sub>2</sub> (ზმ.) გარშემო სიარული I 25, 26,  
 27, 28; II 117; III 132, 182;  
 nin (არს.) ქალბატონი, სატროფო I 5, 10,  
 23, 138; II 1, 6, 14, 20, 27, 34, 40, 42, 59,  
 60, 62, 97, 109, 112, 114, 121, 135, 136,  
 139, 144, 154; III 93, 113, 179, 245, 254,  
 270, 264, 267;  
 \*nin-gal (ლვთ.) ნინგალ-ი II 119, 150;  
 nin<sub>9</sub> (არს.) და III 264;  
 ninim (არს.) შური II 90;  
 nir (არს.) ძალაუფლება, ხელისუფლება I  
 59, 120; III 73;



nir-gal<sub>2</sub> (ზედ.) ძლევამოსილი მბრძანებელი II 144; III 25;

<sup>ა</sup>Nisaba (ლვთ.) ნისაბა I 184;

nisig (არს.) სიმწვანე I 121;

nitah (არს.) მამაკაცი III 82, 120 2x, 211;

nitalam (არს.) მეუღლე, ცოლი II 110;

nu – არა III 187;

nu-u-gig (არს.) ქალბატონი, დედოფალი I 131; II 3, 152;

nu<sub>2</sub> (ზმ.) მიწაზე გართხმა II 78;

<sup>ა</sup>nun-gal-e-ne (ლვთ.) ნუნგალენე III 2, 26;

nundum (არს.) ტური, ბაგე I 35, 94, 158; II 116; III 135;

## P

pa (არს.) შტო I 123; III 249, 270;

pad<sub>3</sub> (ზმ.) მოძებნა II 96; III 86, 181, 264;

<sup>აა</sup>pala<sub>3</sub> (არს.) სამოსის სახეობა I 54; III 21;

pe-el (ზმ.) გაფუჭება, წყენინება III 60, 159;

pi-li-pi-li – კულტის მსახური I 175; III 80, 88;

pirig (არს.) ლომი I 7, 8; III 23;

pu-uh<sub>2</sub>-ru-um (არს.) უხუცესთა კრება, შეკრება III 70;

pu<sub>2</sub> (არს.) ორმო, ჭა III 26.

## R

ra (ზმ.) დამარცხება, დარტყმა I 21, 142; II 29, 35, 127; III 36, 53, 112, 253;

<sup>აა</sup>rab<sub>3</sub> (არს.) ბორკილები III 9;

ri (ზმ.) მიმართვა I 66, 116, 118, 119, 146, 149, 167, 168, 169; II 18, 44; III 51, 161, 167;

rig, (ზმ.) ბოძება, მიძღვნა III 200;

ru-gu<sub>2</sub> (ზმ.) პირისპირ დგომა III 29, 53;

## S

